K 252.553 / 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И
ЭТНОГРАФИИ ИМЕНИ И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

1966

Д. Л. Мусхелишвили

Город Уджарма

Из исторических взаимоотношений Иберии и Албании

Издательство „Мецниереба“
Тбилиси
1966

დ. მუსხელიშვილი

ციხე-ქალაქი უჯარმა

იბერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1966

4(479.22.12)+94(479.22-21)

9 (С41)
9 (47. 922)
მ 936

მონოგრაფიაში განხილულია ისტორიული კახეთის პოლიტიკური ცენტრის, ქ. უჯარმის წარმოქმნის, განვითარებისა და დაცემის საკითხები ანტიკური ხანიდან X—XI სს-მდე.

შესწავლილია კახეთის მეურნეობის ძირითადი დარგები, მათი მნიშვნელობა ივერიის ეკონომიური განვითარებისათვის, აგრეთვე კახეთის მიერ მეზობელი არაქართული ტომების გაქართველების პროცესი. განხილულია ის ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები, რამაც განაპირობა ქ. უჯარმის დაცემა.

სპეც-ფონდი
შემოწმებულია

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. კახეთის უძველესი პოლიტიკური ცენტრები

ივერიისა და ალვანეთის ანუ, ძველი წყაროების ენით რომ ვთქვათ, ქართლისა და ჰერეთის ისტორიული ურთიერთობა საქართველოს ძველი ისტორიის ერთ-ერთი ფრიად საინტერესო პრობლემაა. ფაქტიურად ჩვენ აქ საქმე გვაქვს ივერიის აღმოსავლეთი პერიფერიის, კახეთის (და კუხეთის) მოსახლეობის პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობასთან ალვანეთის დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ტომებთან. ამ ურთიერთ მომიჯნავე მხარეებში უძველესი დროიდანვე გვერდიგვერდ ცხოვრობდა ქართული და ალვანური მოსახლეობა, რომელსაც ძველთაგანვე ჰქონდა მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური ურთიერთობა.

ეს უკანასკნელი საუკუნეთა მანძილზე გარკვეული ტენდენციით ვითარდებოდა, რის შედეგადაც უძველესი დროიდანვე დასავლეთი ალვანეთის მოსახლეობა ქართული კულტურის ორბიტაში მოექცა, ქართული ენა შეითვისა და გაქართველდა. ეს ხანგრძლივი და რთული პროცესი, გარდა პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობისა, გაპირობებული იყო ქართული მოსახლეობის მიგრაციული ტალღებით ალვანეთისკენ. ასეთი მოძრაობა მოსახლეობისა ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე აგრეთვე უძველესი დროიდანვე მოწმდება. ფაქტიურად ჩვენ ვადასტურებთ კახეთის (და კუხეთის) მოსახლეობის დასავლეთ ალვანეთის მონათესავე მოსახლეობასთან შერწყმის ტენდენციას.

მაგრამ აქ დგება საკითხი აგრეთვე ივერიის მთის, „კახეთის მთეულეთის“ მხრივ ასეთივე ტენდენციის გამოვლინებისა და, საბოლოო ჯამში, ივერია-ალვანეთის ისტორიული ურთიერთობის გაშუქება გულისხმობს მთისა და ბარის ურთიერთობის გათვალისწინებასაც.

ამ თვალსაზრისით და ამის ფონზე უნდა იქნეს შესწავლილი კახეთისა და ჰერეთის ისტორიული გეოგრაფია. ფრიად დამახასიათებელი ჩანს, ამ მხრივ, ევოლუცია ისტორიულ-გეოგრაფიული ცნებე-

ბისა „კახეთი“ და „ჰერეთი“. პირველის მოცულობა დროთა განმავლობაში ფართოვდება მეორის ხარჯზე. ეს უკანასკნელი კი, პირუკუ, თანდათან იკუმშება, ვიდრე საბოლოოდ არ ქრება, როგორც გარკვეული „ქვეყნის“ აღმნიშვნელი ცოცხალი ტერმინი.

ყველა ამ საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით კვლევა ამჟამად ჩვენი მიზანი არ არის. ქრონოლოგიურადაც ანტიკური და ადრეფეოდალური ხანით ვიზღუდებით.

ამ პერიოდის ბოლოს ემთხვევა უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრული ქართლისა და ალვანეთის ისტორიულ ურთიერთობაში.

მეორე მხრივ, ამავე ხანაზე მოდის უჯარმის, როგორც მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის, ადრეფეოდალური კახეთის პოლიტიკური ცენტრის დაცემა. ეს არ არის შემთხვევითი გარემოება. პირუკუ, ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ქალაქ უჯარმის წარმოქმნა და მისი შემდგომი ისტორია, გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, აგრეთვე გაპირობებულია ქართლისა (კახეთის) და ჰერეთის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის ევოლუციით და ამიტომ მისი ისტორიის შესწავლა ამავე დროს ამ ურთიერთობის გაშუქებას ემსახურება და პირუკუ.

ქალაქი უჯარმა წარმოიქმნა გარკვეულ დროს. იგი წარმოიქმნა, როგორც კახეთის ერთ-ერთი ცენტრი, რომელსაც ამის შემდგომ განსაზღვრულ პერიოდში უდიდესი და სხვებთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს, რა თქმა უნდა, გაპირობებული იყო პირველ რიგში კახეთის სამეურნეო განვითარებით. მაგრამ რომ ქალაქი მაინცდამაინც უჯარმაში წარმოიქმნა, ამას, სამეურნეო თვალსაზრისით მოხერხებული მდებარეობის გარდა, ისიც აპირობებდა, რომ ისტორიული გეოგრაფიის მიხედვით უჯარმა მდებარეობდა სამი მნიშვნელოვანი პროვინციის, კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის ურთიერთმომიჯნავე საზღვართა გადაკვეთის კვანძზე.

ამრიგად, უპირველესად ყოვლისა ჩვენ ამ პროვინციების ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს უნდა შევეხოთ.

„ქართლის ცხოვრებაში“ კახოსის და კუხოსის წილი შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „ხოლო კუხოსს (გადამწერთაგან შეცდომით წერია „კახოსს“. — **დ. მ.**) მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა; ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთას შორის არაგვიდგან ვიდრე ტყე-ტბადმდე, რომელ არს საზღუარი ჰერეთისა“[1]. ჰეროსის ხვედრი კი ასეა ლოკალიზებული: „ჰეროსს მის-

---

[1] ანასეული ნუსხა, 1942, გვ. 5.

ცა ქვეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა თავიდგან ვიდრე ტყე-ტბამდენ, რომელსა აწ ჰქუიან გოლგოლა"[2].

ტექსტი რომ ნაკლული და დამახინჯებულია, ეს ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა[3]. მანვე სცადა თავდაპირველი ტექსტის აღდგენა. იგი სრულიად სამართლიანად იზიარებს „ქართლის ცხოვრების" ზ. ჭიჭინაძის გამოცემის (რომელიც მ. ბროსეს გამოცემის მეორედ გამოცემას წარმოადგენს) შესწორებას ჰერეთის განსაზღვრაში და ასკვნის: „მაშასადამე, ჰერეთად იწოდებოდა „ქუეყანა მტკვარისა ჩრდილოთ" მდებარე „მცირისა ალაზნისა" ანუ ი ო რ ი ს შ ე ს ა რ თ ა ვ ი თ გ ა ნ მოყოლებული გულგულამდე"[4].

კახოს-კუხოსის წილთა შესახებ ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ქ ́ ცა (იგულისხმება ჭიჭინაძის გამოცემა — **დ. მ.**) ზოგან სამართლიანად ასწორებს და წერს: „კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა ა რ ა გ ვ ი თ გ ა ნ ვ ი დ რ ე ჰ ე რ ე თ ა მ-დ ე, თავადმდე მთისა კახეთისასა და მტკუარს შუა; ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვიდგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღუარი ჰერეთისა"[5]. მაგრამ იგი ასეთ აღდგენას მთლიანად არ ეთანხმება და დასძენს: „თვით ლეონტი მროველს უეჭველია ასე ექმნებოდა დაწერილი: „კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰრქჳან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა <ალაზნისა> და მტკუარს შუა; ხოლო კახოსს მისცა კავკასიისა და კახეთის მთას შორის, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს სამზღუარი ჰერეთისა"[6]. თვით ასეთი აღდგენის შემდეგაც არ მიაჩნია ივ. ჯავახიშვილს ტექსტი უნაკლულო, მაგრამ ყველა სხვა ვარიანტს შორის, როგორც ჩანს, ამას ამჯობინებს[7]. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ივ. ჯავახიშვილს ტექსტის აღდგენისას მცირეოდნად სიზუსტე აკლია; კერძოდ, მარიამისეულ ნუსხაში[8] და ჭიჭინაძის მიერ გამოცემულშიაც[9] კუხოსის ხვედრის შესახებ წერია: „მისცა... არაგვითგან ვიდრე თავადმდე მ თ ა ს ა კ ა ხ ე თ ი ს ა ს ა და მტკუარს შუა" და არა „მთისა კახეთისასა", როგორც ეს ივ. ჯავახიშვილსა აქვს. როგორც

---

2 იქვე, გვ. 2.

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I—II, 1913, გვ. 297—9.

4 იქვე, გვ. 298.

5 იქვე.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 298—9.

8 იხ. ანასეული ნუსხა, გვ. 5.

9 იხ. ეს გამოც., წ. I, 1897, გვ. 22.

ქვევით დავინახავთ, ამას, ეგების, არც თუ მცირე მნიშვნელობა ჰქონდეს.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „როგორც ეტყობა, ამ საკითხის გამოსარკვევად (ლაპარაკია კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრების შესახებ.—დ. მ.). იმაზე მეტი მასალები, რაც ახლა მოგვეპოვება, არც ვახუშტსა ჰქონია, მისი განმარტება მთლად ლეონტი მროველის ცნობებზეა დამყარებული"[10]. ამაზეც განსვენებულ მეცნიერს ვერ დავეთანხმებით: უთუოა, რომ ვახუშტი ლეონტი მროველის მონაცემებიდან ამოდიოდა, მაგრამ ისიც უთუოა, რომ მას მეტად მნიშვნელოვანი დამატებითი მასალა, გამოუყენებია. მასვე ეკუთვნის ლეონტი მროველის სათანადო სქემის კონკრეტიზაციის პირველი ცდა. დავიმოწმოთ თვით ვახუშტი: ჰეროსმა „დაიპყრა ქვეყანა წილ-ხდომილი თვისი. სამხრით ხორანთისა-გან (=იორ-ალაზნის შესართავისგან, სადაც ლ. მროველი სდებს მოვაკანისა და ჰერეთის საზღვარს და საცა ჰეროსმა ააშენა ქალაქი ჰერეთი ანუ ხორანთა.—დ. მ.). მტკვრამდე და კავკასამდე საზღვარი მოვაკანისა, ჩრდილოეთ ხუნანიდამ გულგულამდე და კავკასამდე, აღმოსავლით კავკასი, დასავლით მტკვარი: ამათ შორისი ქვეყანა არს ჰერეთი..."[11], კახეთის შესახებ: „და მისცა კახოს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამჯრით საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის ჭევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი, და ჩრდილოთ მთა კავკასი. და ამათ შორისი ქვეყანა არს კახეთი..."[12], „ხოლო კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამჯრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულამდე; დასავლით მტკვარი და არაგვი; ჩრდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ შორის ქვეყანას ეწოდა კუხეთი..."[13]. სხვაგან ვახუშტი ამბობს სამების ხევის შესახებ, რომელიც იორს ერთვის მარცხნიდან ხაშმის ანუ კაწარეთის სამების ზემოთ: „ესევე ჭევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა"[14]. ამგვარად, ვახუშტს ჩვენ ვერ დავწამებთ, რომ მას ლეონტი მროველთან შედარებით ახალი ცნობები არ მოუცია, სხვა საკითხია ამ ცნობების რომელ ნაწილში უნდა ვენდოთ მას და რომელში არა.

---

10 ქართველი ერის ისტორია, გვ. 299.

11 საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 146.

12 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 86.

13 იქვე.

14 იქვე, გვ. 90.

*

* *

ასეთია ლეონტი მროველის, ვახუშტისა და ივ. ჯავახიშვილის შეხედულებები ამ საკითხზე. განვიხილოთ ისინი ცალცალკე.

ვიდრე ლეონტი მროველის სათანადო ცნობების განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მისი მეთოდი, რომლის საშუალებითაც იგი ახდენს თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეფციის კონკრეტიზაციას. საცა ხერხდება, ან უკეთ, საცა საზღვარი ბუნებრივ ზღვარზე გადის (მდინარე, ქედი), ლეონტი მროველი ასახელებს მას; მაგ.: „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღუარი აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ზღუა პონტოსა, სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა და მთა რომელი მიჰყუების დასავლით კერძო“ და სხვ. ჩრდილოეთით იგულისხმება კავკასიონი[15]. მაგრამ საცა საზღვრის ხაზი არ მიჰყვება ბუნებრივ ზღვარს, იქ ლეონტი მროველი კმაყოფილდება ერთი პუნქტის დასახელებით, რომელიც ამ ხაზზე მდებარეობს და რომელიც, ამგვარად, ერთგვარი ორიენტირის როლს თამაშობს. მაგ.: „მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ (იგულისხმება კავკასიონამდე.—**დ. მ.**), მცირისა ალაზნისა [შესარ] თავიდგან ვიდრე ზღუამდე[16]. ამგვარად, აქ მოვაკანის დასავლეთი საზღვარი, რომელიც ბუნებრივად არ იყო გამოყოფილი, აღნიშნულია ერთი ორიენტირით—მცირე ალაზნის შესართავით. მაგრამ სხვა შემთხვევაშიაც ასე იქცევა იგი: მიუხედავად იმისა, რომ ქართლოსის წილი მეტნაკლებად სრულადა აქვს განსაზღვრული საზღვართა მთელ სიგრძეზე, სხვაგან ლეონტი მროველი წერს: „ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა“[17].

მეორე მხრივ[18], ლეონტისთვის დამახასიათებელია საზღვრების აღნიშვნა საპირისპირო ქვეყნის მხარეების მიხედვით. მაგ.: „გარდაბოსს მისცა ხუნანი, და უჩინა საზღუარი აღმოსავლით მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამხრით მთა პირველ-ხსენებული, და ჩრდილო მტკუარი“[19], და ა. შ.

თუ ლ. მროველის ამ თავისებურებას გავიზიარებთ და გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენთვის გასაგები გახდება, რომ მის მიერ ჰერეთი შემდეგნაირადაა შემოფარგლული: სამხრეთით—მტკვარი, ჩრდილოეთით — კავკასიონი (იგულისხმება), აღმოსავლეთით—მცირე ალაზნის შესართავი (=ხაზი, რომელიც ამ წერტილზე გადის და-

---

15 ანას ქ ᾽ცა, გვ. 2.

16 იქვე.

17 იქვე, გვ. 4.

18 როგორც ეს უკვე აღნიშნა ედიშერ ხოშტარიამ.

19 იქვე, გვ. 5.

ჰერეთს გამოყოფს მოვაკანისგან), დასავლეთით—ტყეტბა (=ხაზი, რომელიც გადის ტყეტბაზე და ჰერეთს გამოყოფს ქართლისაგან, კერძოდ, კახეთ-კუხეთისგან).

ვახუშტსაც სწორად გაუგია ლ. მროველის მეთოდიკური თავისებურება, რის შედეგადაც მოგვცა ზემომოტანილი განსაზღვრა ჰერეთისა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჰერეთის დასავლეთი და, შესაბამისად, ქართლის აღმოსავლეთი საზღვარი. ვახუშტი ამ ხაზს ხუნანიდან გულგულამდე (და კავკასამდე) უჩვენებს[20]. ძნელი გამოსარკვევია, ხუნანსაც რომ მიუთითებს, ვახუშტს საამისო სხვა პირდაპირი ცნობა ჰქონდა, თუ ეს მან ლეონტი მროველის მონაცემების შესწავლის შედეგად დაადგინა, მაგრამ ის კი, მაინცდამაინც, ცხადია, რომ ამ უკანასკნელი საშუალებითაც ხერხდება საამისო დასკვნის გამოტანა. საქმე ისაა, რომ „მამათა და ნათესავთა“ ავტორი ერთგან, როგორც აღვნიშნეთ, ხუნანს პირდაპირ მიუთითებს, როგორც ქართლის (ქართლოსის წილის) უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტს[21]. ვახუშტით ხუნანი, როგორც ცნობილია, მდებარეობს ქციამტკვრის შესართავში[22]. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ აქ იყო, ერთის მხრივ, ბარდოსის წილის (რანის) აღმოსავლეთი საზღვარი[23], მაგრამ ბარდოსის წილი იდო „მტკუარს სამხრით“[24] და რადგან ხუნანი ქართლის უკიდურეს საზღვარზეა, ცხადია, „მტკუარს ჩრდილოთ“ მას სხვა ქვეყანა უნდა ესაზღვრებოდეს. ასეთი ქვეყანა კი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ჰერეთი, რომელი „ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ“ იდო. ჰერეთის საზღვრის ნაწილის ასეთ ლოკალიზაციას, როგორც დავინახავთ, სხვა წყაროებიც ადასტურებენ.

ამგვარად, უნდა მივიღოთ, რომ ვახუშტის მიერ ჰერეთის დასავლეთი საზღვრის კოორდინაცია, გულგულა-ხუნანის შემაერთებელ ხაზზე, სწორია. რაც შეეხება თვით ამ ხაზის დადგენას, აქ სხვა

---

20 აქ აღვნიშნავთ, რომ ვახუშტი ამ საზღვარს ჰერეთისთვის ჩრდილოეთისად თვლის, რაც აშკარა შეუსაბამობაა. ზუსტად რომ ვთქვათ ესაა ჰერეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი და ამიტომ ჩვენ პირობითად დასავლეთისას ვუწოდებთ. ვახუშტს შესაბამისად არეული აქვს ჰერეთის დანარჩენ საზღვართა ორიენტაცია ქვეყნის **მხარეების მიმართ.**

21 ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს განცხადება სიტყვა-სიტყვით უნდა გავიგოთ, ან რომ ლეონტის სიზუსტეში ეჭვი არ შევიტანოთ. აქ დავუმატებთ, რომ მოსე ხორენელის მიხედვით არანისა და გუშარის ხვედრი ქვეყნების საზღვარი ჰნარაკერტზე გადის. შესაძლებელია, ეს ჰნარაკერტი ქართული ხუნანი იყოს. **იხ. Պատմութիւն հայոց, Թիֆլիս, 1910, გვ. 108.**

22 თუმცა ეს არ არის სწორი. უკანასკნელ ხანებში გამოთქმულია ეჭვები, ვფიქრობთ სამართლიანად, რომ ხუნანი სხვაგანაა საძებარი.

23 ვახუშტით მდ. ბერდუჯი, რომელიც ქციას ერთვის ხუნანის ცოტა ზემოთ, დღევანდელი დებედაა. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 34—5.

24 ანას. ქ ᲪᲐ, გვ. 2.

არა დაგვრჩენია რა, ჯერჯერობით, გარდა იმისა, რომ ვახუშტს ვენდოთ, მით უმეტეს, რომ საწინააღმდეგო რაიმე საბუთი არ მოგვეპოვება, ხოლო ვახუშტის ცნობები, ჩვენი აზრით, სრულებით სანდოა (იხ. ქვემოთ).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახუშტით კახეთის სამხრეთი (sic) საზღვარი გადის სამების ხევზე, შემდეგ თურდოსა და შტორის ხევზე. იქვე, სხვა ადგილას იგი ხელმეორედ აღნიშნავს: „ალაზანს მოერთვის თურდოს-ჭევი, გამომდინარე შუა-მთიდამ. ამ ჭევზედ არს გულგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტყეტბა. ეს ჭევი არს საზღუარი ჰერეთისა და კახეთისა“[25]. შტორის ხევზე ცალკე ვილაპარაკებთ, ხოლო ამჯერად აღვნიშნავთ, რომ, ვახუშტის მიხედვით, კახეთ-ჰერეთის საზღვარი, იორ-ალაზანს შორის, ზედმიწევნით ირკვევა. გამოსარკვევი გვრჩება ამ საზღვრის სამხრეთი (კუხეთის მომიჯნავე) და ჩრდილოეთი მონაკვეთი. სამხრეთ მონაკვეთზე კვლავ ვახუშტი გვშველის. იგი ამბობს, რომ ძველ კუხეთსო „აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ჭევს... კვალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანისჭევი, ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია“[26]. სხვა ადგილას: „არამედ ესე ადგილნი ნაგებს ზეით (ე. ი. ჩრდილო-დასავლეთით—**დ. მ.**) არს ძველად კუხეთისა... ხოლო ნაგებს ქვეითი ჰერეთისა არს, და აწ უწოდებენ ყარაიას, და გარეჯის მთას მასვე ძველ სახელს“[27].

ნაგები ანუ რუსთავი, ისევე როგორც სხვა ამგვარი პუნქტები, ვახუშტის მიხედვით, გაიაზრება მთელ ოლქად, „ქვეყნად“. ასე მაგ.: ნაგების „საზღვარი... არს: დასავლით მტკვარი, ჩრდილოთ ჭევი ლოჭინისა[28], აღმოსავლით მთა გარეჯისა, ვიდრე მწარე-წყლამდე, სამჭრით მწარე-წყალი“[29]. საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტის მიერ 1930 წ. გამოცემულ საქართველოს სსრ რუკაზე აღნიშნულია მწარე წყალი, რომელიც მიედინება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ყარაიის ველზე, რკინიგზის სადგურ სოღუთ-ბულაღის სამხრეთით და მტკვარს ერთვის მარცხნიდან. თუ ვახუშტი ამ მწარე წყალს გულისხმობს, მაშინ იგი წინააღმდეგობაში ვარდება, რომ „ნაგებს ქვეითი... ყარაია“ ჰერეთისაა, რადგანაც ეს მწარე-წყალი სწორედ ყარაიაშია. შესაძლებელია სხვა მწარე წყალიც ყოფილიყო, პირველის ჩრდილოეთით, რადგანაც თვით ვახუშტის მოწმობით ვიცით, რომ ამ რაიონში „წყარო-ტბანი... თუ

---

25 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 100.

26 იქვე, გვ. 86.

27 იქვე, გვ. 51.

28 ვახუშტით იგივე ომანის ჭევი, იხ. იქვე, გვ. 95.

29 იქვე, გვ. 50.

სადმე არს, მლაშენი და მწარენი“ არიან[30]. მაგრამ ეს მაინც არ უნდა იყოს გამოსავალი, რადგან რუსთავის ქვევით უშუალოდ უკვე ყარაია იწყება და, ე. ი. საცა არ უნდა დაიდოს აქ ნაგების სამხრეთის საზღვარი, ვახუშტი თავის თავთან წინააღმდეგობაში მოვა.

მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, სინამდვილეში არავითარი წინააღმდეგობა არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ვახუშტს ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა დროის შესაფერისი ცნობა აქვს გამოყენებული: კუხეთის აღწერისას აკი პირდაპირ აღნიშნავს, რომ იგი აწინდელ ყარაიასაც მოიცავდაო (გვ. 86), ხოლო ზემოთ კი (გვ. 51) ამბობდა ყარაია და გარეჯის მთა ჰერეთისაო. ეს ორი, თითქოს ურთიერთ გამომრიცხველი, ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ გარკვეულ პერიოდში, უფრო ძველად, ნაგებს ქვეითი მხარე—ყარაია და გარეჯის მთა ჰერეთს ეკუთვნოდა; უფრო გვიან კი ყარაია კუხეთს შეუერთდა, რუსთავ-ნაგების „ქვეყნის“ ერთ ნაწილად იქცა, ხოლო გარეჯის მთა—მის აღმოსავლეთ საზღვრად. ეს ცნობები ასე რომ უნდა გავიგოთ, ამას გვავარაუდებინებს, ჯერ ერთი, სხვა წყაროების მონაცემები[31], ამასვე გვავარაუდებინებს ქართლ (ივერია)—ჰერეთის (ალვანეთის) პოლიტიკური ურთიერთობის ტენდენცია, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამგვარად, თუ ჩვენ ყარაიას ველს თავდაპირველად ჰერეთის კუთვნილებად ჩავთვლით, უნდა დავასკვნათ, რომ ქართლ-ჰერეთის საზღვრის ეს მონაკვეთი (ხუნანსა და რუსთავს შორის) მტკვარზე უნდა დებულიყო[32]. დანარჩენი მონაკვეთი, რუსთავიდან—სამების ხევამდე ჩვენთვის ძნელად დასადგენია. მას უნდა გაევლო სამგორსა და ჩადივრის გორებსა და გარეჯის მთას შუა[33].

---

30 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწ..., გვ. 89.

31 კერძოდ, სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ (XI, 3_2) აღნიშნავს, რომ ივერიის დაბლობზე გამავალი მტკვარი, მას შემდეგ, რაც შეიერთებს არაგვს და სხვა შენაკადებს, **„по узкой речной долине изливается в Албанию“ (ВДИ.** 1947, № 4, 218)—არა მგონია ყარაიადან დაწყებული მტკვრის ველს ვიწრო უწოდონ. ეგებ ამ ვიწრო ველად თბილის-ყარაიას მონაკვეთს თვლის სტრაბონი. მაშინ სადღაც აქ უნდა დაიდოს ივერია-ალვანეთის საზღვარი, რაც სწორედ კარგად უდგება ლეონტი მროველისა და ვახუშტის ზემომოტანილ მონაცემებს. შდ. ნ. ლომოური, იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრების საკითხისათვის ანტიკურ პერიოდში. ა. მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, 1955, 9.

32 მტკვარზე სდებს ივერია-ალვანეთის საზღვარს უფრო გვიანი ხანისთვის სომხ. ანონ, გეოგრ. იხ. **Армянская География VII в. по Р. Х. издал К. Патканов, 1877, 16, თარგმანის 39.**

33 რომ ვახუშტის ცნობები იმგვარად უნდა გავიგოთ, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, ამის პირდაპირი მოწმობა გვაქვს დავით გარეჯელის (VI ს.) ცხოვრებაში,

სხვაგვარადაა საქმე ჩვენთვის საინტერესო სასაზღვრო ხაზის ჩრდილო მონაკვეთის მიმართ. ვახუშტს აქ კახეთ-ჰერეთის საზღვრად შტორის ხევი მიაჩნია. ჩვენ ამის შესახებ ზემოთ უკვე მოვიტანეთ ამონაწერი. ვახუშტი სხვაგანაც ამბობს: „ამ შტორის-ჴევისა... ჩრდილოეთი ქვეყანა არს კახეთი, ამათ სამჴრეთი—ჰერეთი“[34]. აქ კი ვახუშტი ცდება (ან უკეთ, ალბათ კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური ურთიერთობის შედარებით მოგვიანო ეტაპს განსაზღვრავს). ვახუშტი რომ ცდება, ეს ცხადია იქიდან, რომ მდ. შტორის დასავლეთით (ვახუშტით—ჩრდილოეთით მდებარე „ბახტრიონსა და ლალის-ყურს შუა არს ველი ალონად წოდებული“[35], რომელზედაც მდებარეობს სოფელი ალვანი. ეს ტოპონიმი (ალონი=ალვანი) მიუთითებს ალვანთა ტომის არსებობაზე ამ ტერიტორიაზე გარკვეულ დროს[36]. აქედან კი გამომდინარეობს, რომ იგი უნდა გამოირიცხოს თავდაპირველი კახეთის, ალვანთაგან ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის ტერიტორიის, ფარგლებიდან. რომ, მართლაც, შტორის ხევზე არ უნდა ყოფილიყო თავდაპირველი საზღვარი, ეს ლეონტი მროველის მიხედვითაც ჩანს: ტყეტბის ანუ გულგულის დასახელება ჰერეთის დასავლეთ საზღვრად არ უნდა იყოს შემთხვევითი, არამედ უნდა მიუთითებდეს გულგულის, როგორც ორიენტირის მნიშვნელობაზე[37]. ამიტომ, ბუნებრივია, თუ ვიფიქრებთ, რომ გულგულას შემდეგ (თურდოს შესართავის შემდეგ) საზღვარი 90°-ით იცვლის დასავლეთისაკენ მიმართულებას და ეხლა უკვე—ალაზნის გასწვრივ. ამგვარი მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ ბახტრიონამდე, საიდანაც იწყება ალონის ველი და სადაც ალაზანი მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთისაკენ.

კახეთ-ჰერეთის საზღვრის უკიდურესი ჩრდილოეთი მონაკვეთის განსაზღვრა კვლავ ვახუშტის მიხედვით ხერხდება.

სადაც რუსთავის მთავარს, როგორც ჩანს, ხელი მიუწვდება არა თუ ყარაიაზე, არამედ გარეჯის მთებზედაც და ე. ი. ეს მხარე კუხეთის საერისთაოში შემავალად უნდა ვიგულისხმოთ (იხ. ქვემოთ).

34 იქვე, გვ. 101.

35 იქვე, გვ. 102.

36 **იხ. M. Brosset, Introduction, p. X.**

37 შდ. მაგ.: დასახელება, მცირე ალაზნის შესართავისა, რომელიც წარმოადგენდა საკვანძო პუნქტს ჰერეთის, მოვაკანისა და აგრეთვე რანის საზღვრებისათვის. მტკვარი, რომელიც რანის ჩრდილო საზღვარს წარმოადგენდა, ორიოდე კმ-თაა ამ შესართავს დაშორებული. არც ისაა აუცილებელი, რომ ზუსტად ივრის შესართავი მივიჩნიოთ ჰერეთ-მოვაკანის საზღვრად. ვახუშტი სწორად იქცევა, როდესაც ჰერეთის ამ აღმოსავლეთის საზღვარს „სამხრით ხორანთისა-გან (იგულისხმე: მცირე ალაზნის შესართავიდან — დ. მ.) მტკვრამდე“, ვარაუდობს (იხ. ზემოთ).

საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ჰერეთის ქართული სამეფო კახეთისას შეუერთდა, ხოლო კახეთის სამეფო კი საქართველოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი გახდა, ჰერეთი ცალკე ადმინისტრაციულ (და არა ერთ) ერთეულად განიხილებოდა. სწორედ ამას გულისხმობს ვახუშტის სიტყვები, რომ „კვირიკემ, დაიპყრა რა ერეთიცა, იწოდა კახთ მეფედ, გარნა ერეთს აქუნდა თჳსივე სახელი მოუსპელი“[38]. ჰერეთი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ქრება XVI ს-ის რეფორმების შედეგად, როდესაც საერისთავოების მაგიერ სამოურავოები შეიქმნა და სხვ[39]. ამიტომ ჰერეთისა და კახეთის საზღვრები საუკუნეთა მანძილზე მეტ-ნაკლებად დაცული იყო და კარგადაც განსაზღვრული (სწორედ ამის გამოა სანდო ვახუშტის ლოკალიზაცია, რომელიც ეგებ ზეპირ გადმოცემასაც ემყარებოდა).

ამიტომაც ჩვენ გვგონია, რომ გვიანდელი ცნობები, კახეთ-ჰერეთის საზღვრებს რომ ეხება, გამოსადეგი უნდა იყოს უფრო ძველი დროისთვისაც და, კერძოდ, გამოსაყენებელი უნდა იქნას ჰერეთ-კახეთის თავდაპირველი საზღვრის დასადგენად.

მხედველობაში გვაქვს კვირიკე დიდის მიერ (XI-ს-ის დასაწყისი) ჰერეთის დაპყრობის შემდეგ კახეთის სამეფოში ჩატარებული ადმინისტრაციული რეფორმები.

ვახუშტის მიხედვით კვირიკემ „დასხნა“ ერისთავნი „სამი კახეთს და ოთხი ჰერეთს და კახეთისა ერთი რუსთავს და მისცა სრულიად კუხეთი... მეორე დასვა კვეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთი ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა (უნდა ვიგულისხმოთ დღევანდელი ქართლისა და კახეთის ქედებსშორისი ტერიტორია—**დ. მ.**), ვიდრე კავკასამდე და გარდაღმად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და ღლიღვი. მესამე პანკისისა ანუ მარილისისა და მისცა ჰერეთის საზღურის-ზეითი კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ. ხოლო ჰერეთს დასვა პირველი ხორნაბუჯს ანუ ხორანთას... მეორე ვეჯინს და მისცა ქისიყის საზღუარს-ზეითი თურდოს ხევამდე და ალაზანსა და ჰერეთის მთის[40] შიგნით, რომელ არს აწ შიგნით კახეთი. მესამე მაჭისა და მისცა მაჭის წყლის ქვეით და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნზახითურთ. მეოთხე დასვა შტორისა და მისცა შტორის ხევიდამ მა-

---

[38] იქვე, გვ. 87.

[39] **იხ. Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), გვ. 28.**

[40] ციგის მთა, იხ. ვახუშტის „აღწერა“, გვ. 97 და სხვ.,

ჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელს არს აწ გაღმა მხარი"[41].

ჩვენთვის აქ საინტერესოა, რომ ალაზნის ზემო წელი (ბახტრიონამდე), სადაც მდებარეობენ მარილისი და პანკისი, კახეთსა აქვს მიკუთვნებული; შემდეგ—რომ შტორის ხევი მაინცდამაინც ჰერეთს ეკუთვნის. საფიქრებელია, რომ კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო ხაზი აქ ზედ მდინარეზე კი არ გადიოდა, არამედ წყალგამყოფ ქედზე და კერძოდ იმაზე, რომელიც შტორის მდინარეს ალაზნისაგან ყოფს—ესაა ნაქერალას ქედი, რომელიც დიდგვერდის მთას გამოსდის და სამხრეთისაკენ ეშვება ეს ქედი ბოლოში (სამხრეთით) ორ შტოდ იყოფა, რომელთაგან ერთი,მოკლე, წარმოადგენს მდ. მაჭარეულის და მდ. სტორის (ქვედა წელში) წყალგამყოფს, ხოლო მეორე, გრძელი, მდ. მაჭარეულისა და ალაზნის ზემო წელის (მონაკვეთი დაწყებული დუი-სოფლიდან ჩრდილოეთით, ვიდრე ბახტრიონამდე სამხრეთით) წყალგამყოფს. ამ ორი შტოს შუაშია მოქცეული სწორედ ზემოხსენებული ალონის ველი, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ ვთქვით, აგრეთვე გამოსარიცხია თავდაპირველი კახეთის ტერიტორიიდან, ამიტომ ეგებ არ შევცდეთ, თუ კახეთ-ჰერეთის საზღვარს მაჭარეულ-ალაზნის წყალგამყოფზე დავდებთ, რომელიც ბახტრიონთან ალაზნის მარცხენა ნაპირს აღწევს.

ამგვარად, თუ თავს მოვუყრით ყველა ზემოთქმულს და გავიზიარებთ გამოთქმულ მოსაზრებებს, ქართლისა (ქართლოსის წილი) და ჰერეთის საზღვარი შემდეგნაირად წარმოგვიდგება. უკიდურესი სამხრეთის პუნქტი ხუნანია, აქედან მტკვრის გასწვრივ რუსთავამდე, შემდეგ სამგორ-ჩადივრისა და გარეჯის მთის შორისი ხაზით მდ. იორამდე; აქედან სამების ხევით გომბორის გადასასვლელამდე, შემდეგ თურდოს ხეობით ალაზნამდე; აქედან ალაზნის გაყოლებით დასავლეთისაკენ, ვიდრე ბახტრიონამდე; შემდეგ ალაზან-მაჭარეულის წყალგამყოფი მთით, ალაზან-შტორის წყალგამყოფი ქედის მიმართულებით კავკასიონამდე[42].

---

41 „საქ. ცხოვრება", გვ. 151. ვახუშტი ფაქტიურად სცდება, როდესაც ერთ-ერთი საერისთოს ცენტრად შტორს ასახელებს. ნამდვილად არსებობდა „ტურის ერისთავი" (იხ. ანას. ქ-ცა, 185), და არა შტორისა. „ტურის ციხე" დღესაც არის გაღმამხარში, ალაზნის პირას. მდ. ჩელთის შესართავს ქვემოთ. ციხე-სიმაგრის ნანგრევები მოხილულ იქნა 1964 წ-ის 9.IV ისტორიის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომლის კ. მელითაურის, ფოტოგრაფ მ. კოზლოვსკის და ჩემ მიერ.

42 შდ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრების საკითხისათვის ანტიკურ პერიოდში, 8—9. ამგვარად, ჩვენ მიერ ჰერეთის, როგორც ქართლის (ივერიის) აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნის, წარმოდგენა ემყარება ლეონტი მროველისა და ვახუშტის ცნობებს, ამასთან დაკავშირებით აუცილებლად

ახლა გადავიდეთ კახეთ-კუხეთის დანარჩენი საზღვრების გან-ხილვაზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ორი ერთეულის გამიჯვნისათვის აქვს „კახეთის მთის“ ლოკალიზაციას.

ვახუშტის მიხედვით: „მთა. რომელი გამოხდების ფშავ-ღლიღვის საშორისის კავკასიდამ და გამოვლის მახვილის ჯევსა და ფშავს შორის, კვალად ერწო-თიანეთსა და ირტო-საყდრიონს შორის, და ჟალეთის ბოლომდე ბდებარებს ჩრდილოდამ სამჯრით, მერმე წარმოვალს და მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამჯრეთს შუა მდებარებს და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამჯრით ქიზიყი, დასავლით გარეთ-კახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გონბორი, შუა მთა და ცივი“[43]. ცივის მთა იგივე ჰერეთის მთა ყოფილა[44].

ამგვარად, ეჭვსგარეშეა, რომ კახეთის მთა არის დღევანდელი კახეთის ქედი გომბორამდე. სწორედ ასე აქვს ნაჩვენები 1923 წ. გამოცემულ რუკაზე ივ. ჯავახიშვილს.

ცხადია, „კახეთის მთა“, თუკი ასეთ ლოკალიზაციას გავიზიარებთ, შეიძლება ყოფილიყო კახეთისათვის მხოლოდ დასავლეთის საზღვარი და სწორედ ასე უჩვენებს ვახუშტი (იხ. ზემოთ) მაგრამ აქ ცხად შეუსაბამობასთანა გვაქვს საქმე: ასეთ შემთხვევაში ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი (ძველი ფხოვი), რომელთაც ვახუშტი

გვეჩვენება გავიხსენოთ იაკობ ცურტაველის სათანადო მონაცემები, რომელთა საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ჰერეთს სხვაგვარი ლოკალიზაცია მისცა. განსვენებული მეცნიერი წერდა: „იაკობის მიერ დაწერილი თხზულებიდან ჩანს, რომ „ჰერეთი“ აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის ანუ იბერიის სამეფოს უკიდურესი სამხრეთი თემი იყო. სამხრეთიდან საქართველოში მომავალი პირველად სწორედ ჰერეთს მიადგებოდა“ (ქართ. ერის ისტ. წ. I, 1951 წ., გვ. 208). „იაკობ ხუცესის ცნობიდან მაინცდამაინც აუცილებლად მტკიცდება, რომ „ეთნოგრაფიული ჰერეთი“ აღმოსავლეთი საქართველოს სწორედ მტკვრის სამხრეთით მდებარე, უკიდურესი სამხრეთის თემი იყო“ (იქვე, გვ. 209). იაკობ ხუცესის ნაწარმოებში ჩვენ ასეთი კატეგორიული მსჯელობისათვის საფუძველს ვერა ვხედავთ: 1) სამხრეთიდან მომავალი კაცი ჰერეთის ერთ ნაწილს მოადგებოდა და სადამდე ვრცელდებოდა მთელი, თუნდაც მხოლოდ „ეთნოგრაფიული ჰერეთი“, მაგ.: ჩრდილოეთისაკენ, ჩვენ აქედან ვერაფერს გავიგებთ; 2) სრულიად აუცილებელი არაა ვარსქენი თავის სამფლობელოში სამხრეთიდან შემოსულიყო და არა, მაგალითად, აღმოსავლეთიდან, რადგან ერანიდან ქართლში მომავალნი „გზასა რანისასა“ მოდიოდნენ (ანას ქ᾽ცა, გვ. 127, 148); მითუმეტეს ვარსქენი ქც᾽ აში „რანის ერისთავად“ იხსენიება. ხოლო ვარსქენის სამფლობელო, რომ მტკვრის ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა, ეს კარგად ჩანს „შუშანიკის მარტვილობის“ სომხური ვარიანტიდან (იხ. იაკობ ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ილია აბულაძის გამოც. 1938 წ. გვ. 23—შიშიანობის დროს ვარსქენის შვილები თავშეფარად მიჰყავთ მტკვარ-გალმა ციხე-სიმაგრეში).

[43] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 87.

[44] იქვე, გვ. 97, 101.

სრულიად სამართლიანად კახეთში შემავალ მხარეებად თვლის, კახეთის საზღვრებს გარეთ რჩება, და უნდა ვიგულისხმოთ კუხეთში შემავალად, რადგან კუხეთის აღმოსავლეთ საზღვრად სწორედ ეს „კახეთის მთაა“ მის მიერვე დასახელებული. მაგრამ კუხეთიდან ვახუშტი სრულიად გამორიცხავს, და ამასაც სავსებით სამართლიანად, ივრის ხეობის ზემო წელს.

ივრის ხეობის ზემო წელი რომ თავდაპირველი საცხოვრისია კახელებისა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სწორედ ამ ტერიტორიის მოსახლეობას უწოდებენ დღევანდელი ფშავები კ ა ხ ე ბ ს, კ ა ხ ე ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ განსხვავებით. კახელებს ისინი უწოდებენ დღევანდელ შიგნიკახელებს. კახების ასეთი ლოკალიზაცია სხვა მხრივაც მოწმდება, კერძოდ, სოფ. ჭიოტაანთკარის მახლობლად (სოფ. საყარაულოს პირდაპირ), ივრის მარცხენა ფერდობზე მცირე ზომის დანგრეული, უსახური ეკლესია დგას, რომელსაც „კახების ხატს“ უწოდებენ — ცხადია, აქ ჩამოსახლებული ფშავები.

ვახუშტის აქ ამკარად აკლია სიზუსტე: „კახეთის მთა“, რომელიც მან ახლახან კუხეთის აღმოსავლეთ საზღვრად დასახა, ორი სტრიქონით ქვემოთ იმავე კუხეთის ჩრდილოეთ საზღვრადაც გამოჰყავს[45], ეს კი სრულიად გამორიცხულია მის მიერვე კუხეთის მხარეთა მიხედვით ლოკალიზაციიდან[46]. ეს უკანასკნელი გარემოება თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მიუხედავად „კახეთის მთის“ კონკრეტული განსაზღვრისა, ვახუშტი უნებლიედ ამ სახელწოდებით სხვა რომელიმე მთასაც ნათლავს. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს აგრეთვე ვახუშტის შემდეგი სიტყვებიდან: ლაპარაკობს რა კახეთზე, იგი ამბობს: საზღვრავსო „დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე“. თუ ტექსტი შერყვნილი არ არის და სწორად გვესმის, ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ერწო-თიანეთზე გავლისას იორი ორად ჰყოფს კახეთის მთას. თუ ეს სწორია, მაშინ აშკარაა, ამ შემთხვევაში ვახუშტის „კახეთის მთა“ უდრის ქედების სისტემას, წარმოდგენილს დღევანდელი კახეთის, ქართლის და, ეგებ, იალნოს ქედითაც. შესაძლებელია მართლა ასე იყო, მაგრამ ეს საქმეს არ შველის.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ვახუშტის მიხედვით კახეთის მთის ლოკალიზაცია ჭირს.

დავუბრუნდეთ კვლავ ლეონტი მროველს. მაგრამ ვიდრე თვით მის ტექსტს განვიხილავდეთ, მოვიგონოთ ივ. ჯავახიშვილისეული რედაქცია ამ ადგილისა: „კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა

---

45 იქვე, გვ. 86,

46 იხ. აქვე, ზემოთ, გვ. 11.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

აწ ჰრქჳან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა, <ალაზნისა> და მტკუარს შუა; ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთას შორის, მცირისა ალაზნისა შესართავიდგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს სამზღუარი ჰერეთისა"[47]. თავის რედაქციას განსვენებული მეცნიერი ასეთ განმარტებას აძლევს: „რომ „და მტკუარს შუას" წინ რაღაც აკლია, ამას ხათლად ამტკიცებს კავშირი „და" და თანდებული „შუა", იმიტომ რომ უიმისოდ არა ჩანს, რისა და „მტკუარს შუა". რაკი აზრისდაგვარად ყველაზე უფრო ბუნებრივი იყო, ჩვენ „ალაზნისა" ჩავუმატეთ. კახოსის სამფლობელოს განსაზღვრა რომ შევასწორეთ და ნაცვლად გამოთქმისა „არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბამდე" დავწერეთ „მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყე-ტბამდე", ესკი აუცილებლად იყო საჭირო იმიტომ, რომ ამ განსაზღვრას მისდევს განმარტება „რომელ არს საზღუარი ჰერეთისაო", ხოლო ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჰერეთის სამზღვარი მცირე ალაზანი და ტყე-ტბა იყო და არა არაგვი და ტყე-ტბა"[48].

დავიწყოთ ბოლოდან. თუ მოვიგონებთ ლ. მროველის ხემოაღნიშნულ სპეციფიურობას ქვეყნების საზღვართა ლოკალიზაციის დროს, მაშინ ცხადი შეიქნება, რომ საფუძველი „არაგვის" შეცვლისა „მც. ალაზნის შესართავით", აღარ გვექნება. საქმე ისაა, რომ ლ. მროველმა ტყეტბისა და ივრის შესართავის დასახელებით ის ორი პუნქტი კი არ აღნიშნა, რომელთა შემაერთებელი სწორი იქნებოდა ჰერეთის საზღვარი, არამედ ორი მოპირდაპირე საზღვრის ორიენტირი; და ამგვარად განმარტება: „რომელ არს საზღუარი ჰერეთისა" ეხება მხოლოდ ტყეტბას, ხოლო არაგვი აღნიშნავს ტყეტბის მოპირდაპირე საზღვარს კახეთისას (ლ. მროველი არასოდეს არ ღალატობს თავის პრინციპებს!). ამგვარად არაგვი—ტყეტბა აღნიშნავს კახეთის დასავლეთისა და აღმოსავლეთის (ზუსტად ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის) საზღვრებს. დაგვრჩა ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრები: ჩრდილო საზღვარი—„კავკასიაა"; სამხრეთი—„კახეთის მთა". აქედანაც სრულიად აშკარაა, რომ ლ. მროველის „კახეთის მთა" არ უდრის ვახუშტის მიერ ლოკალიზებულ „კახეთის მთას".

ივ. ჯავახიშვილის მიერ კუხოსის წილის შესახები ტექსტის აღდგენაც არ უნდა იყოს თითქოს სწორი.

ცხადია, საზღვართა ორიენტირებში ერთ-ერთი კომპონენტი აკლია; დასახელებულია მხოლოდ სამი: არაგვი (შეცდომით—ეგრი),

---

47 ქართ. ერის ისტ., წ. I—II, 1913, გვ. 298. ხაზგასმულია ჩვენ მიერ ივ. ჯავახიშვილის ჩამატებული სიტყვები.

48 იქვე, გვ. 299.

კახეთის მთა და მტკვარი. საძიებელია, მაშასადამე, მეოთხე ორიენტირი. განსვენებული მეცნიერი საამისოდ ალაზანს ასახელებდა.

არაგვი კუხეთისათვის, ცხადია, იქნებოდა დასავლეთი (ზუსტად ჩრდილო-დასავლეთი) საზღვარი; მტკვარი—სამხრეთი; ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კუხეთის აღმოსავლეთ საზღვრად „კახეთის მთას“ ვერ დავდებთ, თუნდაც იმიტომ, რომ აქეთა საზღვარი კუხეთისა გაშლილია (თუ ე. წ. გარეჯის დაბალ ზეგანს არ ჩავთვლით); ე. ი. კახეთის მთისთვის რჩება კუხეთის ჩრდილო საზღვარი (შდ. ზემოთ ვახუშტს, რომელიც ერთ შემთხვევაში სწორედ ასე იქცევა); უკვე ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ ლ. მროველის აღნიშნულ მეთოდიკურ თავისებურებას, რომ იგი მოპირდაპირე მხარეების ორიენტირებს ყოველთვის წყვილად ასახელებს, უკვე ამიტომ კახეთის მთის, როგორც კუხეთის საზღვრის, დაკავშირება არაგვთან არ მიგვაჩნია სწორად.

ეს რომ ასეა, ამას სრულიად სხვა ხასიათის მოსაზრებები ადასტურებენ: საქმე ისაა, რომ ძველი ქართული სინტაქსისათვის (ისევე, როგორც თანამედროვე ენისთვისაც) შეუწყნარებელი ჩანს იმგვარი შეთანხმება მსაზღვრელ-საზღვრულისა, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილის მიხედვით უნდა გვევარაუდა. ასეთი აღდგენით მივიღეთ: „არაგვითგან ვ ი დ რ ე თ ა ვ ა დ მ დ ე მ თ ა ს ა კ ა ხ ე თ ი ს ა ს ა“. წესით უნდა ყოფილიყო: „თავადმდე მთისა კახეთისასა“[49].

ამგვარად, ცხადია, „კახეთის მთა“ მეორე წყვილის კომპონენტია: „მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა“. აქედან კი ცხადია, რომ ლეონტი მროველისათვის „კახეთის მთა“ კუხეთის ჩრდილოეთ საზღვარს შეადგენს.

ამის შემდეგ თუ დავხედავთ რუკას და ამასთან თუ მოვიგონებთ ვახუშტის მიერ ჩამოთვლილ კახეთისა და კუხეთის შემადგენელ „ქვეყნებს“, ცხადი უნდა გახდეს, რომ მთა, რომელიც წარმოადგენს კახეთის სამხრეთ და, შესაბამისად, კუხეთის ჩრდილოეთ საზღვარს, შეიძლება იყოს მხოლოდ იალნოს ქედი ანუ ვახუშტის ტერმინოლოგიით „კუხეთის ანუ აწ ზედაძნისა“ ანუ „იალონად წოდებული“ მთა“[50].

თუ ტექსტის ამგვარ გაგებას დავუჭერთ მხარს, მაშინ როგორც კუხეთის, ისე კახეთის დასავლეთ საზღვრად უნდა არაგვი მივიღოთ. აქაც, ჩვენი აზრით, არავითარ შეუსაბამობასთან არა გვაქვს საქმე.

---

49 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცხადია, სწორედ ასე აღადგენს: „თავადმდე მთისა კახეთისას“. მაგრამ არც მარიამისეულ ნუსხაში და არც ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ „ქ ᾽ ც-ში“ სიტყვა მ თ ა ნათესაობითში არა დგას, არამედ მიცემითშია!

50 „კახეთის მთა“ რომ იალნოს უნდა უდრიდეს, ჩემამდე ედ. ხოშტარიამ აღნიშნა.

ვახუშტით კუხეთშია, სხვათა შორის „ხერკი (დღ. საგურამო—დ. მ.) და თიანეთი, არაგვის კერძო ჟინვანამდე“[51]. მაშასადამე, ჟინვანამდე არაგვი კუხეთის დასავლეთი საზღვარია. ჟინვანი ორი არაგვის შავი ანუ მთიულეთისა და თეთრი ანუ ფშავის არაგვის შესართავშია. მის ზემოთ იწყება უკვე ფშავი, „რომელსა შუაში უდის თეთრი არაგვი“[52]. ჩვენ არ შევცდებით თუ კახეთის საზღვრად დასავლეთისაკენ (ზუსტად ჩრდილო დასავლეთი) სწორედ ამ ოეთრი არაგვის ხეობას დავდებთ; მაგრამ, რადგანაც კახეთში ფშავი მთლიანად იგულისხმება (იხ. ქვემოთ) ამიტომ, ცხადია, აქ ისეთივე შემთხვევა უნდა გვქონდეს, ზემოთ შტორის ხეობის შესახებ რომ აღვნიშნეთ, სახელდობრ, მდინარის საზღვრად დადება ზოგჯერ გულისხმობს მის მთელ ბასეინს. ე. ი. აქაც კახეთის საზღვრად თეთრი და შავი არაგვის წყალგამყოფი ქედი უნდა ვიგულისხმოთ.

დაუდგენელი გვრჩება კუხეთის აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც, როგორც ზემოთ ქართლ-ჰერეთის საზღვრის შესახებ ლაპარაკისას აღვნიშნეთ, ჩადივარ-სამგორისა და გარეჯის მთის შუა უნდა გასულიყო. მისი უფრო ზუსტად ლოკალიზაციისათვის არც ლეონტი მროველის ტექსტის ნაწყვეტი გვშველის: „ხოლო კუხოსს... მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე...“ რის თავამდე ანუ დასაწყისამდე ან ეგების [შესარ]თავამდე, ჩვენთვის დაუდგენელია[53]. შესაძლებელია აქ „თავადმდე“ თავიდან სრულებითაც არა ყოფილა და ლეონტი მროველის თავდაპირველი ტექსტი ასეთი იყო: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა; ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთისა მთას შორის [თეთრი] არაგვიდგან ვიდრე ტყე-ტბადმდე, რომელი არს საზღუარი ჰერეთისა[54]. ასეთ აღ-

---

51 „საქ. ცხოვრება“, გვ. 151; ხერკისა და თიანეთის ამ ნაწილის ლოკალიზაცია, იხ. აღწერა..., გვ. 91 და 94.

52 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწ. სამეფ. საქ., გვ. 92.

53 არა გვგონია აქ ივრის შესართავი იგულისხმებოდეს.

54 უკანასკნელ ხანებში კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საზღვრებს შეეხო მ. ლორთქიფანიძე. მისი აზრით, ლ. მროველის ტექსტი კუხეთის საზღვრების შესახებ ასე უნდა გასწორდეს: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა ჰქუიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა (იორსა) და მტკუარს შუა“. ჩვენი აზრით, ესეც არ უნდა იყოს სწორი, რადგან ლეონტი გარკვეულად მიუთითებს, რომ ჰერეთი არის „ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ“ და ე. ი. მისი სამხრეთი საზღვარი არის მტკვარი და არა იორი, როგორც ამ შემთხვევაში გამოვიდოდა.

კახეთის მიმართ მ. ლორთქიფანიძეც ვახუშტს მიჰყვება, თუმცა იმეორებს მის შეცდომას „კახეთის მთის“ ლოკალიზაციის დროს. ამასთან, გაუგებარია, სადა აქვს ვახუშტს მითითება, რომლის მიხედვითაც „კახეთის მთის დასავლეთით მდებარე ერწოს და თიანეთს ის (ვახუშტი—დ. მ.) კუხეთში ათავსებს, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენას გვავარაუდებინებს ის გარემოება, რომ მსგავსი გამიჯნვა თვით ლეონტისაც მოეპოვება: „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღუარი აღმოსავლით ჰერეთი (ხელნაწერში—ჰაერთა) და მდინარე ბერდუჯისი“ და სხვ[55].

კახეთს ჩრდილოეთიდან მოსდგამდა მთიანეთი, რომელსაც ქართული წყაროები უწოდებენ „მთეულეთს კახეთისასა“[56]. საგულისხმოა რომ ლეონტი მროველი ამ მთიანეთს კახეთის ნაწილადა თვლის. ეს გამომდინარეობს, ჯერ ერთი, იქიდან, რომ იგი კახეთის ჩრდილო საზღვრად „კავკასს“ ანუ კავკასიონის ქედს სდებს და შემდეგ, თვით ტერმინიდან—„მთეულეთი კახეთისა“ (რაც, თავის მხრივ, სხვა „მთეულეთსაც“, მაგ., ქართლის ან ჰერეთისას, გვავარაუდებინებს). ასევე იქცევა ვახუშტიც. თუ ვის მიათვლიან ქართული თუ სხვა წყაროები „მთეულთა კახეთისათა“[57], საამისო ცნობები ამოკრებილი აქვს ივ. ჯავახიშვილს. ესენი არიან: „ერწუთიანელნი“, „ყვარელნი“, „ფხოელნი“ ანუ „ფხოვნი“, „თოშნი“[58] და თუ ვახუშტს დავუჯერეთ „ძურძუკი და ღლიღვი“[59]. შესაბამისად ჰერეთის მთიანეთში სავარაუდო არის: „დიდოეთი“, „ხუნზახი“, „შაკიხი“[60] და აგრეთვე „ნოპატელნი“[61]. რომ „ნოპატელნი“ კახეთის მთეულებად არიან დასახელებულნი, ამან არ უნდა შეგვაცდინოს, რადგან „ნოჰპატო ეხლანდელს საინგილოში ყოფილა“[62] და ე. ი. ზემომოტანილი ლოკალიზა-

---

კახეთის მთის აღმოსავლეთით მდებარე ერწოსა და თიანეთს—კახეთში“; ან საერთოდ სადაა ამგვარი ორი ერწო და ორი თიანეთი?! (იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკ. 31, გვ. 21—22).

55 ანასეული ქ ᅳ ცა, გვ. 2. შდ. აგრეთვე ჭიჭინაძის გამოც. ქ ᅳ ცა: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი... მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა“. გვ. 22. შდ., აგრეთვე ფარნავაზის დროინდელი კახეთის საერისთავოს განსაზღვრა. იხ. აქვე, გვ. 31; ქ ᅳ ცა, გვ. 17. ლეონტი მროველთან განუსაზღვრელი რჩება კახეთის დასავლეთი და შესაბამისად კუხეთის ჩრდ.—აღმოსავლეთი საზღვარი, რითაც ეს ორი თემი გამოყოფილი უნდა ყოფილიყო ერთმანეთისაგან. თავისთავად ცხადია, რომ აქ იგულისხმება დღევანდელი ქართლის ქედი. ლეონტისთვის, როგორც ვიცით, არცაა აუცილებელი საზღვრების მთელი ზოლის თავიდან ბოლომდე ჩვენება, ისე რომ ასეთი გამოტოვება არ უნდა გვიკვირდეს. მაგრამ ასეა თუ ისე, ეს მაინც აღძრავს ეჭვს: ხომ არ გულისხმობს „კახეთის მთის“ ქვეშ ლეონტი, ვახუშტის მსგავსად, ქედების მთელ სისტემას (ქართლის, კახეთის, იალნო).

56 ანას ქ ᅳ ცა, გვ. 142.

57 იქვე, გვ. 140.

58 ქართ. ერის ისტ., წ. I—II, გვ. 302.

59 „საქ. ცხოვრება“, გვ. 151.

60 იქვე.

61 ანას ქ ᅳ ცა, გვ. 140.

62 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 302.

ციით—ჰერეთში. მათი „კახეთის მთეულებად“ წოდება (თუკი „ნოპოტელთა“ საინგილოში ლოკალიზაცია სწორია), შესაძლებელია გარკვეულ მოვლენასთან იყოს დაკავშირებული, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

რომ ჰერების (ალვანელების) და ივერიელების პოლიტიკური ძალაუფლება, მართლაც, ვრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიონის მთიანეთზე, ამას მატერიალური ძეგლებისა და ქართული წყაროების გარდა (იხ. ქვემოთ) სტრაბონიც მოწმობს: „В войнах с внешними врагами им (=албанам — დ. მ.) помагают кочевники, как и иберам“[63]. აქ, ჩვენი აზრით, სწორედ ჩრდილოეთის მომთაბარენი უნდა იგულისხმებოდნენ.

ამგვარად, თუ ზემომოტანილი მოსაზრებები გასაზიარებელია, მაშინ მეტ-ნაკლებად დადგენილად უნდა ჩაითვალოს ერთი მხრივ, კახეთ-კუხეთის, ხოლო მეორე მხრივ, ქართლ-ჰერეთის (ივერია-ალვანეთის) საზღვრებიც. ჩვენთვის განსაკუთრებით უკანასკნელია საინტერესო. მაგრამ, ცხადია, ქრონოლოგიის გარეშე რაიმე ისტორიული მოვლენის დადგენას ნახევარი ფასი აქვს.

ჩვენ, რასაკვირველია, არა გვგონია, რომ ქართლ-ჰერეთის მთელი ეს სასაზღვრო ხაზი—უეჭველად ერთდროულია. სრულიად ადვილი წარმოსადგენია, რომ იგი, ასე ვთქვათ, რამდენიმე ქრონოლოგიურ შრეს შეიცავდეს, თუმცა საამისო ცნობები არ უნდა იყოს; მიუხედავად ამისა მაინც აუცილებელია ეს საზღვარი მიახლოებით ჩავსვათ გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში. ეს არც თუ ისე ძნელია[64].

ქვემოთ ვნახავთ, რომ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის ბერძენ-ლათინი მწერლები ივერიის აღმოსავლეთ საზღვარს გაცილებით უფრო აღმოსავლეთით სდებენ, ვიდრე ეს ლეონტი მროველსა აქვს ნაჩვენები. ამისდა მიხედვით ნაჩვენები საზღვარი ძ. წ. I ს-ზე უწინარესი უნდა იყოს. ლეონტი მროველის კონცეფციის თანახმად

---

[63] „География“, XI, 45, ВДИ, 1947, № 4, გვ. 220.

[64] ცხადია, ამ საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით განხილვა, რაც იგულისხმებდა საერთოდ მთელი ქართლის (და ეგრისისაც) საზღვრების განხილვას, საკმაოდ რთული ამბავია და ჩვენ მიერ აღმოსავლეთი საზღვრის ასე იზოლირებულად აღება, ეგებ, არც იყოს გაძართლებული. მაგრამ ეს საკითხი (მროველის საზღვრების განხილვა) ცალკე შესწავლის საგანია, ხოლო ჩვენ მხოლოდ მიახლოებით, ასე ვთქვათ, გამოსავალ წერტილს აღვნიშნავთ. აქ დავკმაყოფილდებით აგრეთვე იმ მითითებით, რომ ქართლის სხვა საზღვრებიც (სამხრეთი, დასავლეთი) ჩვენი ავტორის მიერ ნაჩვენები, სტრაბონის უწინარესია, თუმცა არც მაინცდამაინც დიდი ხნით (იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრ., II ტ., იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში).

მის მიერ შემოსაზღვრული ქართლი მაინცდამაინც ფარნავაზის უწინარეს ხანას ეკუთვნის, ხოლო თვით ფარნავაზის მოღვაწეობის ხანა ძ. წ. IV—III სს-ის მიჯნას. მომხდარი იყო თუ არა ჩვენთვის საინტერესო საზღვარზე რაიმე ცვლილება ფარნავაზის გამეფებისას ეს დანამდვილებით არ ჩანს; მის მიერ დადგენილ ერისთავებს იგივე საზღვრები ხვდათ წილად, რაც ძველად (გარდაბანი, გაჩიანი), თუმცა კახეთ-კუხეთის მიმართ ამას ვერ ვიტყვით, მით უმეტეს რომ კუხეთი ფარნავაზის დროს არც კია გამოყოფილი ცალკე ერთეულად, არამედ კახეთში იგულისხმება: „და გაგზავნა ერთი კახეთისა ერისთავად, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი“[65]. ცვლილებაა მომხდარი ქართლის დასავლეთ საზღვარზე (მარგუის საერისთავო). ვადაჭრით, რასაკვირველია, ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ არც მაინცდამაინც შევცდებით თუ ქართლ-ჰერეთის ზემონაჩვენებ სასაზღვრო ხაზს სწორედ ფარნავაზის ხანას და ე. ი. ძ. წ. IV-ის ბოლოს მივაკუთვნებთ[66].

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქართული წყაროებისა (ლეონტი მროველი, ვახუშტი) და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით („კახების“ ლოკალიზაცია) თავდაპირველი კახეთი მოიცავს ივრის ხეობის აუზს, მის ზემო წელს (დაახლ. უჯარმამდე), დღევანდელ შიგნი კახეთის ნაწილს (ალაზან-თურდოს შორისი) და ჩრდილოეთიდან მიმდებარე მთიანეთს („მთეულეთი კახეთისა“).

რაც შეეხება დღევანდელი კახეთის დიდ ნაწილს, ისევე როგორც საინგილოსა და ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანს (ყოფილი შაქის ოლქი ანუ ნუხის მაზრა), ეს ქვეყანა, უძველესი დროიდან დასახლე-

---

65 ანას ქ ცა, გვ. 17.

66 პ. ინგოროყვა თავის გამოკვლევაში ლ. მროველის შესახებ ეხება ქართლ-ჰერეთის საზღვარს. იგი წერს: ანტიკური წყაროებით ივერიელების ეთნოგრაფიული საზღვარი—კამბეჩანზე გადიოდაო (ცხადია, აქ სტრაბონი იგულისხმება, დ. მ.). „ეს ეთნოგრაფიული საზღვარი არსებობდა ადრეულ საშუალო საუკუნეებშიც, ქრისტიანობის ეპოქაში“, კერძოდ, 4—7 სს („მოქც. ქართლისაჲ“ ავტორის აზრით VII ს-აა და იგულისხმება მისი ცნობა, რომ ბოდინი-ბოდბე კოხეთშია—დ. მ.). ლეონტის მიხედვით ეს საზღვარი გაცილებით ჩრდილოეთითაა—გულგულა; ე. ი. არამც თუ კამბეჩანი და ბოდბის მხარე, არამედ დიდი ნაწილი საკუთრივ კახეთისა—ჰერეთშია.

„რასაკვირველია არ არის საჭირო სიტყვის გავრცელება იმის შესახებ, რომ ლეონტის თხზულებაში ამ შემთხვევაში ნაჩვენებია პოლიტიკური საზღვარი და არა ეთნოგრაფიული.

ხოლო როდის არსებობდა ასეთი პოლიტიკური საზღვრები ჰერეთისა? როგორც ირკვევა ასეთი მდგომარეობა იყო სწორედ მე-8 საუკუნის ნახევარში. ასე, მეფე არჩილის დროს, მე-8 საუკუნის შუა წლებში (744—759) ჰერეთის ბაგრატიონთა სამფლობელო ნაჩვენებია შაკიხიდან (ე. ი. ნუხიდან) დაწყებული „ვიდრე გულგულამდის“ (ენიმკის მ-ბე, 1941, ტ. X, გვ. 123—124).

ბული ქართველთა მონათესავე ტომებით, შეადგენდა ქართული წყაროების ჰერეთს[67].

*
* *

კახეთის უძველეს ცენტრად ქც-ის მიხედვით, გვევლინება ბ ე რ-ი („ბერ ერქვა პირველ შენებულსა კახეთისასა"). ესაა უფრო გვიანდე-

---

ჩვენ გვგონია, რომ არ უნდა იყოს ეს მსჯელობა სწორი, თუნდაც ლეონტი, მართლაც, VIII ს-ის მწერალი ყოფილიყო, რატომ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იგი, რომელიც საერთო აღიარებით ფართო გაქანების მოაზროვნე იყო, თავისი თანადროული სინამდვილის იქით ვერაფერს გაითვალისწინებდა და რომ მთელი მისი ეთნოგეოგრაფიული კონცეფცია მხოლოდ და მხოლოდ VIII ს-ის მდგომარეობის ანარეკლი უნდა იყოს.

რაც შეეხება ივერიის პოლიტიკურ საზღვარს VIII ს-ში: ჰერეთის ბაგრატიონები შაიხიდან—გულგულამდე სწორედ არჩილის „ბრძანებით" დაემკვიდრნენ და ე. ი. ჰერეთი პოლიტიკურად ივერიაში, კერძოდ არჩილის სამფლობელოში შემოდიოდა (იხ. ქვემოთ). მართალია ეს არაა ეთნოგრაფიული საზღვარი, მით უფრო არ არის ეს პოლიტიკური საზღვარი. საქმე ისაა, რომ ანონიმთან გულგულა კახეთ-ჰერეთის საზღვარია, ხოლო ლეონტისთან ქართლ-ჰერეთისა. სწორედ ეს მოწმობს, რომ ლეონტის ეთნო-გეოგრაფიული კონცეფცია გაცილებით უფრო ძველ წყაროებზეა დამყარებული, ვიდრე ეს პ. ინგოროყვას ჰგონია.

67 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „მიმომხ". III, 67. რამოდენიმე სიტყვა „ჰერეთის" შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირია შემთხვევა ამ ტერმინის ხმარებისა „ალვანეთის" შესატყვისად (იხ. მაგ.: ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 267; ა. შ ა ნ ი ძ ე, ენიმკის მოამბე IV, გვ. 1, შენ. 1). მაგრამ, როგორც ცნობილია, ქართულ წყაროებში „ჰერეთს" ვიწრო მნიშვნელობაც ჰქონდა. მაინცდამაინც საგულისხმოა, რომ იაკობ ცურტაველი ჰერეთს მხოლოდ ასეთი ვიწრო მნიშვნელობით იცნობს; „ქც-ში" კი, „ერეთის" ზოგადი მნიშვნელობით, მთელი ალვანეთის აღსანიშნავად, ხმარება, ჩვენ მხოლოდ „მატიანე ქ-ჲ"-ს ტექსტში დავადასტურეთ (ანას ქც, გვ. 161, 162). რაც შეეხება ლეონტი მროველსა და ჯუანშერს, მათ რამდენადაც ვიცით, „ჰერეთი" ასეთი ზოგადი მნიშვნელობით ნახმარი არა აქვთ (იხ. იქვე, გვ. 2, 40, 41, 82, 86, 143). როგორც ჩანს, „ჰერეთის" ხმარება „ალვანეთის" შესატყვისად IX—X ს-ზე ადრე დადასტურებული არ არის (იხ. „მარტ. შუშანიკისი", ილ. აბულაძის გამოც. გამოკვლევის 056—057 გვერდები). ილ. აბულაძე აღნიშნავს: ჰერეთი „როგორც ჩანს, X ს-ის ახლოს ალვანეთის ზოგადი სახელწოდება ყოფილა". IX ს-ში არსენ საფარელი თავის თხზულებაში „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა" იხსენიებს ჰერთა კათალიკოსს—ალვანთა კათალიკოსის მნიშვნელობით (იხ. ქრონიკები, I, გვ. 319, 321). ამიტომ ქვემოთ ჩვენ ყველგან „ჰერეთს" ვხმარობთ ვიწრო მნიშვნელობით ქართლის აღმოსავლეთიდან მომიჯნავე მხარის აღსანიშნავად, რომელიც თავდაპირველად ალვანეთის პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდა და რომელიც „უძველეს დროდან.... დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით" (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „მიმომხ..., III, 67). ქართველები რომ „ალვანელებსაც" იცნობდნენ ესეც უდავოა. ეს ჩანს, დღევანდელი ტოპონიმიკიდან (სოფ. ალვანი; ვახუშტის ალონის ველზე) და ის-

ლი ჩელეთი[68]. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ლეონტი მროველისეულ დედაციხეს, რომელიც ქართლოსის ცოლმა აღაშენა[69]. ვახუშტი იგივე ბოჭორმად თვლის: „ხოლო ბოჭორმა აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედა-ციხ“[70].

თუ ვახუშტის კვალად, დედაციხეს და ბოჭორმას გავაიგივებთ, მაშინ ერთგვარი საშუალება გვეძლევა ბერ-ჩელეთის დაახლოებითი ლოკალიზაციისა. ქც-ში ვკითხულობთ: „ამან კახოს აღაშენა ჩელეთი და, კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხვედრი იყო, და მისცა კახოს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა, პირველ შენებულსა კახეთისასა“[71]. ჩვენთვის ძნელია თქმა იმისა, თუ რა რეალურ-ისტორიული ამბის გამოხატულებაა ეს გადმოცემა, მაგრამ აქედან ის კი ცხადია, რომ თუკი დედაციხე—ბოჭორმა კუხეთს ჰრგებია (უნდა ვიგულისხმოთ, რასაკვირველია, ივრის ხეობითურთ: კუხეთის საზღვრიდან ანუ იალნოს მთიდან ვიდრე ბოჭორმამდე) ბერ ანუ ჩელეთი ბოჭორმის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო, სავარაუდოა, იმავე ივრის ხეობაში. ვახუშტი ვარაუდობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო გვიანდელი ჟალეთი. იგი წერს: ჟალეთსო „ვგონებთ ამას ჩელეთად, რომელი აღაშენა, კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქვა“[72]. და სადაც „შემდგომად გორგასალ აღაშენა ეკლესია კეთილ-შვენიერი, გუნბათიანი და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა ფშავ-ჭევ-

---

ტორიული ტოპონიმიკიდანაც: ბარდავს მიმავალი დავით აღმაშენებელი „ა ლ ო ნ ს ა მტკუარსა გაცურდა ყივჩაყითა“ (ქცა, 216; ხომ არაა ეს მოსე კალანკატუელის **Աղուեն**—ალვანთა მეფეების საზაფხულო რეზიდენცია, იხ. **Պատմութիւն Աղուանից Աշխարհի**, 1913 წ. გვ. 97—8, 348; ან პტოლემაიოსის ა ლ ბ ა ნ ა, XI_2, **ВДИ**, 1948, № 2, გვ. 252; ან სომხური ანონიმური გეოგრაფის **Աղուե**, რომელიც სწორედ უტის ოლქშია (იხ. პატკანოვის გამოცემა, გვ. 20; თარგმანის 51). ალვანელებს იცნობს აგრეთვე „ჯელმწ. კარის გარიგება“: დავით აღმაშენებელს „მაშინ ორნი ოსთა მეფენი და კახთა მეფე და ალვანთა მეფე, წანართა მეფე, სამნი ტაოელთა მეფენი და სომეხი მეფე და ტრაპიზონელნი და შარვან-შაჰენნი, ესენი ჩაესხნეს ნაჭარმაგევს“ (20_{264-7}).

„ალვანებს“ იცნობს ერთი ქართული „საკითხავი“, რომელიც აგათანგელოსის თხზულების თარგმანს წარმოადგენს (ქრონიკები 1, გვ. 22). იგი „ჩართულია... ერთს ხუცურს ხელნაწერში..., რომელიც დაწერილია XI საუკუნის ხელით დავით აღმაშენებლისათვის“ (იქვე, გვ. 19, შენიშვნა).

68 ანას ქცა, გვ. 5.

69 იქვე.

70 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფ. საქ., გვ. 90.

71 ჭიჭინაძის გამოც., გვ. 22.

72 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფ. საქ., გვ. 91.

სურისა და ჯერკისა"[73]. მაგრამ ვახუშტი არაა დარწმუნებული თავის ასეთ განსაზღვრაში, რადგან იქვე ამბობს: თიანეთშიო „თეთრის არაგვის მჭვრეტად არს ხარჭაშოს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ჯევსურისა და თუშეთისა, რამეთუ შემუსრვასა ჩელეთისასა მოსცვალეს ანუ ეს არს ჩელეთი".

ხარჭაშო ახლაცაა სოფელი ივრის მარცხენა შენაკადის ვერხველის და ფშავის ანუ თეთრი არაგვის წყალგამყოფზე, ფაქტიურად არაგვის ხეობაში, ჟინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით დაახლ. 10 კმ-ის მანძილზე. ჟალეთის ლოკალიზაციაც დღეს უკვე ხერხდება[74]. ჟალეთი მდებარეობდა სოფ. საყარაულოს პირისპირ, ივრის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჭიოტაანთ-კარის აღმოსავლეთით ამართული, ტყით დაფარული მცირე მთის თავზე. ამ ადგილს ეხლაც ჟალეთს ეძახიან (ფშაური გამოთქმით—ჯალეთი), იგი უნახავს და აუწერია კიდეც პ. უვაროვას[75]. სამიოდე კმ-ით სამხრეთისაკენ სოფ. სიონთან, სიონმშენის ტერიტორიაზე, არის ძველი ეკლესია, საკმაოდ დანგრეული, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სიონს უწოდებს[76] (სოფელმაც სწორედ მისგან მიიღო სახელი). უკვე ასეთი სახელწოდება (სიონი) უნდა მოწმობდეს, რომ აქ ოდესღაც საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა[77].

ჟალეთის სასარგებლოდ ლაპარაკობს თითქოს ქ-ცა-ა ნინოს ქადაგებასთან დაკავშირებით. მთიელების მოსაქცევად წობენს დამდგარი წმ. ნინო თავის თანმხლებიანად „გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა"[78]. ის პუნქტები.

---

[73] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფ. საქ.

[74] ეს შესაძლებელი გახდა ივრის ხეობის ისტ.-არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვითი მუშაობის შედეგად 1951 წ., რომელსაც ხელმძღვანელობდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

[75] იხ. МАК, т. X, გვ. 4—5.

[76] სიონის ტაძრის დათარიღების შესახებ ორი აზრი არსებობს. არის მოსაზრება, რომელიც გაგვიზიარა არქიტექტორმა ი. ციციშვილმა, რომ ტაძარი (ძირითადი ნაგებობა) წარმოადგენს V ს-ის ძეგლს და ამდენად მისი აგება შესაძლებელია, მართლაც, ვახტანგ გორგასალს მიეწეროს, რაზედაც ვახუშტი მიგვითითებს (იხ. ზემოთ). მაგრამ სხვების აზრით სიონის ტაძარი უფრო გვიანდელია. მაგალითად, ბ. შ მ ე რ ლ ი ნ გ ი წერს: „Исходя из характера архитектуры и декоративного убора храма Сиони в р-не Эрцо, время его возведения связывается с зодчеством VIII-IX вв. (ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის VIII სამეცნ. სესია, 1954 წ., 14—15 მაისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), შდ. Г. И. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, 1959, 132—133.

[77] ეს შეგვნიშნა ნ. ბერძენიშვილმა.

[78] ანას ქ-ცა, 80.

საცა ნინო ჩერდება (წობენი, ჟალეთი და სხვ.) საგულისხმოა, რო-გორც იმდროინდელი კულტურული და პოლიტიკური ცენტრები.

„მოქც. ქართლისაჲ“ განსხვავებულ საკითხავს იძლევა: წმ. ნინო წობენიდან „გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს. დაბასა ედემს“. ჟალეთი რომ ერწოში არ უნდა იგულისხმებოდეს ეს აღნიშნა ივ. ჯავახიშვილმა[79]. აქედან ისე გამოდის რომ ჟალეთი ერთი პუნქტი კი არა, არამედ მთელი მხარეა[80].

მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო საკითხავს იძლევა ჭელიშის ნუსხა. წმ. ნინო და მასთან მყოფნი „წარვიდეს ერწოდ და დადგეს ედომს დაბასა ჟალეთს“[81]. უპირატესობა შესაძლებელია ერთ-ერთ ვარიანტს მივცეთ, მაგრამ მაინც სიფრთხილისა გამო მიგვაჩნია, რომ ჯერჯერობით ჟალეთის გაიგივება ჩელეთთან და ბერთან მაინც ნაადრევია და ამიტომ ეს საკითხი ღიად უნდა დარჩეს[82].

ამგვარად, დავკმაყოფილდეთ იმის კონსტატაციას, რომ უძველეს პოლიტიკურ ცენტრებად კახეთისა გვევლინებიან ბერ ანუ ჩელეთი და (ვახუშტით) დედაციხე ანუ ბოჭორმა (არაა აუცილებელი მათი ასეთი ფუნქცია ერთდროულად ვივარაუდოთ). ესენი უნდა ყოფილიყვნენ ის „კახეთისა ქალაქნი“, ალექსანდრე მაკედონელმა რომ „პოვნა“ ქართლში შემოსვლისას[83].

ფარნავაზის დროს, რომელსაც ლეონტი მროველი ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულად მოწყობას აწერს, კახეთი ერთ-ერთ საერისთავოდ წარმოიდგინება. მან „გაგზავნა ერთი კახეთისა ერისთავად, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი“[84]. საინტერესო აქ ის არის, რომ კახეთის საერისთავოს ფარგლებში აქ კუხეთიც უნდა იგულისხმებოდეს. ამგვარი მოვლენა არაერთხელ შეგვხვდება ქვემოთ.

ამგვარად, ისტორიული ტრადიცის თანახმად, კახეთი კუხეთთან ერთად ქართლის სახელმწიფოს შექმნისთანავე ორგანულ ნაწილად

---

79 ქართ. ერის ისტ., წ. I—II, 306. თუმცა ვახუშტს ჟალეთი მაინცდამაინც ერწოსათვის მიძღვნილ პარაგრაფში აქვს მოთავსებული. იხ. აღწერა სამეფ. საქ., 91.

80 ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს თითქოს ვახუშტიც თავის გეოგრაფიაში, როდესაც კახეთის მთას აღწერს, რომელიც „ჟ ა ლ ე თ ი ს ბ ო ლ ო მ დ ე მდებარებს ჩრდილოდამ სამჴრით“, იხ. იქვე, გვ. 87.

81 Опис..., 717.

82 ჟალეთის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს მისი მდებარეობა ივრის ხეობაში, ე. ი. კახეთის გულში. ხარჭაშო კი მაინცდამაინც კუხეთის საზღვარზეა. მაგრამ, მეორე მხრივ, ორივე სახელწოდების (ჟალეთი, ჩელეთი) ძველადვე პარალელურად არსებობა ეჭვს აღძრავს რომ ეს ორი სხვადასხვა პუნქტი უნდა იყოს.

83 ანას. ქ^ცა, 12.

84 იქვე, 17.

შედის მასში ერთ-ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის სახით.

ქართული წყაროების მიხედვით უკვე ძალიან ადრე ჩანს სახელმწიფოს ხელისუფალთა საქმიანობა აღმოსავლეთის პერიფერიაზე. კერძოდ, უკვე მეოთხე ფარნავაზიანი ფარნაჯომი, რომლის ზეობის წლებსაც ვახუშტი ძ. წ. II—I ს-ების მიჯნაზე სდებს, იწყებს „შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისასა, რომელ არს ნეკრესი“[85]. ხოლო არბაკმა (ვახუშტით, ძ. წ. I ს-ის მიწურული) „ამან განიშორა ნენქარ ქალაქი კახეთისა“[86]. ნელქარი ანუ ნეკრესი, რომელიც აწინდელ შილდასთან მდებარეობდა, საკმაოდ დაცილებულია იმ საზღვარს კახეთ-ჰერეთისას, რომელიც ლეონტი მროველის მიხედვითაა საგულისხმო და რომლის დადგენაც ზემოთ შევეცადეთ. ლეონტის მიხედვით ნეკრესი ჰერეთში უნდა ყოფილიყო. კახეთს რომ ამბობს აქ ლეონტი, ეს, შესაძლებელია, მოწმობდეს იმას, რომ გალმამხრის ეს ნაწილი ადრევე იქნა შემოერთებული ივერიის მიერ[87].

ჩვენთვის უფრო საინტერესოა იმის დადგენა შეიძლება თუ არა ვენდოთ ჩვენი წყაროების ამ ცნობებს და ე. ი. დავადგინოთ ჩვენ წელთაღრიცხვამდე გაცილებით უფრო ადრე დაწყებული პროცესი შერწყმისა ქართლისა ალვანეთთან. ვფიქრობთ სრული უფლება გვაქვს ვენდოთ ქ˜ც-ის ცნობებს. ჯერ ერთი, ამას გვაგულისხმებინებს სრულიად კონკრეტული, დაბეჯითებითი ხასიათი ცნობებისა, მაინცდამაინც, ნეკრესის აგებას რომ ეხება ქართლის მეფეების მიერ; შემდეგ — მთელი ის ტენდენცია, რომლითაც ხასიათდება ქართლის და ჰერეთის შემდგომი ურთიერთობა, რომელსაც ქვემოთ ვნახავთ; დაბოლოს — ქ˜ც-სგან სრულიად დამოუკიდებელი უცხოური, ლათინ-ბერძნული წყაროები, კერძოდ, სტრაბონი და პლინიუსი.

მხედველობაში გვაქვს უპირველესად ყოვლისა სტრაბონის ცნობა „კამბისენეს“ შესახებ: ალვანეთის „სამხრეთ (მხარეს—**დ. მ.**) წარმოადგენს მიმდებარე სომხეთი, რომელშიაც ბევრი ველებია, მაგრამ მთებიც ბევრია, როგორც, მაგალითად, კამბისენეში, რომელშიაც სომხები ხვდებიან იბერებს და ალბანებს“[88].

სხვა ადგილას იგივე სტრაბონი ამბობს: „ხორზენე და კამბისენე—სომხეთის ყველაზე უფრო ჩრდილოეთი და თოვლიანი ოლქებია, რომლებიც მისდგამენ კავკასიის მთებს, იბერიას და კოლხეთს“[89]. ამ-

---

85 იქვე, 21.

86 იქვე, 24.

87 ქვემოთ ხშირად შევხვდებით მსგავს მოვლენას თუნდაც იმავე ნელქარის შესახებ და არა მხოლოდ ქ˜ცა-ში.

88 **XI, 4_1; ВДИ, 1947, 4, გვ. 219.**

89 **XI, 14_4; ВДИ, 1947, 4, გვ. 232.**

გვარად, ცხადია, „კამბისენეში“ ერთმანეთს ემიჯნებიან ივერიელები, ალვანელები, სომხები. ამდენად ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ოლქის ლოკალიზაციას.

ჯერ კიდევ მ. ბროსე აღნიშნავდა, რომ კამბისენე-კამბეჩანი შეესატყვისება ყარაღაჯის და შირაქის ველებს[90].

ივ. ჯავახიშვილიც კამბისენეს აიგივებს ქართულ კამბეჩოანთან და ამბობს: „შესაძლებელია ეს ადგილი ეხლანდელი შირაქის მინდვრები იყოს. კამბეჩოანს დიდი სივრცე ჰქონია[91]“.

პროფ. ს. კაკაბაძეც აღნიშნავს, რომ კამბისენეს „წარმოადგენს ეხლანდელი შირაქის ველი“ და „კამბეჩოვანი უწევდა მდ. იორამდის“[92].

კამბეჩანის ტერიტორიის კიდევ უფრო დაზუსტებაც შეიძლება. ქ ᾽ ც-ა აზორკ და არმაზელის ორმეფობის დროს (დაახლ. I—II სს. მიჯნა ა. წ.) აღნიშნავს, რომ ამათ დაარბიეს „სომხითი“ „ჩატყუენეს დაშტი, ვიდრე ნახჭევანამდე და აღიღეს ტყუე... და გამოვლეს გზა ფისოსისა“[93]. უკან მობრუნებულნი ქართველნი „განსრულ იყუნეს მტკუარსა და მისრულ იყუნეს კანბეჩოვანს და დაებანაკათ იორსა ზედა“[94]. აქედან ცხადად ჩანს, რომ ლაშქარი სომხეთიდან მომავალი გადადის მტკვარს, შედის კამბეჩანში და ბანაკდება იორზე (იორს არ გადადის!). ე. ი. კამბეჩანის ნაწილი მტკვარსა და იორს შორისაა! კამბეჩანი რომ მტკვრამდე მოდიოდა ამას მოწმობს სომხური უსახელო გეოგრაფიაც: «Քամբեճան առ Կուրաւ[95]», რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „კამბეჩანი მტკვართან ახლოს“ ან „მტკვრის მახლობლად“ მდებარე (და არა მტკვარზე!).

მაგრამ აქ თითქოს წინააღმდეგობაში ვვარდებით სტრაბონისავე ცნობასთან, რომ, ერთი მხრივ, კამბისენე სომხეთშია (იხ. ზემოთ),

---

[90] Introduction, p. X.

[91] ქართ. ერის ისტ., წ. I—II, 58—59.

[92] ქართ. სახ. გენეზისის... საისტ. მოამბე, წ. I, 1924 წ., გვ. 30. აქ აღვნიშნავთ, რომ ს. კაკაბაძეს ეს სწორი დასკვნა მიღებული აქვს სრულიად მცდარი წინამძღვრებიდან! იგი წერს:—„მეორე ადგილას ის (სტრაბონი—დ. მ.) გარკვევით ამბობს რომ „ალბანიიდან სომხეთისკენ გასასვლელი გზა უწყლო და მკაცრ კამბისენით მოდისო მდ. ალაზნისკენ“. გზა ალბანიიდან სომხეთისკენ, მაშასადამე უდაბურ ადგილით მიდიოდა და მდ. ალაზანზე გადიოდა. ცხადია, ასეთს გზას წარმოადგენს ეხლანდელი შირაქის ველი და ალაზნად აქ შემდეგდროინდელი იორი უნდა იგულისხმებოდეს“ (იქვე). აქ გაუგებრობაა: სტრაბონი დასახელებულ ადგილას ლაპარაკობს „იბერიიდან ალბანეთში“ გამავალ გზაზე (XI, 4₅, ВДИ, 1947, № 4, გვ. 220) და არა ალბანიიდან სომხეთისკენ!? აქედან არასწორი გაიგივება ალაზნისა იორთან და სხვა მთელი რიგი მცდარი დებულებებისა.

[93] ანას ქ᾽ცა, გვ. 28. აქ შეცდომაა, უნდა: „გზა ფარისოსისა“.

[94] ქ᾽ ცა, ჭიჭინაძის გამოც., გვ. 63, I. ამ ადგილას ანასეული ქ᾽ ც-ის ტექსტი შერყვნილია.

[95] მოგვყავს ივ. ჯავახიშვილთან: ქართ. ერის ისტ. წ. I—II, გვ. 303.

ხოლო, მეორე მხრივ, რომ სომხეთ-ალბანიის საზღვარი მტკვარზე გადის[96]. ამ გარემოებამ ს. კაკაბაძეს კამბისენეს ნაწილი მტკვრის სამხრეთით გადმოატანინა—სომხეთის წილი. ს. ჯანაშიაც სტრაბონის მეორე ცნობაზე დაყრდნობით მსგავს დასკვნას აკეთებს: „კამბისენეს სომხური ნაწილი იორ-ალაზნის შუა-წყლის სამხრეთით მდებარე მაღალი ქედების—ბამბაკის აღმოს. ნაწილისა და შაჰ-დაღის-მთიანეთში უნდა ვეძიოთ“[97].

რომ მტკვრის სამხრეთით კამბეჩანი არ გადმოდიოდა, ზემოთქმულის გარდა, ამას კარგად მოწმობს მოსე კალანკატუელი, რომელიც VII ს-ის შუა ხანებისთვის ამბობს: ჯვანშერი, ალვანეთის მთავარი „*Դառնայր ճեպով 'ի հայրենի վիճակին իւր սահմանս, յայնկոյս գետոյն Կուրայ 'ի Կապիճան գաւառ*[98]. ე. ი. ჯვანშერი თავისი მამეული ქვეყნიდან (=გარდმანს) გადასულა მტკვარს გაღმა კამბეჩანში. მაშ გარდმან-გარდაბნის პირდაპირ მტკვრის იქით კამბეჩანია[99].

რომ კამბეჩანი მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობდა და მის სამხრეთით არ გადადიოდა ეს მტკიცდება არსენ საფარელის თხზულებიდანაც: „ქუჩყანით განკდილი“ იოანე ბერი „წარვიდა ოტებული კავკასიისა მთასა და მუნით უკუმოიქცა მსწრაფლ, რამეთუ არა შეიწყნარეს იგი მთეულთა მათ კაცთა, რამეთუ იყვნეს იგი კერპთ მსახურ და გარდამოვიდა კანბეჩანს და დაემკვდრა ჭევსა შინა მცირესა, რომელსა ჰრქვიან ჭევი სომხითისა და მრავალნი დაიმოწაფნა არა თუ მას შინა ოდენ, არამედ ამიერ მტკურისა, არარატს, გარდამანს, ძორთორს და სომხითს“... და სხვ.[100]. ამბავი ხდება VII ს-ში[101].

---

[96] XI, 3_2; ВДИ, 1947, № 4, გვ. 218.

[97] ს. ჯანაშია, შრომები ტ. II, გვ. 257.

[98] Պատմութիւն Աղուանից Աշխարհի, 1913, 214. ტექსტი, როგორც ჩანს, შერყვნილია.

[99] სომხური ტექსტის ისეთი გაგებაცაა აქ, ჩვენი აზრით, შესაძლებელი, რომ ჯვანშერი სწორედ თავის მამეულ ნაწილში გადადის. ჩვენთვის ეხლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. გარდმანი შამქორის ხეობაშია, იხ. H. Hübschmann, Die altarmenischen Ortsnamen, 1904, S, 352.

[100] „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, ქრონიკები..., 1, გვ. 332.

[101] აქედან კარგად ჩანს აგრეთვე სომხების ექსპანსიაც ჰერეთისაკენ, რაც უფრო ადრე VI ს-თვის სხვაფრივაც ივარაუდება. მხედველობაში გვაქვს დავით გარეჯელის „ცხოვრება“, სადაც ბუბაქარ რუსთავის ერისმთავარი „სომხურითა ენითა“, ელაპარაკება გარეჯის უდაბნოში, რომელიც, ცხადია მის სამფლობელოში (კუხეთში) შედის, დავითს (იხ. „საქ. სამოთხე“, გვ. 277, 287. შდ. Introduction, p. X).

მაშ როგორ შევუთანხმოთ ეს გარემოება სტრაბონისავე ცნობას მტკვარზე გამავალი ალვანეთ-სომხეთის საზღვრის შესახებ? საქმე ისაა, რომ არ უნდა წარმოვიდგინოთ თითქოს ეს საზღვარი მთელ სიგრძეზე მტკვრის გასწვრივ გადიოდა. ეგებ აქ მხოლოდ მტკვრის ქვემო წელი იგულისხმება[102] ან არადა, უნდა ვიფიქროთ, სტრაბონს საამისო ორი სხვადასხვა დროისა და ვითარების ცნობები გამოუყენებია.

მითუმეტეს არ უნდა იყოს სწორი კამბეჩანის გაფართოება ვიდრე ბამბაკ-შაჰდაღის მთებამდე. ეს რომ ასე იყოს, სადღა მოთავსდება უტიების ოლქი (სომხ. Ուտիք) და არცახიც, რომელიც სწორედ მტკვარსა და ამ ქედებს შორისაა ლოკალიზებული[103]? სხვა არა იყოს რა, თვით სტრაბონი იცნობს უტიებს ვიტიების სახელით და მის მიერ მათი ლოკალიზაცია გვავარაუდებინებს სწორედ უტიქს[104]. რაც შეეხება კამბისენეში მაღალი და თოვლიანი მთების დასახელებას სტრაბონის მიერ—ეს შესაძლებელია შეცდომაც იყოს. მაგრამ შესაძლებელია კამბისენეს ფარგლები ჩრდილოეთისაკენ გაგვაფართოებინოს (სტრაბონით იგი აკი კავკასიონის მთებს ემიჯნება!). შემცდარია და კომენტარებს არ საჭიროებს კამბისენე-კამბეჩანის გაიგივება სამგორის ველთან[105]. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ წყაროებს უცილობლად მეტი უპირატესობა უნდა მივცეთ უცხო წყაროებთან შედარებით.

ჩვენთვის საინტერესოა ვახუშტის მიერ დადგენილი ქიზიყის, მის მიხედვით ძველი კამბეჩოვანის, საზღვრები: „მზღვრის აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაკბის—ჯევი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამჯრით იორი ანუ მტკვარი (ეს თითქოს ისე უნდა გავიგოთ, რომ ერთ ნაწილში, ალბათ დასავლეთში, საზღვარი იორზე გადის, ხოლო მეორეში, ალბათ აღმოსავლეთში — მტკვარზე. — **დ. მ.**); ჩრდილოთ მთა ცივისა, კარდანეხსა და ქისიყს შორისი, და ხაზი ასანურ-საქვაბეს შორის გასული ალაზნამდე“ [106].

ამგვარად, ძველი კ ა მ ბ ე ჩ ა ნ ი ს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი მეტნაკლებად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს: ი გ ი მ ო ი ც ა ვ დ ა

---

102 შდ. პტოლემაოსს, რომელიც სომხეთ-ალვანეთის საზღვრად მტკვრის შესართავს დებს, XI$_1$, ВДИ, , 1948, № 2, გვ. 252, თუმცა მეორე ადგილას იგივე პტოლემაოსი მტკვარსა სდებს ზოგადად (!?) ივერია-ალვანეთსა და სომხეთის საზღვრად, XI$_3$, იქვე, გვ. 253.

103 იხ., მაგალითად, სომხ. ანონ. გეოგრ. კ. პატკანოვის გამოცემა, გვ. 20; ოარგმანის გვ. 51.

104 ს ტ რ ა ბ ო ნ ი, XI, 7$_1$, ВДИ, 1947, № 4, გვ. 226.

105 С. Е р е м я н, იხ. ВДИ, 1939, № I, გვ. 88.

106 აღწერა სამეფ. საქ., 98.

ვრცელ ტერიტორიას ალაზნის ქვემო წელსა და მტკვარს შორის; მასზე გადიოდა იორი.

დავუბრუნდეთ სტრაბონის ცნობას. ეს ცნობა, ჩვენი აზრით, მხოლოდ ისეა შესაძლებელი გავიგოთ, რომ კამბეჩანში მოსახლეობენ, როგორც ალვანელები, ისე ივერიელები და სომხები და, ე. ი. საბოლოო ჯამში ამ სამი ქვეყნის საზღვრები ამ ოლქში იყრიდა თავს[107]. ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა იმ ფაქტის დადგენა, რომ I ს-ში ძ. წ. თუ უფრო ადრე არა ქართლის სამეფოს საზღვრები გაცილებით აღმოსავლეთითაა ნაჩვენები, ვიდრე ეს ლეონტი მროველის მიერაა წარმოდგენილი. მაგრამ ივერიელებს, მაშასადამე, კამბეჩანის მხოლოდ ნაწილი სჭერიათ. ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო კამბეჩანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, შირაქის ველიანად, ალაზან-იორს შორისი. რომ მაინცდამაინც ივერიელების საზღვარი ალაზანთან ახლოს უნდა გასულიყო ამას სტრაბონისავე ცნობები მოწმობს: „გასასვლელი ალბანეთიდან (იბერიაში—დ. მ.) თავიდან წარმოადგენს კლდეში გამოკვეთილ ბილიკს, შემდეგ მიდის ჭაობზე, რომელიც წარმოქმნილია კავკასიიდან მომდინარე ალაზნის მიერ“[108]. და მეორეგან: „გასასვლელი იბერიიდან ალბანეთში მიდის უწყლო და უსწორ-მასწორო კამბისენეთი მდინარე ალაზნისკენ“[39]. აქედან ცხადია, რომ თუმცა ალაზანი, იმავე სტრაბონის მიხედვით, ალვანეთზე მიედინება[110], მაგრამ აღმოსავლეთის საზღვარი ივერიისა ალვანეთთან სადღაც მის მახლობლად უნდა გადიოდეს, რადგან „გასასვლელი“ გულისხმობს საზღვარს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ „მდ. მტკვრის აუზი კამბისენემდე მთლიანად ქართლის სამეფოს საზღვრებშია[111]“. ეს რომ ასე არ უნდა ყოფილიყო, ამას თვით სტრაბონის ერთი ცნობა გვავარაუდებინებს, რომელიც ჩვენ ზემოთ ერთხელ უკვე მოვიტანეთ და რომლის მიხედვით მტკვარი „ვიწრო ველით ალბანეთში გადადის“[112]. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს „ვიწრო ველი“ უნდა ყოფილიყო მონაკვეთი თბილისიდან ყარაიამდე და ე. ი. აქ უნდა დაიდოს საზღვარი (მტკვარზე) ივერია-ალვანეთს შორის[113]. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს

---

107 შდ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტ., წ. I—II, გვ. 59; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ 29; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრ., ტ. II, გვ. 257;

108 XI, 3_5; ВДИ, 1947, № 4, გვ. 218.

109 XI, 4_5; იქვე, 220.

110 XI, 3_2; იქვე, 218.

111 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრ., ტ. II, 253.

112 XI, 3_2.

113 შდ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკ. 32, გვ. 58, შენ. 4.

უკიდურესი პუნქტი ივერიისა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე უნდა ყოფილიყო ქ. რუსთავი, „ხოლო ნაგებს ქვეითი ჰერეთისა არს“.

ამასვე მოწმობს დიონ კასიუსი. ნ. ლომოური თავის საკანდიდატო დისერტაციაში პტოლემაიოსის გეოგრაფიის შესახებ მახანდიანის შრომაზე[114] დაყრდნობით სწორად აღნიშნავს, რომ ალვანეთზე გალაშქრებული „პომპეუსი ამრიგად დაახლოებით აწინდელ ფოილოსთან უნდა გადასულიყო მტკვარზე. მდ. კამბისი საერთო აღიარებით აწინდელ მდ. იორს უდრის (!? სიმონ ჯანაშიამ კარგად უჩვენა, რომ პომპონიუს მელას კამბიზი იორს კი არა არაქსს უდრის — დ. მ.)[115]; პომპეუსს, დიონ კასიუსის მოთხრობის თანახმად, მტკვრიდან კამბისამდე, ანუ იორამდე „არავითარი ზიანი არ განუცდია მოწინააღმდეგისაგან“. „მოწინააღმდეგედ აქ, რასაკვირველია, სწორედ ალბანელები იგულისხმებიან. რამდენადაც კასიუსი სპეციალურად აღნიშნავს, მტკვარსა და იორს შორის რომაელებს მტერი არ დასხმია“. და იქვე: „ეს ცნობა, ჩვენის ფიქრით, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ალბანეთის ტერიტორია არა მარტო ალაზნის დასავლეთით, არამედ თვით მდ. იორის დასავლეთითაც ვრცელდებოდა“[116]. დიონ კასიუსის ცნობის ასეთი ინტერპრეტაცია, რასაკვირველია, შესაძლებელია, თუმცა ამას მაინც თან ახლავს რამდენიმე საეჭვო გარემოება: ჯერ ერთი, მტკვარზე გადასულ პომპეუსის ლაშქარს, რომელიც გადადის კამბისზე და შემდეგ მიადგება მდ. აბანტუს, რომელსაც ალაზანთან აიგივებენ, მთელი ამ გზის განმავლობაში მოსახლეობა ეხმარება სურსათ-სანოვაგით[117]; თუ ესენი ალვანელები არიან, მაშინ მათ წინააღმდეგ წამოსულ რომაელებს რად დაეხმარებოდნენ? შემდეგ, მოწინააღმდეგე არ არის აუცილებელი თავის მიწაწყალზე შებრძოლებოდა მტერს. იგი მეზობელი ქვეყნის სანახებშიაც მოახერხებდა ამას. საამისო მაგალითების მოტანა ჩვენივე წყაროებიდან შეიძლება[118]. მაგრამ ეს, როგორც ვხედავთ, იმგვარი ეჭვებია, რომელთა ახსნაც ორივე აზრის სასარგებლოდაა შესაძლებელი. ამი-

---

114 ВДИ, 1939, № 4.

115 იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, გვ. 255.

116 იხ. ნ. ლომოურის საკანდიდატო დისერტაცია: კლავდიოს პტოლემაისის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქ. შესახებ, გვ. 200 და 201 (ხელნაწერი).

117 ВДИ, 1948, № 2, გვ. 271.

118 მაგ.: ზემოხსენებულ შემთხვევაში ქართველ მეფეებს, აზორკ და არმაზელს, სომხეთის დარბევის შემდეგ, რომ კამბეჩანში იყოფდნენ ნაალაფევს, აქ წამოეწია სომეხთა მხედარმთავარი, სუმბატ ბივრიტიანი და აქვე მოხდა მათ შორის ბრძოლა. ამის შემდეგ კონტექსტით ისე გამოდის, რომ კამბეჩანი ქართლში (აქ კი ქართლი ივერიას ნიშნავს) არ იგულისხმება; ასეთივე ამბავია აგრეთვე ზემოხსენებულ შემთხვევაში ჯვანშერ ალვანთა მთავრის მიმართ, რომელიც კამბეჩანში ებრძვის სპარსელებს, კამბეჩანი კი აქ კონტექსტით ქართლს ეკუთვნის: იხ. ქვემოთ.

ტომ ჩვენ დიონ კასიუსის ცნობის ასეთი ინტერპრეტაციის მომხრენი ვართ, თუმცა, რასაკვირველია, ამ ცნობის საფუძველზე პტოლემაიოსის (II ს. ა. წ.) დროინდელ საზღვარს ივერიისას ვერ დავადგენთ[119], რადგან პომპეუსსა (და არა დიონ კასიუსს) და პტოლემაიოსს შორის თითქმის 2,5 საუკუნეა.

ამგვარად, თუ მივიღებთ, რომ იორ-მტკვარ შორისი ნაწილი კამბეჩანისა ძ. წ. I ს-ის შუა წლებისათვის ივერიელებს არ ეკუთვნის, უნდა დავასკვნათ, რომ მათ უნდა სჭეროდათ იორ-ალაზან შორისი ნაწილი, კამბეჩანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

ახლა, მე მგონია, ჩვენთვის სრულიად მისაღები უნდა გახდეს ქ-ცი-ის ჩვენება, რის შედეგადაც, სტრაბონის ცნობებთან შეთანაპირებით, ჩვენ შეგვიძლია დანამდვილებით ვილაპარაკოთ ქართლის სამეფოს აღმოსავლეთისაკენ გაფართოების ტენდენციის შესახებ[120].

თუ ჩვენი მოსაზრებები სწორია, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ განხილული ცნობებით სავარაუდოა ამ ტენდენციის განვითარება ორი ძირითადი ხაზით: ივრისა და ალაზნის ხეობათა გაყოლებით და, ე. ი. კუხეთიდან და კახეთიდან[121].

ჩვენთვის საინტერესოა ახლა ამის მომდევნო ხანის ცნობები, რომლებიც ივერია-ალვანეთის საზღვარს ეხებიან.

აქ პირველ რიგში აღსანიშნავია პლინიუსის ცნობა. იგი აღნიშნავს: „მთელ ველზე, დაწყებული მდინარე, კირიდან, მოსახლეობს

---

119 იხ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, იქვე, ნახე აგრეთვე იქვე თანდართული რუკა.

120 შდ. დიონ კასიუსის ცნობა იბერთა მეფე ფარნაბაზის შესახებ, ВДИ, 1948, № 2, გვ. 275. იხ. აგრეთვე პლუტარქის ცნობა, ВДИ, 1947, № 4, გვ. 285.

121 როგორც ქვემოთ დავინახავთ, უფრო გვიან წყაროები მესამე მიმართულებასაც უჩვენებენ: მტკვრის ხეობით, ქვემო ქართლიდან. არაა გამორიცხული, რომ ექსპანსია აქედან აგრეთვე უძველესი დროიდან ვითარდებოდა. მაგრამ რამდენადაც ვიცით ამ დროისათვის საამისო ცნობები არ არის. თანაც აქ მდგომარეობა იმით იყო გართულებული, რომ ქვემო ქართლი, გუგარეთი, თვით განიცდიდა ამ დროს შემოტევას სამხრეთიდან. ეს გარემოება, რასაკვირველია, უარყოფითად იმოქმედებდა და შეაფერხებდა ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ. თავის მხრივ ეს უკანასკნელი, კახეთ-კუხეთის მხრიდან, ერთგვარი კომპენსაციას უნდა ყოფილიყო ივერიის სამხრეთი პროვინციების (სტრაბონის ცნობა გოგარენეს შესახებ) დაკარგვისა. სომხეთის ექსპანსია ჩრდილოეთისაკენ მარტო ივერიაზე არ ვრცელდებოდა. სწორედ I ს-ში ძ. წ. ტიგრან II სომხეთს უერთებს ალვანურ პროვინციებს: არცახს და უტიქს (იხ. История армянского народа, ч. I, 1951, გვ. 75); ამავე ხანებში უნდა წაეღო სომხეთს ფაიტაკარანიც, რომელიც მოსე კალანკატუელით ალვანური პროვინციაა არცახ-უტიქთან ერთად. ამაზევე უნდა მიუთითებდეს სტრაბონის ცნობა, რომ კამბისენე სომხეთშია ანუ რომ, ე. ი. კამბეჩანის ნაწილი სომხებს ჰკუთვნებიათ.

ალბანების ტომი, შემდეგ—იბერებისა, რომლებიც გამიჯნულნი არიან პირველთაგან მდინარე ოკაზანით (სხვა ვარიანტით—Olazanes—დ. მ.), რომელიც კავკასიის მთებიდან მომდინარეობს და მდინარე კირს ერთვის"[122].

მაშასადამე, პლინიუსიო ივერია-ალვანეთის საზღვარი მდ. ალაზანზე გადის. ე. ი. დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე საზღვარი კვლავ აღმოსავლეთით გადანაცვლებულა.

მაგრამ იგივე პლინიუსი, იმავე თავის თხზულებაში, სხვა ადგილას წერს: „ალბანეთზე გავლით ზღვისკენ მიედინებიან მდინარეები კასუსი და ალბანი, შემდეგ კამბისი, რომელსაც სათავე კავკასიის მთებში აქვს, შემდეგ კირი, რომელიც მომდინარეობს, როგორც ზემოთ ითქვა, კორაქსიული მთებიდან"[123].

ცნობა, როგორც ეს ცხადად ჩანს, მცდარია, რადგან მდ. კამბისს (თუკი მას იორთან გავაიგივებთ, როგორც ჩვეულებრივ იქცევიან, თუმცა ყოველთვის ეს ასე არაა, იხ. ზემოთ) პლინიუსი პირდაპირ ზღვაში ჩამავალად თვლის. მაგრამ ეს ჩვენთვის არც უნდა იყოს საინტერესო მთავარი ისაა, რომ მდ. კამბისი (იორი) თურმე ალვანეთზე გადის, და ე. ი. ეს გარემოება ალაზანზე ივერია-ალვანეთის საზღვრის კონსტატაციას უარყოფს. მაგრამ სინამდვილეში ამ ცნობიდან ეს არ გამომდინარეობს. საქმე ისაა, რომ პლინიუსი არ მიუთითებს, თითქოს კამბისს სათავე ალვანეთში ჰქონდეს და, თუკი მას კამბისად ნამდვილად იორი წარმოუდგენია, იგი სავსებით სამართლიანად ამბობს, რომ იგი ალვანეთზე მიედინება, რადგანაც მან კარგად იცის, რომ ივერიასა და კასპიის ზღვას შორის, ანუ მისებურად რომ ვთქვათ, „ალბანეთის ზღვას" შორის[124] სწორედ ალვანეთია. ასე რომ ეს ცნობა ვერ გამოდგება მისივე პირველი ცნობის უარსაყოფად.

ამ დროისათვის (I—II ს-ების მიჯნა) ქც-ის ჩვენებით მტკვარ-იორ შორისი ნაწილი კამბეჩანისა (გვიანდ. ქვემო ყარაიას ველი). ჯერ კიდევ არ უნდა იყოს შემოსული საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრებში. ამას გვავარაუდებინებს ზემოხსენებული ცნობა, რომლის მიხედვითაც კამბეჩანში მომხდარი ბრძოლის შემდეგ „სუმბატ გამარჯუებული შემოვიდა ქართლად და მოაოჯრა ქართლი"[125]. აქედან თითქოს საგულისხმოა რომ კამბეჩანი ამ დროისათვის არ ითვლება ქართლად და ე. ი. ქართლის პოლიტიკური ბატონობა აქამდე ჯერ კიდევ ვერ აღწევს. ეს კი გვავარაუდებინებს, რომ ძირითადი მიმართულება ივერიელთა ექსპანსიისა კვლავ კახეთ-კუხეთის მხრიდა-

[122] VI, 29; ВДИ, 1949, № 2, გვ. 297.
[123] VI, 38; იქვე, გვ. 303.
[124] VI, 38; იქვე, 302.
[125] ანას. ქცა, 29.

ნაა და იგი უკვე ალაზანს აღწევს (იგულისხმება ალბათ ალაზნის ქვემო დინება, კამბეჩანს რომ შემოსდევს, თორემ შუა წელზე ჩვენ უკვე რამოდენიმე საუკუნით ადრე ივერიელები ნეკრესის ციხე-ქალაქში გამაგრებულად გვეგულებიან. ნეკრესი კი ალაზნის მარცხენა სანაპიროზეა).

დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, ჩვენ კიდევ გვეძლევა საშუალება უცხო წყაროებით შევამოწმოთ ჩვენი მოსაზრებანი. მხედველობაში გვაქვს პტოლემაიოსის სათანადო ცნობები.

პტოლემაიოსი აღნიშნავს: „შემდეგი ქალაქები და სოფლებია ალბანეთში: იბერიასა და იმ მდინარეს შორის, რომელიც კავკასიიდან გამოდის და კირს უერთდება“, ესა და ეს პუნქტებიაო[126]. კომენტატორების სამართლიანი აზრით [127] ეს უსახელო მდინარე უნდა იყოს ალაზანი, რომელსაც სხვამხრივ პტოლემაიოსი არ იცნობს. ამგვარად, პტოლემაიოსით ივერია-ალვანეთის საზღვარი ალაზნის დასავლეთითაა საძიებელი. მაგრამ ჩვენ ამაში იმის საფუძველს ვერ ვხედავთ, რომ უარვყოთ პლინიუსის ცნობა.

ჯერ ერთი, პტოლემაიოსი შესაძლებელია ძველი ცნობებით სარგებლობდა. ამ ჩვენ ეჭვს საფუძველი რომ აქვს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ კასპების ტომს იგი არსებულად თვლის[128], მაშინ როცა სტრაბონის მიხედვით[129] კასპები მის დროს უკვე აღარ არსებობენ. სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს მიღებულად ითვლება სტრაბონის ცნობა და კასპებს თვლიან ასიმილირებულად უკვე ძ. წ. II ს-ში ალვანელების მიერ[130]. მაგრამ პტოლემაიოსის ცნობა სწორიც რომ იყოს, იგი ჩვენს შეხედულებებს ვერ დაარღვევს, თუკი გავითვალისწინებთ ერთ მნიშვნელოვან და აუცილებლად გასათვალისწინებელ გარემოებას, რომელიც, ბუნებრივია, თან სდევდა ქართლ-ჰერეთის ურთიერთობის ზემოაღნიშნულ ტენდეციას.

საქმე ისაა, რომ არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს ტენდენცია—ქართლის ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ, მუდამ აღმავალი ხაზით მიდიოდა. პირიქით, აქ, ბუნებრივია, ადგილი ექნებოდა და ჰქონდა კიდეც უკუქცევას. მთელი ეს ურთიერთობა უნდა ყოფილიყო ცვალებადი მიძალება-უკუქცევის ისტორია და თუ ჩვენ ალვანელებს ვნახავთ იქ, საცა ერთი საუკუნის წინ ქართველი ტომები იყვნენ, ეს ჩვენ მხოლოდ ჩვეულებრივ ამბად უნდა მივიჩნიოთ. მაგ-

---

126 V_1 II_3; ВДИ, 1948, № 2, 253.

127 იხ. იქვე, შენ. 3.

128 VI_1 2_5; იქვე, 255.

129 სტრაბ. XI, 4_5; ВДИ, 1947, № 4, 220.

130 იხ. БСЭ, т. XX.

რამ ის კი ცხადია, რომ ამ ცვალებადი მიძალება-უკუქცევის განმავლობაში ქართველი ტომები თანდათან, მაგრამ განუხრელად წინ იწევდნენ აღმოსავლეთისაკენ, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა ალვანეთის ერთი ნაწილის, ქართული „ჰერეთის“ შემოერთება და თვით ჰერული ტომების გაქართველება. თუ რამდენად ნელა მიდიოდა ეს პროცესი იქიდანაც ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძ. წ. I საუკუნეში (თუ უფრო ადრე არა) ივერიელები კამბისენებში მოსახლეობენ, თვით კამბეჩანის საბოლოო შემომტკიცება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვახტანგ გორგასალის მეფობის ბოლო წლებშია სავარაუდო, ე. ი. თითქმის მთელი ექვსი საუკუნის შემდეგ.

ჩვენთვის საინტერესოა პტოლემაიოსის კიდევ ერთი ცნობა. იგი ასახელებს ალვანეთში „ქალაქ ტელებას“[131], რომელსაც კომენტატორები თელავთან აიგივებენ[132]. თუკი ეს გაიგივება სწორია და თანაც პტოლემაიოსი თავისი დროის სინამდვილეს გადმოგვცემს, მაშინ ეს მოვლენა ისევე უნდა ავხსნათ, როგორც მის მიერვე ივერია-ალვანეთის საზღვრის ალაზნის დასავლეთით ლოკალიზაცია ავხსენით. მაგრამ თუ პტოლემაიოსის ცნობა ძველ ამბავს გულისხმობს, მაშინ სავარაუდოა ეს ცნობა იმ დროისა იყოს, როდესაც ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი თურდოს ხევზე გადიოდა და როდესაც თელავი, მართლაც, ჰერეთში (და ე. ი. ალვანეთში) მდებარეობდა[133].

---

131 V, II_2; 1948, № 2, გვ. 252.

132 იხ. იქვე, შენ. 10.

133 თვით ტოპონიმი — თელავი — მოწმობს, რომ აქ ქართული მოსახლეობაა და თუკი პტოლემაიოსის „ტელება“=თელავს ე. ი. ეს არის ერთ-ერთი უძველესი მოწმობა ქართველთა მოძრაობისა ალვანეთისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II

პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლება უჯარმაში. უჯარმა ვახტანგ გორგასლამდე

დაწყებული ჩვ. წ-ის IV ს-დან, ჩვენთვის საინტერესო ცნობები ქართულ წყაროებში მრავლდება და ამასთან სრულიად რეალურ ხასიათს იღებს.

მხედველობაში გვაქვს მირიან მეფის ხანა და, კერძოდ, ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული ფაქტები.

აქ უკვე სხვა რიგის მოვლენას ვხედავთ, ვიდრე აქამდე[1], მაგრამ ვიდრე თვით ამ მოვლენის განხილვას შევუდგებოდეთ, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომელიც თან სდევდა და ხშირად, როგორც ჩანს, აპირობებდა ქართლის სამეფოს მმართველი წრეების პოლიტიკას, მიმართულს სამეფოს აღმოსავლეთით მდებარე მხარეების კულტურული და პოლიტიკური შერწყმისაკენ.

*

* *

საქმე ისაა, რომ ქართლის სამეფოს ურთიერთობა (ამ მხრივ) აღმოსავლელ მეზობელთან არ გამოიხატებოდა მხოლოდ პოლიტიკურ და კულტურულ შერწყმაში. ამ უკანასკნელისაგან იგი გამოირჩეოდა ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებით, რასაც უფრო გვიან მოჰყვა ჰერეთის ქართული ადრეფეოდალური სამეფოს შექმნა.

ქართლის სამეფოს პოლიტიკურ კურსს თან სდევდა, ეგებ, უფრო სწორად, წინ უსწრებდა და აპირობებდა ქართული ეთნიკური ელემენტის მძლავრად შეჭრა ალვანეთის ტერიტორიაზე (ჰერეთში და, ნაწილობრივ, რანშიც), რასაც, რასაკვირველია, თავის მხრივ, უნდა გამოეწვია ქართული კულტურის მძლავრი ნაკადის დენა იმავე მიმართულებით. ქართული ეთნიკური ელემენტის შეჭრა ჰერეთში

---

[1] თუმცა ჩვენ ამას ვხედავთ მხოლოდ იმიტომ, რომ წყარო გვავარაუდებინებს. ამდენად, რადგან უფრო ძველი პერიოდისათვის ასეთი მითითება არ გვაქვს, ეს სრულიადაც არ გამორიცხავს ასეთი მოვლენის ადრევე არსებობასაც. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ახალი მოვლენა, რომელსაც ჩვენ მირიანის ხანაში ვადასტურებთ და რომელზედაც ქვევით ვილაპარაკებთ, სინამდვილეში დიდი ხნის დაწყებული პროცესის ერთ-ერთ, თუმცა მნიშვნელოვან, ეტაპს წარმოადგენს.

ხდებოდა, როგორც მეზობელი ქართული ოლქებიდან (კახეთი, კუ-ხეთი), აგრეთვე ივერიზებული „კახეთის მთეულეთიდან"[2].

ეს რომ სრულიად რეალური ამბავია, ამას, ჯერ ერთი, მოწმობს დღევანდელი ტოპონიმიკა. ის გარემოება, რომ არაგვის თუ ივრის ხეობაში და ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე ერთი და იგივე სახელ-წოდების სოფლები გვხვდება, ხოლო ხშირად ჰერეთის ტერიტორია-ზე დამოწმებული სახელწოდებანი სადაურობის სუფიქსითაა წარ-მოდგენილი—ეს გარემოება სწორედ ამის უეჭველ საბუთად მიგვაჩ-ნია[3]. ეს სახელწოდებანი შემდეგია:

ბ უ შ ა ტ ი—ივრის ხეობაში, სოფ. ორხევთან[4].

ბ უ შ ა ტ ი—შიგნიკახეთში, წინანდალთან.

ბ ო დ ა ვ ი—ივრის ხეობაში.

ბ ო დ ი ნ ი, ბ ო დ ბ ე—ქიზიყში.

ა რ ტ ა ნ ი—ივრის ხეობაში, თიანეთის ზემოთ.

ა რ ტ ა ნ ი—ალაზანს გაღმა, ნაფარეულთან (ა რ თ ა ნ ა).

ყ ვ ა რ ა—ივრის ხეობაში, არტანს ზემოთ.

ყ ვ ა რ ე ლ ი—კახეთში, გაღმამხარში (ყ ვ ა რ ე ლ ნ ი).

ა ხ ა ტ ა ნ ი—არაგვის ხეობაში, ბიწმენდთან.

ა ხ ა ტ ე ლ ი—შიგნიკახეთში, გულგულას გაღმა.

გ ო მ ე წ ა რ ი—ფშავში.

გ ო მ ე წ რ ე ლ ი—ალავერდის პირდაპირ, ალაზანს გაღმა.

ხ ო რ ხ ი—არაგვის ხეობაში, ხორხის ხევზე, ჟინვალთან რომ ერთვის არაგვს.

ხ ო რ ხ ი—გომბორის მთასთან.

ხ ო რ ხ ე ლ ი—წირდლის ხევზე (ხ ო რ ხ ე ლ ნ ი?).

ხ ო რ ხ ე ლ ი—შიგნიკახეთში, მდ. რიყეზე, ალაზანს რომ ერთ-ვის, ოჟიოს პირისპირ.

ჭ ა რ თ ა ლ ი—არაგვზე, ანანურს ზევით.

---

2 რომ ეს მთიელები ივერიული კულტურის მატარებლები იყვნენ და ეთნი-კურად თუ მთლად არა, ყოველ შემთხვევაში ძლიერ ივერიზებულნი, ეს, მიუხ-დავად სომხური ანონიმური გეოგრაფიის ჩვენებისა, თითქოს ისინი სარმატიაში მო-სახლეობდნენ (იხ. პატკანოვის გამოც. გვ. 16; თარგმანის გვ. 37—8), მტკიცდება სტრაბონის ცნობით, რომ, ე. ი. ძვ. წ. I საუკუნეში მაინც, ივერიის მთიანეთშ სწორედ ივერიელები ცხოვრობენ, თუმცა ისინი სკვით-სარმატებს ენათესავე-ბიან („გეოგრ." XI, 33, **ВДИ**, 1947, № 4, გვ. 218).

3 ამაზე მიგვითითა აკად. ნ. ბერძენიშვილმა.

4 იხ. ივ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წ. გამოც. ისტორიული რუკა. დღეს ამ სო-ფელს ორხევი ეწოდება, მაგრამ მისი სახელი შერჩა მთას —ბუშატის მაღალი, ორ-ხევის აღმოსავლეთით.

ჭ ა რ თ ლ ი ს მ ი ნ დ ო რ ი—ივრის შენაკად, საგმის ხევზე მდებარე სოფ. ჩაბანოს პირისპირ, საგმის მარცხენა ნაპირზე[5].

ჭ ა რ თ ა ლ ა—მდ. ილტოზე.

ჭართალი ივ. ჯავახიშვილით ერთ დროს „მთელ კახეთსაც სწოდებია“[6].

ამას გარდა, მთიელების ჩამოსახლების პირდაპირი მოწმობაა ისეთი სოფლები, როგორიცაა: ფშაველი (ფშაველნი) — ჭიჭაკვის ხევზე.

ფხოველი (ფხოველნი)—ლაკბეს ხევში.

ეს ექსპანსია დასტურდება ეთნოგრაფიული მასალებითაც. კერძოდ, ამის მოწმობაა, რომ გალმამხრისა—და შიგნიკახელები სალოცავად, ხატობაში ივრის ხეობაში დადიან; ლაშარობისას—ხატხევში[7] და გიორგობისას—ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიაში[8].

შესანიშნავია, ამასთან დაკავშირებით, ის ცნობილი გარემოება, რომ დღევანდელ ყვარლელებს და, საერთოდ, ლაშარისა და თამარის ხატში „მლოცველებს თავის პირველად სამშობლოდ არტნის (ანუ ივრის—დ. მ.) ხეობის სოფლები——ყვარა და სხვ. მიაჩნიათ“[9].

მთიელების ასეთი მოძრაობა საკმაოდ ცნობილია (მთიდან ბარში) და იგი ეხლაც გრძელდება.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა თვით კახეთის (უმთოდ) მოსახლეობის მოძრაობის დადასტურება.

მაგრამ საკითხი დგება ამ მოვლენის დამოწმებისა ისტორიულ ხანაში. გვაქვს თუ არა ჩვენ საამისო მონაცემები?

უპირველესად ყოვლისა, ყურადღებას მივაქცევთ სოფ. ფხოველის სახელწოდებას. იგი, ცხადია, მაშინ იყო შესაძლებელი წარმოქმნილიყო, როდესაც ფშავს ფხოვი ეწოდებოდა (ე. ი. მაინცდამაინც XVIII ს-დე).

---

5 ჩაწერილია ჩვენ მიერ, 1954 წ. ივლის-აგვისტოში ივრის ხეობაში მივლინების დროს. მოსახლეობას აღარ ახსოვს თუ რატომ უწოდებენ ასე ამ მინდორს.

6 იხ. ქართ. ერის ისტ. შესავალი, წ. I, 1950 წ., გვ. 47.

7 იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ივრის ფშაველებში, ენიმკის მ-ბე, XI, 103.

8 ჩაწერილია ჩვენ მიერ მივლინების დროს.

9 იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 107; პროფ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მ-ბე, XI, 60; ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი გვეჩვენება ზემოთ ერთხელ უკვე აღნიშნული გარემოება, რომ თავდაპირველი კახეთის ტერიტორიის (ივრის ზემო წელის) მოსახლეობა „კახი“—დ იწოდება, ხოლო დღევანდელი შიგნიკახელები—„კახელი“—დ. რა დროისაც არ უნდა იყოს ეს მოვლენა, ვფიქრობთ, „კახელის“ ისტორიული ეტიმოლოგია ამგვარი უნდა იყოს: უნდა უკვე არსებულიყო გეოგრაფიული პუნქტი „კახი“, რომ წარმოქმნილიყო ეთნოგრაფიული ტერმინი „კახ-ელ-ი“ (შდ. ქალაქი ქართ-ლ-ი და ქართ-ლ-ელ-ი, ან ეგრი და მ-ეგრ-ელ-ი, ან ფხო და

საამისოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრება. ერთ-ერთ თავის წერილში იგი, ლაპარაკობს რა კაწარეთის შესახებ (ხაშმის სამების ძველი სახელწოდება, დამოწმებული „მოქცქ-ის“ მატიანეში), ამბობს: „კაწარეთი ცნობილია აგრეთვე ზოგიერთი სომეხ მემატიანეთა ნაწარმოებებშიაც, მაგ.: კვირიკე განძაკელისა (XIII ს.) და ზაქარია დიაკონისა (XVII ს.), მაგრამ მის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს გარეკახეთის კაწარეთი—სამება კი არა, არამედ ჰერეთის (ყაზახ-განჯის რაიონის) ფარგლებში ცნობილი „კაწარეთის“ ციხე (Կաժարեթ դղեակ) რომელსაც ეჭვს გარეშეა, რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს პირველთან, მით უმეტეს, რომ ჰერეთშიც კაწარეთის—ციხის ახლოს ცნობილია ერთი მონასტერი ისეთივე სახელწოდებით, როგორიცაა „ხაშმი“, ე. ი. „ხამშის“ ანუ „ხაშმის“ მონასტერი (Խամշի վանք). ყოველ შემთხვევაში, ორივე სახელწოდების გარეგნული სახე—ერთში სუფიქსი „եթ“, ხოლო მეორეში დაბოლოება „ի“—გვიმტკიცებს, რომ ისინი ქართული ნომენკლატურიდან წარმომდგარან, ალბათ გარეკახეთიდან ჰერეთში ჯერ კიდევ XIII საუკუნემდე მომხდარ ემიგრაციის გამო“[10]. ჰერეთის ლ. მელიქსეთ-ბეგისეულ ლოკალიზაციას რომ თავი დავანებოთ (აქ უკეთესი იქნებოდა რანის ან გარდაბანის ხმარება), ფორმალური მსგავსება ჩვენ ეხლა შეგვიძლია ზემოთ წარმოდგენილი, ქართლის სამეფოს

ფხო-ელ-ი ანუ ფხოვი და ფხოველი და სხვ... (მეორე მხრივ, ეს პუნქტი („კახი“) უნდა არსებულიყო დღევანდელი შიგნიკახეთის ანუ ჰერეთის ტერიტორიაზე, რადგან სწორედ აქ მოსახლენი არიან „კახელები“. გეოგრაფიული პუნქტი „კახი“ კი, ცხადია, უნდა წარმოექმნათ იქ დასახლებულ „კახებს“. ამგვარად, იქმნება ასეთი გრადაცია (უეჭველია, ქრონოლოგიურიც): „კახი“ (ეთნიკური ცნება)—„კახი“ (გეოგრაფიული ცნება)—„კახელი“ (ეთნიკური ცნება). ნ. ბერძენიშვილმა შეგვნიშნა, რომ უფრო სწორი უნდა იყოს ასეთი თანამომდევნობა: „კახი“ (ეთნ.), „კახეთ-ი“ (გეოგრ.)—„კახ-ელ-ი“ (ეთნ.), თუმცა მანვე მიგვითითა ზოგ შემთხვევაში ეთნიკური და გეოგრაფიული ცნებების იდენტურ გამოხატულებაზედაც (მაგალითად: ეგრი-გეოგრ. და ეგრი-ეთნ. ან ფშავი-გეოგრ. და ფშავი-ეთნ.). ასეც რომ იყოს, ვფიქრობთ ეს ჩვენს ვარაუდს არ დაარღვევს, რადგან მთავარია ის, რომ ჩვენ გვაქვს გეოგრაფიულად გამიჯნული ორი ეთნიკური ცნება: „კახი“ და „კახელი“, რომელშიც მეორე („კახელი“), უეჭველია, მეორადი წარმოშობისაა.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ ის გარემოება, მიუხედავად იმისა დღეს არსებული სოფ. კახია ამის მიზეზი (ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით აწინდელი კახი არის იგივე ძველი კაკი, მელქისედეკის დაწერილში რომაა მოხსენებული. საკითხავია: ხომ არ არის „კაკი“ „კახის“ ერთ-ერთი ჰერული დიალექტის ვარიაცია?), თუ სხვა ძველად არსებული ამავე სახელწოდების სოფელი, უეჭველს ხდის ჰერეთის ტერიტორიაზე სწორედ „კახების“ ექსპანსიას. ამდენადვე საგულისხმოა, „კახელი“, როგორც „კახისაგან“ განსხვავებული, იმთავითვე „ჰერებთან“ რამოდენადმე ასიმილირებული ეთნიკური ერთეულის წარმომადგენელს ეწოდებოდა.

10 საისტორიო მ-ბე, წ. II, 1924, გვ. 160—1.

აღმოსავლეთი საზღვრის გაფართოების ტენდენციით შევამაგროთ და ამრიგად, ეს ცნობა სავსებით სანდოდ მივიჩნიოთ[11].

მაგრამ, რამდენადაც ქართული ელემენტის ექსპანსიას უძველესი დროიდან ვგულისხმობთ, ამდენად ამ ცნობებს ჩვენთვის არცთუ ისე დიდი ღირებულება უნდა ჰქონდეს, რადგან შუა საუკუნეებს არ სცილდებიან.

ჩვენ უფრო ძველი მოწმობა გვჭირდება. და სწორედ ასეთი ძველი მოწმობა დაცული აქვს სტრაბონს ზემოთ უკვე განხილულ ცნობაში, რომელსაც კვლავ მოვიტანთ: „კამბისენეში... სომხები ხვდებიან იბერებს და ალბანებს“[12]. სტრაბონის ცნობა სწორედ იმითაა შესანიშნავი, რომ იგი ლაპარაკობს არა ივერიის პოლიტიკურ საზღვარზე, არამედ ივერიელების ეთნიკურ (resp. პოლიტიკურ) საზღვარზე, რომლის მიხედვითაც ჩვენ უნდა ვივარაუდოთ ივერიელების განსახლება მეტ-ნაკლებად კომპაქტური მასით მთელ იორ-ალაზანს შორის ტერიტორიაზე უკვე ძვ. წ. I საუკუნეში და, ამდენადვე, ამ პროცესის დასაწყისი კიდევ უფრო უკან გადავწიოთ რამდენიმე საუკუნით მაინც.

ამგვარად, ჩვენ მიერ ნავარაუდევი (ქ´ ც-ის მიხედვით) უძველესი დროიდან ივერიელების პოლიტიკური ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ თანხვდება ამ უკანასკნელთა, ასე ვთქვათ, ეთნიკურ ექსპანსიასაც და ამდენად, დებულება, რომ ეს ორი მოვლენა ურთიერთგაპირობებული იყო, რეალური ხდება[13].

---

11 ცნობა სხვამხრივაცაა საგულისხმო და, ეგების, მისი თარიღიც რამდენადმე დაზუსტდეს. კერძოდ, ეს ცნობა შესაძლებელია IX ს-ში ცნობილ „კახ გარდაბანელებს“ დავუკავშიროთ და კახთა გარდაბანში ექსპანსიის მატერიალურ საბუთად ვიცნოთ.

12 XI, 4_1; ВДИ, № 4, გვ. 219.

13 გ. მელიქიშვილმა შეგვნიშნა, რომ სტრაბონთან ტერმინი „იბერი“ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რაც მოწმდება მისი ცნობით მთიელი ივერიელებს შესახებ, რომლებიც სარმატებს ენათესავებიან (იხ. ზემოთ). ამდენად ჩვენს შემთხვევაშიც გარკვეული სიფრთხილე გვმართებს.

რასაკვირველია, ჩვენ ეს გათვალისწინებული გვაქვს და გვგონია, რომ არა ვცდებით, როდესაც ეთნიკურ საზღვარზე ვლაპარაკობთ: ჯერ ერთი, თვით იმ ცნობაში ივერიის მთიელებს რომ ეხება, როგორც აღვნიშნეთ, სტრაბონი ამ უკანასკნელებს მაინცდამაინც ივერიელებს უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სკვით-სარმატებს ენათესავებიან. ეს ჩვენი აზრით, მაშასადამე, ამ მთიელების უკვე შორს წასულ კულტურულ და აგრეთვე ეთნიკურ ივერიზაციაზე უნდა მიუთითებდეს. თუ არა ვცდები, სხვა სახელი ამ მთიელებისა სტრაბონმა არ იცის. ესეც, ამ მხრივ, ნიშანდობლივი უნდა იყოს.

რაც შეეხება კამბისენეს შესახებ ცნობას, არა მგონია აქ „იბერების“ ქვეშ ჰერებიც იგულისხმებოდნენ. ჰერები ალვანური ტომი იყო, ხოლო ალვანელებს სტრაბონი კარგად იცნობს. პოლიტიკური აზრითაც რომ გავიგოთ აქ ივერიელები,

ამ მოვლენის მეორე მხარეა ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ უკვე უძველესი პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო ივერიელთა მიერ ჰერების ასიმილაციის პროცესი, რისი შედეგიც იყო ჰერეთის ადრეფეოდალური ქართული სამეფოს წარმოქმნა (ამის შესახებ ქვემოთ). რომ ამ პროცესში სწორედ ქართული ელემენტი იყო აქტიური და არა ალვანური, ეს მართლდება ჯერ ერთი, სტრაბონის ცნობით, რომლის მიხედვით ივერია გაცილებით დაწინაურებულია ალვანეთზე სოც.-ეკონომიურად და, მეორე, თვით ამ პროცესის შედეგით—ქართული ჰერეთის სამეფოს წარმოქმნით.

დავუბრუნდეთ ახლა კვლავ მირიან მეფისა და წმ. ნინოს მოღვაწეობას. შესანიშნავ ცნობებს გვაწვდიან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე და „წმ. ნინოს შატბერდისეული ცხოვრება“.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა ის გზა, რომელსაც წმ. ნინო გაივლის სხვადასხვა ტომთა მოსაქცევად.

წმ. ნინო „წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა: ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოება“[14]; შემდეგ „გარდავიდა ერწოდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა ერწუთიანელთა და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა“[15]. ჭელიშისეული ნუსხა აქ, როგორც ვიცით, სხვაგვარად უჩვენებს: „წარვიდეს ერწოდ და დადგეს ედომს, დაბასა ჟალეთს“[16].

ამის შემდეგ ნინო „შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კ ხ ო ე ლ ნ ი და ს ო ჯ ნ ი ერითურთ მათით“[17]. შემდეგ, „გარდავიდა კახეთა და დადგა ქცელ დაბას და მოიყვანნა კაცნი მთავარნი და მონათლნა“[18]. ჭელიშის ნუსხა აქ მნიშვნელოვან ჩანართს აკეთებს „კ“ დ გარდვიდა დიდად კახეთად. და დადგა... ქველ დაბას

მაინც, ეს მთიელთა ანალოგიურად, ჰერთა მძლავრ ივერიზაციაზე მიგვითითებდა. რომ აქ, ასე ვთქვათ, „წმინდა“ ივერიელები იგულისხმებიან, ამას გვავარაუდებინებს ჯერ ერთი, სტრაბონის ცნობის პირდაპირი გაგება და აგრეთვე მთელი ის ტენდენცია, რომლითაც ხასიათდება ქართლ-ჰერეთის ურთიერთობა და, კერძოდ, უფრო გვიანდელი უტყუარი მოწმობანი ქართველთა მოძრაობისა აღმოსავლეთით, ჰერეთისაკენ.

[14] **Опис..**, 716.

[15] იქვე, 716—7.

[16] იქვე. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ პუნქტებში საგულისხმოა იმდროინდელი პოლიტიკური (და კულტურული) ცენტრები (წობენი, ჟალეთი).

[17] იქვე, 717. ჭელიშის ვარიანტი იგივე ტექსტს იძლევა, მხოლოდ „კხოეთას“ მაგიერ „კაუხეთია“, შესაბამისად „კხოელთა“ მაგიერ „კაოხნი“; ხოლო „სოჯთა“ მაგიერ „სუჯნი“. როგორც ეს ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა აღნიშნა კაოხ-კხოელთა ქვეშ უნდა კუხნი თუ კოხნი ვიგულისხმოთ, იხ. **СМОМПК**, 28, გვ. 26, შენ. 2.

[18] იქვე.

და მოიყვანა კაცნი მთ᾽ ვრნი, ამათვე მეფეთა ნათესვნი, და ნათ᾽ ლ-
სცა"[19]. „და დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად და ვ᾽ ა ბოიწია
კ ხ ო ე თ ა ს (ჭელიშ.—კოხეთად) დაბასა რ᾽ ლსა ჰრქჳან ბოდინ
(ჭელ.: ბოდისი), ვერღარა უძლო სლვად"[20].

განგებ მოვიტანეთ დაწვრილებითი ამონაწერი, რადგან, უპირველეს ყოვლისა, გვაინტერესებს ნინოს ზუსტი მარშრუტის დადგენა. ამ მხრივ, შატბერდისეული ნუსხა გაცილებით უფრო ზუსტია: წობენიდან, რომელიც წობენის მთის ჩრდ. ფერდობზეა, არაგვის მარცხენა შენაკადის, წირდლის ხევის ზემო წელზე, წმ. ნინო, მართლაც, უნდა „გარდასულიყო ერწუდ"; ჟალეთიდან კი, ცხადია უნდა „შთასულიყო" კაწარეთს და აქედან კვლავ „გარდასულიყო კახეთა", ალბათ კაწარეთზე გამავალი გომბორის უღელტეხილზე გადასასვლელი გზით[21]. კახეთიდან წმ. ნინო წამოსულა მცხეთისკენ და გზად გამოუვლია ბოდინში, რომელსაც ბოდბესთან აიგივებენ. გომბორზე გადასული ნინო რომ გზად ბოდბეში მომხვდარიყო, ცხადია, მას მანამდე ვრცელი გზა უნდა გაევლო და ამდენადვე თავისი „საგანმანათლებლო" საქმიანობაც დიდ ტერიტორიაზე განევრცო. კერძოდ, მას თითქმის მთელი აწინდელი შიგნიკახეთი უნდა მოევლო, რომ ბოდბეში გამოსულიყო.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ცხადია, რომ თავის სამოციქულო მოღვაწეობას ნინო ჰერეთის ტერიტორიაზე ეწევა. თვით ბოდბეც ხომ ჰერეთის ტერიტორიაზეა[22]. წმ. ნინოს მოღვაწეობა რომ სწორედ ჰერეთშია ნაგულისხმევი, ამის დადასტურებას თვით ქ᾽ ცშიც ვპოვებთ, მაგრამ ამას ქვევით ვნახავთ.

ახლა კი აღვნიშნავთ: თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ შემთხვევაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება გულისხმობს სათანადო კულტურის გავრცელებას, ხოლო საბოლოო ჯამში პოლიტიკურ ბატონობას, ცხადი გახდება, რომ წმ. ნინოს მოღვაწეობის სახით ჩვენ გვეძლევა საბუთი ქართლის სამეფოს პოლიტიკური და კულტურული ბატონობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისა ჰერეთის შემოერთებულ ნაწილში. ამასთან თუ გავიხსენებთ, რომ „აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის ენა თავიდანვე ადგილობრი-

---

[19] Опис...

[20] იქვე.

[21] ეს გზა სამების ხევით ვერონამდე, ხოლო აქედან, უღელტეხილით, შიგნიკახეთში ეხლაც არსებობს.

[22] ის გარემოება, რომ ჰერეთი აქ მოხსენებული არ არის, ან რომ დაბა ბოდი ხან კოხეთშია— Опис..., 717; ქ᾽ ცა, 77, 82; ხან კახეთში—Опис..., 803; ქ᾽ ცა, 80; მიგვაჩნია გვიანდელი ვითარების გამოძახილად რასაც, უთუოა, თავისი მიზეზი ჰქონდა; მაინცდამაინც ნიშანდობლივად მიგვაჩნია, რომ ჭიჭინაძის გამოცემული ქ᾽ ცა, წ. I, გვ. 136, დაბა ბოდს ჰერეთში უჩვენებს.

ვია, ეროვნული-ქართული"[23], და რომ, ე. ი. მოქცეული ჰერეთის ნაწილის ოფიციალური ენაც ამიტომ ქართული უნდა ყოფილიყო, მაშინ ნათელი იქნება ის საკმაოდ მნიშვნელოვანი კულტურული საქმიანობა, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა IV ს-ის პირველი ნახევრის ჰერეთში და რომელსაც ნიადაგი საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა შემზადებული.

ცხადია, მეორე მხრივ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჰერთა ასიმილაციის საქმე საკმაოდ შორს წასულა, თუმცა ამ დროს მათი მთლიანი ასიმილაცია არაა სავარაუდებელი.

რომ ქართული წყაროების ცნობები სინამდვილეს შეეფერება ამისი მატერიალური დადასტურებაა IV ს-ის ნეკრესის ბაზილიკა, ჭერემის კვადრატი და ბოდბის ძველი პატარა ეკლესია[24]—სამივე ძველ ჰერეთში.

ყოველივე ამის შედეგად უკვე ამ დროს, ე. ი. IV ს-ში ივერიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე იქმნება პოლიტიკური ერთეული ეთნიკურად ჯერ კიდევ ნარევი მოსახლეობით. ესაა სწორედ გვიანდელი შიგნი და გარეკახეთი.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ არაა სავალდებულო წარმოვიდგინოთ მაინცდამაინც ერთი ერთეულის შექმნა. დღევანდელ შიგნიკახეთს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭელიშის ნუსხა „დიდ კახეთს" უწოდებს. შესაძლებელია ეს ტერმინი ძველი იყოს და ჰერეთის გარკვეულ ტერიტორიასაც მოიცავდეს[25], ხოლო „მთავარნი, ამათვე მეუფეთა (ქართლის მეფეებზეა ლაპარაკი—**დ. მ.**) ნათესავნი" სწორედ ამ ერთეულის განმგებლებად წარმოვიდგინოთ; მაგრამ შესაძლებელია ტერმინი „დიდი კახეთი" გვიანდელი იყოს, მერმინდელ გადამწერთაგან შექმნილი, ხოლო ზემოხსენებული მთავარნი მხოლოდ კახეთის (თავდაპირველი კახეთის იმ ნაწილის, დღევანდელი კახეთის ქედის იქით რომ იყო) განმგებელნი[26]. ეგების სავარაუდო იყოს თავ-

---

23 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, გვ. 244.

24 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართ. ხელ. ისტ., 1936, გვ. 25—27.

25 ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ქალაქი ნეკრესი „ყველგან (ლეონტისთანაც და აბიბოსის მარტვილობაშიაც), „კახეთის ჭევშია", მაშინ როცა ლეონტისვე კონცეფციით იგი ჰერეთში უნდა იყოს.

26 აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ მდიდრული სამარხის ინვენტარი ახმეტის რ-ნის სოფ. ახალდაბიდან, აღმოჩენილი 1948 წელს. ამ ნაწილობრივ შემორჩენილ, ინვენტარის სიმდიდრე და დიდი მსგავსება არმაზის პიტიახშთა სამარხეულთან, ვფიქრობთ, ქმნის საფუძველს ამ ტერიტორიაზე ცალკე ადმინისტრაციული ერთეული ვივარაუდოთ, მსგავსად იმისა, როგორც დაახლოებით ამავე ხანებში ქართლის სამეფოს საპირისპირო დასავლეთ ნაწილში, გვიანდელი არგვეთის საერისთავოს ტერიტორიაზე, ლომსიანთ ხევში, საკმარისი საფუძვლით, ივარაუდება („ბორრის საპიტიახშო". გ. ცქიტიშვილი). ადვილი დასაშვებია, რომ ეს მთავარნი, ქარ-

დაპირველად ჰერეთის გარკვეულ ხანამდე ვასალური დამოკიდებულება ქართლის სამეფოს მიმართ, რის საფუძველსაც, როგორც ვნახავთ, ქ^ც-ას ტექსტი გვაძლევს, მაგრამ ყოველივე ამისთვის ცნობები გვაკლია.

მაინცდამაინც ჰერეთის ერთი გარკვეული ნაწილი, სახელდობრ, დაახლოებით გვიანდელი გარეკახეთი, კახეთ-კუხეთისათვის უშუალოდ შეუერთებიათ და სწორედ ამ დიდი ერთეულის (კახეთ-კუხეთი, ჰერეთის ნაწილი) ცენტრად ეხლა უკვე ქ ა ლ ა ქ ი უ ჯ ა რ მ ა გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ა.

*
* *

უჯარმის გადაქცევა კახეთის ცენტრად სრულიად კანონზომიერად მოხდა და ეს მოვლენა გაპირობებული იყო მთელი იმ პროცესით, რომლის ჩვენებაც ჩვენ ზემოთ ვცადეთ.

უჯარმა გეოგრაფიულად იმ ადგილას მდებარეობს, საცა ერთმანეთს ხვდებოდა კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრები. თუმცა ვახუშტი მას მაინცდამაინც კუხეთს აკუთვნებს[27], მაგრამ უეჭველია, რომ უჯარმა კახეთის (ეგებ პოლიტიკური კახეთის) ცენტრია[28].

უჯარმა პირველად იხსენიება ასფაგურ უკანასკნელი ფარნავაზიანის დროს, რომელიც ქ^ც-ით თანამედროვე იყო სასანელთა დინასტიის გაბატონებისა ერანში. „ამან აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა“; ამგვარად, ქალაქი უჯარმა პირველად III ს-ის შუა წლებისთვისაა დამოწმებული. სავარაუდოა, რომ აქ ცარიელ ადგილზე აშენების შე-

---

თლის სამეფო დინასტიის გვარიშვილები, რომლებიც დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე იგულისხმებიან, სწორედ იმ წარჩინებულთა „შთამომავალნი“ ყოფილიყვნენ, რომელთა საგვარეულო სამაროვანთანაც, ვფიქრობთ, საქმე გვაქვს ახალდაბის აღმოჩენის სახით.

27 „საქ-ს ცხოვრება“: გვ. 151; მაგრამ ვახუშტის ცნობა ეხება XI ს-ეს და ამდენად გვიანდელი მოვლენა შეიძლება იყოს; თუმცა ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ქ^ც-ის მიხედვითაც კუხეთის საზღვარი ერთ დროს დედაციხე-ბოჭორმამდეა გაწეული, იხ. ზემოთ.

28 ამას ქვემოთაც დავინახავთ; მაგრამ აქ აღვნიშნავთ, რომ კახეთ-კუხეთის საკითხი ქართულ წყაროებში ბუნდოვანი და გაურკვეველი გვეჩვენება: რა ურთიერთობაში არიან კახები კუხებთან? ლეონტის მიხედვით კუხები, მაინცდამაინც, ცალკე ტომად და ამდენად მათი ტერიტორია ცალკე საგამგეო ერთეულადაა წარმოსადგენი. მაგრამ უკვე ფარნავაზის დროს კუხეთი, როგორც ცალკე ერთეული, მისივე წარმოდგენით აღარ არსებობს. ლეონტის მიერ კახეთის ასეთ დიდ ფარგლებში წარმოდგენა შესაძლებელია მისი დროის სინამდვილის გავლენა იყოს. მაინცდამაინც მისივე თხრობიდან ირკვევა, რომ კუხეთი ცალკე საგამგეო ერთეულია. ასე, მაგ.: თუმცა ამზასპის დროსაც კუხეთი „კახეთის საერისთაოშია“ საგულისხმო (ანას. ქ^ცა, 34), ხოლო მირიანის დროს კახეთი და კუხეთი, მიუხედავად, იმისა, რომ ცალ-ცალკეა დასახელებული, მაინც ერთ ერთეულად გაიაზრება, მი-

სახებ არაა ლაპარაკი[29], არამედ—საკუთრივ ქალაქ უჯარმის აგებაზე[30]. ამას ტექსტის პირდაპირი გაგება გვავარაუდებინებს. მეორე მხრივ, უკვე მესამე საუკუნეში უჯარმის ქალაქად ხსენება არ უნდა იყოს გადაჭარბებული: დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ უჯარმა მცხეთის მეტოქედ და მასთან ერთად ქართლის სამეფოს უმნიშვნელოვანეს ცენტრად გვევლინება. შესაძლებელია ეს ცნობა, III საუკუნეს რომ ეხება, მიუთითებდეს უჯარმის ქალაქად გადაქცევის ეპოქას.

უ ჯ ა რ მ ი ს ქ ა ლ ა ქ ა დ დ ა შ ე მ დ ე გ კ ა ხ ე თ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ც ე ნ ტ რ ა დ გ ა დ ა ქ ც ე ვ ა გ ა პ ი რ ო ბ ე ბ უ ლ ი ი ყ ო კ ა ხ ე თ ი ს (კ უ ხ ე თ ი ა ნ ა დ) დ ა ჰ ე რ ე თ ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ე ვ ო ლ უ ც ი ი თ დ ა, რ ა ც მ თ ა ვ ა რ ი ა, კ ა ხ ე თ ი ს (ს ე რ ძ ო დ ი ვ რ ი ს ხ ე ო ბ ი ს) მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი თ.

რიანის ძის ბაქარის დროიდან მაინც, ვიდრე ვახტანგ გორგასალამდე კუხეთი ცალკე საერისთავოა. ლეონტი მროველი ამბობს: ბაქარმა „მოიყვანნა ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი და დასხნა რუსთავს ერისთავად“ (ანას. ქ-ცა, 85). აქედან ეგებ ისიცაა სავარაუდო, რომ სწორედ ბაქარმა აღადგინა კუხეთის დამოუკიდებლობა კახეთისაგან, რომ თითქოს მანამდე რუსთავს ერისთავნი არა მჯდარან, ხოლო მან კი „დასხნა“; ჯუანშერის ცნობა უეჭველს ხდის ლეონტის ამ ცნობას. ჩვენთვის საინტერესო ადგილი ჩართულია, ვახტანგ გორგასლის შესახებ თხრობაში: „ხოლო მირიან და გრიგოლ იყუნეს ნათესავისაგან რევის, მირიანის ძისა და აქუნდა კუხეთი და ცხორებდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა: რამეთუ შემცირებულ იყუნეს ურთიერთას კლვითა“ (ანას. ქ-ცა, გვ. 105). ვახტანგის დროს კუხეთი და კახეთი კვლავ ცალ-ცალკეა დასახელებული, მაგრამ აქაც ერთ ერთეულადაა ნაგულისხმევი. VI ს-ში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით გარეჯელის ცხოვრების მიხედვით კუხეთი ცალკე საერისთაოა. აქედანვე ივარაუდება, რომ ჰერეთის ნაწილი (გარეჯის უდაბნო) ამ ერისთავის საგამგეოშია. VII ს-ში კუხეთი კვლავ ცალკეა. (იხ. არაბების მიერ დაპყრობილ მხარეთა სია, ქვემოთ). ვახუშტი კუხეთის საბოლოო შეერთებას კახეთის მიერ გრიგოლ კახთა მთავარს (VIII ს-ის ბოლო) უკავშირებს (აღწ. გვ. 87). კუხეთი რომ, მართლაც, ცალკე ერთეულად არსებობდა ამას ისტორიული ტოპონიმიკაც მოწმობს: ზემონაჩვენებ „წინააღმდეგობებთან“ ერთად, ბოდბის ლოკალიზაციასთან რომ აღვნიშნეთ, ამის მოწმობაა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა: „ქუეყანა იორის პირი, კუხეთი“ (ანას. ქ-ცა, 203). ეს ჰერეთის ქვეყანა კუხეთად მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა წოდებულიყო, როდესაც კუხეთი პოლიტიკურად მასაც მოიცავდა, ხოლო ეს კი შესაძლებელია მაშინ მომხდარიყო, როდესაც კუხეთი პოლიტიკურად დამოუკიდებელ (კახეთისაგან) ერთეულს წარმოადგენდა. ამის გამოძახილია ივრის ბასეინის კუხეთად წოდება; (ცხადია, ივრის ზემო წელი გამორიცხულია).

29 ამას უცილობლად, რასაკვირველია, მხოლოდ არქეოლოგია დაამტკიცებს.

30 და არა იმ ციხე-სიმაგრისა, რომელიც დღესაცაა და არქეოლოგიური გათხრებით სამი წლის განმავლობაში კარგადაა გამოვლენილი.

აქ პირდაპირ მივადექით იმ ეკონომიურ სარჩულს, რომლითაც გაპირობებული იყო ქართლ-ჰერეთის პოლიტიკური ურთიერთობა და რომელმაც საბოლოო ჯამში წარმოქმნა ქალაქი უჯარმა.

ისეთი ჰავისა და რელიეფის მქონე ქვეყნისათვის, როგორიცაა საქართველო, ცხადია, განსაკუთრებით ისტორიულ ხანაში, დიდი მეურნეობრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მესაქონლეობას და, კერძოდ, მეცხვარეობას[31]. ეს სრულიად უდავოა საამისო არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და აგრეთვე ისტორიული წყაროების მონაცემებით. ცხადია, ამ გარემოებას უნდა გამოეწვია გარკვეული პოლიტიკური კურსი, ქართლის სამეფოს მესვეურებისა, რომელსაც ისინი ატარებდნენ კავკასიონის მთიანეთის მოსახლეობის მიმართ. კერძოდ, ჩვენ გვგონია, ამით უნდა აიხსნებოდეს ძირითადად ის ხშირად დამოწმებული ქ~ ც-ში საქმიანობა, რომელსაც ქართლის მეფეები ეწევიან კავკასის მთიანეთში: მაგ., ფარნავაზის და გათხოვილია ოსეთში; ცოლი ურძუკეთიდანა ჰყავს; საურმაგიც საქმიანობს მთიანეთში „დიდოეთიდან ეგრისამდე“ და ესენი „დაიპყრნა მისანდობელად თვისად“[32]. სპარსთა მეფემ მირიანის, თავისი შვილის, ქართლის ტახტზე დაჯდომის შემდეგ „წარიხუნა ჯევნი კავკასიანთანი, და დასხნა ყოველგან მთავარნი, და უბრძანა მათ ყოველთა, რათა იყუნენ მორჩილ ძისა მისისა მირიანისსა“[33]. თვით მირიანი, როგორც ვიცით, მთიანეთში ავრცელებს ქრისტიანულ რელიგიას; ვახტანგ გორგასალმა ოსები და „ყივჩაყები“ დაიმორჩილა; მას საერთოდ მთელი ივერიის მთიანეთი ემორჩილება: „წარვიდა ვახტანგ და მიადგა თიანეთს. მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი, ორმოცდაათი ათასი მჯედარი“[34]. დაჩი „ნოპატელებში“ საქმიანობს და სხვ. და სხვ. მაინცდამაინც ნეკრეს-ნელქარის ასეთი დაჟინებითი მშენებლობა და გამაგრება ქართლის მეფეების მიერ, რაც ორი ზემოხსენებული შემთხვევის გარდა ნაჩვენებია აგრეთვე მირიანის დროს[35] და თრდატის დროს[36]—ეს გარემოებაც ჩვენ, ნაწილობრივ მაინც, მიგვაჩნია ქართლის გავლენის გავრცელების ნიშნად მთიანეთში, კერძოდ, დიდოეთ-ხუნზახში, რომელთა მახლობლადაც იყო ეს გამაგრებული ქალაქი[37].

---

31 განსაკუთრებით ისეთი მთიანი ქვეყნისთვის, როგორიც იყო თავდაპირველი კახეთი, რომლის ძირითადი მეურნეობის დარგი სწორედ მესაქონლეობა და, კერძოდ, მეცხვარეობა იყო (იხ. ქვემოთ).

32 ანას. ქ ~ ცა, გვ. 19.

33 იქვე, გვ. 41.

34 იქვე, 98.

35 იქვე, 41. მირვანოზმა „მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრეს ქალაქის“.

36 Опис... 720; „ნეკრესს კახეთისასა ეკლესია აღიშენა განსრულებით“.

37 ამასთან დაკავშირებით ვფიქრობთ უადგილო არ იქნებოდა აქ მოგვეტანა მ. ჯანაშვილის ცნობები, რომლებიც მართალია შედარებით უფრო გვიანდელ ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია საქმე ცალმხრივად ან მხოლოდ კეთილგანწყობილებით არ უნდა გავიგოთ. თვით მთიელთა ბარში ექსპანსიისა და ბრძოლების ამბებიც კარგადაა ჩვენს წყაროებში ნაჩვენები (ოვსები, „ხაზარები") და სხვა მხრივაც კარგადაა ცნობილი, მაგრამ ქართლის სამეფოს მესვეურთა ზემონაჩვენები პოლიტიკური კურსიც უცილობლად მიგვაჩნია. და ეს მით უფრო რომ რამდენადაც ქართლის სამეფოს ეკონომიკა დაინტერესებული იყო მთიელ მომთაბარეთა ჯოგფარებით, იმდენადვე თვით მთა დამოკიდებული იყო ბარზე[38].

მაგრამ ამ პოლიტიკური კურსის ხორცშესხმისათვის გადასალახავი იყო ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რის გარეშე თვით ეს კურსი ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდა.

საქმე ისაა, რომ: „При рассмотрении агроботанической карты древней Грузии бросается в глаза большое несоответствие зимних и летних пастбищ: по площади летние пастбища в несколько раз превышают зимние, если к этому добавить и тот факт, что по емкости, т. е. количеству скота, выпасаемого на единицу площади, I га летних пастбищ более чем вдвое превосходит соответствующую площадь зимних пастбищ, то несоответствие между зимними и летними пастбищами, применительно к количеству общего поголовья всех видов выпасаемого на них скота, станет еще более очевидным"[39]. ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც შედგენილი აქვს ეს აგრო-ბოტანიკური რუკა[40], წერს: „ტფილისითგან ბარდავამდე და ივრის სანაპიროებზე

ნას მიუთითებენ, მაგრამ უთუოდ ძველ ტრადიციასაც მოწმობენ. მ. ჯანაშვილი წერს: „კვალი ქართველობისა ღლიღვს, საჩეჩნოს და ხუნზს დღესაც არ გამქრალა. საჩეჩნოს, მდ. ასსის ხეობაში, არის ძველი ტაძარი, რომლის ქართული წარწერები იხსენიებენ აქაურს ერისთავს (830 წელს) ეპისკოპოზ გიორგის და სხვ. ხუნძახის ახლოს აგრეთვე არის ტაძარი „დათუნი", რომლის ქართული წარწერა წაიკითხა ე. თაყაიშვილმა (ქართ. მატიანე, გვ. 58). ყაბარდოსაც აღმოჩნდა ქართულ წარწერიანი საყდარი" და სხვ. (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 173, შენ. 320). შდ. აკად. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნის დაღესტანში, მეცნ. აკად. საქართ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 4, 1940 წ. აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, 314—324; ტ. გ უ დ ა ვ ა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან. მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, 185—196.

38 კერძოდ, შესანიშნავად აქვს გამოთქმული. ამ მხრივ, ძველი კახეთის მნიშვნელობის შესახებ ვახუშტს. ლაპარაკობს რა ფშავებზე ამბობს: მიწის „სიმწირისათჳს მონებენ ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რ ა მ ე თ უ ი ზ რ დ ე ბ ი ა ნ მ უ ნ ი დ ა მ": აღწ. სამ. საქ., გვ. 92.

39 М. Д. Рчеулишвили, К истории овцеводства Грузии, 1953, გვ. 19.

40 იხ. საქართველოს ეკონ. ისტორია, წ. I, 1930.

ზამთრის საძოვრების არე იყო ისევე, როგორც გარეჯის მთებსა და უდაბნოს მიდამოებში. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა, სარწყავი რუს გამოყვანამდე, სამგორის ველსა და ჩადივარსაც"[41]. ცხადია, აქ იგულისხმება აგრეთვე ქიზიყი და შირაქი (ანუ ძველი კამბეჩანიც).

„Такое сравнительное малое количество участков, выделенных специально под зимние выпасы, с первого взгляда наводит на мысль, что возможности для развития овцеводства были ограничены. В этих условиях (небольшое количество зимних пастбищ) овцеводство могло достигнуть значительного развития или: 1. путем использования зимних пастбищ Северного Кавказа и современной Азербайджанской ССР; 2. путем засева больших площадей с целью заготовки сена, либо использования их под выпас и 3. Путем комбинированного использования пахотных площадей, а отчасти виноградников и садов, наряду с основным их назначением также и под зимние выпасы.

Использование зимних пастбищ Северного Кавказа и нынешнего Азербайджана не оставляет сомнений. Однако бывали периоды, когда оно не могло быть таким же широким, как после присоединения Кавказа к России, и, в особенности, после установления Советской власти на Кавказе. Кроме того использование зимних пастбищ Северного Кавказа могло иметь известное значение лишь для некоторых высокогорных районов Грузии."[42]

ამგვარად, თვით ზემოჩამოთვლილი საზამთრო საძოვრების გამოყენებაც კი, სხვა ნათესი ფართობების კომბინირებული მოხმარების გარეშე, არ იყო საკმარისი მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის მნიშვნელოვნად განვითარებისათვის. ამის შემდეგ ცხადია, თუ რამდენად მნელ-ვავედ უნდა დამდგარიყო ეს საკითხი ქართლის სამეფოსათვის მაგალითად, როდესაც ამ საძოვრების უმეტესობა მის ფარგლებს გარეთ რჩებოდა—ჰერეთსა და ნაწილობრივ რანში. როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, უეჭველია, ამ საძოვრების გამოყენება ქართლის სამეფოს მიერ, მაგრამ, მაინცდამაინც, მათი მოხმარების შესაძლებლობა დამოკიდებული იყო მეორე სახელმწიფოს ნება-სურვილზე და, ე. ი. საბოლოო ჯამში, ქართლის სამეფოსათვის დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო დარგის—მესაქონლეობის განვითარება მუდმივ საფრთხეში უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ქართლის სამეფოს მეურნეობ ს დოვლათიანობისათვის აუცილებელი იყო ამ

41 საქართველოს ეკ ნო. ისტორია, წ. 1, 1930.

42 М. Рчеулиш или, იქვე, 20—21.

საკითხის მისთვის სასარგებლოდ გადაჭრა, ე. ი. საზამთრო საძოვრების ხელში ჩაგდება და საკუთარი მესაქონლეობის განვითარების რეგულაცია და კონტროლი.

მეორე აგრეთვე ძირითადი ფაქტორი ივერიელთა აღმოსავლეთისაკენ მიგრაციისა უნდა ყოფილიყო იმ სავაჭრო გზის ხელში ჩაგდების სურვილი, რომელიც ალვანეთიდან სომხეთის გზით ივერიას მახლობელ აღმოსავლეთთან აკავშირებდა. მხედველობაში გვაქვს ე. წ. Tabula Peutingeriana, რომელიც დიდი ხანია რავენის ანონიმთან ერთად მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს სასანიდების დროინდელი ამ.-კავკასიის სავაჭრო გზების დადგენის საკითხში.

როგორც ცნობილია, ტაბულა პევტინგერიანა IV ს-ის ძეგლად ითვლება, თუმცა სრულიადაც არაა გამორიცხული მისი გამოყენება უფრო ძველი დროის მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ჩვენ, უპირველესად ყოვლისა, გვაინტერესებს ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზის ის მონაკვეთი, რომელიც ცნობილია ე. წ. „შემოვლითი ხაზის“ სახელწოდებით.

რაიონი, სადაც ეს გზა გადიოდა ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი არ არის და საამისოდ სხვადასხვა აზრია გამოთქმული.

მთელ რიგ ნაკლოვანებათა მიუხედავად, მაინც ჩვენ ს. ერემიანის მიერ განსაზღვრა ამ გზისა უფრო სწორად მიგვაჩნია, ვიდრე მარკვარტის[43] ან მანანდიანის მიერ, რომელიც მარკვარტს ემხრობა[44].

ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ ერემიანს იმ პუნქტების აღდგენის საკითხში, რომელზედაც ამ გზას უნდა გაევლო; მართლაც, მისი აღდგენა მეტად თვითნებურია და ყოველ შემთხვევაში სადავო[45]; მაგრამ, ჩვენი აზრით, ის კი თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ ქვეყანა Hiroae — Eroon, რომელზედაც ეს გზა გადიოდა უნდა იყოს ქართული ჰერეთი[46].

ამგვარად, ჩვენ ერემიანთან ერთად გვგონია, რომ „შემოვლითი გზა“ ჰერეთზე იდო. მაგრამ, დასადგენია, საკუთრივ სად გადიოდა იგი. ჩვენ აქ შესაძლებელია დახმარება გაგვიწიოს ნუმიზმატიკურმა მასალამ.

---

[43] იხ. С. Еремян, ВДИ, 1939, № I, 82.

[44] იხ. О торговле и городах Армении, 1954, გვ. 166—168.

[45] მაგ. რავენის ანონიმის Camia-ს აღადგენს ასე: Cambiza და ათავსებს სამგორის ველზე, „называемой в древности Камбечан-Камбисена античных авторов“!?

[46] „Выяснив пункты, через которые проходила „круговая линия,“ мы тем самым определили страну Hiroae, которой соответствует Eroon—AR. Пространство, заключенное в указанной „круговой линии,“ в древнегрузинских источниках известно под названием Heroti (sic.—დ. მ.) чему соответствуют Hiroae и Eroon. იქვე, გვ. 90.

ამ მხრივ, უფრო გვიანი დროისათვის, სახელდობრ VIII ს-თვის, არსებობს თ. ლომოურის ფრიად საყურადღებო გამოკვლევა[47]. ლაგოდეხის რაიონის სოფლებში: აფენში, ლელიანში და კავშირში აღმოჩენილი შერეული განძების (სასანურ-არაბული მონეტები) განხილვის შედეგად იგი ასკვნის: „ეს ფაქტები (განძების აღმოჩენა—**დ. მ.**) გვიჩვენებენ, რომ მოხსენებული რაიონი VIII—IX ს-ში ცხოველ სავაჭრო ურთიერთობაში ყოფილა დიდ პოლიტ.-ეკონომიურ ცენტრებთან (იგულისხმება სახალიფოს ცენტრები—**დ. მ.**). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ რაიონშიც, საცა ამდენი სასანურ-არაბული ფულების განძების პოვნაა დადასტურებული, მოხსენებული ურთიერთობის შედეგად წარმოიშვება უფრო მძლავრი ცენტრი, რომელსაც დაექვემდებარებოდა მთელი რაიონი. შესაძლებელია ასეთ ცენტრად სწორედ ლაგოდეხი ყოფილიყო, რომლის არსებობის შესახებ საკმაოდ ძველი და სანდო ცნობა მოგვეპოვება (იგულისხმება მელქისედეკ კათ-ის დაწერილი—**დ. მ.**). ასეთი მოსაზრების საფუძვლად ლაგოდეხის გეოგრაფიული მდებარეობა უნდა მივიჩნიოთ. იგი მდებარეობდა იმ დიდ გზაზე, რომელიც გაჭიმული იყო, რამოდენიმე ასეული კმ-ის მანძილზე და რომლის საშუალებითაც საქართველოს ეს მხარე უკავშირდებოდა ჩვენი ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელობის მქონე პროვინციას, როგორიც იყო სასანიანთა და არაბთა დროის რანი. ეს გზა მიიმართებოდა ალაზანსა და კავკასიონის ქედის შუა მდებარე ველზე. ერთი ბოლოთი გადასჭრიდა რა ალაზანს, ჟინვალს სამხრეთით უერთდებოდა თბილის-მცხეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას, ხოლო მეორე ბოლოთი გადიოდა ბელაქანსა, ზაქათალასა და ნუხაზე. აქ ერთი მისი შტო უხვევდა სამხრეთისაკენ, გადასჭრიდა მტკვარს და კვლავ სამხრეთისკენ მიდიოდა ქ. ბარდავამდე“.

სავარაუდოა თუ არა მაინცდამაინც ლაგოდეხი ცენტრად, ეს სხვა საკითხია; ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ, ამგვარად, ლაგოდეხის მახლობლად აღმოჩენილი განძები გვაგულისხმებინებენ VIII ს-ში აქ სავაჭრო გზის არსებობას, რომლის მიმართულებაც, საგულისხმოა ისეთი ყოფილიყო, როგორიც დღევანდელ ახმეტა-ზაქათლის შემაერთებელ გზასა აქვს (სოფ. ფშაველის და მთისძირის შერეული განძები). ჩვენთვის უფრო საინტერესოა—შესაძლებელია თუ არა ასეთი გზის დადასტურება უფრო ადრინდელი ხანისათვის?

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული განძები IX ს-ის დასაწყისით თარიღდებიან, ჩვენ გვგონია, რომ საამისო საბუთს ისინი იძლევიან. საამისო საბუთი უნდა იყოს, ჯერ ერთი, თვით ამ განძებ-

---

47 „სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი“. 1945, ხელნაწერი.

ში არსებული სასანური ფული, რომელიც თარიღდება VI ს. ბოლოთი და VII ს-ის დასაწყისით[48]. თვით ამ მონეტების გვიანდელ განძებში მოხვედრა მოწმობს, რომ „IX ს-ის პირველ ნახევარში VI—VII ს-ში მოჭრილი ფული ჯერ ისევ ცოცხალია და ხმარებიდან გამოსული არ არის". მართალია, აფენში, ლელიანში და კავშირში ნაპოვნი განძების მონეტების უმცირესი ნაწილია (8,3%) სასანური, მაგრამ თვით მათი შემონახვის ფაქტი მაინცდამაინც ამ ტერიტორიაზე, ეგებ ერთგვარად იმაზედაც მიუთითებდეს, რომ თვით მათი მოჭრის დროსაც ეს რაიონი სავაჭრო ურთიერთობის ასპარეზს წარმოადგენდა. საქმე ისაა, რომ არის ცნობები მსგავსი შერეული განძების აღმოჩენისა იმავე ტერიტორიიდან: თვით ლაგოდეხიდან და სოფ. ცოდნიდან (განძები დაიტაცეს). ამგვარივე განძებია აღმოჩენილი თელავის რ-ში: ფშაველში და ცულიყლაპია ჭყონის ტყეში[49] და ერთი შემთხვევაა კიდევ ბოგდანოვკის რაიონის სოფ. დლივში. ერთი შერეული განძი, მხოლოდ სასანურ-ბიზანტიური, ცნობილია თბილისიდან[50]. სხვა დანარჩენი პუნქტების მიხედვითაც, საცა მხოლოდ სასანური ფული აღმოჩნდა, ეგებ შესაძლებელი იყოს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საგულისხმო დასკვნების გაკეთება. ჯერ ერთი, ლაგოდეხის რაიონის სოფ. ბაისუბანში 1939 წ. აღმოჩენილია განძი, რომლისაგანაც გადარჩენილია მხოლოდ ორი მონეტა—კავადისა (488—531) და ორმიზდისა (579—90). შესაძლებელია ესეც შერეული განძი იყო. ერწოში: სოფ. ღულელებში, სამარხში—პეროზის (458—84) დრამა—1 ც; სიმონიანთ-ხევში (განძი უნდა იყოს)—კავადის (488—531) დრამები—17,5 ც; თოლენჯში (დიდი განძი)—71 ცალი გადაეგზავნა მუზეუმს—თარიღდება 457—579 წწ.; შემდეგ უჯარმაში (სიმაგრის № 5 კოშკიდან)—პეროზის დრამა—1 ც. უფრო დასავლეთით: მცხეთიდან ბევრია[51]; წიწამურში—კავადისა—2 ც.; მუხრანთან—შაბურ I 241—272[52];

პირველ ყოვლისა, აქედან გამოგვაქვს დასკვნა, რომ ნუმიზმატიკური მასალა ნაკლულია და ამდენად მასზე დაყრდნობით საბოლოო

---

48 ხოსრო I-ის, 531—579; ჰორმიზდ IV-ის, 579—590; ხოსრო II-ის, 590—628.

49 სად არის არ ვიცით.

50 ორმიზდ IV-ის, 579—90, ხოსრო II-ის, 590—628 და ერეკლე კეისრის, 610—41. 1962 წელს კიდევ ერთი განძი აღმოჩნდა სოფ. მთისძირში (არიში)—ყვარელის რ-ნი. ისტ. მეცნ. კანდიდატ ირ. ჯალაღანიას ცნობა.

51 შაბურ I, 241—272, ბარამ V, 420—32, იეზდიგერდ II, 439—57; კავადი, ხოსრო I, 531—79.

52 ქართლიდან კიდევ ერთი დრამაა ცნობილი კავადისა თრიალეთიდან, სოფ. სანთასთან (კუფტინით), სოღანლუღში—ხოსრო I-ის დრამა. უფრო დასავლეთით—საჩხერე, ზესტაფონი; უკიდურეს დასავლეთით—ციხისძირთან კავადის—2 ც. და ხოსრო I-ის 1 ც. პეტრასთან დაკავშირებული ამბები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილების მიღება ნაადრევია. მაგრამ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, სავარაუდო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას მაინც ვხედავთ. პირველი გარემოება ის არის, რომ არცერთი სასანური (და არც არაბული) მონეტა დღევანდელი გარეკახეთიდან არ გვხვდება[53], ხოლო აწინდელი შიგნიკახეთის, ძველი ჰერეთის და ძველი კახეთის ტერიტორიაზე დამოწმებული პუნქტები (ცოდნა, ლაგოდეხი, კავშირი, ბაისუბანი, აფენი, ლელიანი, მთისძირი, ფშაველი, ერწო, უჯარმა, მცხეთა), გვგონია, შესაძლებელია მიგვითითებდეს იმ გზაზე, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით (იხ. რუკა).

არ უნდა დავივიწყოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ნუმიზმატიკური მასალა, მართალია, სასანელების ბატონობის ხანაში თითქოს უნდა მიგვითითებდეს იმ სავაჭრო გზაზე, რომელიც ჰერეთ-კახეთზე გადიოდა, მაგრამ იგი მიგვითითებს, მაინცდამაინც V ს-ის მეორე ნახევარზე და ამის შემდგომ ხანაზე. ეს ქმნის საცთურს უფრო ადრე სადღაც სხვაგან ვეძებოთ ასეთი გზა; მაგრამ სამაგისო მონაცემებიც ჯერჯერობით არა გვაქვს (IV ს-ის ყარაღაჯული დრამა მაინცდამაინც, განცალკევებულად გამოიყურება სადღეისოდ). ამას გარდა, არის საფუძველი IV საუკუნეშიც იგივე გზა ვივარაუდოთ. მხედველობაში გვაქვს ზემოგანხილული მარშრუტი წმ. ნინოსი: წობენიდან გადადის ერწოში, დგება ჟალეთში, აქედან ჩამოდის კაწარეთში, ხოლო კაწარეთიდან გადადის კახეთში და გადის ჰერეთში. გზის მონაკვეთი ჟალეთიდან კაწარეთში ნუმიზმატიკურადაც ივარაუდება V ს-ში (ერწო-უჯარმა); რაც შეეხება კაწარეთ-კახეთის გზას, ანუ, როგორც ვვარაუდობდით, გომბორის საუღელტეხილო გზას, ეს [illegible]ასაკვირველია როგორც უმოკლესი, თავისთავად სავარაუდებელია [illegible] ს-შიც (ეხლაც ხომ ასეა).

დაბოლოს, რომ სავაჭრო გზა, მართლაც, ალაზნის ველზე გადიამას, ეგების, ის გარემოება მიგვითითებდეს, რომ ზემოდასახელ სოფელთა უმრავლესობა, რომელთაც ჩვენ კახეთ-კუხეთისკრეთში გადმოსული მოსახლეობის სამოსახლოებად ვთვლით, [illegible] ალაზნის ველზე მდებარეობს (ყვარელი, არტანი, ბუშათი [illegible][54].

[illegible] სოფ. [illegible]ურესი ი წერტილი საამისო არის წითელწყაროს რ-ნის ტერიტორიაზე, 380), [illegible]თან სამარხიდან მოპოვებული, 1938 წ. მონეტა, შაბურ II-ისა—(310— [illegible]გორც ე[illegible]ლსთავად მნიშვნელოვანი გარემოებაა, იმითაც, რომ IV ს-ნე, [illegible]რასაკვირველ[illegible]ეძემ შეგვნიშნა, საქართველოში ნუმიზმატიკური ლაკუნაა. ესეც, [illegible] ზემ[illegible]ხსენ[illegible]ა შემთხვევითი და ასახსნელი გარემოებაა.

[illegible]ეცნ. დოქტ. დ. [illegible]ცნობები ნუმიზმატიკური მასალის შესახებ მოგვაწოდა ისტ.

[54] [illegible]თვისთავაძემ.

 [illegible]გარემოება მიუთითებს ამ მოვლენის მიზეზზე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თითქოს სავარაუდო უნდა იყოს, რომ Tabula Peutingeriana-ზე აღნიშნული გზა, რომელიც ერემიანის სამართლიანი ვარაუდით კახეთ-ჰერეთზე იდო, უნდა გასულიყო ალაზნის ველზე და იქიდან გომბორის უღელტეხილით და ან თიანეთის გზით ივრის ხეობაში გადასულიყო. ჩვენი აზრით, უეჭველია, ამ გზას ქალაქ უჯარმაზე უნდა გაევლო[55], ხოლო აქედან სამგორით თბილის-მცხეთისკენ გასულიყო[56].

ამგვარად, ეს მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც ალაზნის ველის ნაყოფიერ მიწაზე იდო, უნდა ყოფილიყო, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ქართლის სამეფოს გაფართოების ტენდენციისა ჰერეთისაკენ და აგრეთვე კახების ჩამოსახლებისა ჰერეთში. ეგევე გზა უნდა ყოფილიყო მძლავრი ფაქტორი უჯარმის ხვედრითი წონის გაზრდისა და მისი კახეთის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევისაც. მაგრამ აქ ახვა ფაქტორებიც მოქმედებდნენ.

*

* *

ზემოთ ნათქვამი გვქონდა, რომ უჯარმის ქალაქად გადაქცევის ძირითად ფაქტორად კახეთის (ვიწროდ: ივრის ხეობის) მეურნეობრივი ევოლუციის მთელი გზა მიგვაჩნია.

მეურნეობის მხრივ ივრის ხეობა ორ ზონად შეიძლება დაიყოს: ზემო წელი (ივრის ფშავი, თიანეთი, ერწო)—მთის ტიპის მეურნეობაა: მესაქონლეობა, მემინდვრეობა (პირველის ხვედრითი წონა მეტია); ქვემო წელი (უკეთ, შუა წელი, გარე კახეთი)—ბარის ტიპის მეურნეობა (მემინდვრეობა, მევენახეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა; მესაქონლეობა). ამას გარდა, ივრის ქვემო წელის გაყოლებით, როგორც ვიცით, საზამთრო საძოვრები იყო.

გეოგრაფიულად ქ. უჯარმა ამ ორი ზონის საზღვარზეა, უკეთ, იგი მეორე ზონაში შედის. მცირე ვენახები უჯარმაში ეხლაცაა. ჯერ კიდევ დღევანდელი მოსახლეობის ხსოვნაში უჯარმას დიდი ზვრები ჰქონდა; რომ აქ ადრეც, უძველეს ხანაში უნდა ყოფილიყო განვითარებული მევენახეობა და ე. ი. მეღვინეობაც, ამას მოწმობს ალაზნის ველის კულტურის ძეგლების აღმოჩენა პატარძეულსა და ანთოკ-

---

[55] შდ. ВДИ, 1939, № 1, 89.

[56] ამ მხარის ურთიერთობისათვის სასანურ ერანთან საინტერესოა მუღანლოში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული ბეჭედი ბრინჯაოსი, ფარზე გემმით, (ცნობა მოგვაწოდა გ. ლომთათიძემ).

ში[57] და აგრეთვე ყურძნის წიპწების აღმოჩენა საგარეჯოსთან გათხრილი ადრე-ანტიკური დროის სამაროვანში, (გიორგი-წმინდასთან)[58].

მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მემინდვრეობის განვითარებასაც (ქვაკაცას არხი[59], სამგორის არხი).

განსაკუთრებული მნიშვნელობა უჯარმის ქალაქად გადაქცევისათვის უნდა ჰქონოდა მესაქონლეობას, კერძოდ მეცხვარეობას; ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი მდებარეობა სწორედ ივრის ვიწრო ხეობაში შესასვლელთან, რომლის ქვევით ივრის „ხეობა" ფაქტიურად ველს წარმოადგენს და რომელიც ზამთრის საძოვრებად გამოიყენებოდა. „კახეთის მთეულეთის" ჯოგ-ფარებს, ივრის ხეობით მომავალთ, სწორედ აქ უნდა გაევლოთ. სავარაუდოა უჯარმის ხელში ყოფილიყო ივრის ზამთრის საძოვრების მთიელთა მიერ გამოყენების კონტროლი და რეგულაცია. ჩვენ გვგონია საამისო პირდაპირი მითითება გვაქვს, ცოტა უფრო გვიანი ხანისათვის, ქ ც-ში: იერუსალიმში და იქიდან ერანში მიმავალი ვახტანგ გორგასალი თავის ერთგულ ერისთავებს უტოვებს აღსაზრდელად მემკვიდრეს: „ამათ შეეედრა ძე თვისი დარჩი, და უბრძანა აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა, რამეთუ სიმარჯუედ გამონახა იგი ნადირთა და ცხოვართათუის"[60].

აქ უნიკალური ცნობა გვაქვს ქალაქ უჯარმის მნიშვნელობის შესახებ ქართლის სამეფოს მესაქონლეობისათვის, კერძოდ, მეცხვარეობისათვის და პირუკუ — მეცხვარეობის, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორის შესახებ, უჯარმის განვითარება-აყვავებისათვის.

ამგვარად, ივრის ხეობის მეურნეობის (მესაქონლეობა, მეევნახეობა, მემინდვრეობა) განვითარებაში უნდა ვეძიოთ უჯარმის გაქალაქების მიზეზები. მეორე მხრივ, უჯარმაზე გამავალ სავაჭრო

---

57 გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ალაზნის ველის გათხრები, 1940, გვ. 31 და 36.

58 საშუალო საუკუნეებშიაც რომ იყო მეღვინეობა ამაზე უნდა მიუთითებდეს სამეურნეო დანიშნულების მარნიანი შენობა სოფ. უჯარმასთან, სასახლის ხევში, ნინიკელაანთ ეკლესიის მახლობლად.

59 ამ ნაარხალის შესახებ, რომელიც სოფ. სართიჭალიდან სამხრეთით 9—10 კმ-ის მანძილზე გადის, ცნობა მოგვაწოდა დ. თუშაბრამიშვილმა. მანვე მიგვითითა იქ ადრეფეოდალური სამაროვნის არსებობაზე, რომლის ზოგიერთი სამარხი კიდევაც გაითხარა.

60 ანას, ქ ᲪᲐ, გვ. 126. საინტერესოა, რომ ივრის ხეობაში, საერთოდ, და უჯარმის სანახებში კერძოდ, ცნობილია მარილიანი წყლები, რომელთაც მესაქონლეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. ერთ-ერთ ამგვარ წყაროს უჯარმასთან „გორგასლის წყაროს" უწოდებენ (იხ. **Минеральные ресурсы**, 1933, გვ. 961—967; ლიტერატურაზე მიგვითითა და ცნობა მოგვაწოდა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ნ. ხოშტარიამ).

გზას ხელი უნდა შეეწყო ქალაქის დაწინაურებისა და ზრდა-განვითარებისათვის.

ცხადია, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ მესაქონლეობას, კერძოდ, მეცხვარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა უჯარმის ქალაქად გადაქცევისათვის, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მეცხვარეობა უშუალოდ კი არ ახდენდა გავლენას ამ პროცესზე, არამედ მასზე დამყარებული ხელოსნობისა და ვაჭრობის საშუალებით. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ვიდრე არქეოლოგიურად არ იქნება შესწავლილი თვით ქალაქი უჯარმა, ჩვენთვის სრულიად შეუძლებელია კონკრეტულად იმის წარმოდგენა, თუ რა მიმართებაში იყო უჯარმის საქალაქო მეურნეობა ივრის ხეობის სოფლის მეურნეობასთან; მაგრამ ერთი კი უეჭველია, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა იმ საფუძველს, რომელზედაც, ძირითადად, დამყარებული უნდა ყოფილიყო ქალაქის ეკონომიკა,—ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა.

უნდა აღვნიშნოთ: ჩვენ არაფერს ვამბობთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობის იმ ნაწილზე, სადაც ლაპარაკია, რომ ვახტანგმა უჯარმა „სიმარჯუედ გამონახა... ნადირთათუის“ და არა მხოლოდ „ცხოვართათუის“. არაფერს ვამბობთ შეგნებულად, რადგან ცნობის ეს ჩვენება სულ სხვა კომპლექსში უნდა იყოს განხილული. საქმე ისაა, რომ აქ ლაპარაკია ნადირობაზე იმ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით, რომელიც კარგადაა დამოწმებული ფეოდალური საქართველოს ისტორიის მთელ სიგრძეზე. ცხადია, უფლისწულის აღსაზრდელად მომავალი მმართველობისათვის ნადირობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ ის პუნქტიც უფრო მარჯვე იყო და მნიშვნელოვანი, რომელსაც საამისო პირობები გააჩნდა. სწორედ ამიტომაა, რომ ვახტანგმა უჯარმა „სიმარჯვედ გამონახა... ნადირთა და ცხოვართათუის“: თუ მაშასადამე ქალაქი უჯარმა მარჯვე იყო თავისი მდებარეობით „კახეთის მთეულეთის“ ცხვრის ექსპლოატაციისათვის, რამდენადაც იგი, სავარაუდოა, ბატონობდა კახეთის მთაზედაც და ველზეც, და პირველსაც და მეორესაც ექსპლოატაციას უწევდა, ამდენადვე იგი მარჯვე იყო ნადირობისათვის და ე. ი. იგი მნიშვნელოვანი იყო, როგორც სამეფო და სახელმწიფო მეურნეობისათვის, ისევე მომავალი მმართველის აღსაზრდელადაც.

სხვამხრივ, ჩვენი აზრით, ამ ცნობის გაგება შეუძლებელია. აქედან კი გასაგებია, რომ ქალაქის წარმოქმნის საკითხისათვის, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, უჯარმის „ნადირთათვის“ მნიშვნელობა მხედველობაში მისაღები არ არის.

რამდენადაც თვით მეურნეობის იმ დარგების განვითარება, რომელთაც განაპირობეს უჯარმის ქალაქად გადაქცევა, დამოკიდებული

იყო კახეთის (და კუხეთის) ჰერეთისაკენ ზემოაღნიშნული გაფართოების ტენდენციისაგან (ამის შესახებ ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ), ამდენადვე ეს უკანასკნელიც მნიშვნელოვნად აპირობებდა უჯარმის გაქალაქებას. სავარაუდოა ამიტომ ამგვარი პოლიტიკური კურსის წარმოების ძირითადი ცენტრი ამ დროისათვის უჯარმაში ყოფილიყო. ეგებ ამაზე მიგვითითებდეს ზემოხსენებული მშენებლობა უჯარმისა ასფაგურ ფარნავაზიანის მიერ (III ს.). მეორე მხრივ, IV საუკუნისათვის ჰერეთის მიწების შემოერთება-შემომტკიცების საქმე იმდენად წინ წასული ჩანს, რომ ბუნებრივია, მოთხოვნილება გაჩენილიყო კახეთის პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთიდან უფრო სამხრეთისაკენ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლებისა. ამ პროცესის დასაწყისს უნდა მიუთითებდეს ასფაგურის მიერ უჯარმის აღშენება, ხოლო მის საბოლოო გაფორმებას—მირიანის საქმიანობა: მირიანმა „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას“[61].

ამგვარად, IV ს-ის პირველ ნახევარში უჯარმა ხდება კახეთის (და კუხეთის) პოლიტიკური ცენტრი.

ჩვენთვის საინტერესოა იმ პოლიტიკური ერთეულის დაახლოებითი მოცულობის გაგება, რომლის ცენტრადაც უჯარმა იყო.

თუ „ქართლის ცხოვრებას“ დავუჯერეთ, აქ გაერთიანებული იყო, ჯერ ერთი, კახეთი და მასთან ერთად კუხეთიც; მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ ერთეულში უნდა შესულიყო შემოერთებული ჰერეთის გარკვეული ნაწილიც.

მხედველობაში გვაქვს წმ. ნინოს შატბერდული ცხოვრების თხრობა ორი ვარსკვლავის შესახებ, რომელნიც პატიოსანი ჯვრიდან ამოვიდნენ და „ერთი იგი წარვიდეს აღმოსავლით და ერთი დასავლით“. ერთი დაადგა თხოთის მთას, მეორე „დაბასა ბოდს კახეთისა ქყნსა“[62]; „მაშინ ბრძანა, ნეტარმან ნინო, რ᾽ა წარიხუნენ ორნი ესე ჯ᾽რნი და „აღჰმართნენ ერთი თხოთს, სადა იგი ამხილა ღ᾽ნ მეფესა ძალი თჳსი, და ერთი იგი მიეც სალომეს უჯარმელსა ჰეშმარიტსა მჴევალსა ქ᾽ესსა, და აღჰმართოს იგი უჟარმას ქ᾽ლქსა და დაბა ბოდისი არა წინა აღუდგეს ქ᾽ლქსა მეფეთასა რ᾽ერისა სიმრავლჱ არს მუნ“[63].

ამჯერად, ამ ფრიად საყურადღებო ცნობიდან, რომელსაც ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით, ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოე-

---

61 ანას. ქ᾽ც ა, 14.

62 **Опис.**, 789, 790.

63 იქვე, 791.

ბას, რომ აქედან გამომდინარე, კახეთის დაბა ბოდისი ანუ ბოდბე, მაინცდამაინც, ქალაქ უჯარმის საგამგეოში შედის, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ არ გადაიტანდნენ ჯვარს (ე. ი. საეკლესიო, resp. კულტურული, resp. პოლიტიკური ძალაუფლების ნიშანს) ბოდბედან.

ე. ი. ის პოლიტიკური ერთეული, რომლის ცენტრადაც IV ს-ის პირველი ნახევრისათვის ქალაქი უჯარმა გვევლინება, წყაროების მიხედვით, შედგებოდა კახეთ-კუხეთისაგან და ჰერეთის შემოერთებული ნაწილისაგან ბოდბიანად, ე. ი. პოლიტიკურად ჰერეთის ეს ნაწილი კახეთ-კუხეთი იყო[64].

IV ს-ში უჯარმა ქართლის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უდიდესი ცენტრია, როგორც ვნახეთ „ერისა სიმრავლჱ არს მუნ"; იგი, ამ მხრივ, მხოლოდ მცხეთას თუ შეედრება. ამიტომაა, მემატიანე მხოლოდ ამ ორ ქალაქს რომ იხსენიებს ნინოს სიკვდილთან დაკავშირებით: „მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი მცხეთა და უჟარმა და ყ᾽ი ქართლი"[65].

კიდევ უფრო შესანიშნავია ის გარემოება, რომ უჯარმა მისი საგამგეოითურთ საუფლისწულო ხდება მირიანის დროს. ეს ცხადია ზემომოტანილი ამონაწერიდან: „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას". წმ. ნინოს სიკვდილის დროსაც რევი და სალომე უჯარმაში არიან. ბოდბედან რომ ამბავი მოვიდა, „მოხვიდეს უჟარმით ქ᾽ლქით რევ ძჱ მეფისა და სალომჱ ცოლი მისი" ბოდბეში[66].

ეს გარემოება თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია. „საუფლისწულო" გარკვეული ინსტიტუტი იყო. თუ რა შინაარსისა და დანიშნულებისა იყო ეს ინსტიტუტი, საამისოდ მირიანის თანამედროვე სასანური ერანის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

ა. კრისტენსენი თავის მონოგრაფიაში სასანური ერანის შესახებ წერს, რომ ძველი ჩვეულების მიხედვით შაჰის შვილებს, განსაკუთრებით ტახტის მემკვიდრეებს, სახელმწიფო მმართველობის გამოცდილება უნდა მიეღოთ მნიშვნელოვანი პროვინციების გამგებლობის საშუალებით; ასეთი მნიშვნელოვანი პროვინცია ერანისთვის იყო, მაგ.: აღმოსავლეთის ქვეყნები, რომელთა მმართველები (სეფეწუ-

---

64 შესაძლებელია ამ გარემოებით აიხსნას ის ხშირი ზემოაღნიშნული მოვლენა ბოდბე რომ ხან კახეთ-კუხეთშია, ხან ჰერეთში; ან ის რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსით „ქუეყანა იორის პირი, კუხეთი" ყოფილა მის დროს. რაც შეეხება ჰერეთის დანარჩენ ნაწილს ამის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

65 იქვე, 718.

66 Опис..., 717. ესეც კიდევ ერთხელ მოწმობს რომ ბოდბე საუფლისწულოში შედის.

ლები) ხორასნის გამგებლებად და „ქუშანის მეფეებად“ იწოდებოდნენ და სხვ. ეს სეფეწულნი აგრეთვე შაჰებად იწოდებოდნენ[67].

„საუფლისწულოს“ შინაარსის ერთგვარად განმსაზღვრელად მიგვაჩნია ქ ̄ ც-ში დაცული ერთი ცნობა. კერძოდ, მირიან მეფე თავის შესახებ ამბობს: მამაჩემსო „საუფლისწულოდ ებოძნეს უცხონი ქვეყანანი მკლავითა წახმულნი“[68].

კახეთ-ჰერეთი, როგორც ზემოთქმული დახასიათებიდან ცხადი უნდა ყოფილიყო, სამეურნეო თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობისა იყო ქართლის სამეფოსათვის. ამასთან, მიუხედავად ამ პროცესის უძველესი ხანებიდან დაწყებისა და რამდენადაც შერწყმის ეს პროცესი მირიანის დროსაც გრძელდებოდა, ჰერეთი მაინცდამაინც „მკლავითა წახმული“ ქვეყანა იყო. ამგვარად, თუ ეს გარემოებანი, თავის მხრივ, კახეთ-ჰერეთის „საუფლისწულოდ“ გადაქცევას, ასე ვთქვათ, გასაგებად ხდიან, მეორე მხრივ, თვით ეს მოვლენა ხაზს უსვამს იმ დიდ მნიშვნელობას, ქართლის სამეფოსათვის რომ ჰქონდა ქვეყნის ამ აღმოსავლეთ პერიფერიას. ის ქალაქი კი, რომელიც საუფლისწულოს ცენტრი იყო, აკი „მეფეთა ქალაქად“ იწოდება (იხ. ზემოთ).

მირიანის დროს ტრადიციული პოლიტიკური კურსი აღმოსავლეთის მიმართ გრძელდება. ამ ქართული წყაროებით პირველად ვხვდებით ცნობას, რომლის მიხედვითაც იგი ქვემო ქართლიდანაც უნდა ვივარაუდოთ. ვგულისხმობთ ცნობას იმის შესახებ, რომ მირიანმა მოიყვანა „თუისი მისი“ ფეროზ და „მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდინ, ორივე კერძო მტკურისა“[69].

რაც შეეხება მირიანის კულტურულ საქმიანობას შემოერთებულ ჰერეთში, მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგი საამისოდ დიდი ხნის შემზადებული იყო, მაინც, როგორც ჩანს, ყველაფერი ისე თანხმობით არ იყო, როგორც ჩვენს წყაროებს სურთ წარმოადგინონ. მირიანის საქმიანობა წინააღმდეგობას ხვდებოდა.

ჩვენ დავუბრუნდებით ზემომოტანილ ცნობას უჯარმაში „ჯვრის აღმართვას“ რომ შეეხება. ამ ცნობის მიხედვით ბოდბეში „ჯვრის აღმართვა“, ე. ი. საეკლესიო ცენტრის დაარსება (აქედან გამომდინარე თუ, პირუკუ, საამპირობო ყველა გარემოებათა ჯერ კიდევ ხელშეუწყობლობის გამო), ჯერჯერობით, ნაადრევად უცვნიათ (ეს ცოტა უფრო გვიან მოხერხდა). საამისოდ ნიადაგია ჯერ კიდევ მოსამ-

---

[67] A. Christensen, L' Iran sous les Sassanides, 1944, p. 102.

[68] ანას. ქ ̄ ცა, 42.

[69] ანას. ქ ̄ ცა, 43.

ზადებელი. ამიტომაც ამბობს წმ. ნინო: „დაბაჲ კულა ბოდისა თჳთ ვიხილოთ სათნოჲ იგი ადგილი ღჲ“[70]. რომ ეს, მართლაც, ასე უნდა ყოფილიყო და რომ თავისი ეს მისია წმ. ნინომ შეასრულა კიდეც, ეს, ჯერ-ერთი, იქიდანაც ჩანს, რომ წმ. ნინო, მართლაც, მიდის ბოდში. ეს ჩანს აგრეთვე მირიან მეფის ანდერძიდან. სიკვდილის წინ იგი უბარებს თავის ცოლს: „შენ... განიყო სამეფო განძი ჩვენი ორად: და მიიღე სამარხავსა ნინოსა განმანათლებელსა ჩვენსა, ჟამთა შეცუალებისათვის, რათა არა შეირყიოს უკუნისამდე იგი ადგილი: რამეთუ მეფეთა საჯდომი არს, არამედ მწირს არს“[71]. ამგვარად, მირიან მეფე, რომელმაც ბოდბე შემოიმტკიცა, თავის პოზიციას აქ მაინცდამაინც მყარად ვერა გრძნობს და მემკვიდრეებს საგანგებოდ უბარებს ამ ადგილის დაცვას „ჟამთა შეცუალებისაგან“. რასაკვირველია, ბოდბე აქ სიტყვა-სიტყვით ერთ პუნქტად კი არ უნდა გავიგოთ, არამედ გარკვეული მხარის ერთ-ერთ ცენტრად.

მტკიცე არა ჩანს მირიანის პოზიცია რანშიც. იგი ვერ ახერხებს იმგვარი დიდი კულტურული საქმიანობის გაშლას, როგორსაც ჰერეთის შემოერთებულ ნაწილში ეწეოდა. ამას ახერხებს მისი შვილი ბაქარი[72].

მაგრამ, რასაკვირველია, მირიანის ეპოქის კულტურული საქმიანობა, მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართლის სამეფოსა და ჰერეთისათვის. ამის შედეგად „მირიან მეფემან, განამტკიცა ყოველი ქართლი და ერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა“[73]. თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს „სარწმუნოებრივი განმტკიცება“ ამის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკვე IV ს-ში ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე იქმნება დიდი პოლიტიკური ერთეული კულტურით ერთიანი, თუმცა ეთნიკურად კიდევ ნარევი მოსახლეობით, და ამ ერთეულის ცენტრია ქალაქი უჯარმა.

---

70 Опис..., 791.

71 ანას. ქცა, გვ. 83.

72 იქვე, 84—85.

73 ანას. ქცა, 82, ეს თავის მხრივ ადასტურებს ჩვენს ზემოთ მოტანილ ვარაუდს, რომ წმ. ნინოს ჰერეთშიც გაუშლია თავისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

უჯარმა ვახტანგ გორგასლის დროს

თუ ერთმანეთს შევადარებთ „ჰერეთის“ შინაარსის ლეონტი მროველისეულ და ჯუანშერისეულ გაგებას, დავინახავთ მათ შორის არსებით განსხვავებას. განსხვავებაა „ჰერეთის“ შინაარსის ქართლისადმი მიმართებაში.

დავიწყოთ ლეონტი მროველიდან. გამომდინარე თავისი კონცეფციიდან, რომ ქართლოსი და ჰეროსი ძმები არიან, იგი მთელი თავისი თხზულების მანძილზე ჰერეთსა და ქართლს თანასწორ ერთეულებად სახავს. მაგალითად: „და მეფობდა მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ერეთს, მოვკანს და ეგრს“[1]; ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილები ამ თხზულებიდან, საცა საკუთრივ ქართლი და ჰერეთია ურთიერთ დაპირისპირებული. ერთი ასეთი ადგილი ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ: „მირიან მეფემან განამტკიცა ყოველი ქართლი და ერეთი სარწმუნოებასა ზედა“ და სხვ[2]. აქ მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ჰერეთი (თუ მისი დიდი ნაწილი) ფაქტიურად შემოერთებულია და მირიანის სახელმწიფოში შემოდის, იგი მაინც ქართლის თანასწორ ერთეულად იგულისხმება (ეს ჩანს კონტექსტიდან; ქართლში აქ იგულისხმება ივერია, ამდენად „ჰერეთი“ არის ის, რაც ჯერ არ არის ივერია; წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ამგვარი დაპირისპირება). კიდევ უფრო კარგად ჩანს ეს ცოტა ქვემოთ. მირიანის ერთ-ერთ მემკვიდრეს, ვარაზ-ბაქარ მირდატის ძეს განუდგა კლარჯეთი, რომელიც მეერთო ბერძნებს, და „დაჰრჩა ვარზა-ბაქარს ქართლი, თუინიერ კლარჯეთისა, და ერეთი და ეგრისი“[3]. აქაც, მაშასადამე, ჰერეთი ქართლის თანასწორ ერთეულადაა ეგრისთან ერთად ნაგულისხმევი (და არა კლარჯეთივით ქართლში შემავალად!).

სხვაგვარი მდგომარეობაა, ამ მხრივ, ჯუანშერთან. ეს შეიმჩნევა მისი თხზულების დასაწყისიდანვე. მაგალითად: მირდატის (IV—V სს.) ტყვეობაში სიკვდილის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში

---

1 ქცა ანას. 41.

2 იქვე, 82.

3 იქვე, 86.

სპარსელები განაგებდნენ ქართლის სამეფოს და „ერისთავი სპარსთა მეფისა, რომელი ერისთაობდა რანს და მოვკანს, ვიდრე არჩილის მეფობამდე, მისვე განგებულ იყო ქართლი“[4]. აქედან, ჩვენი აზრით, სავარაუდოა რომ „ქართლში“ იგულისხმება ჰერეთიც. მაინცდამაინც, დაუჯერებელია სპარსთა ერისთავი ქართლს, რანს და მოვაკანს განაგებდეს, ხოლო მათ შორის მოთავსებულ ჰერეთს კი არა. ჩვენი ვარაუდი რომ სწორია, აშკარად ჩანს შემდეგიდან: ვახტანგ გორგასალთან საბრძოლველად „მოვიდა ხუასრო მეფე, და შემუსრნა ქალაქნი კამბეჩოანი, და ჭერამის ციხე. და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა“[5]. ამგვარად, ხუასროს გამოუვლია ჰერეთი (კამბეჩოანი, ჭერემი) და აქედან გადასულა კახეთში. ლეონტი მროველის კონცეფციით, ზემოთქმულის შემდეგ, ცხადი უნდა იყოს, რომ ხუასრო ჰერეთიდან უნდა გადასულიყო „ქართლად“[6]. ამგვარად, ჯუანშერი ლეონტივით ქართლს კი არ უპირისპირებს ჰერეთს, არამედ კახეთს და ამდენადვე „ჰერეთის“ ცნება ქართლის მიმართ მას ისევე ესმის, როგორც, მაგალითად, ზემომოტანილ ამონაწერში ლეონტი მროველს კლარჯეთის ცნება ესმოდა ქართლის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინააღმდეგ ლეონტი მროველის კონცეფციისა, ჯუანშერის კონცეფციით „ქართლის“ ცნება ფარავს ჰერეთს, ე. ი. ჰერეთი ქართლის ერთ-ერთ ნაწილად ითვლება ისევე, როგორც კახეთი ან კლარჯეთი და ა. შ. ეს რომ ასეა, ჰერეთი რომ უკვე არა ქართლის, არამედ კახეთის თანასწორად ესმით, ეს კარგად ჩანს სხვა ადგილებიდანაც: ბაკურ მეფის ჩამომავლებმა (VI ს-ის მეორე ნახევარი) „დაიპყრეს კახეთი და ერეთი“[7]; ან: „ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკუიდრო ქმნილ იყო, ხოლო ერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო...“[8].

თუ ჩვენ ზემომოტანილ მსჯელობას სწორად ჩავთვლით, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ „ჰერეთის“ ცნების „ქართლის“ მიმართებით ლეონტი მროველისეულ და ჯუანშერისეულ ინტერპრეტაციაში არსებითი განსხვავებაა.

რაში უნდა გამოხატულიყო რეალურად ასეთი განსხვავება? ამაზე პასუხის გაცემა არსებული წყაროებით ჩვენთვის ადვილი არ არის, მაგრამ ვარაუდის სახით შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრების წამოყენება.

---

4 იქვე, 89.

5 იქვე, 137. აქედან, სხვათა შორის, ცხადია: „ქვეყანა, იორის პირი“ კუხეთთან ერთად კახეთიცაა ზოგჯერ!

6 შდ. ზემოთ, ლეონტის ცნობა აზორკ და არმაზელის შესახებ!

7 იქვე, 143.

8 იქვე, 155.

ეგების ზემოთქმულის საფუძველზე სავარაუდო იყოს, თავდაპირველად ჰერეთი ქართლთან ვასალურ დამოკიდებულებაში ყოფილიყო (ლეონტის კონცეფცია), ხოლო უფრო გვიან ჰერეთი უშუალოდ იქნა შეერთებული ქართლის სახელმწიფოს მიერ (ჯუანშერის კონცეფცია). ეს უკანასკნელი მოვლენა მოსალოდნელია მომხდარიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰერეთის მოსახლეობა ქართულთან კულტურულად ერთ მთლიანს შეადგენდა, ხოლო თვით ჰერები მთლიანად თუ არა დიდ ნაწილში მაინც ასიმილირებულნი იქნებოდნენ. ე. ი. ეს მოვლენა სავარაუდოა, მაინცდამაინც, მირიანის შემდეგ. მირიანის მეფობა მოსამზადებელი პერიოდი იყო ამისათვის (მართლაც მის დროს, როგორც ვნახეთ, ეს არაა სავარაუდებელი); მაგრამ მაინც როდის და ვის მიერ უნდა ჩატარებულიყო ეს მნიშვნელოვანი რეფორმა? ამისი დაზუსტებაც თითქოს შესაძლებელია.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ვახტანგ გორგასლის მამის შესახებ ამბობს: „მეფობდა მირდატ, და მთავარ ებს´ კპსი იყო გლონოქორ; და ესე მთავარ ებს´ კპსი ერისთავადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“[9]. გვგონია აქ სწორედ ისეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორიც ზოგადად ლეონტი მროველის კონცეფციას ახასიათებს და ამდენად ჰერეთის გულვება ქართლის სამეფოს ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად უფრო გვიანაა მოსალოდნელი, და მართლაც, მირდატის მემკვიდრე ვახტანგ გორგასლის დროს „ჰერეთი ქართლის სახელმწიფოში შემავალი იყო და მის ერთ-ერთ საერისთაოს შეადგენდა“[10].

---

[9] Опис..., 721.

[10] ნ. ბერძენიშვილი, „მიმომხ.“, III, 67. ბ. ინგოროყვა თავის გამოკვლევაში წერს: „მეტად არქაულია ლეონტი მროველის წარმოდგენა ჰერეთის შესახებ...

აღსანიშნავია, რომ ლეონტი მროველს ჰერეთი ჯერ კიდევ მიაჩნია საქართველოდან—„ქართლი“-ს ქვეყნიდან (იბერიიდან) განკერძოებულ მხარედ... ასეთი შეხედულება შეუძლებელია გამოეთქვა ქართველ მწერალს მე-7—8 საუკუნეზე უფრო გვიან ხანაში.

მე-8 საუკუნიდან მოკიდებული ჰერეთი საბოლოოდ შედის ქართული კულტურის გავლენის ზონაში, ქართული ქვეყნების კოლექტივში“. ამის საბუთად ავტორს არჩილ მეფის მოღვაწეობა მოჰყავს (იხ. ამის შესახებ ქვემოთ). „მე-9 საუკუნის ქართველი ავტორი—„ვახტანგ გორგასალის ცხოვრების“ აღმწერელი ჰერეთს უკვე ძირეულ ქართულ პროვინციადა სთვლის“ (იხ. ენიმკის მ-ბე, 1941, ტ. X, გვ. 123). გაურკვეველია, რატომ მაინცდამაინც VIII ს-დან ვარაუდობს ავტორი ჰერეთის საბოლოო შემოსვლას „ქართული კულტურის გავლენის ზონაში“?! ჩვენ ვიცით, რომ უკვე IV ს-დან მაინც იქ კულტურა ძირითადად ქართულია. რაც

ამგვარად, ჩვენ გვგონია არ შევცდებით თუ ამ რეფორმას ვახტანგ გორგასალს მივაწერთ. ამდენად, ვახტანგ გორგასლის ეპოქა ახალი ეტაპია ქართლის სამეფოსა და ჰერეთის ურთიერთობაში.

ვახტანგის ადმინისტრაციულ მოღვაწეობას, მისი ცნობილი საეკლესიო რეფორმების გატარების გარდა, სხვა მონაცემებიც ადასტურებენ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დაწყებული ბაქარ მირიანის ძის მეფობიდან მაინც, კუხეთი ცალკე საერისთავოა. ბაქარმა თავის ძმისწულებს (რევ მირიანის ძის შვილებს) ხელწერილი დააღებინა, რომ მათ არავითარი პრეტენზია არ ექნებოდათ სამეფო ტახტზე და „მაშინღა მოიყვანნა ძმისწულნი ძისნი დ. მისცა კუხეთი და დასხნა რუსთავს ერისთავად"[11]. ვახტანგ გორგასლის დროსაც, დასაწყისში კუხეთი ცალკე საერისთავოა: „ხოლო ძირიან და გრიგოლ იყუნეა ნათესავისაგან რევის, მირიანის ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი და ცხოვრებდეს რუსთავის ციხე-ქალაქსა"[12]; მაგრამ ერანში გამგზავრების წინ რომ ვახტანგი თავის მცირეწლოვან მემკვიდრეს ერთგულ წარჩინებულებს უტოვებს, მათ შორის არის დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა[13], ე. ი. აქ, მსგავსად მირიან მეფის დროისა, კახეთ-კუხეთი ერთ ერთეულად გვეელინება. მირიანის დროს ჩვენ ამ პოლიტიკურ ერთეულში ჰერეთის გარკვეულ ნაწილსაც ვვარაუდობდით. გვგონია არ შევცდეთ თუ ვახტანგის დროსაც იგივე გარემოებას ვიგულისხმებთ[14]. დაბოლოს, ქართლის ამ საერისთავოს ცენტრი კვლავ ქალაქი უჯარმაა: ერისთავებს „შეეედრა ძე თუისი დაჩი, და უბრძანა აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დარჩი მეფისა"[15].

ვახტანგის ეპოქა მრავალმხრივაა შესანიშნავი ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის. სამწუხაროდ წყაროთა სიმცირის გამო ამ საინტერესო ხანის მეტ-ნაკლები სისრულით აღდგენა ჭირს. შეგვიძლია

შეეხება ჯუანშერის ცნობას ჰერეთის შესახებ, იგი რომ IX ს-ეს არ ეხება („ვახტანგ გორგასალის ცხოვრების აღმწერელი" რომ IX ს-ში ცხოვრობდა, ეს კიდევ დასამტკიცებელია!), არაშედ სწორედ იმ ხანას, რომელსაც თვით მემატიანე გულისხმობს, ე. ი. V ს-ეს, ეს შესანიშნავად ჩანს ნამდვილად V ს-ის ავტორის იაკობ ცურტაველის ცნობილი თხზულებიდან, საიდანაც უცილობლად ირკვევა, რომ სწორედ უკვე მაშინ, V ს-ში, ჰერეთი „ძირეული ქართული პროვინცია" იყო.

11 ანას ქ-ცა, 84—5. საინტერესოა, რომ ბაქარს ისინი უნდა მოეყვანა უჯარმიდან, სადაც თვით რევი იჯდა. აქედან ცხადია, რომ უჯარმა კახეთშია. კახეთშივე იქნებოდა „ველი... უჯარმისა, რომელსა სამგორობით უხმობენ" (იხ. მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 180).

12 იქვე, 105.

13 იქვე, გვ. 125.

14 ჩვენ გვგონია ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ „ქუეყანა იორის პირი", ჯუანშერით, კახეთია, გვ. 137; ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს

სრული უეჭველობით დავადგინოთ, რომ ვახტანგ გორგასალი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართლის სამეფოს ამ აღმოსავლეთ პერიფერიას (კახეთ-ჰერეთს), მაგრამ მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ ვარაუდის გაწევა შეგვიძლია იმ მიზეზების შესახებ, რომელთაც განაპირობეს ამ მხარის ასეთი მნიშვნელობა.

ციხე-ქალაქ უჯარმისთვის ვახტანგ გორგასალი განსაკუთრებულად ზრუნავს. ეს გასაგებიც არის. ვახტანგი იღწვის ქართლის სამეფოს ეკონომიური აღმავლობისათვის. მას ემორჩილებიან „ყოველნი მეფენი კავკასიანნი“, იგი ზრუნავს სახელმწიფოს ისეთი მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგის განვითარებისათვის, როგორიცაა მესაქონლეობა; ამისათვის, სწორედ, მან „უჯარმა... სიმარჯვედ გამონახა... ცხოვართათვის“. მისი დროინდელი მესაქონლეობის როლის რამოდენადმე მაჩვენებელია ძღვენი, რომელსაც იგი „სპარსთა მეფეს“ აძლევს: „ჰდალი ცხენი ათი ათასი, ცხენი შარიგი ხუთასი, ჯორი სამასი, ზროხა ოთხი ათასი, ცხუარი ათი ათასი“[16]. მის დროს ეს მხარე ეკონომიურად ძლიერ უნდა დაწინაურებულიყო. უჯარმის მახლობლად უკვე რამდენიმე ქალაქი იხსენიება: „ქალაქნი გარემოს უჯარმისა“[17].

ვახტანგ გორგასლის ეპოქაში ჰერეთის მხარეში ინტენსიური კულტურული საქმიანობა წარმოებს. ამის უტყუარი საბუთებია: ძველი შუა მთის ბაზილიკა, ზეგანის ჯვარისებური ეკლესია, ხირსის ეკლესია, ბოდბის ერთნავიანი ეკლესია[18].

ჯუანშერით, იმ თორმეტ საეპისკოპოსოდან, ვახტანგი რომ აარსებს, ორი ჰერეთშია: ჭერემისა, სადაც ვახტანგმა „ქმნა ქალაქი“ და თან ორი ეკლესია აღაშენა და მეორე—ხორნაბუჩისა. ამგვარად, ეს ორი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრი ეგულება მემატიანეს ამ დროს ჰერეთში; ამასთან, ხორნაბუჩი—კამბეჩოვანის ქალაქია.

ვახტანგის ამგვარი საქმიანობა ჰერეთში სხვა მხრივაც მტკიცდება. ძველდველობაში გვაქვს ე. წ. „ეპისტოლეთა წიგნი“, სადაც ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე დასახელებულია 506 წ-ის სამი საეპისკოპოსო: ჭერემი, ხორნაბუჯი, ბოდბე[19]. მაგრამ ვახტანგის მოღვაწეობა ამ მხრივ მხოლოდ შემოერთებულ ტერიტორიაზე კულტურული საქმიანობით არ ამოიწურებოდა. შეიძლება ითქვას, რომ

მიხედვით, კუხეთი, გვ. 203; ამასვე უნდა მოწმობდეს რომ „ნინოწმინდა უჯარმისა კარსა“ არის. ნინოწმინდა—გარეკახეთია, ე. ი. ჰერეთი (იხ. ანას ქ-ცა, 135).

15 იქვე, 126.

16 იქვე, 123.

17 იქვე, გვ. 138.

18 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1936, გვ. 27—35.

19 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, გვ. 20.

მის დროს უკვე გვიანდელი ჰერეთის სამეფოს ტერიტორია, ძირითადად, მთლიანადაა შემოერთებული. იგი ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, წუქეთს იერთებს და იქ თავის კაცს სვამს: იყვნენ „წუქეთს მთავარნი რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი“[20]. კამბეჩანიც, რომელიც ალვანელებს ხელში ჩაუგდიათ, ვახტანგს კვლავ უკან დაუბრუნებია. როგორც ჩანს, მეფობის უკანასკნელ წლებში. მხედველობაში გვაქვს მოსე კალანკატუელის ცნობა ალვანთა მეფის, ღვთისმოსავი ვაჩაკანის შესახებ, რომელიც ვალარშ სასანელის (484—8) თანამედროვეა და რომელმაც ალვანეთში და კამბეჩანში, ვახტანგ გორგასლისა არ იყოს, საეპისკოპოსოები დააწესა და სხვ[21]. თუ მოსე კალანკატუელს დავუჯერეთ, V ს-ის 80-იანი წლებისათვის კამბეჩანი ალვანეთისაა[22]. გამოდის ვახტანგს კამბეჩანი სულ უკანასკნელ წლებში დაუბრუნებია.

ვახტანგ გორგასლის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ინტენსიური საქმიანობის შედეგი ან უკეთ მოწმობაა ის, რომ მან „დაჩის მისცა ქალაქი ჭერამისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხუარნაბუჩი და ყოველი ქუეყანა მტკურისა აღმოსავლით“; ე. ი. საუფლისწულოდ ეხლა ჰერეთი გვევლინება, მაშინ როდესაც დაახლოებით ერთი საუკუნის წინ კახეთ-კუხეთი იყო. ეს გარემოება თავისთავად მანიშნებელია იმ დიდი პროგრესისა, რომელიც ჰქონია ქართლის სამეფოს კულტურული და პოლიტიკური შერწყმის ტენდენციას აღმოსავლეთით მდებარე მხარეებთან.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

კახეთ-ჰერეთს, უაღრესად დიდი სამეურნეო მნიშვნელობის გარდა, ქართლის სახელმწიფოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. ჯუანშერის თხზულებიდან, რომელშიც, საგმირო ელემენტებით გადატვირთულობისდა მიუხედავად, სრულიად გარკვეულად ჩანს ვახტანგ გორგასლის პოლიტიკური კურსის ძირითადი გეზი, საკარაუდოა, რომ ვახტანგი ცდილობდა ეს მხარე (კახეთ-ჰერეთი) გადაექცია საკუთარ ბაზად სასანურ ერანთან საბრძოლველად. ამას

---

20 ანას ქ´ცა, 155.

21 «Եւ Կարգեալ տեղեաց տեղեաց եպիսկոպոսս և երիցուս և հայեցողս 'ի Կամբեճս, ի յԱղուանս իսկ զնոյն հրաման սատաց կարգեալ' հաստատէր զեպիսկոպոսս և զերիցուս և զսարկաւագուս», იხ. Պատմութիւն Աղուանից Աղիսարեի, 1913, 60.

22 მაგრამ ნიშანდობლივი უნდა იყოს, რომ კამბეჩანი აქ არ იგულისხმება ალვანეთში უშუალოდ შემავალ კანტონად, როგორც ამაში სომხ. ანონიმური გეოგრაფია გვარწმუნებს, არამედ, მაინცდამაინც, ცალკე ქვეყნადაა მიჩნეული, რომელზედაც ცხადია ალვანთა ნეფის ხელისუფლება ამჯერად ვრცელდება. ეს ეგებ სწორედ კამბეჩანის დიდი ხნის გაქართველებით—აიხსნებოდეს.

ხელს უწყობდა ამ მხარის ეკონომიური სიმძლავრე და აგრეთვე ძლიერი დარებითი დაცულობა შემოსევების მხრივ.

სწორედ ამით უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ, გამოწვეული ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ვახტანგ გორგასალს რეზიდენცია დროებით აღმოსავლეთით გადააქვს: „და თუით ვახტანგ დაჯდა უჯარმოსა“[23].

ეს ფაქტი სხვამხრივაც უნდა აიხსნას. ზემოთ ვლაპარაკობდით კახეთ-ჰერეთის სამეურნეო მნიშვნელობაზე ქართლის სამეფოსათვის. სწორედ ამიტომ ვახტანგ გორგასლის უჯარმაში „დაჯდომა“ იმდენადვე უნდა ავხსნათ პოლიტიკური და სტრატეგიული მიზეზებით, რამდენადაც — ეკონომიური თვალსაზრისით. უჯარმა ვახტანგ გორგასალს კახეთის ცხვრისთვისაც სჭირდება და, გვგონია, მაინცდამაინც არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ უპირატესად სწორედ ამისთვის სჭირდება. კიდევ ერთხელ გაკიმეორებთ: გადაჭარბებული არ იქნება ვთქვათ, რომ ვისიცაა უჯარმა, მისია „კახეთის მთეულეთის“ ცხვარი. ამიტომაა, რომ ქალაქი უჯარმა სამეფო ქალაქია და თვით მეფე თუ არა, უფლისწული, მაინცდამაინც, იქ ზის (რევი, დაჩი), ხოლო V—VI სს-ში დროებით მეფეებიც უჯარმაში ჯდებიან (ვახტანგი, დაჩი, იხ. ქვემოთ).

ქალაქ უჯარმაში რეზიდენციის გადმოტანა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ვახტანგ გორგასალი აქ აპირებდა საბოლოოდ სახელმწიფო ცენტრის გადმოწევას. ეს რომ ასე არ არის, ამას ის მოწმობს, რომ თვით ვახტანგი ზრუნავს თბილისის დედაქალაქობაზე. თბილისი ქც-ის მიხედვით, IV ს-ში „აღაშენა ერისთავმან სპარსთამან“[24] მცხეთის საკონტროლოდ. ამის შემდეგ ვარაზ-ბაქარს სპარსელებმა „მისცეს ციხე ტფილისისა“[25]. ამავე საუკუნის ბოლოს, თუ V ს-ის დასაწყისში სპარსელებმა დაიპყრეს ქართლი, „ხოლო ნათესავნი მეფთანი დარჩეს ჰევსა კახეთისასა“[26]. ე. ი. სავარაუდოა ამ დროს სპარსელებს თბილისიც დაეპყროთ. ასე რჩება, როგორც ჩანს, ვახტანგამდე. რეზიდენციის დროებით უჯარმაში გადმოტანა იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ მცხეთას აღმოსავლეთიდან კონტროლიორი ჰყაოდა, ხოლო ვახტანგი სწორედ აქეთკენ საქმიანობდა (თიანეთი, ჰერეთი, წუქეთი), ამ მხარეს თავის ბაზად იხდიდა სპარსელების საწინააღმდეგოდ. უჯარმა უშუალოდ (გეოგრაფიულად, ეკონომიურად) დაკავშირებული იყო ამ მხარესთან და იგი ამასთანავე თავისუფალი იქნებოდა სპარსთა კონტროლისაგან.

---

23 ანას. ქცა, 136.

24 ანას. ქცა, 86.

25 იქვე.

26 იქვე, 88.

მაგრამ თვით ვახტანგი რომ ხედავდა თბილისის, როგორც დედაქალაქის, უპირატესობას, ეს აშკარად ჩანს. მას შემდეგ რაც, ალბათ, ვახტანგ გორგასალმა თბილისი დაიბრუნა, „მეფე აშენებს ქალაქსა ტფილისს, საფუძველი ოდენ დაედვა“[27], ხოლო დაჩის, მის ძემკვიდრეს, უანდერძებს მისი საქმის განგრძობას და ამ უკანასკნელმაც „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი; და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ“[28].

ამგვარად, ასეა თუ ისე, ვახტანგს თავისი რეზიდენცია ქალაქ უჯარმაში გადმოუტანია. მის დროს უჯარმის ისტორიის განვითარება უმაღლეს წერტილს აღწევს. სამწუხაროდ, ამ ფაქტის კონსტატაციის გარდა, წყაროების ცნობების სიმცირის გამო, ჯერჯერობით ჩვენ მეტის თქმა არ შეგვიძლია.

ვახტანგ გორგასლის მიერ ქალაქ უჯარმაში რეზიდენციის გადმოტანა აღინიშნა ფრიად დიდი მშენებლობით: „დაჯდა უჯარმოსა და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა“[29]. არც თუ აუცილებლად მიგვაჩნია ეს „უზომო ნაშენები“, მაინცდამაინც, მხოლოდ იმ „ციხესა უჯარმოჲასსა“ გულისხმობდეს, „რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან, რომელსა შინა თვით აღესრულა ლომი იგი ლომთაი და გოლიათი გოლიათთაი“[30] და რომელიც საკმაოდ კარგად შემონახული დღესაც აცვიფრებს ადამიანს, თავისი ორიგინალური არქიტექტურული ფორმებითა და მოხდენილობით.

ვახტანგის დროინდელ ქალაქზე მცირეოდენ წარმოდგენას გვაძლევს ქ“ც-ის ფრაგმენტული ცნობები. ქალაქი მტკიცე გალავნით შემოზღუდული და შედარებით სხვა მახლობელ ქალაქებთან უკეთესად დაცული ყოფილა. ვახტანგი ამბობს: „ვეჭუ, ვითარმედ ყოველნი ქალაქნი გარემოს უჯარმოსა იძლივნენ, რამეთუ მტკიცენი და ძლიერნი ზღუდენი აქა დავსხენით“[31]. ქალაქ უჯარმას ამას გარდა ჩანს მთელი თავდაცვითი სისტემა ჰქონია: სამხრეთიდან მას იცავდა „წინა ციხე“[32]. რადგან ქალაქს წინა ციხე ჰქონია, სავარაუდოა „უკა-

---

27 იქვე, 136.

28 იქვე, 140.

29 ანას. ქ“ცა, 136.

30 ისტ. და აზმანი... პროფ. კ. კეკელიძის გამოც., გვ. 66.

31 ანას. ქ“ცა, 138.

32 იქვე, 137. რომ ეს უკანასკნელი, მართლაც, სამხრეთიდან იცავდა ქალაქს ეს ჩანს იქიდან, რომ მტერი უჯარმისკენ სამხრეთიდან მოდის: ხუასრომ „შემუსრნა ქალაქნი კამბეჩოანი და ჭერამის ციხე“. ჭიჭინაძის გამოცემა ამას უმატებს... „და ველის-ციხე“. ამგვარად, სპარსთა მარშრუტი ასე უნდა ვივარაუდოთ: ხორნაბუჯი—ველის-ციხე-ჭერემი. აქედან ალბათ გადმოვიდნენ ცივის მთაზე და „მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა“. ამასვე მოწმობს, რომ ბრძოლა მომხდარა „ველსა ზედა გარემოს ციხე-ქალაქისა, სადა რჭუიანი დარფაკა“ (იქვე), ასეთი

ნა ციხეც“, რომელიც ქალაქს ალბათ ჩრდილოეთიდან იცავდა. თუ ეს ასეა, შესაძლებელია დღემდე შემონახული „გორგასლის ციხე“ სწორედ ეს „უკანა ციხე“ ყოფილიყო. „რაბატსა შინა უჯარმოსასა“[33] იდგა რაჟდენ-წმინდის ეკლესია აგებული თვით ვახტანგის მიერ. ს. კაკაბაძის აზრით „რაბატად... იწოდებოდა ქალაქის განსაზღვრული რაიონი მცხეთას, უჯარმას, ტფილისს, ალბათ ის რაიონი, რომელიც მოედნის გარშემო განვითარდა, ქალაქის მაშასადამე ცენტრალური ადგილი“. და იქვე: „რაბატი არის ნასესხები სიტყვა და თავდაპირველად ის ფართო ქუჩას, მოედანს ნიშნავდა. ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ასურულში სიტყვას rabatu“[34]. ასეა თუ ისე ქალაქ უჯარმაში რაბატის არსებობა ვაჭარ-ხელოსანთა ფენის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს: გარეუბანში უმთავრესად ესენი ცხოვრობდნენ; მოედანზე (resp. ბაზარზე) ესენი ვაჭრობდნენ.

მაგრამ უჯარმაში ქართლის სამეფოს არისტოკრატიაც ცხოვრობდა. ეს თავისთავად ცხადია უკვე იქიდან, რომ ვახტანგმა რეზიდენცია აქ გადმოიტანა. მას უნდა გამოჰყოლოდა ამალა, კარისკაცნი და ა. შ. მაგრამ საამისო პირდაპირი მითითებაც გვაქვს ქ-ცა-ში: ქალაქ უჯარმაში ცხოვრობდა ქართლის სამეფოს არისტოკრატიის უმაღლესი ფენა: წარჩინებულნი და მკუიდრნი ქალაქისანი[35]. ვახტანგის დროს უჯარმა ფრიად ერმრავალი ქალაქი უნდა ყოფილიყო (ჯერ კიდევ მირიანის დროს „ერისა სიმრავლ̆Ე არს მუნ“).

სახელწოდების ადგილი ეხლა თუმცა აღარ არის, მაგრამ, ცხადია, დიდი ბრძოლისთვის ასეთი ველი უჯარმას მხოლოდ სამხრეთიდან აკრავს.

33 იქვე. 138. მოყვანილია მარიამისეული ნუსხით. ანასეულში დგას „პალატსა“. პირველი უფრო სწორი უნდა იყოს.

34 საისტ. მ-ე, 1924, წ. I, 97. მეტად საინტერესო ცნობაა თუკი ეს, მართლაც ასეა. მაგრამ ამ სიტყვას ისლამის ეპოქაში სხვა მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, არაბული ტერმინი, რაბადი, ეწოდებოდა გარეუბანს, მაშინ როდესაც თავდაპირველ საქალაქო სამოსახლოს ეწოდებოდა შაჰრისტანი. რაბადი თვით გალავანსაც ეწოდებოდა, რომლითაც ქალაქი გარეუბნიანად შემოზღუდული იყო. დაბოლოს, რაბატი შეიძლება ჰრქმეოდა მთელ სათავდაცვო სისტემასაც. რაბადის გარეუბნად გაგება სავარაუდოა მწყემსებთან დაკავშირებით რომელნიც იყვნენ „რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“, Опис ... 748; მართლაც, ძნელი დასაჯერებელია მცხეთელ მწყემსებს ქალაქის ცენტრში ეცხოვრათ. მაგრამ ამ ტერმინის უფრო ძველად სხვა მნიშვნელობით ხმარებას გვავარაუდებინებს, ის, რომ „რაბადი“ გარეუბნის მნიშვნელობით, მაინცდამაინც, მუსლიმანურ ხანაში იხმარება, იხ. Бартольд, Ист. культ. жизни Туркестана, 1927, გვ. 28, 31.

35 გვ. 139. მკუიდრთა შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, სამართლის ისტ. წ. II, ნაწ. I.

სამწუხაროდ, მხოლოდ ამ მცირეოდენ ცნობებს, გვაწვდიან ისტორიული წყაროები ვახტანგ გორგასლის დროინდელი უჯარმის შესახებ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აწინდელ სოფელ უჯარმის ჩრდილოეთით, რამდენიმე კმ-ზე მდებარე თავდაცვითი ნაგებობა უნდა იყოს სწორედ ის „ციხე უჯარმოისა“, „რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან“.

ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს ნაგებობა, რომელიც სამი წლის არქეოლოგიური კვლევის შედეგად საკმაოდ გამოვლენილია, უნდა იყოს საკუთრივ ვახტანგ გორგასლის რეზიდენცია; აქ უნდა მჯდარიყო მეფე მას შემდეგ, რაც რეზიდენცია მცხეთიდან უჯარმაში ვადმოიტანა. ამდენად, ეს სათავდაცვო კომპლექსი უნდა იყოს არა იმდენად ხეობის ჩამკეტი სიმაგრე, რამდენადაც ციხე-დარბაზი, საცხოვრებლით, კარის ეკლესიით და სათავდაცვო სისტემით, რომელშიაც „მონასპის“ მსგავსი მეფის პირადი მცველები იქნებოდნენ[36].

უჯარმის ციხე-დარბაზის არქეოლოგიური თხრის დაწყება მოხერხდა მხოლოდ 1950 წლის ზაფხულში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ერთობლივი ღონისძიებით (ექსპედიციის ხელმძღვანელი —აკად. ნ. ბერძენიშვილი; გათხრების უშუალო ხელმძღვანელი— ისტ. მეცნ. კანდ. გ. ლომთათიძე).

ციხე-დარბაზი მდებარეობს მდ. ივრის შუა წელზე ქვიშა-ქვის კლდეებისგან შექმნილ მაღლობზე. კომპლექსი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: „ზედა ციხისგან“, რომელიც მაღლობის თავბრტყელ თხემზეა და მის კონტურს შემოჰყვება და „ქვედა ციხისაგან“,

36 ხეობის ჩამკეტ ციხე-სიმაგრედ, ეჭვი არაა, ბოჭორმის მიუვალი და გრანდიოზული საფორტიფიკაციო ნაგებობა უფრო გამოდგებოდა. ბოჭორმის ციხიდან, რომლის ცოტა ქვემოთ ორი სამხრეთისკენ უხვევს, ამ უკანასკნელის ხეობა ხელის გულივითა ჩანს, დაწყებული ერწოდან, ვიდრე აწინდელ ბალდომდე, საცა სამგორის არხის კაშხალი დგას, ე. ი. დაახლოებით 30 კმ-ის ფართობზე; მაშინ როდესაც უჯარმის ციხიდან თითქმის არავითარი ხედი არ არის; ამასთან. ეს უკანასკნელი საკმაოდ აღვილმისადგომი და ადვილასაღებია. რომ ჩვენი აზრი სწორია, ამას შემდეგი გარემოება უნდა მოწმობდეს: 914 წ. უჯარმის ციხეს იღებს აბულ-კასიმი, არაბთა სარდალი. ბოჭორმელებმა რომ ეს გაიგეს, „დაადგეს ციხე და გარდაიხუეწნეს“. არაბებმა „აიღეს ბოჭორმა და დაიჭირეს ციხედვე; უჯარმის ზღუდენი დაარღუიენეს“. რა მოსაზრებით უნდა ესარგებლა არაბთა სარდალს, როდესაც ბოჭორმაში ჯარს აყენებდა, ხოლო უჯარმას ანგრევდა? ჩვენი აზრით აქ ერთი ახსნაა: იგი ცდილობს ივრის ხეობის დამორჩილებას, თუ იქიდან ზურგის გამაგრებას. საამისოდ მას მიზანშეწონილად მიაჩნია ბოჭორმის ციხის დაჭერა და ე. ი. შიგ ციხიონის ჩაყენება. ეს უკვე მოწმობს ბოჭორმის უპირატესობას უჯარმის მიმართ, და რომ უჯარმა, რომელიც მას „ბაკად“ ეჩვენება ბოჭორმასთან შედარებით, არ გახდეს კვლავ თავგანწირულ პატრიოტთა სიმაგრედ, იგი მას ანგრევს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას იქ აგრეთვე ციხიონი უნდა ჩაეყენე-

რომელიც ზედაციხეს ჩრდილოეთიდან უშუალოდ ადგება და მდინარისკენ დაქანებულ ფერდობზე აგებულ ოთხკუთხა-კონტურიან გალავანს წარმოადგენს, რომელშიაც კოშკებია ჩადგმული.

ზედა ციხეში, გარდა ჩვეულებრივი, მარტივი კოშკებისა, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩადგმულია რთული ორსართულიანი, თითო სართულზე სამ-სამი ოთახით, ნაგებობა, რომელიც აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ პირობითად მიჩნეულ იქნა მეფის სადგომად, „სასახლედ"[37]. დღეს ეს ნაგებობა ძალზედ დანგრეულია. ირ. ციციშვილის აზრით, რომელიც მონაწილეობდა უჯარმის არქეოლოგიურ ექსპედიციაში და რომლის მიერაცაა გაკეთებული ამ ძეგლის რეკონსტრუქცია, „შენობის ორივე სართულის სადგომები ნათდებოდა ფართო და მაღალი თაღოვანი სარკმლებით. განსაკუთრებით საყურადღებოა ზედა სართულის ნალისებრი მოხაზულობის სარკმლები და კარები, რომელთაგან უკანასკნელები, როგორც ჩანს, შვერილ აივნებზე გადადიოდნენ"[38]. „სასახლის წინ გალავანს შიგნით გამოყოფილია საკმაოდ დიდი ეზო, გამაგრებული გალავნის კუთხური კოშკებით"[39].

ზედა ციხის ტერიტორიაზევეა მის ერთ-ერთ კოშკზე მიდგმული ორსართულიანი ეკლესია, რომლის მშენებლობაშიც სამი სხვადასხვა პერიოდის ფენა გამოიყოფა[40]. მისი ძირითადი, უძველესი ნაწილი (ქვედა სართული) თარიღდება V ს-ით[41]. ეკლესიის პირდაპირ მოთავსებულია სამეურნეო ნაგებობანი.

ქვედა ციხის გალავანში მხოლოდ ოთხკუთხა კოშკებია ჩართული: სამი—დასავლეთ ზღუდეში, სამი—ჩრდილო ივრისპირა ზღუდეში და სამიც—აღმოსავლეთ ზღუდეში. კოშკები ორ ან სამსართულიანია, ქონგურებიანი. გარეთკენ კოშკებს ყრუ კედლები აქვთ, ხოლო შიგნითკენ—მაღალი და ფართო კარ-სარკმლები, ნალისებური თაღებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი, სამსართულიანი კოშკი ჩართული ივრისპირა ზღუდის ცენტრში, რომელსაც სხვა კოშკებთან შედარებით რთული აღნაგობა აქვს, და რომლის ძირა ფე-

---

ბინა. მაგრამ ამას არ აკეთებს, და არ აკეთებს იმიტომ, რომ უჯარმის ციხე არც სტრატეგიული და არც თავდაცვითი უნარიანობის თვალსაზრისით მას ამისათვის მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

37 იხ. აგრეთვე ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, 1955 წ., გვ. 50, ტაბ. XVII, ნახ. II.

38 იქვე, გვ. 50.

39 იქვე, გვ. 50, ტაბ. XVIII.

40 იქვე, გვ. 50.

41 გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1936 წ., გვ. 31—32.

ნებშიც პეროზის (459—484 წწ.) ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა. კოშ-კების სიმაღლე ვარაუდით—13—14 მ-მდე უნდა ყოფილიყო.

ფრიად დამახასიათებელია კედლების პერანგის წყობა: ჰორიზონტულად დალაგებული, მეტ-ნაკლებად თანაბარი და მსგავსი მოყვანილობის, ბრტყელი, ფლეთილი კლდის „კვადრები". ამგვარი წყობითაა ნაგები უჯარმის ციხე-დარბაზის უძველესი, ძირითადი ნაგებობანი და მას პირობითად „უჯარმულ წყობას" უწოდებენ.

რადგანაც ეს ნაგებობა შუა და გვიანფეოდალურ ხანაშიაც გამოიყენებოდა და, როგორც ჩანს, საკმაოდ ინტენსიურადაც, ამიტომ უძველესი კულტურული ფენის მკვეთრად გამოვლენა გათხრების დროს ვერ მოხერხდა ანუ უჯარმის კომპლექსის სტრატიგრაფია ჰორიზონტებით შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგრამ განათხარ არქეოლოგიურ მასალაში, ძირითადად კერამიკულ ნატეხებში, სავარაუდოდ შესაძლებელი ხდება გარკვეული ჯგუფის გამოყოფა, რომელიც უნდა თანადროული იყოს ციხე-დარბაზის აგების ხანისა. ამგვარი კერამიკა უმეტესად ქვედა ჰორიზონტებიდან ამოდიოდა. გ. ლომთათიძის სიტყვით „სასახლის" ძირა სართულის ამოწმენდისას და სხვაგანაც მიწას აქა-იქ ამოჰყვებოდა ხოლმე წითელი, წითლად შეღებილი თუ წითელ-ლაკიანი მომცრო ჭურჭლის ნამტვრევები, რომლებიც მოგვაგონებენ ჩვენში (კერძოდ, მცხეთაში, ალაზნის ველზე) ახ. წ. I—III სს-ში გავრცელებულ კერამიკას. ამგვარი ჭურჭლისათვის უჯარმაში დამახასიათებელია მეტად თხელი კეცი და კარგი გამოწვა.

აღსანიშნავია აგრეთვე ზედა ციხის ერთ-ერთ ნაგებობაში აღმოჩენილი საკინძის თავის ნატეხი, რომელიც ლაჟვარდისაგან ყოფილა გამოთლილი, ბროწეულის ყვავილის მსგავსად. გ. ლომთათიძის სიტყვით, მცხეთისა და რუსთავის ადრეფეოდალური ხანის სამაროვნებში სამკაულის ეს ტიპი ძალიან გავრცელებულია სწორედ IV და მომდევნო რამდენიმე საუკუნის მანძილზე, რის შემდეგაც იგი ქრება.

საინტერესოა, რომ უჯარმის განათხარში ისევე, როგორც არქიტექტურაშიაც, ინტენსიურადაა წარმოდგენილი უფრო გვიანდელი, შუა და გვიანფეოდალური ხანა (მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა; მრგვალი ბურჯები, აგურის გამოყენება). მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია და ხაზგასასმელი ის გარემოება, რომ ვახტანგ გორგასალზე უფრო ადრინდელი ეპოქის ნაშთი იქ ჯერჯერობით არ ჩანს.

ასეთია მოკლედ უჯარმის ციხე-დარბაზის არქიტექტურა-არქეოლოგია[42].

რაც შეეხება თვით ქალაქ უჯარმას, მისი კონკრეტული ლოკალიზაცია არქეოლოგიური გათხრების უკმარობის გამო, დღეს-დღეობით ჭირს. იგი განლაგებული უნდა ყოფილიყო ან თვით ციხე-დარბაზის მახლობლად თუ გარშემო, რაზედაც თითქოს ნასახლარების ინტენსიური კვალი უნდა მიუთითებდეს, თუმცა თითო-ოროლა ნასახლარის გათხრამ საამისო არაფერი უჩვენა[43]. თითქოს ამაზევე უნდა მიუთითებდეს ციხე-დარბაზიდან აღმოსავლეთით დაახლ. 800 მ-ზე მდგარი ცალნავიანი ეკლესია, რომელიც გადაკეთებული ჩანს და თავის დროზე ბაზილიკა უნდა ყოფილიყო, V—VI სს-ა[44]; ანდა ქალაქი დღევანდელი უჯარმის სოფლის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, რაზედაც იქ ამართული დიდი ბორცვი უნდა მიუთითებდეს, რომელიც, შესაძლებელია, ძველ ნამოსახლარ „გორას“ წარმოადგენს. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ამ ბორცვის ივრისპირა ფერდის ჩამონაზვავებში (ეს ფერდი ნაწილობრივ ჩაქცეულა) ჩვენ დავადასტურეთ ქვით ნაგები კედლის დიდი ნაგლეჯი, რომლის წყობაც იდენტურია „უჯარმული წყობისა“[45].

* *
*

ვახტანგ გორგასლის მემკვიდრე დაჩიც თავდაპირველად უჯარმაში ზის. ამას მოწმობს ის, რომ იგი „უჟარმელად“ იწოდება[46]. მაგრამ შემდეგ იგი თბილისში გადმოდის. „მისაზე ტფილისს კაცნი დასხდებოდეს“[47]. თვით დაჩიმ, როგორც ვიცით, „განასრულნა ზღუდე-

---

[42] ამ საკითხის გადმოცემისას მე ვსარგებლობდი გ. ლომთათიძის წინასწარი მოხსენებით—„უჯარიმის არქეოლოგიური თხრის შედეგები“ 1953 წ. 22/III და ირ. ციციშვილის ზოგიერთი მითითებებით.

[43] ნასახლარებიდან მოჭიქული კერამიკა ამოვიდა.

[44] ცნობა მოგვაწოდა ირ. ციციშვილმა.

[45] ქალაქის სავარაუდო ლოკალიზაცია შემუშავებულია ნ. ბერძენიშვილისა და გ. ლომთათიძის მითითებათა საფუძველზე. რაც შეეხება სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ქალაქ უჯარმას წარმოადგენს სწორედ ის ნაგებობა, რომელიც ჩვენ მხოლოდ სამეფო ციხე-დარბაზად მივვაჩნია და ამასთან უძველესი ქალაქი უნდა ყოფილიყო განლაგებული კლდოვან მაღლობზე, ე. ი. „ზედა ციხეში“ (იხ. პროფ. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 155; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, 1954, გვ. 109, 141). იგი არ უნდა იყოს სწორი: ქალაქისათვის იქ არც ტერიტორიაა საკმარისი და არც არქიტექტურა და არც არქეოლოგია არ იძლევა საამისო საფუძველს.

[46] Опис..., 722.

[47] იქვე.

ნი ტფილისისანი, და... შექმნა სახლად სამეფოდ"[48]. დაჩი განაგრძობს ქართლის მეფეების უკვე ტრადიციულ პოლიტიკას: „მეფემან დაჩი დაპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე. ხოლო მათ არა ინებეს, და განდგეს ყოველნი ნოპატელნი"[49]. დაჩი რომ ნუჰპატოსა თუ ნუხის[50] მთიანეთში საქმიანობს, არც ესაა ჩვენთვის მოულოდნელი: აქ უკვე ვახტანგი საქმიანობდა. ქართული წყაროები მეტისმეტად თანმიმდევრულ ჩვენებებს იძლევიან, რაც, რასაკვირველია, მხოლოდ მათ რეალურ-ისტორიულ შინაარსზე მიუთითებს.

---

48 ანას. ქ-ცა, 140.

49 იქვე.

50 თუკი ნოპატი და ნუხპატო იგივე დღევანდელი ნუხია, როგორც ჩვეულებრივ ვარაუდობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV

უჯარმა ადრეფეოდალურ ხანაში (I)

VI ს-ში, ქართლში მეფობა ისპობა. სწორედ ამ საუკუნეს უკავშირებს მემატიანე ერისთავობის ინსტიტუტის სამემკვიდრეოდ გადაქცევას. ცხადია, „აქ საქმე ეხება გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობათა გადაქცევას მემკვიდრეობითი ხასიათის ინსტიტუტებად (დაწესებულებად). რადგანაც ჩვენი წარმოდგენით ამ სამოხელეო თანამდებობათა სოციალური საფუძველი მსხვილი მემამულეობაა, ამიტომ გასაგებია, რომ ახალი პირობები ხელს უწყობენ აღნიშნული წრის შემდგომ გაძლიერებას ამ მიმართულებითაც, ე. ი. მიწისმფლობელობის ზრდისა და სათანადო უფლებების განმტკიცების მიმართულებით“[1].

ამგვარად, უკვე VI ს-ის დასაწყისში მკვიდრად ჩაეყარა საფუძველი იმ მოვლენას, რომელმაც, დაახლოებით ორნახევარი საუკუნის შემდეგ, ცალკეული ქართული ადრეფეოდალური სამთავროების ჩამოყალიბებაში იჩინა თავი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ მომავლის საქმე იყო.

„აღებული პერიოდის (ლაპარაკია VI ს-ზე—**დ. მ.**) მეორე ნახევრისათვის აქ (ე. ი. საქართველოში.—**დ. მ.**) უკვე ახალ ნიადაგზე აღგილობრივ ფეოდალურ სახელმწიფოებრიობასაც გარკვეული წარმატებისთვის მიუღწევია და აშკარად მოჩანს, ან უკვე წარმოქმნილ ან ჯერ ჩანასახად მოცემულ, ახალი ფეოდალური პოლიტიკური ერთეულების კონტურები. ასეთია მდგომარეობა ქართლში...“[2].

მართლაც, უკვე ამ დროს უნდა ვიგულისხმოთ ქართლის აღმოსავლეთ პერიფერიაზე დიდი პოლიტიკური ერთეულების შექმნა, რომელთაგან უფრო გვიან კახეთისა და ჰერეთის სამთავროები წარმოიქმნენ: „და შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისანი... იგინი დარჩეს კახეთს. დაიპყრეს კუხეთი (მარიამის, ნუსხით—**დ. მ.**) და

---

1 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 19.

2 იქვე, 81—2.

ერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარმოს, და იყუნეს მორჩილებასა კულაპარატისსა"[3].

ამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობიდან ჩვენ გვგონია საეარაუდოა, რომ კახეთ-ჰერეთი ამ შემთხვევაში ერთ ერთეულად გაიაზრება, რომელიც ვახტანგ გორგასლის შთამომავალთ დაიმკვიდრეს. ეს ერთეული ჯერ არაა სრულიად დამოუკიდებელი, რამდენადაც მისი მფლობელები ქართლის კურაპალატის უზენაესობას აღიარებენ. ამ პოლიტიკური ერთეულის ცენტრად ქალაქი უჯარმა გვევლინება.

ცხადია, ეს დიდი პოლიტიკური ორგანიზმი დაყოფილი იქნებოდა შედარებით მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად. ასეთი ერთეულების არსებობა ჯერ კიდევ ვახტანგის დროს ვივარაუდეთ. ასე იქნებოდა უფრო გვიანაც. ამას, სხვათა შორის, გვაგულისხმებინებს კვირიკე დიდის (XI ს.) რეფორმატორული საქმიანობა კახეთ-ჰერეთში. სრულიად არაა აუცილებელი მის მიერ დაარსებული ადმინისტრაციული ერთეულები მისივე დროის ნაყოფად ვცნათ. პირუკუ, მას ძველი დაყოფა უნდა გამოეყენებინა საკუთარი მიზნებისათვის და თუ ვახუშტს დავუჯერებთ სწორედ ასეც მოქცეულა[4]. ჩვენთვის საინტერესო ხანისათვისაც (VI ს-ის მეორე ნახევარი) გვაქვს საამისო მითითებები. კერძოდ, სუმბატ დავითის ძე თავის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა"-ში ასე აგვიწერს ამ ამბავს: „და ოთხნი ძმანი მათნი (სომხეთში დარჩენილ ბაგრატიონთა.—**დ. მ.**) მოვიდეს ქართლს, ხოლო ერთი მათგანი, სახელათ გუარამ, განაჩინეს ერისთავად. და ესე ქართლისა ბაგრატონიანნი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. ხოლო ძმა მისი სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს[5], და ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარზვარად, წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრნეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს, და ამ ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ

---

3 იგულისხმება პირველი ერისმთავარი ქართლისა—გუარამ კურაპალატი (ანას ქ<ცა, 143), აქ საინტერესო ისაა, რომ ვახტანგის ჩამომავლებს „ერეთი იორითგან", ე. ი. ივრის ჰერეთი დაუპყრიათ. ე. ი. ეს ერთეული დაახლოებით იმ მოცულობისა უნდა ყოფილიყო, როგორც უჯარმის საგამგეოს ჰქონდა IV—V სს-ში (იხ. ზემოთ). რაც შეეხება ჰერეთის დანარჩენ ნაწილს (ალაზნის ჰერეთი, კამბეჩანი, და სხვ.), იქ ამ დროსაც ცალკე ერთეულები უნდა ყოფილიყო. ასეთივე მოცულობის უნდა ყოფილიყო არჩილის თავდაპირველი სამფლობელო, აგრეთვე გრიგოლის სამთავროც+გარდაბანი+შიდა ქართლის ნაწილი (იხ. ქვემოთ).

4 იხ. ამის შესახებ ქვემოთ.

5 ეგებ ეს ნერსეა სწორედ პირველი მთავარი „ნათესავი დაჩისა", რომელმაც „დაიპყრა კახეთი და ერეთი"—**დ. მ.**).

მას შინა"[6]. ცხადია, აქ ხორნაბუჯი და კამბეჩანი ერთი იმ მცირეოდენ თეულთაგანი უნდა ყოფილიყო, რომელიც ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო. ასეთივე ნახევრად დამოუკიდებელი ერთეული უნდა ყოფილიყო ამ დროს წუქეთიც. მსგავს მოვლენას ჩვენ ცოტა უფრო გვიანაც შევხვდებით.

ამგვარად, წყაროები გვავარაუდებინებენ VI ს-ის მეორე ნახევრისათვის (თუ მისი დამლევისათვის) კახეთ-ჰერეთს (კუხეთიანად) ერთ სამთავროდ (თუმცა ჯერ კიდევ არა დამოუკიდებელს). ცენტრი ამ სამთავროსი, როგორც აღვნიშნეთ, ქალაქი უჯარმაა.

უჯარმა, რომელმაც ვახტანგ გორგასლის ეპოქაში თავისი ისტორიის ზენიტს მიაღწია, მთელი VI ს-ის განმავლობაში (და უფრო გვიანაც) ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ქართლის სახელმწიფოს ერთ-ერთი უდიდესი ცენტრისას. მიუხედავად იმისა, რომ მისი, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის, ფუნქცია ხანმოკლე აღმოჩნდა და მალე თბილისზე გადავიდა (ასეთი ფუნქცია მას ეხლა კახეთ-ჰერეთის სამთავროს მიმართ დაეკისრა), უჯარმას, როგორც ეკონომიურ ცენტრს, სავარაუდოა, უფრო დიდი მნიშვნელობა სწორედ VI ს-ში მისცემოდა.

იმ ფრაგმენტების მიხედვით, რომლებითაც, მართალია, მეტად არასრულად, მაგრამ მაინც ნიშანდობლივად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ კახეთის (და ჰერეთის) პოლიტიკური და ეკონომიური ევოლუციის შესახებ, ეს მხარე ეკონომიურად ერთ-ერთ მძლავრ კუთხედ წარმოგვიდგება (მესაქონლეობა, მევენახეობა, მარცვლეული კულტურები—IV ს-ის რუსთავის არხი; ვაჭრობა—ნუმიზმატიკა). უთუოა ამისი ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ მხარის კარგი დაცულობა. ეს გარემოება, თავის მხრივ, მას დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. სწორედ ამიტომაა, რომ სპარსთა მძლავრებით შეიწროებული ქართველი მეფეები აქ აფარებენ თავს, მაგ.: ვარაზბაქარი (IV ს-ის მეორე ნახევარი) „უკუჯდა იგი ჯევსა კახეთისასა და აღაშენა ციხე ჯიდრს"[7]. მირდატის დროს (IV—V სს. მიჯნა) სპარსელებმა დაიპყრეს ქართლი, „ხოლო ნათესავნი მეფეთანი დარჩეს ჯევსა კახეთისასა"[8]. ვახტანგის დროს „გამოვიდეს ოვსნი... და მოტყუენეს ქართლი თავიდგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე". „დაურჩეს წარუტყუნველად ჯევნი ქართლისანი: კახეთი, კლარჯეთი,.."[9]. დაჩიმ

---

6 სამი ისტ. ქრონიკა, 1890 წ., გვ. 43.

7 ანას. ქ-ცა, 86.

8 იქვე, 87.

9 იქვე, 94. ორწერტილი ჩვენ მიერაა დასმული. გამომცემელს მის მაგიერ მძიმე უზის. ჩვენი შესწორება რომ სწორია, ეს ქვემომოყვანილი ადგილიდან სრულებით ცხადია.

„იწყო... შენებად ქართლისა, რამეთუ მოოჯრებულ იყუნეს ყოველნი ჰევნი ქართლისანი, თუინიერ კახეთისა და კლარჯეთისა“[10].

მოყვანილი მაგალითები სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად, „რამეთუ კახეთი ტყე იყო და შეუვალი მტერისა მიერ“[11], ხოლო ერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან“ აგრეთვე დაზღვეული იყო მძლავრებისაგან[12].

სწორედ აი ამ უპირატესობათა გამო ცდილობდა, როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალი კახეთ-ჰერეთის გადაქცევას მძლავრ ბაზად ერანთან საბრძოლველად[13]. ამით იყო ნაწილობრივ გამოწვეული მისი ინტენსიური საქმიანობა ქართლის აღმოსავლეთ პერიფერიაზე. მაგრამ ვახტანგს მისი გეგმის შესრულება არ დასცალდა. იგი დამარცხდა.

VI ს. ქართლისათვის ამ მხრივ ძალთა მოკრებისა და მშენებლობის ხანა იყო. ჯერ კიდევ დაჩიმ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაიწყო „შენებად ქართლისა“. აღმავლობა ამ მიმართულებით შემდეგაც არ უნდა შეწყვეტილიყო. „ქართლში ამ ხანაში, ყოველ შემთხვევაში, VI ს. ოთხმოციან წლებამდის, ხელსაყრელი პირობები უნდა ვიგულისხმოთ სოფლის მეურნეობის... შემდგომი ზრდისათვის. ასეთი პირობა იყო პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, რომელიც ირანელთა უმეშვეო მმართველობის დამყარებამ მოიტანა“[14]. ამ დებულების სისწორეს უნდა ადასტურებდეს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ნუმიზმატიკური მასალა სასანური ხანისა, რომელიც ძირითადად V ს-ის მეორე ნახევარზე და VI ს-ზე მიუთითებს. თუ საერთოდ ქართლისთვის ასე ხასიათდება ეს ეპოქა, მით უმეტეს მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო იგი კახეთ-ჰერეთისათვის, რომ

---

10 იქვე, 140.

11 იქვე, 137.

12 იქვე, 155. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ კახეთ-ჰერეთი საერთოდ მიუწვდომელი იყო მტრისათვის. ცალკეული შემოსევები არც კახეთს ასცდებოდა. ჯერ კიდევ იმავე V ს-ში ივრის ხეობით ჰუნები—სარაგურები შემოსევიან ქართლსა და სომხეთს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. 1_4, 240), თუმცა აქ კიდევ საკითხავია ნამდვილად ივრის ხეობაზეა პრისკო პანიელის იმ ნაწყვეტში ლაპარაკი თუ არა (იხ. ВДИ, 1948, № 4, ст. 265). ცნობილია აგრეთვე ხაზართა ლაშქრობა კახეთს და თბილისს (ჯონბერ ე-ვის დის შუშანის ამბავი). ივრის ხეობა ბრძოლის ასპარეზად იქცა აბულ-კასიმის შემოსევისას, 914 წ. მაგრამ, ჩვენ რომ ვიხილავთ იმ პერიოდისათვის, ასეთი შემთხვევები ეპიზოდურ ხასიათს ატარებენ.

13 ასეთივე ბაზად გაიხადა მან აგრეთვე კლარჯეთი—არტანუჯით. კლარჯეთსაც იგივე უპირატესობანი ჰქონდა დაახლოებით, რაც კახეთ-ჰერეთს. ეს კარგად ჩანს ზემოთ ამოწერილი ნაწყვეტებიდანაც. იხ. ანას: ქ-ცა, 119.

14 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, 90.

ეს მხარე ეკონომიურად მძლავრია, ამას მოწმობს, სხვათა შორის, ის მრავალრიცხოვანი, ხშირად მონუმენტალური და პირველხარისხოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომლებითაც მოფენილია ისტორიული კახეთ-ჰერეთის ტერიტორია, დაწყებული უკვე V ს-დან ვიდრე საქართველოს გაერთიანების ხანამდე. ამგვარად, იმ ფაქტს, რომ VIII—IX სს-ში კახეთის სამთავრო გვევლინება საკმაოდ მძლავრ ერთეულად (პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც) სულ ცოტა 3—4 საუკუნის, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი ისტორია აქვს.

უჯარმის შესახებ VI ს-თვის, იმის გარდა, რომ იგი გარკკეული პოლიტიკური ერთეულის ცენტრად გვევლინება, სხვა ცნობა არა გვაქვს. მაგრამ ჩვენ სწორედ იმის გამო მოვიტანეთ ზემომოტანილი ზოგადი დახასიათება იმდროინდელი კახეთისა (და ჰერეთისა), რომ რადგან ჯერჯერობით სხვა საშუალება არა გვაქვს, ამით მაინც ერთგვარი წარმოდგენა შევიქმნათ ქალაქ უჯარმის მდგომარეობაზე იმ ხანაში: ცხადია, მძლავრ პოლიტიკურ ერთეულს, ასეთივე ცენტრი უნდა ჰქონდეს.

დაწყებული VI ს-ის მეორე ნახევრიდან, ქართლის სახელმწიფოს ხელისუფალთა ორიენტაცია, აღებული აქამდე სასანურ ერანზე, იცვლება. სხვადასხვა ფაქტები „VI ს-ის სამოციანი წლებიდან მოყოლებული, აშკარად გვიჩვენებენ ბიზანტიის სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობის შეუჩერებელს, თუმცა ხანმოკლე შეფერხებით დახასიათებულს, ზრდას. VII ს. ოციანი წლების დამლევისათვის მთელს ამიერკავკასიაში და, მით უმეტეს, საქართველოში, ბიზანტიის ჰეგემონია უკვე უცილობელი ფაქტია“[15].

VII ს-ის ოციან წლებში ჰერაკლე კეისარმა საბოლოოდ მოუღო ბოლო ერანელთა ძლიერებას. 627 წ. თბილისი აიღეს კეისრის მოკავშირე ხაზარებმა. ქც-ის მიხედვით ქალა ჯერ კიდევ აღებული არა ჰქონდათ, რომ „კეისარმან მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელ ერისთაობდა კახეთს (და იჯდა, ე. ი. უჯარმაში, იხ. ზემოთ), რომელსა ერქვა ადარნასე, და მისცა ტფილისი და მთავრობდა ქართლს“[16]. განსხვავებულად აქვს ეს ამბავი წარმოდგენილი „მოქც. ქართლისაჲ“-ს მემატიანეს. მის მიხედვით ადარნასე ჰერაკლე კეისრის წასვლის შემდგომ „ერისთვობდა“[17]. თავისთავად ქც-ის გადმოცემაში არაფერი

---

15 ს. ჯანაშია. შრომები, ტ. I, 81.

16 ანას ქცა. 146.

17 Опис.,

არაა დაუჯერებელი; მის სისწორეს რომ თავი დავანებოთ, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ის კონკრეტული ცნობა, რომ ადარნასე იმ „ნათესავთა დაჩისათა“ ჩამომავალი იყო, VI ს-ის მეორე ნახევარში რომ კახეთ-ჰერეთი დაიმკვიდრეს და უჯარმაში დასხდნენ. ეს უნდა იყოს ის ადარნერსე ჯპატოსი, მცხეთის ჯვრის ტაძარზე რომაა გამოსახული. იგივე ადარნასეს (ატრნერსეჰ) იცნობს მოსე კალანკატუელი[18].

VII ს-ის დასაწყისიდანვე (608 წ.) უკვე დიდი ხნით ადრე დაწყებული ანტიერანული მოძრაობის შედეგად ქართლი მტკიცედ ადგება დიოფიზიტურ მიმართულებას სარწმუნოებაში[19]. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰერაკლე კეისრის ლაშქრობებმაც VII ს-ის 30 წწ. ამ ლაშქრობათა შედეგები კავკასიამ და კერძოდ, საქართველომ უშუალოდ თავის ზურგზე გადაიტანეს. როგორც ეს

---

18 რომ ქ-ცის ადარნასე არის მოსე კალანკატუელის ატრნერსეჰ, ამის შესახებ უკვე მ. ბროსეს ჰქონია მოსაზრება (იხ. **Introduction ete.**, XLIX). მოსე კალანკატუელის ალვანეთის ისტორიიდან კი ეს ადგილი ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ მოვიტანეთ: ჯივანშერი, გარდმანის უფალი და ალვანთა მთავარი (**Գարդմանաց տեր և Աղուանից իշխան**) მას, შემდეგ, რაც კამბეჩანში სპარსელები დაამარცხა ამიტომაც „კვლავ სახელოვნებით დადგა ქართლის საზღვრებზე. და იმ ადგილას მოვიდა მასთან დიდად პატივცემული კაცი, ატრნერსეჰ, მთავარი იმ ქვეყნისა, რომელსაც სამგზისი დიდი წოდებულება ჰქონდა ბერძენთა მეფობისაგან, და თავისი ნებით უხვევდა მას ჭრილობებს და უხაროდა მისი (ჯივანშირის—დ. მ.) დიდი სიმხნის გამარჯვება. მაშინ დაამყარეს ერთმანეთში სამშვიდობო და ურღვევი თანხმობა და აიყვანა (ჯივანშირმა—დ. მ.) დასახმარებლად ქართლის ლაშქარი და სწრაფად გაეშურა უტის მხარეში“—„ուստի և մեծապանծ անուամբ զաղարեր դարձեալ առ սահմանօքն Վրաց: Եւ անդ մեծապատիւ այրն Ատրներսեհն իշխան աշխարհին՝ որ երբեակ զահերիցուրիւն ի հունվմայեցւոց Թագաւորութենեն ուներ, զայր առ նա և իւրովի պատեր զվերս նորա՝ զմեծի քաջուրեան նորա զյաղթուրիւն խնդուրիւն նամարեալ: Յայնժամ խաղաղական և անքակ միաբանուրիւն հաստատեալ ընդ միմեանս՝ առնոյր յօգնականուրիւն զզօրս Վրաց, անապարեր Նախարշաւ յուտիեանն զաւառ“. Պատմուրիւն Աղուանից Աղխարհի, 1913, 203—4, აქედან ცხადია ჯერ ერთი, რომ კამბეჩანი ქართლის საზღვრებში შედის (სომხ. ნონ. გეოგრაფიით კამბეჩანი ალვანეთშია (VII ს.), მაგრამ ეს სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ვერ უარყოფს ჩვენს აზრს). შემდეგ, ჩვენ გვგონია, ეს ნაწყვეტი ამტკიცებს, რომ ქართლის ერისმთავარს სახელმწიფოში ფაქტიური (და არა მხოლოდ ნომინალური) ძალა-უფლება უპყრია. წინააღმდეგ შემთხვევაში კამბეჩანში მყოფ ალვანთა მთავართან მისი მისვლა ძნელი გასაგები იქნებოდა—იქ ხომ უკვე VI ს-დან ადგილობრივი მთავრები იჯდნენ. ეს ამბავი კი VII ს-ის 30-იან წლებში ხდება. რაც შეეხება ადარნასეს სამგვარ წოდებულებას საამისო ცნობა სხვა არ არის. მაგრამ ჩვენთანაც იგი ცნობილი უნდა იყოს „ჯპატოსის“ ტიტულით.

19 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტ., I₄, 379—394, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, ტ. I, 119.

კარგად უჩვენა ს. ჯანაშიამ, ქართულ წყაროებში შეიმჩნევა ის მიზანდასახულობა, რომელსაც ჰერაკლე კეისრის ლაშქრობები ემსახურებოდნენ: „უკანასკნელი მახვილი „მართლმადიდებლობის“ (ე. ი. დიოფიზიტიზმის—**დ. მ.**) მტრებისათვის ქართლში ჰერაკლე კეისარს ჩაუცია“[20].

ამ ამბებთან დაკავშირებით იხსენიება ქალაქი უჯარმაც: „ამან ჰერაკლ$\overset{\text{ი}}{\text{ე}}$ ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რაითა ყოველნი ქრისტეანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყ$\overset{\text{ო}}{\text{ო}}$-ნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი, ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ“[21]. მაშასადამე, VII ს-ის პირველ მესამედშიაც უჯარმა გვევლინება ქართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ამ ჯერად სარწმუნოებრივ (resp. კულტურულ) ცენტრად მცხეთასთან და თბილისთან ერთად.

*

* *

VI—VII სს-ში ჰერეთში კულტურული შერწყმის პროცესი კვლავ გრძელდება.

VI ს-ში აღმ. საქართველოში და განსაკუთრებით კახეთში ინტენსიურ საქმიანობას ეწევიან „სირიელი მამები“, რომელნიც, როგორც ეს ნათელჰყო ივ. ჯავახიშვილმა[22], დიოფიზიტური მიმართულების წარმომადგენელნი იყვნენ. ქალკედონიტობა ამ დროს ალვანეთშიაც ვრცელდება[23]. ამ კულტურული საქმიანობის დამამტკიცებელი მატერიალური მოწმობაა ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე შემონახული ხუროთმოძღვრული ძეგლები: ნინოწმინდა, ძველი გავაზის ტეტრაკონქი, ურიათუბნის „დავითიანის ეკლესია“, კისისხევის კონდამიანი და სხვ.[24]. VII ს-თვის, მაგალითად, ძველი შუა მთის ჯვრის ტიპის პატარა ეკლესია[25].

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი საქმიანობა ეხლა უკვე ჰერეთის განაპირა აღმოსავლეთ მხარეშიც მოწმდება. მხედველობაში გვაქვს აზერბაიჯანის სსრ-ს კახის რ-ნის სოფ. ყუმის ბაზილიკა და სოფ. ლეკითის ტეტრაკონქი.

ამ ძეგლების შემსწავლელი პ. ბარანოვსკი ყუმის ბაზილიკის შესახებ წერს: „Этот плановый прием (ლაპარაკია ამ ეკლესიის თა-

---

20 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, იქვე, 119.

21 მოქც. ქ-ა, **Опис...**, 725—6.

22 ქართ. ერის ისტ., I, 351—377.

23 იქვე, 349.

24 იხ. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართ. ხელ. ისტ., 54—74.

25 იქვე, გვ. 128—9.

ვისებურებაზე—დ. მ.) связывает памятник с самыми ранними крупными базиликами Грузии и Армении (Болниси, 478—494 годы; Уриатубани и Хашми, начало VI века; Ереруйк и Текор, V—VI вв. и др.)“ შემდეგ: „Применение подковообразных арок, наблюдаемое в памятниках Северного Ирана и Кавказа с IV по X века, является излюбленным приемом, особенно в архитектуре Кахетии, и составляет непременную принадлежность ранних крупных базилик — Болниси, Цхаростави, Анчисхат, Урбниси, Хашми и Уриатубани“. ცოტა უფრო ქვემოთ ბ. ბარანოვსკი აცხადებს, რომ ყუმის ბაზილიკა განსაკუთრებით ურიათუბნისას ჰგავს[26]. ამ ტაძარს იგი VI ს-ით ათარიღებს[27]. მეორე ძეგლი, ლეკითის ტეტრაკონქი, თარიღდება VII-ს-ით[28]. ამის საფუძველს იგივე ავტორი შემდეგში ხედავს: „Близость памятника по своим техническим особенностям к Кумской базилике, котурую едва ли можно выносить за пределы VI века, и к другим родственным памятникам района, а также к памятникам Кахетии, с которой Геретия жила, по-видимому, общей-или весьма близкой культурной жизнью. В этом отношении памятники Кахетии VI века как тетраконх в Старом Гавази[29] и замечательный кафедрал в Никоцминде, кажутся наиболее близкими нашему памятнику, с поправкой на местный материал—кирпич, по соображениям, высказанным выше“[30].

ამის შემდეგ, ვფიქრობთ, ზედმეტია სიტყვის გაგრძელება, რომ ეს ორი ძეგლი აღმოსავლეთი ჰერეთიდან ზედმიწევნით ადასტურებს ქართული წყაროების ჩვენებებს. ფრიად საყურადღებოდ გვეჩვენება ა. ხახანაშვილის მოსაზრებაც, რომელიც მოაქვს ბ. ბარანოვსკის, იმის შესახებ, რომ სწორედ ლეკითში უნდა ყოფილიყო წუქეთის, ელისენისა და შაქის ქართული საეპისკოპოსო ცენტრი[31].

---

[26] „Здание являлось характерной базиликой типа Уриатубани“. იხ. П. Д. Барановский, Памятники в селениях Кум и Лекит. კრებულში: Архитектура Азербайджана. Эпоха Низами, 1947, გვ. 39—33. ქართველი ხელოვნებათმცოდნეები ამ ორი ძეგლის (ურიათუბნის ბაზილიკასთან ერთად) რამოდენადმე გაახალგაზრდავების მომხრენი არიან (იხ. Г. И. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 123, 227).

[27] იქვე, 31.

[28] იქვე, 33.

[29] ტექსტში შეცდომით: Тавадзе.

[30] იქვე.

[31] იქვე, 32.

*

* *

VII ს-ის შუა ხანებში აღმ. საქართველოს ახალი დამპყრობელი მოევლინა. დაიწყო არაბობა საქართველოში. 655 წ. ჯურზანისკენ (ქართლი) ლაშქრობს არაბთა სარდალი, ჰაბიბ-იბნ მასლამა. ზათ-ულ-ლუჯუმში მასთან სამშვიდობო მისიით მოდის ქართლის პატრიკიოზის (ჯურზანის ბატრიკის) მოციქული, რის შედეგადაც ხდება მორიგება არაბ-ქართველთა შორის. ჰაბიბი ამის შემდეგ მოდის თბილისში და დაცვით სიგელს აძლევს თბილისის მცხოვრებლებს და აგრეთვე მანგლისიდან და „წითელი ქართლიდან“ მოსულთ. ამის შემდეგ ჰაბიბი იმორჩილებს აღმ. საქართველოს სხვა კუთხეებსაც: ჰავარეჰს, ქსვრის, ქისალს, ხუნანს, სამცხეს, გარდაბანს, კსტსჯი-ს, შავშეთს, ბაზალეთს, კლარჯეთს, თრიალეთს, კახეთს, კუხეთს, არტაჰანს, დარიალანს; სამშვიდობო ხელშეკრულებას სდებს წანარებთან და დიდოელებთან[32].

ჩვენთვის საინტერესოა ის მხარეები, რომლებიც აღნიშნული აქვს ბალაძორის. როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილია აღმ. საქართველოს თითქმის ყველა თემი[33]. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას მოხსენებული აქვს თუ არა ბალაძორის ჰერეთი. სამწუხაროდ, გადაჭრით ამის თქმა ჭირს. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ხასიათის მოვლენასთან შეიძლება გვქონდეს საქმე: 1) შესაძლებელია ბალაძორის სია ნაკლულია[34]. 2) შესაძლებელია რომელიმე დამახინჯებული სახელი სწორედ ჰერეთს ნიშნავდეს[35]. 3) შესაძლებელია აქაც „კახეთი“ ფარავს „ჰერეთს“, როგორც ამას ჩვენ VI ს-ის

---

32 იხ. **Баладзори-Жузе,** 11—13; ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II, გვ. 72—73. ივ. ჯავახიშვილი პირველ სამ გეოგრაფიულ სახელს ასე აღადგენს: ხერკი, ქსოვრისი, ქსანი. რამდენად მართებულია ასეთი აღდგენა, ამის განხილვას ჩვენ, რასაკვირველია, თავს ვერ ვიდებთ; მაგრამ აღვნიშნავთ, რომ كسال-ის ქსანად აღდგენა არ უნდა იყოს სწორი. ეს ჩანს იმავე ბალაძორის სიტყვებიდან: საიდის შემდეგ სომხეთის მმართველად ჰიშამის (724—43) მიერ **„был назначен Мерван-ибн-Мухамед, который расположился в (области Кисале и построил в нем город, в сорока фарсахах от Бердаы и двадцати от Тифлиса“ (იგივე გამოც., გვ. 17); ცხადია ქისალი სადღაც ბარდავსა და თბილისს შორისაა.**

33 თრიალეთი და მანგლისი რადგან ცალკეა დასახელებული, „წითელი ქართლი“ ამიტომ თითქოს შიდა ქართლს უნდა უდრიდეს, შდ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქ-ში, 23. არტაჰანი ხომ არაა ივრის ხეობაში დღესაც არსებული არტანი? ამაზე თითქოს მისი ადგილი მიუთითებს ნუსხაში.

34 იგივე ნუსხა, მაგრამ უფრო ნაკლული სახით დაცული აქვს იბნ. ალფაყიჰსაც—**СМОМПК,** 31, 27, ისე რომ ეს საქმეს არ შველის.

35 მაგ.: حوارج, რომელსაც ხან ჯურაჰად კითხულობენ, ხან ჰავარეჰად; ეგებ ეს იყოს **ქართული ჰერ-ეთი.**

მეორე ნახევრისთვის ვვარაუდობდით. მაგრამ ეს საეჭვოა, რადგან აქ „კუხეთიც“ უკვე გამოყოფია კახეთს. კუხეთი კი კახეთთან გაცილებით უფრო „მჭიდრო“ კავშირში იყო ძველადაც, როგორც ვნახეთ, და შემდეგშიაც (იხ. ქვემოთ), ვიდრე ჰერეთი.

ასე რომ არცერთი ამ შემთხვევათაგანი საკითხის გარკვევას არ შველის. მაგრამ სრულიად არაა აუცილებელი არაბები ქართლის ამ მხარეს იმავე სახელწოდებით იცნობდნენ, როგორითაც ქართველები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს იმავე ბალაძორის ცნობა მეორე არაბი სარდლის, სალმან იბნ-რაბი'ას შესახებ, რომელიც ჰაბიბის თანამედროვე იყო და მასთან ერთად მოღვაწეობდა კავკასიაში. ბალაძორი წერს „Сальман . . . переправился через курр, занял Кабалу и заключил с владетелями Шаккана и Камибарана мир, с условием платить подать“[36]. აქ „შაქანში“ გვიანდელი „შაქნი“ ანუ შაქი უნდა იგულისხმებოდეს. შესაძლებელია ამ ტერმინის ქვეშ ჩვენ ქართული „ჰერეთი“ უნდა ვივარაუდოთ[37].

*

* *

დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, რომ ომაიელ ხალიფთა დროს, და განსაკუთრებით VII ს-ის მეორე ნახევარში, საქართველო შედარებით ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო, ვიდრე შემდგომ პერიოდში[38].

ამგვარად, ზოგადად აღმ. საქართველოს და, კერძოდ, კახეთ-ჰერეთის ამდროინდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ ქალაქ უჯარმის დაქვეითების ხანა.

VIII ს-ში კახეთ-ჰერეთში არჩილ მეფე მოღვაწეობს. ინტენსიურად საქმიანობს იგი ქართული ჰერეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში: „დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი, და ჯევსა ლაკუასტასსა აღაშენა ციხე, და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთაობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუ-ხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი“. არჩილმა „აღა-

---

36 ბ ა ლ ა ძ ო რ ი-ჟ უ ზ ე. 14.

37 უფრო გვიან რომ „შაქი“ სწორედ „ჰერეთს“ უნდა ნიშნავდეს ამას ქვემოთ დავინახავთ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ „კამიბერანი“ [القميبران] დამახინჯებული „კამბეჩანი“ უნდა იყოს.

38 იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტ., II2, გვ. 83; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქ-ში, 28.

შენა ციხე-ქალაქი ერთი ნოპატას, ორთა წყალთა შუა. ხოლო ნოპატელნი... იძულებით მონათლნა". მისი შემწეობით და ნებართვით[39] შაქში დასავლეთიდან ლტოლვილ მთავართა. როგორც ჩანს ბაგრატიონთა, წარმომადგენლები ემკვიდრებიან: „ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი,... წარმოვიდეს ტაროინით შაკიხად, სამნი ძმანი და დემკუიდნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა. რამეთუ ყოველი პირი კავკასისა რანით კერძი, უმკუიდრო ქმნილ იყო ხოლო ერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დამკუიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდე". ცხადია, ბაგრატიონთა ეს შთამომავალნი საკუთრივ ჰერეთში და შაქში დამკვიდრებულან. ამავე დროს „პატიახშთა ნახევარნი", რომელნიც „არა შეეშუნეს კლარჯეთს" „მოვიდეს კახეთად არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუ-ხოსროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი. და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ"[40]. ეს ვრცელი ამონაწერი ცხადად უნდა მოწმობდეს არჩილის ინტენსიურ საქმიანობას კახეთში და განსაკუთრებით ჰერეთში. ძნელია იმის თქმა არჩილი ნამდვილად მთელი ქართლის ერისმთავარია, თუ მხოლოდ კახეთ-ჰერეთის მთავარი (მსგავსად პაპამისისა). მემატიანის წარმოდგენით იგი ქართლის მეფეა.

არჩილის შესახებ ძირითადი ცნობები დაცულია ე. წ. ანონიმის თხზულებაში, რომელიც ჩართულია ჯუანშერის თხზულების ბოლოში[41]. არჩილის სიკვდილი აღწერილია სპეციალურ თხზულებაში: „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა". ;ᴱ-ის მინაწერი, როგორც ცნობილია, ამ თხზულებას ლეონტი მროველს მიაწერს.

არჩილის მოღვაწეობის ხანის საკითხს შეეხო ჯერ კიდევ მ. ბროსე[42]. იგი არჩილის წამების თარიღად 727 წ. დებს.

---

39 იხ. ნ. ბერძენიშვილი, „მიმომხილველი", III, 68.

40 ანას ᴱ-ცა, 155.

41 რომ ეს, მართლაც ანონიმია იხ. ამის შესახებ პ. ინგოროყვა, ენიმკის მ-ბე, 1941 წ., X, გვ. 143 და სხვ., ნ. ბერძენიშვილი, „მიმომხ." III, გვ. 66. პ. ინგოროყვა შემდეგს წერს (იმავე გვერდზე): „ჩვენ დრომდე მოღწეულია თვით არჩილის ეპოქის მე-8 საუკუნის ქართული მატიანის უაღრესად საყურადღებო ტექსტი, რომელიც ექსცერპტულად არის ჩართული ჯუანშერის სახელით ცნობილ ქრონიკაში. ეს ძველი ექსცეპტულად დაცული ტექსტი, რომელიც ჩვენ ქვემოთ მოხსენებული გვაქვს სახელწოდებით „ჯუანშერის მატიანის პირველწყარო"—იწყება მურვან ომეიადის (მურვან ყრუს) ლაშქრობის აღწერილობით და მოყვანილია იმ დრომდე, როდესაც არჩილი დამკვიდრდა კახეთ-ჰერეთში. ე. ი. ანონიმის თხზულება 1942 წ. გამოც. ანას ᴱ-ში მოთავსებულია: გვ. 149_{13}—გვ. 156_{3}.

42 **Introduction p. L—LII.**

არჩილის მარტვილობას ეხება კ. კეკელიძე. იგი წერს: „როდის ეწამა არჩილ მეფე? ეს საკითხი მეტად ბუნდოვანი და ძნელი გასარკვევია ჩვენს ისტორიაში; საქმე ისაა, რომ, გარდა ჯუანშერისა (კ. კეკელიძე ანონიმის ცალკე თხზულებას არ სცნობს—**დ. მ.**), სხვა ძველი ისტორიკოსები არჩილს არ იხსენიებენ. ამით აიხსნება, რომ მის გარდაცვალებას ჩვენი მკვლევარნი სხვადასხვა დროს უჩვენებენ: ბატონიშვილი ვახუშტით (მასთან ერთად ბროსსე, ბაქრაძე, ჯანაშვილი) არჩილი გამეფებული 668 წ. გარდაიცვალა 718 წელს, მ. საბინინით 744 წ., პროფ. ივ. ჯავახიშვილი, მართალია, არჩილ მეფეს სულ არ იხსენიებს, მაგრამ, ვინაიდან მისი შვილის ჯუანშერის ამბავს 761—771 წლებში დებს, არჩილის წამებას, მისი კონცეფციით, არაბთა მეორე შემოსევისას (737—741) უნდა ჰქონოდა ადგილი. არჩილი მეფობს 50 წლის შემდგომ არაბების არა პირველის, არამედ მეორედ, მურვან იბნ მუჰამედ ყრუს დროს, შემოსევისა (737 წ.). არაბთა მხედართმთავარი ჭიჭუმი, რომელსაც ასიმი ეწოდება, არის, როგორც Markuart-მაც აღნიშნა, ჰაზიმ ხუზაიმა, რომელიც ალ-რაშიდმა დანიშნა მერვე-მეცხრე საუკუნეთა მიჯნაზე. არჩილი შვილია სტეფანოზისა, ეს, ალბათ არის სტეფანოზი აბო ტფილელის მარტვილობისა (?!**დ. მ.**). ასე რომ არჩილის წამებას ადგილი ჰქონდა მერვე საუკუნის გასულს (737+50), 787 წლის შემდგომ“[43].

ამასვე იმეორებს მ. ლორთქიფანიძე: „როგორც ცნობილია, არჩილის წამებას ადგილი ჰქონია მურვან ყრუს შემოსევიდან 50 წლის შემდეგ... მურვან ყრუს ლაშქრობიდან 50 წ. სწორედ ამ დროზე მოდის, ხოლო არაბი სარდლის სახელი ასიმი, როგორც მას ქართველი მემატიანე უწოდებს, შეიძლება იყოს ხუზაიმა იბნ ხაზიმის დამახინჯება“[44].

არჩილის მოღვაწეობის ხანას გაკვრით შეეხო ლ. მუსხელიშვილი. მისი აზრით, არჩილი VII ს-ის შუა ხანებისა და მეორე ნახევრის მოღვაწეა და იგი ეწამა არაბთა მარბიელის პირველი შემოსევის (643 წ.) შემდეგ „ვითარ გარდაჴდეს წელიწადნი ორმოცდაათნი“, ე. ი. 690-იანებში[45].

---

43 ქართ. ლიტ. ისტორია, მეორე გამოც. გვ. 219.

44 ფეოდალური საქ-ოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII—XI სს.), მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკ. 31, გვ. 15—16.

45 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, ენიმკის მოამბე, 1943 წ., ტ. XIII, გვ. 95, შენ. 1.

არჩილის ზეობის თარიღზე და აგრეთვე მის ვინაობაზე ვრცლად ჩერდება პ. ინგოროყვა თავის გამოკვლევაში ლეონტი მროველის შესახებ. იგი წერს: „არჩილი მე-8 საუკუნეში უკანასკნელად აცოცხლებს იბერიის („ქართლი"-ს) ერთიანი სამეფოს ტრადიციას. ხოლო არჩილის შემდეგ საბოლოოდ „დაესრულა" იბერიის („ქართლის") ერთიანობა". „აღსანიშნავია, რომ არჩილი „ქართველთა მეფის" ტიტულს ატარებდა"[46]. შემდეგ პ. ინგოროყვა არჩილის ზეობის შესახებ აღნიშნავს: „პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე შესაძლო ხდება საკმაო ზედმიწევნილობით დადგენილ იქმნეს არჩილის მთავრობის წლები: მე-8 საუკუნის 30-იანი წლებიდან 50 წლებამდე (ანუ უფრო მიახლოებით 732—759 წლები)"[47]. ზეობის დასაწყისი (732 წ.), როგორც ჩანს, მურვანის ამირად დანიშვნის თარიღთანაა დაკავშირებული (ამ წელს ინიშნება მურვანი ხალიფას ნაცვლად კავკასიაში), ხოლო სიკვდილის თარიღი (759 წ.) ამგვარადაა გამოყვანილი: ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში სახალიფოში არეულობაა, „ასეთი მდგომარეობა გაგრძელებულა დაახლოებით თხუთმეტი წელი, 744 წლიდან (—როდესაც მურვანი წავიდა საქართველოდან), ვიდრე ორმოცდაათიანი წლების ბოლომდე (ხალიფა მანსურის მეფობამდე) არაბები ისხდნენ მხოლოდ სამხრეთ-ქართლში (ტფილისის საამიროში) და კმაყოფილდებოდნენ ხარკის მიღებით. ძველი ქართული მატიანე (ჯუანშერის მატიანის პირველწყარო) მოგვითხრობს:

„ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად, ყრუსა წარსლვითგან წელიწადსა [ი"ე?] არღარა შემოვიდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან"[48].

ამგვარად, მემატიანის „წელიწადსა ორმეოცდაათსა" პ. ინგოროყვა ი"ე-დ ანუ თხუთმეტად ცვლის და ამდენად მანსურის დროს არაბთა პირველ ლაშქრობას კახეთში 759 წ. დებს. იგი იქვე ამგვარად ამართლებს მატიანეს ტექსტის თავისებურ შესწორებას: „რომ თავდაპირველ დედანში უნდა ყოფილიყო „ი"ე" (ე. ი. 15 წელი), ეს დასტურდება იმ სინქრონიზმიდან, რომლის შესახებაც აქვე გვაქვს საუბარი. მე-15 წელი მურვან ყრუს წასვლიდან უდრის 759 წელს

---

46 ენიმკის მ-ბე, X, გვ. 143, აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რამდენადაც ვიცით, არსად არჩილს „ქართველთა მეფის" ტიტული არა აქვს; წყაროები—ანონიმი, ლეონტი მროველი—მას „ქართლის მეფეს" უწოდებენ, იხ. ანას ქ"ცა, გვ. გვ. 150, 152—153, 157.

47 ენიმკის მ-ბე. X, იქვე.

48 იქვე, გვ. 146.

(744+15). ხოლო არაბთა ახალი ლაშქრობა საქართველოში როგორც ირკვევა, მართლაც ამ დროს დაწყებულა, არა უადრეს 754 წლისა (როდესაც მანსური გამეფდა—**დ. მ.**). და არა უგვიანეს 761-სა" (როცა არჩილი აღარაა ცოცხალი—**დ. მ.**). ამგვარია ის საბუთი, რომლითაც პ. ინგოროყვა მნიშვნელოვნად სცვლის მატიანის ჩვენებას და ამით არჩილის სიკვდილსაც 759 წ-ით ათარიღებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მანსურის დროს არაბთა პირველი ლაშქრობის თარიღი სწორად არა აქვს აღნიშნული ავტორს და ამიტომ მატიანის ტექსტის მისებური შეცვლა და აგრეთვე არჩილის წამების თარიღიც სრულიად უსაფუძვლო ხდება.

მ. ლორთქიფანიძე, სამართლიანად, ამ ლაშქრობის თარიღად 770—5 წწ. თვლის[49]. ასე, რომ „სინქრონიზმი" იოლვევა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ იბნ-კაჰტაბას ლაშქრობა არ იყო პირველი. მასზე ადრე იმავე წანარების წინააღმდეგ ილაშქრა იაზიდ-იბნ-უსაიდმა. აი რას გვეუბნება ბალაძორი ამის შესახებ: „როდესაც ხალიფა გახდა მანსური—შეიწყალოს ღმერთმა—არმენიის მმართველად მან დანიშნა იაზიდ იბნ-უსაიდ სულამიტი. ამან დაიპყრო ბაბალანი (დარიალი—**დ. მ.**). და ჩააყენა შიგ ციხიონი დიენის ხალხისაგან. მანვე ისე დაამარცხა სანარიელები, რომ ისინი იძულებული იყვნენ ხარაჯა გადაეხადათ"[50]. აქედან სრულებით ცხადია, რომ იაზიდს კახეთში ულაშქრია თუ იმავე 754 წელს არა, ყოველ შემთხვევაში 755 წ.[51]. მის შემდეგ ხალიფას ნაცვლად კავკასიაში ყოფილა ბაქარ იბნ-მუსლიმი, ხოლო ამ უკანასკნელის შემდეგ ჰასან იბნ-კაჰტაბაა[52]. ამგვარად მატიანის ტექსტის შეცვლა სრულიად მოკლებულია საფუძველს. ამდენადვე, არაა სწორი არჩილის წამების დათარიღება 759 წლით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვა არჩილის ვინაობასაც ეხება. მას არჩილ მეფე ძველი ქართლის ერთიანი სამეფოს უკანასკნელ ამაღორძინებლად ესახება. იგი წერს: „აღსანიშნავია, რომ არჩილი „ქართველთა მეფის" ტიტულს ატარებდა. როგორც ცნობილია, მე-6 საუკუნიდან მოკიდებული, როდესაც სპარსელებმა მოსპეს მეფობა ქართლში (იბერიაში), ვიდრე მე-9 საუკუნემდე, როდესაც არტანუჯის ბაგრატიონებმა ხელახლა მიიღეს ეს სახელწოდება „ქართველთა მეფე", არცერთი ქართველი მფლობელი არ ატარებდა „ქართველთა მეფის" ტიტულს. თავისთავად ჯერ მარტო ეს გარემოება

---

49 დასახ. წერილი, გვ. 13, შენ. 1.

50 **Баладзори-Жузе**, გვ. 29.

51 შდ. მ. ლორთქიფანიძის ზემოაღნიშნულ წერილს, სადაც იგი „754 წ. ახლო ხანებში" დებს ამ ლაშქრობას (იქვე, გვ. 12).

52 **Баладзори-Жузе**, იქვე; **მ. ლორთქიფანიძე**, იქვე, გვ. 13.

იქცევს ყურადღებას და მაჩვენებელია იმ მნიშვნელოვანი როლისა, რომელიც არჩილს VIII ს-ის ისტორიაში ეკუთვნოდა"[53]:

ცოტა უფრო ქვემოთ პ. ინგოროყვა წერს: „მე-8 საუკუნის ამ მემატიანის (ჯუანშერის ქრონიკის პირველწყაროს) ცნობით არჩილის მფლობელობის ქვეშ თანდათან გაერთიანებულია საქართველოს ძირითადი პროვინციები,—როგორც კახეთ-ჰერეთი, ისე ქართლი (გარდა ტფილისის მხარისა, სადაც არაბები ისხდნენ), და აგრეთვე ნაწილი ეგრისისა. არჩილის გავლენა ვრცელდებოდა ნუხის მხრიდან დაწყებული ვიდრე დასავლეთ საქართველომდე და ტაო-კლარჯეთამდე"[54] და შემდეგ: „არჩილი, რომელმაც ამრიგად გააერთიანა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, განაახლებს ძველი ერთიანი იბერიის სახელმწიფოებრივ ტრადიციას იმითაც, რომ ღებულობს „ქართველთა მეფის" ტიტულს"[55].

ვიდრე გარკვეულ აზრს გამოვიტანდეთ ზემოთქმულიდან, საჭიროა თვით წყაროს შეფასება. პ. ინგოროყვასთვის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს წყარო, ანონიმის თხზულება, „თვით არჩილის ეპოქის მე-8 საუკუნის ქართული მატიანის უაღრესად საყურადღებო ტექსტია" და ამდენად, თუ ეს გავიზიარეთ, იგი სავსებით სანდოა ამ ეპოქისა და თვით არჩილის ვინაობის აღსადგენად. ჩვენი აზრით, ზოგიერთი მონაცემის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ძეგლის ღირებულების მეტ-ნაკლებად განსაზღვრა.

ჯერ თვით ძეგლის თარიღისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლი ანონიმისაა, რომელიც ჯუანშერს თავის წყაროდ გაუხდია, მაინც მისი VIII ს-ით დათარიღება საეჭვოა. ეჭვს აგვიძრავს შემდეგი სამი გარემოება: ჯერ ერთი, ამ ტექსტშია დაცული წინასწარმეტყველება არაბთა ბატონობის დამხობის შესახებ. ბერძენთა კეისარი მოუწერს აფხაზეთში შეხიზნულ „ქართლის მეფეებს": „არამედ დაადგერით სიმაგრეთა შინა თქუენთა, ვიდრემდის წარჯდენ წელნი მათნი სამასნი; რამეთუ ორას მეერგასესა წელსა განიყოს მეფობა მათი, და განსრულებასა მესამისა წლისასა მოეცეს ძალი მეფობასა ჩუენსა. შემუსრნეთ აგარიანნი, და ყოველნი მათნი ამაღლებულნი დამდაბლდენ, და ჩუენ თანა მადიდებელნი ამაღლდენ"[56]. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აქ ერთი სიტყვით ვითომდა წინასწარმეტყველებაა, რომ არაბთა ბატონობა საქართველოში 300 წელიწადს გასტანს. ჩვეულებრივ ამგვარი წინასწარმეტყველება ითხ-

---

53 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

54 იქვე, გვ. 145.

55 იქვე.

56 ანას ქ-ცა, 152.

ზება ხოლმე post factum"[57]. მართლაც, რომ, კერძოდ, ეს ამბავი შეთხზულია post factum ამას თვით ტექსტი გვამცნობს: კეისარი მიჰრს და არჩილს ეუბნება, რომ გამაგრდნენ, ვიდრე არაბთა ბატონობის სამასი წელი გაივლის და ამის შემდეგ „მოეცეს ძალი მეფობასა თქუენსაო". ცხადია, მიჰრი და არჩილი, რომელნიც VIII ს-ზე გვიანდელი მოღვაწენი არავითარ შემთხვევაში არ არიან, არაბთა ბატონობის სამასი წლისთავს ვერ დაუცდიდნენ, რადგან ამ უკანასკნელის ასიოდე წელი იყო მხოლოდ გასული (არაბები საქართველოში VII ს-ის შუახანებში შემოდიან). ამიტომ ამ წინასწარმეტყველებას სრულიად ეკარგება აზრი. ამდენადვე ცხადია, რომ როდესაც მემატიანეს ეს სიტყვები „თავის ისტორიაში შეჰქონდა, 300 წელიწადი არაბთა შემოსევიდან უკვე აღსრულებული და არაბთა ბატონობაც შესუსტებული იყო"[58]. ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ განსვენებულ მეცნიერს, რომ ამის გამო ეს ტექსტი XI ს-ის პირველ ნახევარს მივაკუთვნოთ[59], მაგრამ ცხადია იგი X ს-ის ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

არის კიდევ მეორე გარემოება, რის გამოც, ჩვენი აზრით, ეს ტექსტი VIII ს-ეს არ მიეკუთვნება. მხედველობაში გვაქვს ცნობილი ადგილი აქედან: „ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად ყრუსა წარსლვითგან წელიწადსა ორმეოცდა ათსა[60]. აქა ჟამამდე არა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან"[61]. ამ ცნობას ორგვარი ინტერპრეტაცია აქვს: ს. ჯანაშია ვარაუდობს (თუმცა გარკვეული ეჭვით), რომ ცნობა უნდა გაგიგოთ პირდაპირ და ე. ი. „VIII ს-ის ოცდაათიანი წლებიდან ოთხმოციან წლებამდის ქართლში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა დამყარებულა არაბთა მფლობელობის ქვეშ"[62]. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ეს ცნობა უნდა ეხებოდეს არაბთა პირველი ლაშქრობის შემდეგდროინდელ ამბავს[63].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორია ივ. ჯავახიშვილის აზრი, რადგანაც მურვან ყრუს შემდეგ არამც თუ „არღარა შემოვიდოდეს" ქართლში არაბნი, არამედ სწორედ ამ დროს ხშირდება მათი აქ შემოს-

---

57 ქართული საისტ. მწერლობა, 1928, გვ. 188.

58 იქვე.

59 იხ. იქვე. ივ. ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, 300 წელს VIII ს-ის შუა ხანიდან ვარაუდობს, როდესაც განსაკუთრებით მძიმდება არაბთა უღელი.

60 ანას ქ<ცა-ში: ორმოცდამეათესა.

61 ანას ქ<ცა, 155—6.

62 არაბობა საქართველოში, 1936, გვ. 35.

63 ქართ. ერის ისტ. II2, გვ. 83.

ვლა. კერძოდ, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხალიფა მანსურის დროს (741—775) ლაშქრობს აქეთკენ ჯერ იაზიდი (754—5 წწ.), შემდეგ 70-იან წლებში ჰასან იბნ-კაჰტაბა, რომლის დასახმარებლად იგზავნება ამირ იბნ-ისმაილი[64].

სამაგიეროდ სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს VII ს-ის მეორე ნახევრისათვის. ამ ხანისათვის, რამდენადაც ვიცი, არაა დამოწმებული არცერთი ლაშქრობა არაბებისა საქართველოში. როგორც ჩანს, ჰაბიბ იბნ-მასლამას მიერ დადებული ხელშეკრულება მეტნაკლებად სრულდებოდა. ეს რომ ასე იყო, ამას მოწმობს ღევონდის ცნობა, რომ 30 წლის განმავლობაში ქართველები სომხებთან და ალვანელებთან ერთად ხარკს უხდიდნენ არაბებს, ხოლო შემდეგ აუჯანყდნენ[65]. აჯანყება მომხდარა 681 წ. გაგრძელებულა სამ წელს, ხოლო 689 წ. ხაზარებს მოურბევიათ ამიერკავკასია[66].

თუ 643 წლის მარბიელს არ ჩავთვლით, არაბები (ჰაბიბი) ჩვენთან 654-5 წელს მოდიან პირველად და ე. ი. მართლაც, დაახლოებით 30 წელი გამოდის აჯანყებამდე. ჩვენ არ ვიცით ამის შემდეგ რა ხდება, ერთი კი ცხადია, რომ ღევონდის ცნობა მხარს უჭერს ქართველი მემატიანის ჩვენებას. ამდენადვე ცხადია, რომ ეს ცნობა არაბთა 50 წლის შემოუსვლელობის შესახებ უფრო შეეფერება VII ს-ეს, ვიდრე VIII-ს. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ უნდა დავასკვნათ შემდეგი: ანონიმი არ არის VIII ს-ის მწერალი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ასეთი შეცდომა არ მოუვიდოდა და ვერ დასწერდა, რომ მურვანის შემდეგ ქართლში არაბები არ შემოსულან, რაც ეწინააღმდეგება სინამდვილეს.

რომ ანონიმი X ს-ზე ადრინდელი მწერალი არ უნდა იყოს, ამას, ბოლოს და ბოლოს, ადასტურებს მის მიერ ხმარება ტერმინისა—„საქართველო“[67]. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, არ

---

64 იაყუბი-ჟუზე, გვ. 9. ჩვენ გვგონია რომ წყაროს: „დაეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად“—აქ ქართლი პოლიტიკური მნიშვნელობით იხმარება. არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ რადგან ამ დროს არაბები „წანარებს“ ებრძვიან, ამიტომ გვაქვს საფუძველი „ქართლი“ კახეთის გარეშე ვივარაუდოთ. ეს რომ ასეა, ამას იგივე იაკუბი გვავარაუდებინებს: „ამირ იბნ-ისმაილმა გასწყვიტა ერთ დღეში 16000 წანარი. ამის შემდეგ იგი გაემართა თბილისისკენ. გზაში დახოცა ტყვეები და ყოველმხრივ მდევრები გამოუყენა წანარებს“ (იქვე). აქედან ცხადია, ამირი საკუთრივ ქართლშიც შემოსულა.

65 ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 74, შენ. 2; ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 25—6.

66 ს. ჯანაშია, იქვე, 26—27.

67 ანას ქ-ცა, 149_{30}.

შეიძლება შექმნილიყო X ს-ის ბოლო მეოთხედისა ან XI ს-ის დასაწყისზე უფრო ადრე[68].

შესაძლებელია, თუკი ეს თხზულება ჯუანშერმა გამოიყენა (პ. ინგოროყვა მას აკი ჯუანშერის პირველწყაროდ თვლის). ასეთი შეუსაბამობანი მისი ინტერპოლაციების შედეგი იყოს, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას. ცხადია, ყოველივე ეს ანონიმის ტექსტის სანდოობაში არჩილის ვინაობის და სხვ. აღსადგენად გარკვეულ სიფრთხილეს გვიკარნახებს. თუმცა ის კი ცხადია, რომ ამ ტექსტში VIII ს-ის თანამედროვე წყაროცაა დაცული. კერძოდ, ეს უნდა ეხებოდეს უპირველესად ყოვლისა იმ ნაწილს, საცა არჩილის კახეთ-ჰერეთში საქმიანობაა აღწერილი. ამის შემდეგ შევუდგეთ არჩილის ვინაობასა და მოღვაწეობის ხანის დახასიათებას. დავიწყოთ ბოლოდან.

როგორც ეს უკვე პ. ინგოროყვამ აჩვენა, არჩილი მურვან ყრუს კავკასიაში ნაცვლობის (732—744) თანამედროვეა. მაგრამ იგი მურვანის წასვლის შემდეგაც[69] მოღვაწეობს, კერძოდ ნუხის (თუკი დღევანდელი ნუხი არის იგივე ნოპოტი-ნუხპატო) მხარეში: „ხოლო ნოპოტელნი უწინარეს იყუნეს კაცნი წარმართნი და მჯეცის-ბუნებანი, არამედ ყრუსა ძოესრა სიმრავლე მათი, და (არჩილმა—**დ. მ.**) იძულებით მონათლნა იგინი"[70]. მაგრამ იგი მურვანზე ადრეც ჩანს. ამას გვავარაუდებინებს ჯერ ერთი, ის ჩანართი ანონიმის ტექსტში, რომელიც უშუალოდ მოსდევს ზემომოყვანილ ამონაწერს: „გაძლიერებულ იყუნეს სარკინოზნი ქუეყანასა რანისსა. დაეპყრათ გაზირი და სომხითი, და ბრძოდა მასლამა ბერძენთა"[71]. ცხადი ანაქრონიზმისდა მიუხედავად აქედან თითქოს სავარაუდოა, რომ არჩილი მასლამას თანამედროვეცაა[72]. მაგრამ არჩილის მოღვაწეობის დასაწყისი კიდევ უფრო უკან უნდა გადავწიოთ. ამას გვავარაუდებინებს ორი

---

68 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , იქვე, გვ. 26; აგრეთვე, ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, რომელი საუკუნიდან იხმარება ტერმინი „საქართველო", გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი", 1958, 8/XII.

69 ან ეგებ საქართველოში ლაშქრობის შემდეგ, 736—8 წ. იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, იქვე, 34.

70 ანას ქ-ცა, 155.

71 იქვე. შდ. დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს „საქ. ისტ.", 1889, გვ. 203.

72 ჩვენ გვგონია, რომ ეს მასლამა უნდა იყოს მასლამა იბნ-აბდულ-მალიქი, რომელიც ამ. კავკასიის ვალი იყო 725—30 (თუ 732?) წწ. იხ. ბ ა ლ ა ძ ო რ ი-ქ უ ზ ე, გვ. 15—6 და ი ა ყ უ ბ ი-ქ უ ზ ე, გვ. 6—7. აგრეთვე ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა, გვ. 31; თუმცა შესაძლებელია ეს იგივე მასლამა იყოს ამოტ კურაპალატის თანამედროვედ რომ არის გამოყვანილი. იხ. ქ-ცა, გვ. 162. მაშინ ცხადია ეს ადგილი ჩვენ აძ გამოგვადგება და საერთოდ იგი უადგილო-ადგილას ჩართული გლოსას შთაბეჭდილებას სტოვებს.

გარემოება: ჯერ ერთი, ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ არჩილის მოღვაწეობის „ჟამამდე არა შემოვიდოდეს (სარკინოზნი—**დ. მ.**). არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“[73]. ზემოთ ეს პერიოდი VII ს-ის მეორე ნახევრისათვის ვივარაუდეთ, დაახლოებით VIII ს-ის ათიან წ-დე (655+50=705). ცხადია, არჩილის მოღვაწეობა ამ ხანიდან უნდა დავიწყოთ, თუ უფრო ადრე არა. და რომ თითქოს ამის დასაწყისი VII ს-ის ბოლოსთვის უნდა გადავიტანოთ, ამას გვავარაუდებინებს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცნობა (ჯუანშერისა და ლეონტი მროველისა), რომ არჩილი იყო შვილიშვილი ადარნერსესი, რომელიც, ცნობილია, ჰერაკლე კეისრის თანამედროვე იყო[74].

როდის-ღა უნდა ეწამებინათ არჩილი?

ვფიქრობთ მურვანის წასვლის შემდეგ, არც თუ დიდი ხნის შემდგომ. ამას გვავარაუდებინებს შემდეგი გარემოება. არაბ ისტორიკოს იაყუბს ნათქვამი აქვს: „როდესაც სტოვებდა მურვანი არმენიას (743—4 წწ.—**დ. მ.**), დასტოვა მან თავის მაგიერ მმართველად იქ ასიმ იბნ-აბდულაჰი“[75]. ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ გვგონია, რომ იაყუ-

---

73 ეს მნიშვნელოვანი ცნობა „ქართლის ცხოვრებისა“, რომ „ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზი შემოსლვად ქართლად ყრუსსა წარსლვითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა. აქა ჟამამდე არა შემოვიდოდეს...“ ჩართულია ანონიმის თხზულების ბოლოს, მას შემდეგ, რაც არჩილის მოღვაწეობაზე იყო საუბარი და ამიტომ ქმნის საცთურს გამოთქმა „აქა ჟამამდე“ არჩილის მოღვაწეობის ბოლოს დავუკავშიროთ. ამას ემატება „არჩილის წამების“ დასაწყისი ფრაზა: „და ვითარცა გარდაჯდა წელიწადი ორმოცდაათი“, მაშინ ეწამა არჩილიო (ანას. ქ^ცა, 155—157). „ქართლის ცხოვრების“ სწორედ ეს ცნობებია საფუძველი ზემოაღნიშნულ მკვლევართათვის (ვ. ინგოროყვას ჩათვლით) არჩილის წამების თარიღის დასადგენად. ჩვენ ზემოთ ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ანონიმის ცნობაში მურვან ყრუს მოხსენება ანაქრონიზმია. უკვე ამიტომ, რომ თუკი არჩილს მურვანის თანამედროვედ ვცნობთ, შეუძლებელია ამ ორმოცდაათწლიანი პერიოდის ბოლოს დაკავშირება არჩილის წამებასთან (არაბები VIII ს-ის ოციან წლებშიც შემოდიან ქართლში!). ამიტომ გამოთქმას „აქა ჟამამდე“ ჩვენ საერთოდ არჩილის მოღვაწეობის ხანას ვუკავშირებთ და არა მის ბოლოს. რაც შეეხება „წამების“ დასაწყის ფრაზას, იგი, ჩვენის აზრით, შეუძლებელია მის ავტორს ეკუთვნოდეს, არამედ „ქართლის ცხოვრების“ კრებულის გვიანდელი რედაქტორის ინტერპოლაციას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც ეს დამოუკიდებელი ნაწარმოები ორგანულად უნდა გადაება ანონიმის თხზულებასთან. თუ ასე არა, მაშინ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, ლ. მუსხელიშვილის კვალად, რომ არჩილი VII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწეა, რაც სხვაფრივ, მართლაც, შეესაბამება „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილ ისტორიულ-ქრონოლოგიურ კონცეფციას (იხ. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, იქვე).

74 ანას ქ^ცა, გვ. 147—148 და 158. შდრ. აგრეთვე, ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ., 116—117, სადაც არჩილის ზეობის თარიღად იგი 668—718 წწ. დებს. ეგების, ორმოცდაათწლიანი პერიოდის დადება 643 წ-დან უფრო სწორი იყოს, როგორც ამას ვარაუდობდა ლ. მუსხელიშვილი (იხ. ზემოთ), მაშინ არჩილი 690-იანებში უკვე „გამეფებულად“ უნდა ვიგულოთ.

75 ი ა ყ უ ბ ი-ქ უ ზ ე, გვ. 8.

ბის ასიმი და „არჩილის მარტვილობის“ ასიმი ერთი და იგივე პირია, და სწორედ მას უნდა ეწამებინა არჩილი. ასიმ იბნ-აბდულაჰი ჩქარა ამ პოსტზე შეუცვლია ისჰაკ იბნ- მუსლიმს[76], ამიტომ არჩილის სიკვდილიც, მურვანის წასვლის შემდეგ, მალეა სავარაუდო[77]. ამგვარად, ჩვენ მიერ არჩილის ზეობის ხანა განისაზღვრება დაახლოებით 705—745 წწ-ით.

ვინ იყო არჩილი?

როგორც ზემოთ ვნახეთ პ. ინგოროყვას იგი „ქართველთა მეფედ“ მიაჩნია, რომელმაც აღადგინა ძველი ქართლის სამეფო ნუხიდან ვიდრე ტაო-კლარჯეთამდე, ეგრისის ნაწილითურთ, გარდა თბილისისა, სადაც არაბები ისხდნენ. საკითხავია, თუკი პატივცემულ მკვლევარს ეს წყარო (ამ ნაწილში) იმდენად სანდოდ მიაჩნია, რომ იგი ძველი ქართლის სამეფოს აღადგენს VIII ს-ის შუა ხანებში, მაშინ რა უფლებით არ ენდობა იგი ანონიმს იქ, საცა თბილისზეა ლაპარაკი. ანონიმი აკი აღნიშნავს, რომ არჩილმა სხვათა შორის „მისცა... ტფილისი“ ჯონბერ ჯონბერიანს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს ნაწილი ანონიმის ტექსტისა (არჩილი ერისთავებს რომ უნაწილებს ოლქებს), რომელზედაცაა დამყარებული მოსაზრება არჩილის მიერ ძველი ქართლის სამეფოს აღდგენის შესახებ, გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს და ს. ჯანაშიას სიტყვებით, რომ ვთქვათ „შეთხზულია ავტორის მიერ, რათა ახსნას მის დროს არსებული ვითარება“[78].

მთელ ამ თხრობაში, არჩილს რომ ეხება, სავსებით რეალური არის მხოლოდ მისი საქმიანობა კახეთ-ჰერეთში. ამას მოწმობს აგრეთვე არქიტექტურული ძეგლები (VIII ს-ის ყუმის ბაზილიკა და VIII—IX ს-ის ლეკითის ტეტრაკონქი კახის რ-ნში).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ არჩილი, მაინცდამაინც კახეთში ზის, როგორც ამას პ. ინგოროყვაც აღნიშნავს[79]. კახეთშივე ზის მისი შვილი ჯონბერიც[80]. ყველაფერი ეს გვავარაუდებინებს, რომ არჩილი უნდა ყოფილიყო იმ პოლიტიკური ერთეულის (კახეთ-ჰერეთის) ხელისუფალი, რომლის ჩამოყალიბება ჩვენ ჯერ VI ს-ის მეორე ნახევრისთვის ვივარაუდეთ. ამასვე გვავარაუდებინებს ის გარემოება, რომ, როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშ-

---

76 იხ. იქვე.

77 ამას ეწინააღმდეგება თითქოს ზემომოტანილი ცნობა, რომ არჩილმა ნოპოტელნი, ამ უკანასკნელთა ყრუს მიერ დარბევის შემდეგ, მონათლა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქ შესაძლებელია მურვანის ერთ-ერთი ლაშქრობა იგულისხმებოდეს და არა მისი კავკასიიდან წასვლა .

78 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, გვ. 286, ავტორში ს. ჯანაშია ჯუანშერს გულისხმობს.

79 დას. ნაშრ., გვ. 145.

80 ანას ქ-ცა, 160.

ნეთ, ეს პოლიტიკური ერთეული დაიმკვიდრეს „შვილთა ბაკურ მეფისათა, ნათესავთა დაჩისათა, ვახტანგის ძისათა“, მაშინ როდესაც ქართლის ერისმთავრობა გუარამის შთამომავლებმა ჩაიგდეს ხელში.

რომ არჩილი და მისი შვილი ჯონბერიც მხოლოდ კახეთ-ჰერეთის ხელისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ ეს, ჩვენი აზრით, ჩანს შემდეგიდანაც: ჯონბერ არჩილის ძე, რომელიც მემატიანისა[81] და აგრეთვე ვახუშტის[82] მიხედვითაც ქართლ-კახეთის ხელისუფალია, ცხოვრობს VIII ს-ის 60—70-იან წლებში[83], მაგრამ ამის შემდეგაც ჩანს[84]. ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ სწორედ ამ ხანებში, VIII ს-ის 70—80-იან წლებში ქართლის ერისმთავარია „ნერსეჲ ძჱ ადარნერსე კურაპალატისა და ერის-მთავარისაჲ“[85], ხოლო მის შემდეგ, 80-იან წლებში „სტეფანოზ ძე გურგენისი ერისთავისაჲ“[86], ამიტომ სრულიად შეუძლებელია ჯონბერიც ქართლის ერისმთავრად წარმოვიდგინოთ, როგორც ამას ვარაუდობენ[87]. ამასთან ქართლის ერისმთავარი თბილისში ზის, მაშინ როდესაც ჯონბერს რეზიდენცია კახეთში აქვს[88]. ეს რაც შეეხება ჯონბერს.

დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობაშია არჩილიც.

ნერსე ქართლის ერისმთავარი მემკვიდრეა მამისა — ადარნერსე ქართლის ერისმთავრისა, რომელიც, მაშასადამე, დაახლოებით არჩილის თანამედროვე, მისი თაობისა უნდა ყოფილიყო. ამიტომ ცხადია, არჩილიც არ უნდა ყოფილიყო ერისმთავრად, მითუმეტეს მისი რეზიდენციაც კახეთშია[89].

ამას დავუმატებდით, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში დაცულ ქართლის ერისმთავართა სიაში არც არჩილი და არც ჯონბერი მოხსენებულნი არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ მამამისი სტეფანოზი და პაპამისი ადარნესე იხსენიებიან[90].

მაგრამ არ არის გამორიცხული არჩილი გარკვეულ დროს ქართლის ერისმთავრად, მართლაც, მჯდარიყო. ამაში არაფერი იქნებო-

---

81 იხ. ანას ქცა, 100.

82 „საქ. ისტ.“, დ. ბაქრაძის გამოც. გვ. 117—8.

83 იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტ., II², 77—8.

84 მატიანე ქართლისაჲ-ს მიხედვით იგი აფხაზთა განდგომასაც მოსწრებია, იხ. ანას ქცა, გვ. 161.

85 აბოს მარტვილობა; იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, 78.

86 იქვე, 79.

87 იხ. იქვე, 77, აგრეთვე, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 143.

88 ქცა, 160.

89 ანას ქცა, 157—9. მოწამეებრივი სიკვდილის შემდეგაც იგი კახეთში (ერწოში) იმარხება.

90 Опис.., 727, თუმცა უნდა ითქვას საერთოდ ეს სია (მიუხედავად იმისა, რომ სუმბატ დავითის ძესთანაცაა ნაწილობრივ დაცული) ნაკლული უნდა იყოს.

და გასაკვირი. მისი წინაპრები ხომ სწორედ ქართლის ერისმთავრები იყვნენ (ადარნერსე, სტეფანოზი). შესაძლებელია ამის გამოძახილი იყოს ანონიმის ტექსტის ის ნაწილი, სადაც არჩილის ქართლში მოღვაწეობაზეა ლაპარაკი (საერისთაოებთან დაკავშირებით). არაა გამორიცხული აგრეთვე ის ამბავი, რომ მას შემდეგ რაც კახეთ-ჰერეთში ხოსროიანნი დამკვიდრდნენ, ხოლო ქართლში გუარამის მემკვიდრეები, მათ შორის მეტოქეობა ყოფილიყო. შესაძლებელია ამისი მაჩვენებელი იყოს ის გარემოება, რომ მაშინ როდესაც ჰერაკლე კეისარი კალას შემოსდგომიყო, „კეისარმან მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქვა ადარნასე, და მისცა ტფილისი და მთავრობდა ქართლს, დაუტევა მის თანა ერისთავი, რომელსა ერქვა, ჯიბღაი, და უბრძანა ბრძოლა კალისა“[91]. მაშასადამე, თუკი ქცა-ს დავუჯერეთ ადარნასე ხოსროიანი დახმარებია ჰერაკლეს თბილისის აღებაში[92]. შესაძლებელია ამ მეტოქეობის ბრალი იყოს აგრეთვე, რომ სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის მემკვიდრე, რომელიც თავდაპირველად, ეგებ მართლაც, ფლობდა ქართლს, „ამისსა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად“[93].

მაშასადამე, ჩვენი წარმოდგენით არჩილი კახეთ-ჰერეთის ხელისუფალია, თუმცა გარკვეულ პერიოდში იგი, შესაძლებელია, ქართლის ერისმთავარიც ყოფილიყო.

მაგრამ არჩილი, როგორც აღვნიშნეთ, მეფედ იხსენიება.

პ. ინგოროყვას ეს ერთ-ერთ საბუთად მიაჩნია იმისა, რომ არჩილი ძველი ქართლის სამეფოს მესვეურია. იგი წერს: „არჩილი, რომელმაც ამრიგად გააერთიანა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი,

---

91 ანას ქცა, 146.

92 „მოქც. ქართლისაჲ“ სხვაგვარად ასწერს ამავე ხანას. მის მიხედვით ადრნესე ერისმთავრობდა ჰერაკლე კეისრის ქართლიდან წასვლის შემდეგ. მაგრამ მაინცდამაინც, ნიშანდობლივია, რომ ხოსროიანებს მაინც შეუცვლიათ, დროებით, გუარამის მემკვიდრეები, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ, მაშინ როდესაც მემატიანე მეორე ერისმთავარ სტეფანოზზე წერს, რომ იგი „ძჱ“ იყო გუარამ კურაპალატისა, ადარნესეზე უბრალოდ ამბობს: „და შემდგომად ერისთაობდა ადრნესე“, ხოლო მის მემკვიდრეზე კვლავ: „და მისა შემდგომად ერისთვობდა სტეფანოზძჱ მისი“, ე. ი. ადრნესესი; **Опис** ..., 724, 726; ცხადია, მხედველობაში არ არის მისაღები სუმბატ დავითის ძის ტენდენციური შეხედულება, რომ ეს ადრნესე და სტეფანოზი ვითომ და ბაგრატიონები არიან, იხ. სამი ისტ. ქრონიკა, 1890, გვ. 49.

93 ანას ქცა, 155: მაგრამ აქ კიდევ ერთი კითხვა იბადება: სწორია თუ არა ქცა-ს ჩვენება, რომ საუკუნე ნახევრის მანძილზე, VII ს-ის დასაწყისიდან VIII ს-ის შუახანებამდე, მხოლოდ სამი თაობა წარმოვიდგინოთ: ადარნერსე—სტეფანოზი—არჩილი?!

განაახლებს ძველი ერთიანი იბერიის სახელმწიფოებრივ ტრადიციას იმითაც, რომ ღებულობს „ქართველთა მეფის“ ტიტულს“[94].

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსაიდან არა ჩანს, რომ არჩილს ეს ტიტული „მიეღოს“. მას ეს წოდება იმთავითვე უნდა ჰქონოდა, რადგანაც იგი, როგორც ხოსროიანი, ჩამომავლობით მეფის გვარისა იყო ანუ ძველი წყაროების ენით რომ ვთქვათ—„ნათესავით მეფე“. ეს დაახლოებით ისეთი მოვლენა უნდა ყოფილიყო, როგორც პიტიახშების მიმართ გვაქვს დამოწმებული: სწორედ ამ ხანებში იხსენიებიან „ნათესავით პიტიახშნი“[95]. მსგავსად იმისა, რომ გასაგები მიზეზების გამო, ამ ხანებისათვის მრავლდებიან „პიტიახშები“, ანალოგიურად რამდენიმე „მეფეც“ გვხვდება, მაგალითად: „მეფენი ქართლისანი მიჰრ და არჩილ“[96]. რომ არჩილს მეფობა არ „მიუღია“ ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეფედ იწოდება, როგორც მისი ძმა, მიჰრი, ისე მისი პაპაც, ადარნერსეც[97]. ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენი აზრით, ცხადია, რომ ეს მეფობა ფიქცია უნდა ყოფილიყო, უბრალო წოდება, ძველებურ შინაარსს მოკლებული. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ, მართალია, არჩილის პაპა მეფედ იწოდება, მაინც „ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან, მთავრობით, და მეფის სახელი ვერცა მან იპყრა, და ერისთავნი იგი თუის-თუისსა საერისთოსა ზედა შეუცვალებელად მორჩილებდეს ადარნასე მთავარსა“[98]. აქ შესანიშნავად ჩანს ადარნასეს ხელისუფლების შინაარსი: მიუხედავად იმისა, რომ მისი უფლე-

---

94 დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

95 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი; ანიმკის მ-ბე, 1943 წ. XIII; გვ. 92—4.

96 ანას ქ-ცა, 150.

97 იქვე, 158; ამასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა რომ პლატონ იოსელიანის მოწმობით, სვეტიცხოველის ერთ-ერთ ეკვდერზე, რომელიც 1837 წელს დაუნგრევიათ, ყოფილა ასომთავრული წარწერა: „ადიდე ღმერთო მეფე ადარნასე და კათალიკოზი სვიმონ“. თ. ჟორდანია ამ წარწერის კათალიკოსს VII ს-ის დასაწყისის მოღვაწედ თვლის (იხ. ქრონიკები, I, გვ. 57—8, შენ. 128) და ამდენად ადარნასე უნდა იყოს ცნობილი ადარნასე ერისმთავარი თუ ჯპატოსი. თუ მართლაც ასეა, მაშინ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტთან გვექნებოდა საქმე: ამ შემთხვევაში უნდა გვეგულისხმა, რომ წინააღმდეგ ქ-ც-ს მხოლოაზროვანი ცნობისა, მეფობა ადარნასესთვის იყო არა ფიქცია, არამედ ფაქტიური მდგომარეობა (მემატიანემ რომ ზემოხსენებული მიზეზებისა გამო ერისმთავარს მეფე უწოდოს—ეს დასაშვებია, მაგრამ ისეთ ნახევრად ოფიციალურ ძეგლში, როგორიცაა ჩვეულებრივ, ტაძრის წარწერები, ასეთი აღრევა, ვფიქრობთ, შეუძლებელია). მაგრამ საეჭვოა: ხომ არ ეკუთვნოდა ეს წარწერა უფრო გვიანდელ ხანას და კერძოდ ადარნასე ქართველთა მეფის დროს?

რაც შეეხება იოანესა და ჯუანშერს, ერთ-ერთი მათგანი, როგორც ამას თ. ჟორდანია ვარაუდობდა შიო მღვიმელის XII სასწაულის მიხედვით (იხ. „საქ. სამოთხე“, გვ. 262), აგრეთვე მეფედ იწოდება (იხ. ქრონიკები, I, გვ. 73, შენ. 154).

98 იქვე, 146.

ბები ვრცელდებოდა მთელი ძველი ქართლის სამეფოს ფარგლებზე („ყოველი ქართლი") და მიუხედავად იმისა, რომ იგი „ნათესავით მეფე" იყო, მაინც რეალური „მეფის სახელი ვერცა მან იპყრა". ამის შემდეგ რაღა საფუძველი გვაქვს არჩილი რეალურ „ქართველთა მეფედ" გამოვაცხადოთ, მით უმეტეს, რომ მისი უფლებების გავრცელება კახეთ-ჰერეთის ფარგლებს გარეთ, როგორც ვთქვით, საეჭვოა.

ამგვარად, მეფობა არჩილისათვის არის მხოლოდ უბრალო წოდება: იგი მეფეა იმდენად, რამდენადაც ჩამომავლობით სამეფო გვარიდან არის[99].

მაშასადამე, ჩვენი დასკვნები შემდეგია: არჩილ „მეფე" არის კახეთ-ჰერეთის ხელისუფალი. იგი მოღვაწეობს დაახლოებით 705—745 წწ-ში. მის რეზიდენციაზე გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ეს ქალაქი უჯარმა ყოფილიყოს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ხანის კახეთის ისტორიის გათვალისწინების შედეგად, სავარაუდოა, კვლავ მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილიყო ქართლის სახელმწიფოსი. ყოველ შემთხვევაში არჩილთან დაკავშირებით უჯარმა ორჯერაა მოხსენებული: ერთხელ, როდესაც „სამსახურებელნი ოქროსა და ვერცხლისანი ჯევსა უჯარმოსასა"[100] დაფლეს და მეორედ, როდესაც ვახტანგ გორგასლის მიერ ინდოეთიდან და სინდეთიდან მოტანილი განძეულობა აგრეთვე დაფლეს „უჯარმოს, მახლობელ შორის ორთა მათ კოშკთა უმცველოთა"[101].

მიუხედავად მურვან ყრუს დამარბეველი ლაშქრობისა VIII ს-ში, აღმ. საქართველო და განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი პერიფერია მნიშვნელოვან ეკონომიურ სიმძლავრეს ამჟღავნებს. ამას მოწმობს ზემოთ ერთხელ უკვე მოტანილი ნუმიზმატიკური მასალა, რომლის შესახებაც თ. ლომოური ამბობს: „მოხსენებული ფაქტები მიგვითითებენ იმაზე, რომ VIII ს-ში და IX ს-ის პირველი მეოთხედის განმავლობაში ალაზან გაღმა მხარეს ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია არაბული სამყაროს დიდ ეკონომიურ ცენტრებთან. დადასტურებულია, რომ საქართველოს სხვა მხარეებშიც, უფრო კი მის აღმოსავლეთ ნაწილში, და მთელ ამიერკავკასიაში VIII—IX ს-ის

---

99 ის გარემოება, რომ იგი „ქართველთა" თუ „ქართლის მეფედ" იწოდება, არ გამორიცხავს საწინააღმდეგო საბუთად, რადგან გვიანდელი მემატიანესთვის იგი ცხადია ქართლის მეფე უნდა ყოფილიყო, რადგანაც სხვა მეფე მას იმ დროს არსად ეგულებოდა.

100 ანას ქ ცა. 149.

101 იქვე, 150.

არაბული ფულის განძები საზოგადოდ იშვიათი არ არის. უცხოეთიდან შემოსული და ადგილობრივ ზარაფხანებში მოჭრილი ფული რჩება ქვეყნის შინაურ ბაზარზე და სათანადო პირობებში წარმოქმნის ნუმიზმატიკურ განძებს«[102].

---

102 თ. ლ ო ბ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი V

უჯარმა ადრეფეოდალურ ხანაში (II)

VIII ს-ში, უკეთ მის მეორე ნახევარში, საბოლოოდ ყალიბდება ცალკეული ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროები, რომელთა შორისაც იწყება ბრძოლა ჰეგემონიისათვის. ყველაზე ადრე, სავარაუდებელია, პოლიტიკურ ქართლს უნდა გამოჰყოფოდა კახეთი. ჩვენ საამისო საწყისები უკვე VI ს-ის მეორე ნახევარში ვნახეთ. ამ მხრივ, დამახასიათებელია, რომ „მატიანე ქართლისაჲ“ იწყებს რა თხრობას სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან, პირველივე სტრიქონებიდან „ქართლს“ და „კახეთს“, როგორც გეოგრაფიულად, ისე პოლიტიკურადაც ორ სხვადასხვა ერთეულად წარმოიდგენს[1]: „ჯონბერ და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისა“[2], ე. ი. კახეთი აქ ისეთივე „ქუეყანაა“, როგორც ქართლი. ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს ქვევით: „აშოტ კურაპალატი... ეუფლა ქართლს“, მაგრამ სრულებით ცხადია, ეს ქართლი აღარაა ძველი ქართლის (ივერიის) შესატყვისი, რადგან ცოტა უფრო ქვემოთ ვიგებთ, რომ იმავე დროს „გრიგოლ მთავრობდა კახეთს“[3]. კახეთის „განდგომა“ უნდა მომხდარიყო VIII ს-ის მეორე ნახევარში, ყოველ შემთხვევაში 60-იანი წლების შემდეგ. ამას გვავარაუდებინებს სომეხი ისტორიკოსის ლევონდის ცნობა ხაზართა შემოსევის შესახებ, რომლის დაკავშირებაც ხერხდება ქართულ-არაბული წყაროების ცნობებთან და ამით შესაძლებელი ხდება მისი დათარიღება. ლევონდის ცნობით, ხალიფა მანსურის დროს ხაზარებს დაულაშქრიათ ალვანეთი და ქართლი. ქართლის სამთავროში მათ აუღიათ შვიდი პროვინცია: შუჩქი, ქვეშკაფორი, ჩელეთი, წუქეთი, ველისციხე, თიანეთი და ხერკი. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 764 წ.[4]. ცხადია, ამგვარად, რომ ხაზა-

---

[1] შდ. ზემოთ ლეონტისა და ჯუანშერის კონცეფციას, საცა „კახეთი“ პოლიტიკურად განუყოფელია „ქართლისაგან“ და გეოგრაფიულადაც (და ადმინისტრაციულადაც) მ ს ერთ-ერთ „ჴევს“ წარმოადგენს.

[2] ანას ქ-ცა, 160.

[3] იქვე, 162; „მატიანე ქართლისაჲ“ ძველებური მნიშვნელობითაც იცნობს „ქართლს“, იხ. მაგ. გვ. 161, 162; მაგრამ სწორედ ამგვარი აღრევაა ნიშანდობლივი.

[4] იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა, 36; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტ., II², 77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს ჰერეთი (წუქეთი, ველისციხე), კახეთი (თიანეთი, ჩელთი) და კუხეთი (ხერკი, სუჯეთი) მოურბევიათ. რადგან ეს მხარეები ქართლის სამთავროში შემავალადაა ნაგულისხმევი, უნდა ვიფიქროთ ამ დროს ეს მხარე პოლიტიკურად კვლავ ქართლში შედიოდა და ე. ი. „განდგომაც“ უფრო გვიანაა სავარაუდებელი. ვახუშტი კახეთის სამთავროს გამოყოფას ჯონბერ ანუ ჯუანშერ ე´ვის გარდაცვალების შემდეგ დებს 787 წ.: „ხოლო შემდგომად იოანესა და ჯუანშერისის გარდაცვალებისა განდგა გრიგოლი მთავარი და დაიპყრა კახეთი და გარდაბანი და ესე იყო პირველი განდგომა თავადად“:[5] ჩვენთვის საინტერესოა რა ტერიტორიას მოიცავდა გრიგოლის სამთავრო. საკუთრივ კახეთს გარდა იგი მოიცავდა კუხეთსაც. ამას მოწმობს ვახუშტი: „განდგა რა გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად[6]“. და მართლაც, რამდენადაც ვიცი, კუხეთი, რომელიც ჰაბიბ იბნ--მასლამას დროს (655 წ.) ცალკე პოლიტიკურ ერთეულადაა სავარაუდებელი, ამის შემდეგ წყაროებში ასეთად აღარ მოიხსენება. „სახელის მოსპობა“. ამ შემთხვევაში ვახუშტთან უნდა ნიშნავდეს სწორედ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობას. „კახეთი“ ამიერიდან (VIII ს-ის უკანასკნელი მესამედიდან) „კუხეთსაც“ მოიცავდა. „კახეთშივე“ შედიოდა ამ ხანაში შიდა ქართლის ნაწილი და გარდაბანი. ცხადია ამიტომ, მასვე ეკუთვნოდა ტერიტორია მდ. იორსა (ეგებ მხოლოდ მის შუა წელსა) და მტკვარს შორის. ე. ი. ზამთრის საძოვრების საკმაო ნაწილი კახეთის ფარგლებში შედიოდა. გრიგოლის სამთავროს, ცენტრი, სავარაუდოა, კვლავ უჯარმა უნდა ყოფილიყო.

გასარკვევია, რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ჰერეთთან დაკავშირებით. ჰერეთი რომ უფრო გვიან (მაგ., X ს-ში) ცალკე სამეფოა, ეს სრულიად უცილობელია, მაგრამ, შესაძლებელია, ეს მეორადი მოვლენაა და სავარაუდოა თუ არა ასეთი ფაქტი ორი საუკუნით უფრო ადრე, ეს კიდევ საკითხავია.

*

* *

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ წანარეთა საკითხი.

არაბულენოვან ავტორთა მიხედვით, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გამოთქმულია მოსაზრება, რომ „წანარნი“ იგივე

---

[5] საქ. ცხოვრება, 1913, 147.

[6] აღწერა სამეფ. საქ., 86—87.

„კახელნი“ არიან[7] ან რომ „პოლიტიკური აზრით, „წანარები“ კახეთის სამთავროს გულისხმობენ“[8].

თვით წანართა ვინაობისა, მათი ისტორიისა და ტერიტორიალური ექსპანსიის შესახებ ჩვენ ხელთ არსებული ცნობებით დაახლოებით ამგვარი სურათი წარმოგვიდგება.

რამდენადაც ვიცით, უძველესი ცნობა წანართა შესახებ დაცული აქვს პტოლემაიოსს. თავის გეოგრაფიაში მას მოკლედ აქვს აღნიშნული, რომ ალვანეთის უკან (თუ იქით) წანარები ცხოვრობენ[9] ძნელია ამ ლაკონიური წინადადების დამაკმაყოფილებლად ახსნა, მაგრამ ჩვენ გვგონია აქ ერთი რამის გულისხმობა მაინც შეიძლება, კერძოდ იმისა, რომ წანარები II ს-ში კავკასიონის მთიანეთში ცხოვრობენ (მიმართულება „იქით“ ალბათ ჩრდილოეთს გულისხმობს). მაგრამ ამ ცნობის უფრო დაზუსტებაცაა შესაძლებელი თუ შემდეგი დროის მონაცემებს გავითვალისწინებთ. მხედველობაში გვაქვს ჯერ ერთი „მოქც. ქართლისაჲს“ (ჭელიშ. ვარიანტი) ცნობა, რომელიც VI საუკუნის 30—40-იან წლებს უნდა ეხებოდეს: „ვითა მეფობა დაესროლა, ქართლს შინა სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი უვსეთისნი აიგნეს, და ერთი დიდი კარი უვსეთისვე და ორნი დვალეთს, და ერთი პარჭუანს დორძოკეთისსა. და იგი მთიულნი გომარდად დაადგინნეს და სხუაჲ ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ჯევსა და მორჩილებაჲ დასდვეს მისი“[10]. როგორც ეს ს. ჯანაშიამ აღნიშნა[11]. აქ ცენტრალური კავკასიონი უნდა იგულისხმებოდეს (დარიალანი, ლიახვ-არდონის წყალთგასაყარი ქედის ზეკარი და ფშავ-ხევსურეთიდან ჩაჩან-ქისტეთში მიმავალი გზა). ეს უკვე გარკვეულად ზღუდავს იმ არეს საცა „წანარეთის ჯევი“ და ე. ი. წანარნი უნდა ვიგულისხმოთ. კიდევ უფრო აზუსტებს წანართა ლოკალიზაციას სომხური ანონ. გეოგრაფია. ჩამოთვლის რა კავკასიის მთიულებს ანონიმი დასძენს: „წანარნი—რომელთაც უჭირავთ ალანთა კარი და წექანის კარი“ ან უკეთ: „წანარეთი—რომელშიაც [არის] ალანთა კარი და წექანის კარი“[12]. ამგვარად, VII ს-ში წანარებს სჭერიათ დარიალანი. არ გვგონია შევცდეთ, თუ „წანარეთის ჯევსაც“

---

7 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ. II², 94.

8 ს. ჯანაშია, არაბობა..., 61.

9 За Албанией—санарей; кн. V, гл. 8_{18-25}, ВДИ, 1948, № 2, გვ. 249.

10 Оп..., 723—724.

11 ს. ჯანაშია, ტ. I, 4.

12 „ծանարք յորում Ալանաց դուռնն ծեքան դուռն“ იხ. პატკანოვის გამოც. გვ. 16; თარგმანი, გვ. 37.

და პტოლემაიოსის მიერ ნაჩვენებ მათ ადგილსამყოფელს დარიალის მიმდგამ მთიანეთში ვივარაუდებთ, როგორც ეს ივარაუდება კიდევაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში[13].

რაც შეეხება წექანის ანუ წილკანის კარს[14], რომელიც აგრეთვე წანარებს სჭერიათ—იგი უნდა იყოს წანართა იმ ექსპანსიის (სამხრეთისკენ) მაჩვენებელი, რომელმაც საბოლოო შედეგად მოგვცა ის ფაქტი, რომ „წანარეთი“ იდენტური გახდა „კახეთის სამთავროსი“. ეს უნდა ყოფილიყო დაახლოებით იმგვარი მოვლენა, როგორსაც ვარაუდობდა ივ. ჯავახიშვილი ჭართალელების მიმართ. იგი წერდა: „ჭართალი თავდაპირველად თემის სახელი უნდა ყოფილიყო. წინათ რომ ჭართალი, მარტო პატარა თემისა-კი არა, არამედ გაცილებით უფრო ფართო მიწაწყლის სახელი ყოფილა და მთელ კახეთსაც სწოდებია, ეს იმითაც მტკიცდება, რომ ანდიელები კახეთს ეხლაც ჭორს უძახიან და კახურ დიდრქა ხარებს სწორედ ჭორთოლ უნსოლ-ს უწოდებენ“[15].

როდის უნდა მომხდარიყო წანართა მიერ პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვება კახეთის სამთავროში?

როგორც ეს უკვე VII ს-ის სომხური ანონიმური გეოგრაფიით სავარაუდოა, ამ დროს ეს ჯერ კიდევ არაა მომხდარი ფაქტი: რომ ეს ასეა, ამას მოწმობს ზემომოტანილი ცნობა ბალაძორისა, რომლის მიხედვით ჰაბიბ იბნ-მასლამამ 655 წ. დაიმორჩილა, სხვათა შორის კახეთი, კუხეთი და წანარნი. ცხადია, რომ „წანარნი“ ამ დროს პოლიტიკური მნიშვნელობით კახეთის სამთავროს გულისხმობდეს, მაშინ ისინი ცალ-ცალკე არ იქნებოდნენ მოხსენებულნი. თუმცა, მეორე მხრივ, წანარების ექსპანსია სამხრეთისაკენ საკმაოდ შორს წასულ. როგორც ქ ᾽ ცა-ს ერთი ცნობიდანაა სავარაუდებელი, უკვე ამ დროს ისინი გარდაბანსაც კი ესხმიან თავს[16].

VIII ს-ის სამოციანი წლებისათვის წანართა პოლიტიკური ჰეგემონობა კახეთში (კუხეთიანად) უკვე სავარაუდოა[17], მაგრამ თუ ამ დროისთვის ჩვენ ჯერ კიდევ „კახეთის სამთავროს“ (პოლიტიკურად ქართლიდან გამოყოფილს) არსებულად ვერ ჩავთვლით[18], სამაგიე-

---

13 იხ. მ. ლორთქიფანიძის დასახ. წერილი, გვ. 32, 34; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. წერილი, გვ. 55.

14 იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტ., II², 39.

15 ქართ. ერის ისტ შესავალი, წ. I, 1950, გვ. 47.

16 ანას ქ᾽ ცა, 158.

17 იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა..., 61:

18 არაბულ წყაროებში არცაა სამაგისო მითითება, იხ. მაგ.: ბ ა ლ ა ძ ო რ ი-ქ უ ზ ე, გვ. 20; იბნ ალ-ფაყიჰი. **СМОМПК, вып.** 31, გვ. 31; ი ა ყ უ ბ ი-ქ უ ზ ე, გვ. 9—ყველგან ხალიფა მანსურის დროს (754-775 წწ.) ლაპარაკია წანარებზე და არა წანარეთზე.

როდ უკვე ამ საუკუნის ბოლოსათვის არაბულივე წყაროები ამაზე აშკარად მიუთითებენ. მხედველობაში გვაქვს იაყუბის ცნობა იმის შესახებ, რომ ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის მიერ (786—809 წწ.) მმართველად დაყენებული ხუზაიმა იბნ-ხაზიმის მტარვალობამ გამოიწვია აღშფოთება ჯურჯანსა (უნდა იყოს ჯურზანსა —**დ. მ.**) და სანარიაში. აჯანყებულთა წინააღმდეგ ხალიფამ გაგზავნა დიდი ლაშქარი საიდ იბნ-ხაისამის მეთაურობით, რომელიც იქამდე ებრძოდა ჯურჯანისა და სანარიის მცხოვრებლებს, ვიდრე არ დაატოვებინა მათ თავიანთი ქვეყნები[19]. სრულებით ცხადია, რომ ჯურჯანი და სანარია ანუ ქართლი და კახეთი აქ უკვე ორ პოლიტიკურად დამოუკიდებელ ერთეულებს უნდა მიუთითებდნენ და სანარია ანუ „წანარეთი“ აქ, მართლაც, იდენტურია „კახეთის სამთავროსი“[20].

რომ „წანარეთი“ უდრის სწორედ „კახეთის სამთავროს“ ეს უცილობლად მტკიცდება მასუდისა და იოანე დრასხანაკერტელის ცნობათაგან. პირველი ამბობს: თბილისსა და ალანთა სიმაგრეს შორის მდებარეობს სანარიად წოდებული სამეფო, რომლის მეფესაც ქურისქუსს ეძახიან. ხალხი ქრისტიანობას აღიარებს[21]. „ქურისქუსი“ არის იგივე ქორეპისკოპოსი თუ ქორიკოზი[22], რომელ ტიტულსაც კახეთის მმართველი ატარებდა. მასუდის ცნობა მისივე თანამედროვე უნდა იყოს და ე. ი. X ს-ის პირველი ნახევრისა. რომ მასუდის „ქურისქუსი“ ქორეპისკოპოსს ნიშნავს, ამას სრული სიცხადით მოწმობს იოანე დრასხანაკერტელის ცნობა, რომელიც სწორედ იმავე ხანას შეეხება და რომელიც ლაპარაკობს „წანართა დიდ ქორეპისკოპოსზე..., რომელიც ფლობდა გუგარეთის (აქ=როგორც ჩანს, აღმ. საქართველოს—**დ. მ.**) ნაწილს ალანთა კარის ახლოს“[23].

ამგვარად, ზემომოტანილიდან სრულებით ცხადი უნდა იყოს, რომ „წანარეთი“ პოლიტიკურად გაგებული ნიშნავს „კახეთის სამთავროს“, ხოლო წანარეთის ქორეპისკოპოსები—ქართული წყაროებით კარგად ცნობილ კახეთის ქორეპისკოპოსებს (რომ აბ აზრით „წანარნი“ იდენტურნი არიან „კახებისა“, ეს ნათლად ჩანს ქართული წყაროებიდანვე. იხ. ქვემოთ).

მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ სწორედ X ს-ში კახეთის საქორეპისკოპოსოსთან ერთად არსებობდა ჰერეთის სამეფო[4].

---

19 იხ. ი ა ყ უ ბ ი-ქ უ ზ ე, გვ. 12.

20 შდ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 36.

21 **СМОМПК, вып. 38, стр. 57.**

22 იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტ. II2, გვ. 39.

23 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ილია აბულაძის გამოცემა, 1937, გვ. 59.

24 რომ X ს-ში ჰერეთი სამეფოა და არა სამთავრო, ამას სრულიად გარკვეულად მოწმობს, ჯერ ერთი, ვახუშტი და, შემდეგ, ერედვის ეკლესიის X ს-ის წარ-

ვიცნობთ ჰერეთის ორ მფლობელს მაინც. ესენია: ადარნასე პატრიკი და იშხანიკ მეფე[25]. ვიცნობთ ჰერეთის ორ დედოფალს: ერთი დინარ დედოფალი იშხანიკის დედა და მეორე დინარ დედოფალი, იშხანიკის გარდაცვალების შემდეგ რომ ჩანს[26].

ამგვარად, ცხადი უნდა იყოს, რომ X ს-ში „წანარეთი“ ამკარად არ მოიცავს ჰერეთს. ასევე უნდა ვივარაუდოთ VIII ს-ის მეორე ნახევრის „წანარეთისთვისაც“. ამის საწინააღმდეგო რაიმე საბუთი ჩვენ არ მოგვეპოვება. ამის დამადასტურებლად კი ზემოთქმულს კიდევ ერთ გარემოებას დავუმატებთ.

ჩვენთვის საინტერესოა არაბული წყაროების მიხედვით „წანარეთის“ საზღვრების გარკვევა. საამისო ერთი ამონაწერი მასუდისა ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ და მის მიხედვით „სანარია“ თბილისსა და დარიალანს შორის მდებარეობს. არის მეორე ცნობა ანონიმურ „ქეთაბე ჰოდუდ ალ-ალემში“, რომელიც X საუკუნის უკანასკნელ ათეულებში შეუდგენიათ. არაბი ანონიმი გვეუბნება: „სანარი ქვეყანაა, მისი სიგრძე ოცი ფარსანგია, შაქსა და თბილისს შუაა და მცხოვრებნი ყველანი ურწმუნოები არიან“[27]. თუ ამ ცნობას მასუდისას შევუდარებთ, წანარეთის საზღვრები გამოვა: დარიალანი—თბილისი—შაქი. შაქი, ცხადია, აღმოსავლეთი საზღვარია. რადგან ჩვენ ვიცით, რომ „წანარეთი“—კახეთია (კუხეთიანად), ხოლო ჰერეთი ამავე დროს ცალკე სამეფოა, რომელიც კახეთს სწორედ აღმოსავლეთიდან ესაზღვრება, ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ აქ შაქი იდენტურია ჰერეთისა (მითუმეტეს ჩვენ ვიცით, რომ შაქი დიდი ხანია უკვე ჰერეთშია). თუ ეს ასეა, მაშინ განსაკუთრებით საინტერესო ხდება ჩვენთვის მასუდის მეორე ცნობა: „წანარეთის სამეფოს ახლოს ცხოვრობს შაქთა ქრისტიანული ტომი, რომელთა შორის ბევრია მუსლიმანიც, რომელნიც მისდევენ ვაჭრობასა და სხვადასხვა ხელოსნობას. შაქთა მეფე, ჩვენი წიგნის შედგენის დროისათვის, არის ადერნერსე იბნ-ჰამამ“[28].

ამ საინტერესო ცნობიდან კიდევ ერთხელ ვიგებთ, რომ „წანარეთი“ შაქს ემეზობლებოდა. მათი ქრისტიანობა, თუ გავითვალისწინებთ შაქის (ე. ი. ჰერეთის) ქართლთან ურთიერთობის მთელ პროცესს, დაწყებულს IV ს-დან, სრულიად არაა მოულოდნელი. ხოლო,

---

წერა, რომელშიაც „ჰერთა მეფეა“ მოხსენებული, 906 წ. იხ. რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, აკადემიის მ-ბე, 1944, ტ. V, № 10, გვ. 1045—1046.

[25] ანას ქ ცა, 167—178. ვახუშტი მათ შორის მესამე მეფესაც აყენებს ადარნასეს ძესა და იშხანიკის შამას, იხ. საქ. ცხოვრება, 1913, გვ. 147, 149—150.

[26] ქ ცა, გვ. 176. საქ. ცხოვრება, გვ. 151.

[27] ვ. ფუთურიძის გამოცემა, 1937, გვ. 15.

[28] СМОМПК, вып. 38, стр. 58.

რაც შეეხება შაქთა მეფეს, თუკი ზემომოტანილი მსჯელობა არაბული „შაქისა“ და ქართული „ჰერეთის“ იდენტურობის შესახებ, სწორია, მაშინ საკმაოდ თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მასუდის ადერნერსე ჰამამის ძე არის იგივე ადარნასე პატრიკი, ჰერეთის პყრობელი, რომელიც მეათე საუკუნის ათიან-ოციანი წლების მოღვაწე ჩანს.

დაბოლოს, ჩვენი ვარაუდის შესამაგრებლად, რომ არაბული „შაქის“ ქვეშ ჰერეთი უნდა ვიგულისხმოთ, დავიმოწმებთ ქართულ წყაროებს, რაც თავის მხრივ ამტკიცებს, რომ არც ქართველთათვის ყოფილა უცხო ამგვარი იდენტიფიკაცია.

მხედველობაში გვაქვს ქც-ის ცნობა გიორგი I-ის შესახებ, რომელსაც, ბასილი კეისრისაგან დევნილს, თრიალეთში „მოერთო ძალი კახეთისა და ერეთისა“[29]. ამავე გარემოებას სუმბატ დავითის ძე ამგვარად გადმოგვცემს: გიორგი I „კუალად განძლიერდა... ლაშქრითა, რამეთუ მოიყუანა წანარნი და შაქნი“[30]. ასეთი შეცვლა ტერმინებისა ჩვენ ფრიად მნიშვნელოვან და ჩვენს სასარგებლოდ მოლაპარაკე მოვლენად მიგვაჩნია: „ძალი კახეთისა“ არის იგივე „წანარნი“, ხოლო „ძალი ჰერეთისა“—„შაქნი“. ე. ი. საბოლოო ჯამში, გარკვეული აზრით, კახნი უდრიან წანარებს, ხოლო ჰერნი — შაქებს[31].

* *
*

ამგვარად, ამ ექსკურსის შედეგად, ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი არაბული წყაროების შეჭიქართულ

---

29 ანას ქცა, გვ. 179.

30 სამი ისტ. ქრონ., 1892, გვ. 69.

31 აკად. ნ. ბერძენიშვილმა, კერძო საუბრისას, ვარაუდის სახით გამოთქვა მოსაზრება, რომ პტოლემაიოსის ზემომოყვანილი ცნობა წანართა შესახებ შესაძლებელია გაგებულ იქნას იმგვარად, თითქოს წანარები უკვე იმ დროს (II ს.) დიდ ტერიტორიაზე და, კერძოდ, გვიანდელი კახეთის სამთავროს ტერიტორიაზე არიან საგულისხმონი. ამ ცნობის ასეთი ინტერპრეტაცია თავდაყირა დააყენებდა წანართა პოლიტიკური ისტორიის შესახებ ამ ნაშრომში წარმოდგენილ თვალსაზრისს. და რაც მთავარია: შესაძლებელია პარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ თითქმის ყველა ის საბუთი, ჩვენ რომ აქ წარმოდგენილი აზრის შესამაგრებლად მოგვაქვს, საწინააღმდეგო შეხედულებასაც ამგვარსავე სამსახურს გაუწევს. ასე რომ, ამ შემთხვევაში, წანართა ექსპანსიაზე კი არ ვილაპარაკებდით, არამედ, პირუკუ, მათ უკუქცევაზე. ამასთან, ჩვენ ჰერეთისაკენ კახების მოძრაობაზე კი არ ვიმსჯელებდით, არამედ—წანართა მოძრაობაზე: ხოლო თვით „წანარნი“ ქართულ ტომად უნდა გვევარაუდა, რაც თავისთავად, ცხადია, გამორიცხული არ არის. მაგრამ ამ კონცეფციით მაინც ბევრი რამ აუხსნელი დარჩებოდა (მაგ. ის, რომ VII ს-ის არაბები წანარებსაც იცნობენ და კახეთ-კუხეთსაც, ხოლო მომდევნო საუკუნეებში—მხოლოდ წანარებს და წანარეთს; რომ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“, ყველა ნიშნით უძველეს წყაროებზე დამყარებული, წანარებს

ჰ ე რ ე თ ა დ ვ ი ვ ა რ ა უ დ ო თ. ამდენადვე საფუძვლიანი გვეჩვენება მოსაზრება, რომ VIII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც კახეთის სამთავრო (წანარეთი) გამოეყო ქართლს, იმავე ხანებში ცალკე ერთეულად შეიქმნა ჰერეთის სამთავრო. ამიტომ სავსებით სწორია ვახუშტი, როდესაც „ჰერეთის სამეფოს“ ჩამოყალიბებას დაახლოებით იმავე ხანებში გულისხმობს, რომელშიაც კახეთის განდგომას ვარაუდობს: „და შემდგომად და შემდგომად ჯუანშერისა სიკუდილისა დაიპყრეს სრულიად ჰერეთი (ადარნასე ბრმის ძმისწულებზეა ლაპარაკი—**დ. მ.**) და იწოდეს მეფედ და დასხნეს ერისთავნი, ვითარცა იწერვის: ერისთავი შტორისა, ერისთავი ხორნაბუჯისა, ერისთავი ვეჯინისა, ერისთავის მაჭისა“[32].

როგორც ეს უკვე ცნობილია, პირველი აბასიდი ხალიფების დროიდანვე განსაკუთრებით მძიმდება არაბ დამპყრობელთა უღელი[33]. სწორედ ამ ხანებიდან მოკიდებული, ხშირდება ცნობები, როგორც არაბულ, ისე ქართულ წყაროებში, რომლებიც მიუთითებენ ქართველთა ბრძოლაზე დამპყრობელთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით ხშირია არაბული წყაროების მიხედვით აჯანყებები წანარეთში ანუ კახეთის სამთავროში (ბალაძორი, იაყუბი, იბნ-ალფაყიჰი). იშვიათი არ იყო ხაზართა შემოსევებიც. 764 წ. მათ კახეთი მოითარეშეს და თბილისიც აიღეს. ყოველივე ამას VIII ს-ის ბოლოსთვის დაემატა ბრძოლა თვით ქართულ სამთავროებს შორის.

ამ განუწყვეტელ ბრძოლებს არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა კახეთის სამთავროს ეკონომიკაზე. თუმცა გრიგოლ მთავრის დროს კახეთი დიდ და ძლიერ სამთავროდ ჩანს[34], ხოლო X ს-ის მეორე ნახევრისთვისაც, იბნ-ჰაუკალის ცნობით, წანარეთი ეკონომიურად ძლიერი ქვეყანაა[35], მაინც ჩვენ ვფიქრობთ, რომ განუწყვეტელი საუკუნოვანი ბრძოლების გამო განსაკუთრებით უნდა დაზარალებულიყო კახეთის სამთავროს სამხრეთი ნაწილი (სამგორი და მისი მიმდგომი მხარეები), რომელიც ტრიალ ვაკეს წარმოადგენდა და ბუნებრივად სრულიად დაუცველი იყო. ამ გარემოებას უნდა გამოეწვია რაიონის მეურნეობის მეტნაკლები მოშლა.

არ იცნობს და სხვადასხვ.). ამიტომ, ვიდრე ჩვენ წანარებს არქეოლოგიურად შევიცნობდეთ და ამით საბოლოოდ საკითხს გადავჭრიდეთ, ჩვენ ამ ნაშრომში წარმოდგენილი თვალსაზრისი უფრო მართებულად მიგვაჩნია.

32 საქ. ცხოვრ. 147. ვახუშტისთვის ჰერეთი იმთავითვე სამეფოა.

33 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტ., II², 78.

34 იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, 91.

35 **СМОМПК, вып. 38, стр. 98—99.**

ამასთან ერთად ნუმიზმატიკურ მასალაში შეიმჩნევა ფრიად საინტერესო მოვლენა. თუ VIII ს-ში ამ მასალის მიხედვით არაბული მონეტები ხშირია აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე, „საწინააღმდეგო მდგომარეობა იქმნება შემდეგ პერიოდში. IX ს-ის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, მთელ IX—X ს-ში არაბული ფულის განძები ნაკლებად იპოვება არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ ირანის ჩრდ. პროვინციებშიც. სამაგიეროდ იგი მასიურად ჩნდება ჩრდილოეთით—რუსეთის სხვადასხვა ადგილებში, ბალტიის ზღვის ნაპირებსა და კუნძულებზე, ფინლანდიასა, სკანდინავიასა და ჩრდ. გერმანიაში, აღწევს ინგლისს და ისლანდიასაც კი“[36].

„ამ ფაქტების საფუძველზე შეიძლებოდა გამოგვერკვია ზოგიერთი ხაზები აღმ. საქ-ოს სოც.—ეკონომიური ვითარებისა. პირველ პერიოდში, ე. ი. VIII ს. და IX ს-ის პირველ მეოთხედის განმავლობაში აღმ. საქ-ოს ცხოველი პოლიტ.-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონია არაბთა სახალიფოსთან... ამ დროს ბალანსი საქ-თვის დადებითი ხასიათისა იყო—საქართველოს უფრო მეტი საქონელი გაჰქონდა, ვიდრე შემოჰქონდა უცხოეთიდან. თანდათანობით მდგომარეობა შეცვლილა. გაცხოველებულა ჩრდ. ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობა. ვაჭრობას მიუღია ცალმხრივი ხასიათი—იმპორტი გაძლიერებულია, რის გამო ფულის მარაგს გადაუნაცვლებია ჩრდილოეთისკენ. ამ მოვლენების მიზეზები, ცხადია, მარტო საქ-ოს ამა თუ იმ ნაწილის ვითარებაში არ უნდა იყოს დამარხული, არამედ იმდროინდელ საერთაშორისო პირობებში უნდა ვიძიოთ“[37]. ამასთან დაკავშირებით სავაჭრო გზებიც იცვლება. ვაჭრობა ჩრდილოეთთან ძირითადად სამი არხით წარმოებს: 1) სირია-მესოპოტომია-ირანი-იმიერკასპია-შუა ვოლგისპირეთი-აღმოს. ევროპა. აქედან სხვადასხვა განტოტებით სხვადასხვა მხარეს. 2) პირველთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობის: სახალიფოს ცენტრალური რაიონები—ერანის აზერბაიჯანი—აღმ. ამ. კავკასია-დარუბანდი. შემდეგ იგი ვოლგასთან და დონთან უერთდებოდა პირველ არხს. 3) მცირე აზიაზე—შავი ზღვით—დნეპრის ბასეინში[38]. ცხადია, როგორც არ უნდა აიხსნას ეს გარემოება, იგი გარკვეულ უარყოფით გავლენას მოახდენდა ამ.—კავკასიის და კერძოდ აღმ. საქართველოს ვაჭრობაზე.

ყოველივე ზემოთქმული გარკვეულ კავშირში უნდა იყოს იმ მნიშვნელოვან გარემოებასთან, რომ ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური (და ეკონომიური) ცენტრი აღმ. საქართველოში, როგორიც ჯერ კი-

---

36 თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი.

37 იქვე.

38 Е. П а х о м о в, Монетные клады Азербайджана и Закавказья, I. 1926, გვ.. 22—24.

დევ VII ს-ში ამკარად იყო ქალაქი უჯარმა, X ს-ის დასაწყისში ქალაქად არც კი მოიხსენიება; 914 წ. არაბთა სარდალი აბულ-კასიმი „მოვიდა და მოადგა უჯარმას, შიგა დგა სამასი კაცი, და ჰბრძოდეს მრავალთა დღეთა, და ვითარ იხილეს, რამეთუ ვერ დაუდგმიდეს, დაადგეს ღამე და გარდაიხუეწნეს: რომელნიმე წარვიდეს, და რომელთამე ეწივნეს და დაჴოცნეს“[39]. ცხადია, X ს-თვის უჯარმა მხოლოდ ციხეღაა, რომელსაც 300 კაცი იცავს და რომელიც არაბ სარდალს „ბაკად“ ეჩვენება[40]. ეს სწორედ ის სიმაგრე უნდა იყოს, რომელსაც ჩვენ ვახტანგ გორგასლის რეზიდენციად ვვარაუდობდით[41].

უჯარმის დაქვეითება და ბოლოს უმნიშვნელო პუნქტად გადაქცევა ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო, გაპირობებული მრავალი მიზეზით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ VIII ს-ის ბოლოს, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი და ძლიერი კახეთის სამთავრო, ქალაქ უჯარმას ეხლა ამ ერთეულის პოლიტიკური ცენტრის როლი უნდა დაჰკისრებოდა. მაგრამ ეს ხანა არის უკვე უჯარმის დაცემის დასაწყისი.

ძირითადი მიზეზი ქ. უჯარმის დაცემისა უნდა ვეძიოთ იმ ფაქტორების მოსპობაში, რომელთაც უჯარმა, როგორც ქალაქი და ამასთან კახეთის ცენტრი, წარმოშვეს. მთავარი, რასაკვირველია, უნდა ყოფილიყო იმ ეკონომიური ბაზისის მოშლა, რომელზედაც იგი დამყარებული იყო. საამისო პირობები კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაწყებული VIII ს-ის მეორე ნახევრიდან აღმ. საქართველოში საკმაო იყო: განუწყვეტელ საუკუნოვან ბრძოლას, გასაგებია, ვერ გაუძლებდა ისეთი ინტენსიური ხასიათის სასოფლო-სამეურნეო დარგი, როგორიცაა მევენახეობა; ცხადია, ასეთ პირობებში გაძნელებული იქნებოდა ზამთრის საძოვრების გამოყენება, რაც თავისთავად დიდ ზიანს მიაყენებდა კახეთის მესაქონლეობას. როგორც ეს ისედაც საეარაუდოა, კახეთის სამთავროს ეკონომიური სიძლიერის ძირითადი ღერძი მეურნეობის სწორედ ეს დარგი უნდა ყოფილიყო. საამისო პირდაპირი მითითება არსებობს. მხედველობაში გვაქვს იბნ-ჰაუკალის (X ს.) შესანიშნავი ცნობა კავკასიის მთიელებს რომ ეხება: „В упомянутых выше горах (Кобх) существуют цари и владетели, живущие среди больших стад, имений, прекрасных крепостей, коней и челяди вместе с принадлежащими им на

39 ანას ქ-ცა, 166.

40 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ., დ. ბაქრაძის გამოცემა, 1885, გვ. 126:

41 შესაძლებელია, როგორც პატარა ქალაქი უჯარმა ამ დროს და შემდეგაც ჯერ კიდევ არსებობდა და ვახუშტი სწორი იყოს, როდესაც მის დაბად გადაქცევას საქართველოს „განყოფას“ უკავშირებს. იხ. აღწ. სამეფ. საქ., გვ. 90.

правах собственности родами и областями с волостями и обработанными местностями, приносящими им обильный доход. В этих странах, горах, городах и земельных участках, о которых я упомянул, дешевизна и плодородие; там есть пастбища, скот, масса стад, продуктов и съестных припасов; громадное количество лесов, рек, плодов свежих и сушеных, деревьев, так, что если рассказать кому-либо, кто не видал этого сам, то он не поверит, чтобы было всего так много". იქვე ცოტა ქვემოთ: „там есть кони и ценные мулы," შემდეგ იგი დასძენს, რომ ამ ქვეყნების მეფეებიდან ყველაზე მეტად გამოჩენილია ოთხი და მათ შორის წანარეთის მეფე სანხარიბი[42]. ე. ი., ცხადია, ყველაფერი ზემოთქმული პირველ რიგში ეხება კახეთის სამთავროსაც.

„არაბ-ქართველთა, ისე როგორც არაბებისა და სხვა, მათ მიერ დაპყრობილი, ქვეყნების ურთიერთობა ხარკისა და ბეგრის ღერძზე ტრიალებდა"[43]. ცხადია, წანარეთის ხშირი აჯანყებები სწორედ ამ ხარკისა და ბეგრის სიმძიმით იყო გამოწვეული. ძირითადი სიმძიმე კი ქვეყნის მეურნეობის წამყვან დარგზე იქნებოდა. ამის შესახებაც ჩვენ პირდაპირი მითითება მოგვეპოვება, რომელიც ეხება 830—833 წწ.: ალ-მამუნი აგზავნის აჯანყებულ ჯურზანის მმართველის დასამორჩილებლად, რომელსაც წანარებიც ეხმარებიან, ხალიდ იბნ-იაზიდს. „Тогда Халид двинулся против них (санарийцев—**დ. მ.**) упорно сражался в Джурзане, обратил их в бегство и захватил их скот, а потом предложит им заключить мир, что и состоялось на условии, чтобы они представили три тысячи кобылиц и двадцать тысяч овец. Но не прошло много времени, как они снова восстали..."[44]. იაყუბის ეს ცნობა ცხადად ააშკარავებს წანარ-არაბთა ურთიერთობის ძირითად ბერკეტს და ამასთან ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას კახეთის სამთავროს მეურნეობის წამყვანი დარგის შესახებ. ჩვენ ზემოთ ვვარაუდობდით, რომ უჯარმის გაქალაქების საქმეში მესაქონლეობას და, კერძოდ, მეცხვარეობას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ცხადია, მეურნეობის ამ დარგის დაქვეითებას ამგვარივე გავლენა უნდა მოეხდინა თავის, ასე ვთქვათ, ზედნაშენზე.

ზემოთ ჩვენ ვვარაუდობდით აგრეთვე, რომ უჯარმაზე უნდა გასულიყო ის მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც აღმ. საქართველოს აკავშირებდა ალვანეთთან და სასანურ ერანთან. ამ პერიოდისათვის, რომელსაც ჩვენ ეხლა ვიხილავთ, ასეთი გზა აღარ გვეგუ-

---

[42] СМОМПК, вып. 38, стр. 98—99.
[43] ს. ჯანაშია, არაბობა..., 56—7.
[44] იაყუბი-ქუზე, 15.

ლება. არცერთი არაბი გეოგრაფი, რომლებიც, როგორც ცნობილია, ძირითადად იმ პუნქტებს აღნიშნავენ, რომელთა შორისაც სავაჭრო გზები გადიოდა, მიუხედავად საკმაოდ დაწვრილებითი ცნობებისა, არ იხსენიებს უჯარმას. ცხადია, უჯარმა რომ მათ დროს ისეთივე მნიშვნელობის ყოფილიყო, როგორც მაგ.; VII ს-ში, ისინი მას არ დასტოვებდნენ ყურადღების გარეშე. მას აღარ იცნობს უკვე იბნ-ჰორდადბე, რომელიც თავის შრომას IX ს-ის მეორე ნახევარში წერს[45]. შესაძლებელია სავაჭრო გზის გადანაცვლება სწორედ IX ს-ის დასაწყისში მომხდარიყოს და იგი რაიმე კავშირში იყოს იმ ზოგად მოვლენასთან ნუმიზმატიკური მასალა რომ ამჟღავნებს (იხ. ზემოთ). ასეა თუ ისე, ცხადია, სავაჭრო გზის გადანაცვლებას უნდა გამოეწვია ქალაქ უჯარმის სწრაფი დაქვეითება.

დაბოლოს, უჯარმის, როგორც ქალაქისა და განსაკუთრებით კახეთის პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობის დაცემისათვის ხელი უნდა შეეწყო თვით უჯარმის მდებარეობას. იგი ფაქტიურად კახეთის სამთავროს პერიფერიაზე მდებარეობდა, ბუნებრივად შედარებით დაუცველ ადგილზე, რაც განსაკუთრებით საგრძნობი უნდა ყოფილიყო იმ შფოთიან პერიოდში, რომელსაც საქართველოს გაერთიანების ხანა ეწოდება და, მართლაც, ქართულ წყაროებში უჯარმის ციხე არა ერთხელაა მოხსენებული ურთიერთშორისი ბრძოლის ერთ-ერთ ობიექტად[46]. ცხადია, უკვე ამის გამო იგი ახლად ჩამოყალიბებული ადრეფეოდალური კახეთის სამთავროსათვის ცენტრად არ გამოდგებოდა.

ამიტომაც, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ საბოლოო ჯამში, მრავალი ფაქტორით გაპირობებული დეგრადაცია ქალაქ უჯარმისა იწყება VIII ს-ის დამლევიდან, და ეს პროცესი ფეოდალურიურთიერთობის განვითარების პარალელურად და მასთან კავშირში ხდება. ძირითადად იგი მიმდინარეობს IX ს-ში. ამ საუკუნის ბოლოსათვის უჯარმას დაკარგული აქვს უწინდელი მნიშვნელობა და იგი მხოლოდ ციხე-სიმაგრის როლს ასრულებს.

ბუნებრივია, სამთავროს ცენტრს ჩრდილოეთისკენ გადაენაცვლა და მართლაც, XI ს-ის დასაწყისისთვის კახეთის სამთავროს ცენტრი თიანეთშია საგულვებელი[47]. უეჭველია, ამას გულისხმობს ვა-

---

[45] იხ. СМОМПК, вып. 32, стр. 11.

[46] ანას ქრონიკა, 166, 169.

[47] ეს ჩვენ შეგვნიშნა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, შდ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. წერილი, გვ. 24.

ხუშტის სიტყვები, რომ კახეთის ქორეპისკოპოსმა დიდმა კვირიკემ „ჰყო სასახლე თიანეთს ხელოვანი“[48]. სწორედ ამ სასახლის ნაშთები უნდა იყოს ე. წ. „ცხრაკარას“ ნანგრევები, დღემდე რომაა შემონახული თიანეთის მახლობლად, ეს უნდა იყოს „დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდის კუირიკე მეფისგან აგებული“[49], როგორც ამას სამართლიანად ვარაუდობს მ. ლორთქიფანიძე[50].

ჩვენ არა გვგონია აუცილებელი იყოს ცენტრის უჯარმიდან თიანეთში უშუალოდ გადატანა ვიგულისხმოთ. ამ მოვლენას შესაძლებელია შუალედი ეტაპებიც ჰქონდა. ასეთად გვეჩვენება ჩვენ X ს-ში ბოჭორმა, რომელიც წყაროთა ცნობების მიხედვით ამ ხანებში თითქოს სამთავროს ცენტრი უნდა ყოფილიყო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კვირიკე II კახთა მთავრისა და გიორგი აბხაზთა მეფის ბრძოლის ამბები, რომელიც დაახლოებით X ს-ის მეორე მეოთხედში მიმდინარეობდა (ან ეგებ უფრო ზუსტად ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში).

გიორგი აბხაზთა მეფე ლაშქრობს კახეთში. „ვითარ ცნა კუირიკე—ვერ დაუდგებოდა, ადგა და მოვიდა მათ წინაშე“. აბხაზებმაც შეიპყრეს იგი. ამის შემდეგ „მოერთო შტორა, ძმა კუირიკე ქორეპისკობოსისა, გიორგი მეფესა, და მოუტანა თანა ციხე მისი უჯარმა (პირდაპირი მითითებაა, რომ უჯარმა უკვე აღარაა სამთავროს ცენტრი—**დ. მ.**), და ეუფლნეს სხუათაცა ციხეთა კახეთისათა თუინიერ სამთა ციხეთა: ნახჭოვნისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა“.

„ვითარ იხილა კუირიკე ქორეპისკოპოსმან; რამეთუ არა იყო ღონე მისი, ითხოვა, სიმტკიცე ცოცხლებით გაგზავნისა, და დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა“ იმ პირობით, „რათა მას ზამთარსა არა აიღონ ციხე ბოჭორმა, და შემდგომად აღვსებისა წარვიდეს, ნება სცეს“. „და შევიდა კუირიკე ბოჭორმას, ეკაზმებოდა და ლამოდა შემდგომად აღვსებისა წარსვლასა“[51]. ჩვენ გვგონია აქედან სავარაუდოა, რომ ბოჭორმა კვირიკეს რეზიდენციაა. მართლაც, თითქოს ბუნებრივია, გადადგომის წინ იგი მიდის თავის რეზიდენციაში, სადაც, როგორც ჩანს, თავის საქმეებს აგვარებს („ეკაზმებოდა“). საამისოდ იგი თხოულობს გარანტიას, რომ გარკვეული დროის განმავლობაში მისი რეზიდენცია უშიშროების ქვეშ ყოფილიყო. ეს უნდა მომხდარიყო 957 წ-დე.

საფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ XI ს-ის დასაწყისში კვლავ ბოჭორმაა კახეთის სამთავროს ცენტრი: ბაგრატ მესამემ 1010 წლ. ახ-

---

48 „საქ. ცხოვრება“, 151.

49 ანას ქ-ცა, 185.

50 დასახ. წერილი, გვ. 24.

51 ანას ქ-ცა, 169—170.

ლო „იწყო ძებნად კახეთისა... შეაწყუდია კუირიკე ბოჭორმას, დაუყენნა ციხეს გარეშამო მცველნი წელიწდამდი, და წარიღო ბოჭორმაცა და დაიპყრა სრულიად კახეთი“[52]. შეიძლება სწორედ ამ გარემოებამ, რომ ბოჭორმა მაინც უფრო მისაწვდომი იყო შემოსული ლაშქრისათვის, აიძულა კვირიკე დიდი ჩქარა ამის შემდეგ რეზიდენცია უფრო ჩრდილოეთით გადაეტანა—თიანეთში. მაგრამ არც ამაზე შეჩერებულა დიდი კვირიკე და თავისივე მთავრობისას რეზიდენცია, უკვე მეორედ, სხვაგან გადააქვს.

*

* *

მაგრამ ვიდრე ამ ფრიად მნიშვნელოვან აქტს და მისგან გამომდინარე შედეგებს მოვიხსენიებდეთ, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ჰერეთის მდგომარეობას IX—X სს-ში.

მთელი იმ მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის პროცესის (ქართლსა და ჰერეთს შორის რომ მიმდინარეობდა და რომლის დახასიათებაც ჩვენ ზემოთ ვცადეთ) შედეგი იყო, რომ „როცა, შემდეგ, საქართველოში ფეოდალური სამეფო-სამთავროები წარმოიშვა (VIII—IX სს) და პოლიტიკური ჰეგემონობისათვის მათ შორის ბრძოლა გაჩაღდა, ჰერეთი ერთი იმ ქართულ ერთეულთაგანი იყო, რომელიც ამ პროცესში ორგანულად მონაწილეობდა“[53].

მაგრამ მისი მონაწილეობა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში შედარებით სხვა ერთეულებთან, რამდენადაც ეს ჩანს, უფრო პასიური იყო. ვახუშტიც სრულიად სამართლიანად ამბობს „არამედ ამ შლილობაებათა შინა (იგულისხმება სწორედ ეს პოლიტიკური ჰეგემონობისათვის ბრძოლა—**დ. მ.**) იყუნენ იგინი მშვიდობით და ოდესმე მოვიდიან მძლავრნი, მისცემდიან ხარკთა და დაიმშვიდიან“[54]. მართლაც, „ქართლის ცხოვრებიდანაც“ კარგად ჩანს, რომ ჰერეთის სამეფო უფრო ობიექტია მეზობელ სამთავროთა ლაშქრობებისა, ვიდრე თვით ამ ლაშქრობათა ორგანიზატორი.

რაც შეეხება უკანასკნელ გარემოებას, ჰერეთი, მართლაც, სახარბიელო ობიექტი უნდა ყოფილიყო მეზობელთათვის, რადგანაც აღებული ხანისათვის სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ ამ მხარის საკმაო დოვლათიანობა. ამას გვავარაუდებინებს ჯერ ერთი, ზემომოტანილი ნუმიზმატიკური მასალა. მაინცდამაინც საგულისხ-

---

52 იქვე, 176.

53 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „მიმომხილველი“, III, 68.

54 „საქ. ცხოვრება“, 147.

მოა, რომ საქართველოში აღმოჩენილი VIII—IX სს. არაბული მონეტების განძთა დიდი უმრავლესობა სწორედ ამ ტერიტორიაზე მოდის (ლელიანი, აფენი, კავშირი, მთისძირი). ეს ფაქტები უთუოდ მაჩვენებელია აღებულ ხანაში ჰერეთის გაცხოველებული ვაჭრობისა არაბულ სამყაროსთან, რაც თავისთავად ამ სამთავროს გარკვეულ ეკონომიურ სიმძლავრეზე უნდა მიუთითებდეს.

შემდეგ, საბოლოო ჯამში, უდიდესი ნაწილი იმ ზამთრის საძოვრებისა, რომელიც ედო საფუძვლად ქართლის ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ, ეხლა ჰერეთის ფარგლებში შევიდა, ამას რასაკვირველია, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის მთიანეთის მესაქონლეობისათვის (ამაზე ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით), რომელიც დიდად იყო დამოკიდებული ამ საძოვრებისაგან.

უდიდესი მნიშვნელობა ჰერეთის ეკონომიკაში უნდა ჰქონოდა, რასაკვირველია, ალაზნის ველის ბარაქიან მიწას. დღეს ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს ტერიტორია უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ინტენსიური სასოფლო მეურნეობის დარგების ბუდეს. კერძოდ უძველესი დროიდანვე უნდა ყოფილიყო აქ განვითარებული მევენახეობა. ბუნებრივი პირობების მხრივ ეს მხარე საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით საუკეთესოა.

ალაზნის ველზე, რომ უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო განვითარებული მევენახეობა, ამას მოწმობენ: ბაკურციხის „სასხლავი ნამგლები“[55], რომლებიც მთელ მასალასთან ერთად II—I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება; და ე. წ. „ალაზნის ველის კულტურა“, რომელიც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის დროისაა.

ცხადია, მევენახეობასთან ერთად აქ სხვა დარგებიც იქნებოდა განვითარებული: მებაღეობა-მებოსტნეობა, მემინდვრეობა და ა. შ.

იმ ხანაში (IX—X სს), როდესაც შედარებით თავის მეზობლებთან ჰერები „იყუნენ მშვიდობით“, ეკონომიურადაც მათი ქვეყანა მძლავრი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ამას ზემოთ ქართული წყაროების მიხედვითაც ვვარაუდობდით. საამისო პირდაპირი მითითება კვლავ არაბულ წყაროებში გვაქვს.

ალ-მუყადასი იხსენიებს შაქს და X ს-ის მეორე ნახევრისათვის თელავს, რომელიც, როგორც ჩანს, სწორედ ამ ხანებში იწყებს დაწინაურებას „При Бердаа города: Тифлис, Кала, Хунан, Шамкур, Джанза, Бердидж, Шамахия, Шарван, Баку, Шабиран, Баб-уль-Абваб, Абхаз, Кабала, Шакки, Малазкерд и Тебла[56]“. გამომცემელი ნ. კარაულოვი შენიშვნაში ამბობს, რომ „თებლა“

---

55 იხ. ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 63—89.

56 СМОМПК, вып. 38, стр. 3.

არის დღევანდელი—თელავი[57]. რომ ეს, მართლაც, ასე უნდა იყოს, ეს ჩანს შემდეგიდან: ქალაქთა ჩამოთვლისას ალ-მუყადასი სრულიად გარკვეულ მიმართულებას იცავს, კერძოდ იმ სავაჭრო გზის მიმართულებას რომელიც თბილისს ბარდავის საშუალებით დარუბანდთან აერთებდა[58] და იწყებს რა თბილისიდან მიდის აღმოსავლეთისაკენ, დაახლოებით მტკვრის გაყოლებით. პუნქტები ჩამოთვლილია ზუსტი თანამომდევნოებით: თბილისი-კალა-ხუნანი-შამქორი-განჯა-ბარდავი-ბერდიჯი (იბნ-ჰაუკალის-ბერზენჯი) — შემდეგ ჩამოთვლის ამ. კავკასიის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილის პუნქტებს (რომლებიც ამასთანავე ყველა ერთ გზაზე არ მდებარეობენ; მაგ., ბაქო. შამახია, შარვანი, ბაქო, შაბურანი და დარუბანდი. შემდეგ ალ-მუყადასი კვლავ უკან (დასავლეთისკენ) ბრუნდება, და ეხლა, სხვათა შორის, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდებარე პუნქტებს აღნიშნავს, კვლავ რიგის მიხედვით: აბხაზი[59]—ყაბალა-შაქი-მელაზგერდი-თებლა. აქ ეჭვს იწვევს მხოლოდ მელაზგერდი. ასეთ პუნქტს არცერთი არაბი ავტორი არ იცნობს „არანში" (ალ-მუყადასი კი, ცხადია, სწორედ არანის პუნქტებს ჩამოთვლის). ეს უნდა იყოს ავტორის შეცდომა, ანდა ასეთი პუნქტი, მართლაც, უნდა ყოფილიყო სადღაც კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. ცხადია, ეს არ შეიძლება იყოს ცნობილი მალასგერდი თუ მანასკერტი, რომელიც არაბი ავტორების მიხედვითვე შედიოდა „სომხეთში".

უკვე ასეთი მეთოდი არაბი ავტორისა და აგრეთვე ის, რომ თებლა შაქის შემდეგაა დასახელებული, ცხადყოფს, ჩვენის აზრით, რომ აქ ნამდვილად თელავი იგულისხმება.

ჩვენთვის, ამგვარად, ამ სიაში საინტერესოა შაქისა და თელავის მოხსენება. თვით ამა თუ იმ პუნქტთა მოხსენიების ფაქტი არაბ ავტორებთან ამ ობიექტების მნიშვნელობაზე[60] უნდა მიუთითებდეს. ჩვენ კი ვიცით, რომ შაქი არაერთხელაა მოხსენიებული არაბ ავტორებთან[61]. პუნქტი შაქი უდრის ნუხას[62], ხოლო ქვეყანა შაქი, კი, როგორც ჩვენ ამისი ჩვენება ვცადეთ, უნდა იყოს იგივე ქართული

---

57 იქვე, გვ. 22, შენ. 7.

58 შრ. ი ბ ნ-ჰ ა უ კ ა ლ ი, СМОМПК, вып. 38. стр. 101.

59 აბხაზის ლოკალიზაციისათვის იხ. I. Marquart, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, Leipzig, 1903, გვ. 174, შენ. 4.

60 რასაკვირველია, უპირველესად ყოვლისა სავაჭრო მნიშვნელობაზე—იხ. იქვე, გვ. 27, შენ. 38.

61 ბ ა ლ ა ძ ო რ ი-ქ უ ზ ე, გვ. 5, 14, 16; ი ბ ნ-ჰ ო რ დ ა დ ბ ე, СМОМПК, вып. 38, стр. 15, ა ლ-ი ს თ ა ხ რ ი, СМОМПК, вып.[29], стр. 31; ა ლ-მ უ ყ ა დ ა ს ი, СМОМПК, вып. 38, стр, 3,9; მ ა ს უ დ ი, იქვე. 57; ი ბ ნ-ჰ ა უ კ ა ლ ი, იქვე, 92; ჰ ო დ უ დ ა ლ ა ლ ე მ ი, ვ. თოფურიძის გამოც. 15.

62 იხ. ბ ა ლ ა ძ ო რ ი-ქ უ ზ ე, გვ. 16; СМОМПК, вып. 38 стр. 22, შენ. 7

ჰეოეთი. ქალაქი შაქი ალ-მუყადასის ცნობით ველზე მდებარეობს და მისი მცხოვრებთა უმეტესობა ქრისტიანები არიან. თელავს კი იგი ასე ახასიათებს: „В Тебла в руках мусульман 500 домов, а большая часть жителей христиане; местность эта цветущая“[63]. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ შექელი მაჰმადიანები ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევენ[64]. ყველა ეს ცნობა ჩვენ ჰერეთს IX—X ს-ში მდიდარ ქვეყნად გვისახავს, ხოლო შაქს მის ერთ-ერთ ცენტრად[65].

ცხადია ასეთი დოვლათიანი კუთხის ხელში ჩაგდება დიდად მნიშვნელოვანი იქნებოდა საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ სამეფო სამთავროთათვის. და მართლაც ქ-ცა-ში კარგადაა დახასიათებული ის გარემოება, თუ როგორ ცდილობენ მთავარი მებრძოლი მხარეები (ჯერ აფხაზეთ-კახეთი, ხოლო უფრო გვიან აფხაზ-ქართველთა მეფეები და კვლავ კახი ქორეპისკოპოსები) ჰერეთის თავის გავლენის ქვეშ მოქცევას და საკუთარ ბაზად გადაქცევას. მაგრამ ჰერეთს მესამე მხარეც ეკიდებოდა. ეს იყო მონოფიზიტური სომხეთი.

სომხეთ-ჰერეთის ურთიერთობა საკმაოდ ხანგრძლივი და, როგორც ჩანს ქართლ-ჰერეთის ურთიერთობის პარალელური მოვლენაა (იხ. ზემოთ). მაგრამ ჩვენ ეხლა ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

რომ სომხეთ-ჰერეთის ურთიერთობა დიდი ხნის ამბავია და რომ სომხეთიც ცდილობდა ამ ტერიტორიაზე თავისი გავლენის გავრცელებას და ნაწილობრივ კიდევაც აღწევდა ამას, ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ „ერეთს ვიდრე მეფობამდე იშხანიკისსა პირველნი ყოველნი იყუნეს მწვალებელნი“[66], ე. ი. ანტიქალკედონიტები. მეტად საინტერესო მოვლენაა, რომ უკვე IV ს-დან კულტურულად და თითქმის ეთნიკურადაც გაქართველებული ჰერები უფრო გვიან სომხურ გავლენასაც განიცდიან (შდ. სომხითის მხარე). მას შემდეგ რაც ქართლი დიოფიზიტობას დაადგა, ჰერეთი, როგორც ზემომოტანილი ცნობიდან ჩანს, მონოფიზიტიზმს შერჩა, და ეს X ს-ის მეორე ნახევრამდე, როდესაც უნდა ემეფა იშხანიკს. შესაძლებელია ამ

---

[63] СМОМПК, вып. 38, стр. 9.

[64] მასუდი СМОМПК, вып. 38, стр. 57.

[65] თელავი X ს-ის მეორე ნახევარში ფაქტიურად საკუთრივ კახეთის სამთავროს ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილიყო.

[66] ანას ქ-ცა, 168.

საქმეში ალვანთა ხელიც ერია, მაგრამ, მაინცდამაინც, დამახასიათებელია, რომ ჰერთა მეფეს სომხური სახელი, იშხანიკი, ეწოდება[67].

ცხადია, პირველ რიგში საჭირო იყო კვლავ ძველი რელიგიური ერთიანობის აღდგენა ქართველთა და ჰერთა შორის. ეს მოხდა სწორედ იშხანიკის ზეობის დროს: „ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთა ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან“[68]. მეტად საინტერესო ცნობაა: გამოდის, რომ ჰერეთისათვის მხოლოდ აფხაზნი და კახნი კი არ იბრძოდნენ, არამედ საკუთრივ „ქართველნიც“. ცხადია, ჰერთა „მოქცევაში“ ამ უკანასკნელთა (ეგებ თვით გურგენ ე᾽ ევის) ხელი ერია. ამგვარად, X ს-ში ხდება ჰერების საბოლოო „გაკახელება“[69].

მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება. 1010 წ. ბაგრატი ჰერეთს და მასთან ერთად კახეთსაც იერთებს[70], კახეთში და ჰერეთში ბაგრატ III თავისი ერისთავები დაუსვამს. მაგრამ გიორგი I-ის მეფობაში (1014—1027) „განდგა ამას ქუეყანასა ჰერეთ-კახეთისა და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“[71]. ეს უნდა მომხდარიყო XI ს-ის ოციან წლებში[72]. ამ ამბავთან დაკავშირებული უნდა იყოს ვახუშტის ცნობა, რომ დიდმა „კვირიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა. გარნა თუ ისხნენ ერისთავნი ჰერეთს, არამედ ამან კვირიკე მეფემან უფროს განამტკიცნა და დასხნა სამი კახეთს და ოთხი ჰერეთს“[73]. ამგვარად, ამიერიდან ჰერეთის, როგორც დამოუკიდებელი სამეფოს არსებობა წყდება. შეიქმნა ახალი ერთეული, კახეთის სამეფო, რომელიც დაიყო შვიდ საერისთავოდ (ამის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ). ცხადია, ამ ახალ ერთეულს ახალი ცენტრი სჭირდებოდა, და, მართლაც, იმავე კვირიკემ „ჰყო თელავი. სასახლედ და ტახტად კა-

---

[67] იხ. Н. Марр, Аркаун..., გვ. 7.

[68] ანას. ქ᾽ცა, იქვე.

[69] რომ, მართლაც, ამ დროისთვის ჰერები ეთნიკურად სავსებით გაქართველებულნი უნდა ყოფილიყვნენ, ამას, ჩვენის აზრით, მოწმობს სოფ. ფშაველის „კოხტა ღვთისმშობლის“ სამონასტრო კომპლექსის მთავარი ეკლესიის (თარიღდება IX ს-ით, ლ. რჩეულიშვილი) კრამიტები, რომლებზედაც ქართული ასოებით მონოგრამებია გამოძერწილი.

[70] ანას ქ᾽ცა, 177; ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II², გვ. 129; ნ. ბერძენიშვილი, „მიმომხ.“, გვ. 68.

[71] სუმბატ დავითის ძე, სამი ისტორ. ქრონიკა, 1890, გვ. 67.

[72] ნ. ბერძენიშვილი, იქვე.

[73] „საქ. ცხოვრება“, 151.

ხეთისა და ჰერეთისა"[74]. ბუნებრივია სწორედ თელავი გამხდარიყო კახეთის სამეფოს ცენტრად—ამას ხელს უწყობდა მისი მდებარეობაც და მისი მეურნეობაც. „ამით ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი დასრულდა"[75].

ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია წამოიჭრას კითხვა: რატომ არ დაუბრუნდა თავისი ძველი მნიშვნელობა უჯარმას მას შემდეგ, რაც ბრძოლა გაერთიანებისათვის საბოლოოდ დასრულდა (დავით აღმაშენებელი). მართალია, ადრეფეოდალურ ხანაში, პოლიტიკური ვითარების გამო, სავარაუდოა ქალაქის მიმდგომ რაიონში მეურნეობის და, კერძოდ, მესაქონლეობის დაცემა, მაგრამ აქ ეს უკანასკნელი არასოდეს მოშლილა. მაშ რატომ დაეცა მაინც უჯარმა ისე, რომ მან შემდეგში უწინდელი მნიშვნელობა ვეღარ დაიბრუნა? რატომ გადაიწია ცენტრი თელავისაკენ?

ამ შემთხვევაში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საავჭრო გზის გადანაცვლებას თუ გაუქმებას. საამისო კლასიკური მაგალითია ქალაქი დმანისი[76]. მაგრამ აქ სხვა ფაქტორიც იყო. ძირითადი მნიშვნელობა იმ მეურნეობრივ ბაზისს უნდა ჰქონოდა, რომელსაც ემყარებოდა კახეთის და ჰერეთის ეკონომიკა. თუ კახეთის სამთავროში ძირითადი მესაქონლეობა და, კერძოდ, მეცხვარეობა (და მეცხენეობა) იყო, ჰერეთის სამეფოში ძირითადი მიწათმოქმედება და, კერძოდ, მევენახეობა უნდა ყოფილიყო, რომლის შემდგომი დაწინაურებისათვის, უეჭველია, ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა კახეთ-ჰერეთის ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანება და განსაკუთრებით ამ უკანასკნელის შესვლა საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ფარგლებში. ხოლო განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, ეკონომიურმა ცენტრმა ინტენსიური მეურნეობის, მევენახეობის, განვითარების რაიონში გადაინაცვლა, უჯარმა კი შერჩა თავის მესაქონლეობას. სწორედ ამიტომ ახლად შექმნილი კახეთის სამეფოს ეკონომიური (resp. პოლიტიკური) ცენტრის როლი ბუნებრივია თელავს დაჰკისრებოდა.

ჩვენ უჯარმის გაქალაქებაში რამდენადმე მევენახეობასაც დავუდეთ წილი, მაგრამ, გარკვეული აზრით, შესაძლებელია ითქვას,

---

74 იქვე, 151—152.

75 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, იქვე.

76 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა. კრებულში: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1938 წ.

როგორც ეს შეგვნიშნა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, რომ საბოლოოდ მევენახეობის განვითარებამ დასცა უჯარმის მნიშვნელობა[77].

---

77 სულ უკანასკნელ ხანში ქალაქ უჯარმის წარმოქმნის საკითხს გაკვრით შეეხო თავის საინტერესო მონოგრაფიაში, („მორწყვა ძველ საქართველოში", 1963 წ.) ი. კიკვიძე. მისი აზრით, „უჯარმა ვახტანგ გორგასლის აშენებულია და, როგორც მისი აგება, ისევე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად ქცევა ივრის სარწყავი სისტემების შექმნას უკავშირდება, რომლებიც სწორედ უჯარმასთან იღებენ სათავეს" (გვ. 91), თუმცა მეორე ადგილას იგი საამისოდ „სხვა პირობებსაც" თითქოს დასაშვებად მიიჩნევს (გვ. 117), მაგრამ იქაც აშკარაა, რომ უჯარმის გაქალაქების მთავარ ფაქტორად ირიგაციას თვლის. ქალაქ უჯარმის ვახტანგ გორგასლის მიერ მშენებლობას რომ თავი დავანებოთ, რაც ფაქტიურად არ არის სწორი, აქ ისევე, როგორც მთელს მონოგრაფიაში, ირიგაციის როლის გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე. აქაც, როგორც ყოველი სხვა ქალაქის წარმოქმნის პროცესი ასე მარტივად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ. ჩვენ ზემოთ ვნახეთ რომ უჯარმის, როგორც ქალაქის წარმოშობა ხანგრძლივი და რთული პროცესია, გაპირობებული მრავალი ფაქტორით, რომელთა შორის ჩვენ გარკვეული წილი მევენახეობასაც და ირიგაციასაც დავუთმეთ (იხ. ზემოთ). მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ ამ უკანასკნელის მნიშვნელობა დიდი და მით უმეტეს ძირითადი არ უნდა ყოფილიყო. ამას ისტორიული კახეთის მეურნეობის გათვალისწინებისა, და წყაროთა ჩვენებების გარდა ის ფაქტიც მოწმობს, რომ უკვე IX ს-ში უჯარმა კარგავს საბოლოოდ თავის უწინდელ მნიშვნელობას, ხოლო თვით ი. კიკვიძის აზრით, მხოლოდ XIV ს-ის ბოლოსთვის „უქმდება, ალბათ, სამგორის არხი და ივრიდან გამოტანილი მეტი წილი რუებისა" (იქვე, გვ. 128). რა თქმა უნდა, უჯარმის, როგორც მნიშვნელოვანი ქალაქის და პოლიტიკური ცენტრის საფუძველი რომ მხოლოდ არხი ყოფილიყო, იგი ამ უკანასკნელის მოქმედების გაუქმებამდე შეინარჩუნებდა ძველ მდგომარეობას. ამდენადვე ცხადია, რომ უჯარმის დაცემა სხვა ფაქტორებითაა გაპირობებული (იხ. ზემოთ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძიებელი

I. გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა

აბანტუ (მდინარე) 33
აზერბაიჯანი 23
ალაზანი 7—8, 11, 13—15, 18—19, 23, 29—36, 39, 42, 52, 55, 73, 99, 115
ალაზანი მცირე 7, 9, 13, 18
ალბანა 25
ალბანი (მდინარე) 35
ალბანია, იხ. ალვანეთი
ალბანები, იხ. ალვანელები
ალბანეთი, იხ. ალვანეთი
ალავერდი 39
ალვანეთი 5—6, 12, 22, 24, 29—38, 43, 51, 67, 81—82, 101, 103, 111
ალვანელები (ალვანები) 13, 22, 24—25, 28, 29, 32—33, 35—36, 42, 51, 67, 81, 92, 118
ალვანი 13, 24
ალონი 25
ალონის ველი 13, 15, 24
ამიერკავკასია 51, 92, 99, 109
ანანური 39
ანთოკი 55
არაბები 47, 52, 84—85, 88—92, 94, 111
არაგვი 6—8, 12, 18—21, 23, 26—27, 39, 44
არარატი 30
არაქსი 33
არგვეთი 45
არდონი (მდინარე) 103
ართანა 39
არიში 53
არმაზი 45
არტანი 39, 84
არტანუჯი 79
არტაჰანი (არტანი?) 84
არტნის ხევი 40
არცახი 31, 34
ასანური 31
ასის ხეობა 49
აფენი 52—54, 115
აფხაზეთი 90, 117
ახალდაბა 45—46
ახატანი 39
ახატელი 39
ახმეტა 45

ბაზალეთი 84
ბაისუბანი 53—54
ბაკურციხე 115
ბამბაკის ხევი 30—31
ბარდავი 25, 49, 52, 70, 84, 116
ბახტრიონი 13, 15
ბელაქანი 52
ბერი 24—25, 27
ბერდუჯი (მდინარე) 9—10, 21
ბერძნები 62, 81
ბიზანტია 80
ბიწმენდი 39
ბოგდანოვკა 53
ბოდავი 39
ბოდბე 23, 39, 44—45, 58—61, 66
ბოდი, იხ. ბოდბე
ბოდინი, იხ. ბოდბე
ბოდისი, იხ. ბოდბე
ბოდოჯი 113

ბოსტან-ქალაქი, იხ. რუსთავი
ბოჭორმა 25, 27, 40, 46, 71, 113—114
ბუშატი 39

გაზირი 93
განჯა 41
გარდაბანი 23, 41—42, 77, 84, 102, 104
გარდმანი (გარდაბანი) 30, 81
გარეკახეთი 16, 41, 45—46, 54
გარეჯის მთა 11—13, 15, 19—20, 50
გარეჯის უდაბნო 30, 47, 50
გალმამხარი 15, 28, 39—40
გაჩიანი (ქალაქი) 9, 23
გიორგიწმინდა 56
გომბორი 15—16, 39, 44, 54—55
გომეწარი 39
გომეწრელი 39
გრდანი 11
გუგარეთი (გოგარენე) 34, 105
გულგულა (გოლგოლა) 7—8, 10—11, 13, 23—24, 39, 86

დარიალანი (დარიალი, ალანთა კარი, უვსეთის კარი, ბაბ-ალანი), 84, 89, 103—106
დარუბანდი 116
დარფაკა 69
დაშტი 29
დებედა 10
დედაციხე 25, 27, 46
დვალეთი 103
დიდგვერდის მთა 15
დიდოეთი 15, 21, 48
დიდოელები 84
დლივი 53
დმანისი 119
დუისოფელი 15
დურძუკეთი (დორძოკეთი) 103

ეგრი (არაგვი) 18
ეგრი (პუნქტი) 40—41
ეგრისი (ეგრი) 22, 48, 62, 90, 95
ედემი (ედომი) 27, 43

ელისენი 83
ერანი 16, 46, 55—56, 59, 65, 67, 79—80, 111
ერედვი 105
ერწო 20—21, 27, 43—44, 53—55, 71, 96
ერწო-თიანეთი 8, 14, 16—17, 25—26
ერწუთიანელნი 21, 26, 43

ველისციხე 69, 101—102
ვერონა 44
ვერხველი (მდინარე) 26
ვეჯინი 14, 108

ზაქათალა 52
ზედაძნის მთა 19
ზესტაფონი 53

თბილისი (ტფილისი) 12, 49, 52—53, 55, 68—71, 74—75, 78—80, 82, 84, 88, 90, 92, 95—97, 105—106, 108, 116
თელავი (თებლა) 37, 53, 115—119
თეძმის ხევი 11
თიანეთი 11, 20—21, 26, 39, 48—49, 55, 68, 101—102, 112—114
თოლენჯი 53
თოშნი 21
თრიალეთი 53, 84, 107
თურდო 8, 11, 13—15, 23, 37
თუშები 85
თუშეთი (თოშეთი) 14, 26, 43
თხოთის მთა 58

იალნოს ქედი 17, 19, 21, 25
იალონი, იხ. იალნოს ქედი
იბერები, იხ. ივერიელები
იბერია, იხ. ივერია
ივერია 5, 12, 15—16, 22, 24, 28, 31—37, 39, 42—43, 45, 48, 51, 62, 64, 88
ივერიელები 22—23, 28—29, 32, 34—35, 37, 42—43, 51
ილტო (ირტო) 16

იორი 7—8, 11, 13, 15, 17—18, 20, 23, 25—27, 29—35, 39—40, 42, 47, 49, 55—57, 63, 65, 69, 71, 77, 79, 102, 120

კავკასი (მთა) 8, 10, 14, 16, 21, 86
კავკასია (მთა) 6—8, 18, 20, 28, 30, 32, 35—36, 63, 81, 85, 89, 95, 110
კავკასიონი 9, 15, 21—22, 31, 48, 52, 103
კავშირი (სოფ.) 52—54, 115
კალა 80, 97
[illegible] (გარდაბანი) 116
კამბეჩანი (კამბეჩოანი, კამბეჩიანი) 23, 29—37, 66—67, 77—78, 81, 85
კამბისენე 28—32, 34, 37, 42
კამბისი (მდინარე) 33, 35
კამიბერანი, იხ. კამბეჩანი
კარდანეხი 31
კასპები 36
კასპიის ზღვა (ალბანეთის ზღვა) 35
.ასრი 85—86
კასუსი (მდინარე) 35
კაწარეთი 8, 41, 43—44, 54
კაუხეთი, იხ. კუხეთი
კახები 17, 23, 25, 40—42, 55, 105
კახეთი 5—6, 8, 10—11, 13—18, 20—25, 27—28, 34—35, 39—40, 43—47, 49, 54—55, 57—60, 63, 65—69, 76—82, 84—86, 88—90, 92—93, 95—97, 99, 101—106, 108—109, 112—115, 117—120
კახეთის მთა 6—8, 14, 16—21, 27
კახეთის მთეულეთი 5, 21, 23, 39, 56—57, 68
კახეთის ქედი 14, 16—17, 21, 45
კახელები 17, 40—41
კახი (კაკი) 40—41
კახნი გარდაბანელნი 42
კვეტერა 14
კირი (მდინარე) 34—36
კისისხევი 82
კლარჯეთი 62—63, 78—79, 84, 86
კოლხეთი 28
კორაქსიული მთები 35
კოხეთი, იხ. კუხეთი
კუხეთი 5—6, 8, 10—14, 16—17, 19—23, 25, 27, 30, 34—35, 39, 43—44, 46—47, 58—59, 65, 67, 76, 78, 84—85, 102, 104, 106—107
კუხეთის მთა 14
კხოეთი 43, 44
კხოელნი 43

ლაგოდეხი 52—54
ლაკბის ხევი 31, 40
ლაკუასტი 85
ლალისყური 13
ლეკითი 82—83, 95
ლელიანი 52—54, 115
ლიახვი 103
ლილო 11
ლომსიანთ ხევი 45
ლოწობანნი 113
ლოჭინის ხევი 11

მანგლისი 84
მარგუი 23
მარილისი 14—15
მარტყოფი 11
მაღარო 16
მაჭარეული (მდინარე) 15
მაჭი 14, 108
მაჭის წყალი 14—15
მახვილის ხევი 16
მეგრელი 40
მელასგერდი 116
მთეულეთი კახეთისა, იხ. კახეთის მთეულეთი
მთეულნი კახეთისანი 21—22, 75
მთისძირი (სოფ.) 52—54, 115
მთიულეთი 20
მოვაკანი 8—10, 13, 62—63
მტკვარი 6—13, 15—16, 18—21, 29—35, 52, 67, 78, 102
მუღანლო 55
მუხრანი 53
მცხეთა 44, 47, 52—55, 59, 68, 70—71, 73, 81—82
მწარე წყალი 11

ნაგები 11—12, 33
ნაქერალას ქედი 15
ნაჭარმაგევი 25
ნახჭევანი 29
ნახჭოვანი 113
ნეკრესი (ნელქარი) 28, 36, 45, 48, 67
ნინოწმინდა 82
ნოპატელნი (ნოპოტელნი) 21—22, 48, 75, 86, 93, 95
ნოპპატო (ნოპატა) 21, 75, 86, 93
ნუხი 23, 52, 75, 93, 95, 116

ომანისხევი 11
ოჟიო 39
ორხევი 39
ოსები (ოვსები) 25, 48—49
ოსეთი (უვსეთი) 48, 103

პალდო 71
პანკისი 14—15
პარჭუანი 103
პატარძეული 55
პეტრა 53
პონტოს ზღვა 9

ჟალეთი 16, 25—27, 43—44, 54
ჟინვანი (ჟინვალი) 20, 26, 39, 52

რანი 10, 13, 16, 38, 50, 52, 61—63, 86, 93
რიყე (მდინარე) 39
რომაელები 33
რუსთავი 6—7, 11—15, 17—18, 20—21, 30, 33, 47, 65

საგარეჯო 55
საგმის ხევი 40
საგურამო 11, 20
საინგილო 21—23
სანარია, იხ. წანარეთი
სამგორი 11—12, 15, 20, 31, 50—51, 55, 65, 71, 108
სამების ხევი 8, 11—12, 15, 44
სამცხე 84
სანთა 53
სართიჭალა 56
სარმატები 42
სამარტია 39
სასახლის ხევი 56
საქართველო 5, 11, 14, 16, 44, 48, 52, 57, 64, 76, 80—83, 85, 88, 90, 92—93, 97, 99, 105, 109, 111—112, 114, 119
საქვაბე 31
საყარაულო 17, 26
საყდრიონი 16
საჩეჩნო 49, 103
საჩხერე 53
სიმონიანთ-ხევი 53
სიონი (სოფ.) 26
სკვით-სარმატები 39, 42
სომხები 25, 28—30, 32 ,42
სომხეთი 28—31, 33—34, 51, 79, 117
სომხითი 24, 29, 62, 93, 103
სომხითის ხევი 30
სოღანლუღი 53
სოღუთ-ბულახი 11
სოჯნი (სუჯნი) 43
სპარსელები 33, 63, 68, 78, 81, 103
სპერის ზღვა 9
სტორი (მდინარე), იხ. შტორი (მდ.)
სუჯეთი (შუჩქი) 101, 102

ტაოელნი 25
ტაო-კლარჯეთი 95
ტარონი 86
ტელება 37
ტრაპიზონელნი 25
ტური 15
ტყე-ტბა 6—7, 10—11, 13, 18, 20

ურიათუბანი 82—83
ურძუკეთი (ძურძუკეთი) 48
უტიები (ვიტიები) 31
უტიქი (უტი) 25, 31, 34, 81
უჯარმა 6, 14, 23, 38, 46—48, 53—59, 61, 65—66, 68—74, 76—78, 81—82, 85, 99, 102, 110—113, 119, 120

ფაიტაკარანი 34
ფისოსი (ფარისოსი) 29
ფოილო 33
ფშავები 17, 49
ფშაველი (სოფ.) 40, 52—54, 118
ფშავი 16, 20, 25—26, 39—41, 55, 103
ფხო 40
ფხოელნი 41, 43
ფხოველი (სოფ.) 40
ფხოველნი 14, 21, 41
ფხოვი 16, 40, 41
ფხოვნი, იხ. ფხოველნი

ქალაქნი კამბეჩოანი 63, 69
ქართველები 24, 29, 36—37, 118
ქართველი 40
ქართლი (პუნქტი) 40
ქართლი 5—6, 9—10, 12, 15—16, 20—24, 27—28, 32—38, 41, 43—50, 55—56, 59—68, 70, 75—82, 84—86, 88, 90, 92, 95—97, 99, 101—102, 104—106, 108, 111, 114—115, 117
ქართლის ქედი 14 ,17, 21
ქვეშკაფორი 101
ქისალი 84
ქისიყი (ქიზიყი) 14, 16, 31, 39, 50
ქისტეთი 103
ქსანი 84
ქსოვრისი 84
ქუშანი 60
ქცელი (ქველი) 43
ქცია 10

ღლიღვი 14, 16, 21, 49
ღულელები 53

ყაბალა 116
ყაბარდო 49
ყაზახი 41
ყარაია 11—13, 35
ყარაღაჯი (რუსთავთან) 11
ყარაღაჯი (კახეთში) 54
ყვარა 39—40
ყვარელი 39, 53
ყვარელნი 21, 43

ყიფჩაყები 25, 48
ყუმი 82—83, 95

შავშეთი 84
შამქორი 30, 116
შაქი (ქალაქი) 116—117
შაქი (შაკიხი) 14, 21, 23—24, 83, 85—86, 106—107, 115—116
შაქნი 106—107
შაჰ-დაღის ქედი 30—31
შიგნიკახეთი 14, 16, 23, 39, 41, 44—45, 54
შიგნიკახელები 17, 40
შილდა 28
შირაქი 29, 32, 50
შუა-მთა 11, 16, 82
შტორი (პუნქტი) 14, 108
შტორი (მდინარე) 8, 11, 13—15, 20

ჩაბანო 40
ჩადივარი 11—12, 15, 20, 50
ჩელეთი 25—27, 101—102
ჩელთი (მდინარე) 15

ცივი (მთა) 16, 31
ციხისძირი 53
ცოდნა (სოფ.) 53—54
ცულიყლაპია ჭყონის ტყე 53

ძველი გავაზი 82
ძორთორი 30
ძურძუკი 14, 21

წანარები (სანარიელები) 25, 84, 89, 92, 102—105, 107—108, 111
წანარეთი 104—108, 111
წანარეთის ხევი 103
წილკანელნი 43
წილკანის (წექანის) კარი 103—104
წინანდალი 39
წირდლის ხევი 39, 44
წიწამური 53
წობენი 26—27, 43—44, 54
წუქეთი 67—68, 78, 83, 85—86, 101—102

ჭართალა 40
ჭართალელნი 43, 104
ჭართალი 39, 104
ჭართლის მინდორი 40
ჭერემი (ჭერამი) 45, 63, 66—67, 69
ჭიოტაანთ კარი 17, 26
ჭიჭაკვის ხევი 40

ხაზარები 49, 79—80, 92, 101, 108
ხარჭაშო 26—27
ხატხევი 40
ხაშმი 8, 41
ხევსურეთი 16, 25—26, 103
ხერკი 20, 26, 84, 101—102
ხორანთა 8, 13
ხორასანი 60
ხორზენე 28
ხორნაბუჯი 14, 16, 66—67, 69, 77—78, 108
ხორხელი 39
ხორხი 39
ხუნანი 8—10, 12, 15, 60, 78, 84, 116
ხუნზახი 14, 21, 48—49
ხუნძები 85

ჴერკი, (იხ. ხერკი)
ჴიდრი (ჴიდარი) 78

ჯურზანი, იხ. ქართლი

ჰავარეჰი (ხერკი?) 84
ჰერები 22, 24, 42, 43, 45
ჰერეთი (ქალაქი) იხ. ხორანთა
ჰერეთი (ერეთი) 5—16, 18, 20—24, 27—28, 30, 33, 36—39, 41, 43—48, 50—51, 54—55, 58—68, 76—86, 90, 93, 95—97, 99, 102, 105—108, 114—115 117—119
ჰერეთის მთა 14, 16
ჰნარაკერტი 10
ჰუნები-სარაგურები 79

Албания 12
Албаны 22
Грузия 49—50
Иберы 22
Кабала 85
Камбисена (Камбечан) 51
Камибаран 85
Кобх 110
Курр (Кура) 85
Тебла (Телави) 115, 117
Шаккан 85
Эрцо 26

Ալանաց դուռն 103
Աղուանք 67
Աղուէ 25
Աղուենն 25
Խամշի վանք 41
Ծանարք 103
Ծերան դուռն 103
Կածարեր 41
Կապինան (Կամբեն) 30, 67
Կուրայ 29—30
Ուտիք (Ուտիեանն գաւառ) 31, 81
Վիրք 81
Քամբենան 29

II. პირთა საკუთარი სახელებისა

აბასიდები 108
აბიბოს ნეკრესელი 45
აბო ტფილელი 87
აბულ-კასიმი 71, 79, 109
აბუ-ხუასრო 85—86
ადარნასე (ატრნერსეჰ, ადარნერსე), კახეთის და ქართლის ერისთავი 80—81, 94, 96—98
ადარნასე ბრმა 86, 108
ადარნასე მეფე 98
ადარნასე, ჰერთა პატრიკი 106—107
ადარნერსე, ქართლის ერისთავი 96
ადარნერსე იბნ-ჰამამ 106—107
აზორკ მეფე 29, 33
ალექსანდრე მაკედონელი 27
ამზასპ მეფე 46
ამირ იბნ-ისმაილი 92
არანი 10
არბაკი 28
არმაზელ მეფე 29, 33
არსენ საფარელი 24, 30
არჩილ მეფე 63
არჩილ „მეფე" 23—24, 64, 77, 85—91, 93—99
ასამ, კამბეჩანის მთავარი 77
ასიმი 87, 95
ასიმ იბნ-აბდულაჰი 94—95
ასფაგურ მეფე 46, 58
აშოტ კურაპალატი 93, 101

ბაგრატ III 113, 118
ბაგრატიონები ჰერეთისა 23—24, 86
ბაკურ მეფე 63, 76, 96
ბარაზბოდ, პიტიახში 64
ბარამ V 53
ბარდოსი 10
ბასილი კეისარი 107
ბაქარ იბნ-მუსლიმი 89
ბაქარ მეფე 47, 61, 65
ბუბაქარ 30

გარდაბოსი 9
გიორგი I 107, 118
გიორგი, აფხაზთა მეფე 113
გლონოქორი 64
გრიგოლ, კახთა მთავარი 47, 77, 101—102, 108
გრიგოლ, რუსთავის მფლობელი 47, 65
გუარამ, ქართლის ერისმთავარი, 77, 96—97
გურგენ ერისთავთ-ერისთავი 118
გუშარი 10

დავით აღმაშენებელი 25, 119
დავით გარეჯელი 12, 30, 47
დაჩი (დარჩი) 56, 65, 67—69, 74—76, 78—81, 96
დემეტრე, კახეთის ერისთავი 65
დინარ, ჰერთა დედოფალი 106, 118

ვალარში 67
ვარაზ-ბაქარ მეფე 62, 68, 78
ვარზვარად, კამბეჩანის მთავარი 77
ვარსქენ პიტიახში 16
ვაჩაკან, ალვანთა მეფე 67
ვახუშტი 8—17, 19—21 ,23—28, 31, 46, 49, 77, 87, 96, 102, 105—106, 108, 110, 112—114, 118
ვახტანგ გორგასალი 25—26, 37—38, 47—48, 56—57, 63—71, 73, 75, 77—80, 85, 96, 99, 109, 120

თრდატ მეფე 48

იაზიდ იბნ-უსაიდი 89, 92
იაკობ ცურტაველი 16, 24, 65

ჭართალა 40
ჭართალელნი 43, 104
ჭართალი 39, 104
ჭართლის მინდორი 40
ჭერემი (ჭერამი) 45, 63, 66—67, 69
ჭიოტაანთ კარი 17, 26
ჭიჭაკვის ხევი 40

ხაზარები 49, 79—80, 92, 101, 108
ხარჭაშო 26—27
ხატხევი 40
ხაშმი 8, 41
ხევსურეთი 16, 25—26, 103
ხერკი 20, 26, 84, 101—102
ხორანთა 8, 13
ხორასანი 60
ხორზენე 28
ხორნაბუჯი 14, 16, 66—67, 69, 77—78, 108
ხორხელი 39
ხორხი 39
ხუნანი 8—10, 12, 15, 60, 78, 84, 116
ხუნზახი 14, 21, 48—49
ხუნძები 85

ჴერკი, (იხ. ხერკი)
ჴიდრი (ჴიდარი) 78

ჯურზანი, იხ. ქართლი

ჰავარეჰი (ხერკი?) 84
ჰერები 22, 24, 42, 43, 45
ჰერეთი (ქალაქი) იხ. ხორანთა
ჰერეთი (ერეთი) 5—16, 18, 20—24, 27—28, 30, 33, 36—39, 41, 43—48, 50—51, 54—55, 58—68, 76—86, 90—93, 95—97, 99, 102, 105—108, 114—115 117—119
ჰერეთის მთა 14, 16
ჰნარაკერტი 10
ჰუნები-სარაგურები 79

Албания 12
Албаны 22
Грузия 49—50
Иберы 22
Кабала 85
Камбисена (Камбечан) 51
Камибаран 85
Кобх 110
Курр (Кура) 85
Тебла (Телави) 115, 117
Шаккан 85
Эрцо 26

Ալանաց դուռն 103
Աղուանք 67
Աղուէ 25
Աղուենն 25
Խամշի վանք 41
Ծանարք 103
Ծեքան դուռն 103
Կածարեր 41
Կապինան (Կամբեն) 30, 67
Կուրայ 29—30
Ուտիք (Ուտիեանն գաւառ) 31, 81
Վիրք 81
Քամբենան 29


კახეთ-კუხეთის ᲓᲐ ᲰᲕᲐᲠᲗᲘᲡ
ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲖᲘ
ძ.წ. IV-III სს
ᲙᲐᲮᲔᲗᲘ
ᲙᲣᲮᲔᲗᲘ
ᲰᲕᲐᲠᲗᲘ
ᲬᲝᲭᲝᲗᲘ
ᲠᲐᲭᲘᲗᲘ
ᲠᲐᲭᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ
ᲛᲓ. ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ
ᲛᲓ. ᲘᲝᲜᲘ
ᲛᲓ. ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲗᲘᲗᲐᲜᲘᲡᲘ
ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ
ᲒᲐᲠᲒᲯᲝᲛᲘ
ᲛᲐᲜᲐᲯᲘ
ᲗᲘᲚᲐᲕᲘ
ᲒᲝᲠᲘᲡᲪᲘᲮᲔ
ᲞᲐᲘᲡᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔ
ᲛᲐᲡᲢᲘᲠᲘ
ᲓᲐᲕᲗᲘᲚᲘ
ᲑᲐᲘᲡᲣᲜᲘ
ᲛᲘᲪᲘᲠᲘ
ᲛᲘᲪᲘᲠᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ
ᲛᲘᲪᲘᲠᲘᲡ ᲛᲓ. ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ
ᲛᲘᲪᲘᲠᲘᲡ ᲛᲓ. ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ ა ვ ი I. კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, კახეთის უძველესი პოლიტიკური ცენტრები . . 5

თ ა ვ ი II. პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლება უჯარმაში. უჯარმა ვახტანგ გორგასლამდე 38

თ ა ვ ი III. უჯარმა ვახტანგ გორგასლის დროს . . . 62

თ ა ვ ი IV. უჯარმა ადრეფეოდალურ ხანაში (I) . . . 76

თ ა ვ ი V. უჯარმა ადრეფეოდალურ ხანაში (II) . . . 101

საძიებელი 121

108/750

Давид Леванович Мусхелишвили

ГОРОД УДЖАРМА

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი რ. ფარესიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.4.1966; ნაბეჭდი თაბახი 8.38;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.89;
უე 02280; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1684;
ფასი 57 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ n 108/750

ფასი 57 კაპ.